


ტსვარი

სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი

9 | 1999





მხატვარი ლერი წანტურია

ცისკარი

დამთუბნებლად:

საქართველოს მწიგნობრობის კავშირი

და ქუბნალ „ცისკარის“ ბრძაღვი

9 | 1999

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მინაარსი

მთავარი რედაქტორი:

მასურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

ბალატიანი არაბული
ირაკლი ბახაძე
ლევან მალაზონია
ელზა მებრძული
(მორედაქტორის მოადგილე)
მისო მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანია
ჯემალ ძირია
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:

ბივი ბაბუაშვილი
ნოდარ ბრინალაშვილი
ლავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
მეზარ კვიციანი
რევაზ შიშველაძე
ლავით მკელაშვილი
ბივი სულაშვილი
მისიელ კვიციანი
ჯანსუღ ღვინჯილია
შაღინაშვილი
ნუზარ შატალია
გოსტოვ ჩხიკია
ჯანო ჯანელიძე

მხატვარი:

ბიორბი წიგნთმწიფი

მხატვრული რედაქტორი
ლავით აბულაძე

ტექნიკური რედაქტორი:

ზიული სირაძე

გამომცემელი:

ლევან თითქმირია

ბიუსია, ბროზა

3. ჯარჯი ფხოველი. ლექსები
10. მისიელ ქელიძე. ლექსები
12. მასურ კალანდია. ძეგლი ყველასათვის. რომანი. დასაწყისი
46. მანანა ჩიგიშვილი. ლექსები
50. ირაკლი ბაბაძე. ლექსები
54. გოდერძი ჩოხელი. საფლავისაკენ მიმავალ გზაზე. მოთხრობა
57. ეთერ თათარაძე. ლექსები
64. შურაბ ნარმანია. ლექსები
68. დალილა ბედიანიძე. ლექსები
71. ბალათერ არაბული. ლექსები

დრამატურგია

77. ჯემალ ქირია. ლომთა ტაროსი

ჩიერი თანამედროვე

96. მისო მოსულიშვილი. კაცი დიდ კატორღელთა მოღვმიდან.
საუბარი ბატონ ჭაბუა ამირეჯიბთან

მურბან ჯგუფურია - 60

111. საყვარელი მუსიკოსი - ქართველი ხალხი

ხელნაწიბა

115. გურამ ოდიშარია. ზღვის სარკეში არეკლილი მზე

წერილები

118. დავით მჭელური. ეროვნული იღვის ძიებაში. დასაწყისი

იოსებო

ორიოდე სიგყვა ისევ „სპეკალზე“

ასე ერთად და გამორჩეულად მე-
ორედ ვხედებით, მკითხველო!

ვერ ვიგყვი, თქვენც გველოდით-
მეთქი, მაგრამ, ჩვენ რომ გვიფიქრია
და გვიზრუნია ამ შეხვედრისთვის,
აშკარაა!


მაშ ასე: ყოველი წლის მე-9 ნომერი
„სპეკალს“ ეკუთვნის.

თქვენთან შეხვედრის სურვილი ყო-
ველგვარ შიშზე მეტია და დიდი.

ისევ იმ სიგყვაზე ვართ: „რამდენად
წმინდაა ან ყალბი, ეს „ქეები“, თქვენ
გასარკვევია, მკითხველო!

ცისკრელები

ჯარჯი ფხოველი



* * *

ავი დღეების სენით მოცელილს
ბნელში გადათვლი წლებს თითოთითოდ...
მერე აიგლეჯ და მოიცილებ
სიძულვილს, ყელზე დახვეულ პითონს.

შავი დღე ჩავა და დაღამდება,
მერე თანდათან იქცევა ნაცრად...
შენს წინ იელეებს წყება ლანდების
და ორი სიგყვა: გოლგოთა, ჯვარცმა...

1999

* * *

ტკბილი რომ შესვი, იმავე თასითვე
მოწვდილ ღვინოში შხამი საესაუბრებს...
წარსულის ნაღველს ამოაშიდებ,
ამოაყოლებ იმავე შხამსავე...

შენ აქ ცხოვრობდი ხმა უსახეო,
ერთი ყარიბი: ლექსის მეველე...
გულს ჩაიძლიავ, დარდით გახეულს,
გაჰყვები დღეებს, შხამისმსმეველებს...

1998

* * *

ლექსად დაგუბებული სიგყვები:
ტბა, რომელიც ხავსს არ იკარებს...

იმის კამკამა მორევებში
ღამეული ვარსკვლავები ირეკლებიან...

იქ, ჟამიჯამ, შენი ჩრდილიც გაილანდება:
დაბორიანობს მოკენჭილ ფსკერზე...

და კიდე ვიღაც დააბიჯებს,
ვინც შენს აჩრდილს
ამ ღამეში თვალს არ აშორებს...
და ჩაგესმის ანგელოსის გალობასავით
იმისი ხმა, ცისიქითური...

1999

* * *

აღარ ჩაგვიგა გულში სისხამი:
ცას სულ გყუილად შეხავი მალ-მალ...
წარსულის ცოდვა შეიშრო სისხლმა,
წარსულის მწიკელი შეიშრო თვალმა.

ველარ იხსენებ ნოეს უიღობანს,
იწვის ის მიწა, სადაც იქორე...
ახლა სიტყვები ცეცხლს გიკიდებენ
შავეთის სუნი მოაქვთ სტრიქონებს.

გზას გირეგს ბურღო და ნარეკალი,
ნისლად გეხვევა ჯავრი წვრილ-წვრილი.
შენი ფურცელი შხამმა წალეკა:
ფლეთს გველეშაპის შავი წიწილი...

1998

* * *


უნაგარობა ხეებისა...

ღმერთო, რატომ არ გვასწავლე
ჩრდილის ასე უხვად გაშლა
და
ნაყოფის დარიგება
ხელგამოწვილ გმისნაპირებზე!

1997

დღეს

გულში ფრიალებს საღვთო ფრინველი.
გაქცეულ სიტყვას აღარ ემდური.
სხვა დღე გათენდა: სხვა სახილველი,
როგორც სიმშარი სხვაპლანეტური.



პირშავ წარსულთან აღარ კამათობ.
იხსნება ზეცის უცხო კარები...
დღეს მოვა სიყვება, უშელავათო:
ლექსი დაგტოცნის, დაუნანები!

1998

* * *

დროს გადაედო დიდი სიშავე:
გადაგეფარა ღამე, უთევი.
ცეცხლს მოგიდებენ და დაგშიშავენ
ათასწლეულის ბოლო წუთები...

სისხლიან ხელთ ცა დანაფერი,
მტკივანი მიწა, ნასათუთევი...
ცეცხლის ღვართქაფი, დანაპირები:
ათასწლეულის ბოლო წუთები...

1999

დუმილი საღამოსი

ისევ რეკავენ მარები აღარ მოსვლის.
გდია მაგიდაზე სტრიქონის ნალევი.
დუმილს მომიგანს ქალაქი საღამოსი.
საღამოს დუმილს ქარები დალევენ.

ეს ის დუმილია, სიყვება რომ დაგამშვეს,
მიწას გაკმეჭინებს, წყეული, მალევე.
ფიქრი გაიხლართა საღამურ დაგამში,
გდია მაგიდაზე სტრიქონის ნალევი...

1999

* * *

თითქოს დარდიც კი არ გყოფნიდა:
სხვაპლანეტური მწუხარება დაისაკუთრე...

ამოხსენი იქაური მოგონებები.
იქაური დღე დაამწყვედე თვალის გუგებში...
იქაური
ყვაველები
გაახარე შენს მაგიდაზე...

1998

* * *

მოდობილში დამწყვედული სიგევა,
დამშეული, დაურწყულბელი...
მოდობილში,
სადაც მათრახიანი ღანდი დაბიჯებს,
სადაც განიკითხებიან სიგევები და
აღამიანები...

მოდობილში,
სადაც წარსული მარხია,
მედ რომ აწეეს
მონანიე ხმების კვამლი
და დრუბელი შორეული მოგონებისა...

მოდობილში
დამწყვედული სიზმრები...

მოდობილში
დამწყვედული სიგევა...

1997

* * *

უცებ რითმა მოენატრა ძველმოდური სამოსელივით...

უცებ ხანჯალი მოენატრა,
შიშის მწარე სუნს რომ აყენებს:
ღუშმანის გზაზე ის სიკვდილის რითმასავით აიშართება.

უცებ ლექსი მოენატრა,
ხანჯალივით აურიდები,
გამოვლილი განუწყვეტელ სისხლისღენაში...
უცებ რითმა მოენატრა ძველმოდური სამოსელივით.

მოენატრა სიკვდილის რითმა...
და მახვილი მოენატრა, აურიდები...

1999

ხეს გაელიმა

ხეს გაელიმა, გვერდით რომ ჩაეუარე,
იმისმა ფიქრმა ხსოვნის ჭაობს გადაუქროლა...
ხეს გაახსენდა
ჩემი ძველი შეცდომები,
უპაგიები...

ხეს გაელიმა, გვერდით რომ ჩაეუარე...
მეც გამელიმა,
რადგან იგი, ამ ხეს ვინც ახსოვს,
მაშინ სხვა იყო, ახლა სხვა არის:
მწარე წლებმა სხვა აჩრდილად გადააქციეს...

თუმცა ახლაც შეიძლება
შეცდომების გამეორება...
მე ხომ ისა ვარ,
ვისაც ცისქვეშ თავის თავი არაფრად უღირს,
არც სინდისი არა ჰქენჯნის
და არც ჭკუა მოეთხოვება!

1998

* * *

შენმა სიბუნწემ ლექსი გააკვირვა:
როცა იმისთვის ერთი ცრემლიც ვერ გაიმეტე...

შენმა სიბუნწემ მიწა გააკვირვა:
როცა იმისთვის სისხლის წვეთი ვერ გაიმეტე...

შენმა სიბუნწემ კაცი გააკვირვა:
როცა იმისთვის ერთი სიგყვაც ვერ გაიმეტე...

1999

შენს მოლობილში

შენს მოლობილში უკვლავი დრო გამოიღია.

აეადმყოფი სტრიქონები
იკლაკნიებიან ქალაქის მინდორმე...
შენი სიმშრის მდინარეები
კუპრის ტალღებს მოაგორებენ...

მიცურავს მთვარე
ცაზე ყორნის ანარეკლივით.

შენს მოლობილში დრო გათავდა,
მაგრამ დარდი არა თავდება...

შენს მოლობილში დაგუბებული სიმშრები,
დატეხილი მოგონებები...
და ქალაქის ქათქათა მიწა,
შენი ხელის ანაბეჭდებს რომ ვერ ივიწყებს.

შენს მოლობილში უკვდავი დრო გამოილია...
მიცურავს შივარე
ცაზე ყორნის ანარეკლივით...

1998

სალამოს ქალაქში
სუყველანი
თაე-თაეის დარღს ჩამყურებენ, ითელიან, წყავენ;
რაც შეტია, გარეთ გამოაქვთ...

უნაწილებენ ბინდშეყრილ ქუჩებს,
ყრიან ავაღმყოფ სანაგვეებზე...

შეიძლება
სალამოხანს
აქ ვიღაცის დარღი იშვილო,
უპოვარი და ქუჩაში გამოგდებული...

1999

წარსულის ბინდბუნღში

წარსულის ბინდბუნღში
ჩვენი ლანდები,
ერთმანეთს რომ დაეძებენ ხელისცეცებით,
გრიალ ველზე რომ დატორგმანებენ
და ეცემიან, როგორც ბრძები,
და ფორთხავენ...
და კვლავ ღგებიან,
და ერთმანეთს დაეძებენ ხელისცეცებით...

წარსულის ბინდბუნღში
გზას ამცდარი მგზაურის სიმღერა...

წარსულის ბინდბუნღში
ხმლების ფხაზე გადაჭრილი ჩვენი გულები...

1998

მოთვინიერება

აქ სიგყვებს ხელნიან, აქ სიგყვებს მოძღვრავენ.
სიგყვაში იხელება ფიქრი, ცამოვლიდი.
არის სტრიქონების ფურცელზე მოძრაობა.
ხმაუროს ოთახი, როგორც სამორინე,

საღღაც წაგებულთა არის თავცემობა,
ნაღველის, დარდის მუქლურჯად ამორწყვეა...
თელავენ სიგყეები სხვა სიგყეებს, დაცემულებს,
ზეობს სიშმაგე, ღეთისაგან დაწყველილი.

სიგყეა ღორბლიანი გოგმე ღვას უღაყივით,
ერთურთს დაღოშნიან სხეები, უშნეონი.
თმებს იგლეჯს ერთი: ცვეღანი, უნაყოფო,
სხეები ფითრღებთან ღამეში, უშმეობით.

ვიღაცას შიღ და ვიღაცა შადღარია.
იწივლებს ერთ-ერთი: შაღალი, თმაგაშლილი...
იშუელებს შათრახი, სიგყესი ღამშოდღვრავი,
რატომ იკღაკნები, უკვღავო, რა გამინებს!

ერთს სმა აღმოსღება ტუ ღომის ბრღღვინეღასავით.
კბიღების ჩასობა, ჭანგების ღადიღვება...
უგონოღ ეეემა შოგი, ძიღნასგამი,
მტეერში ფორთხავენ სხეები, ღაღღიღვები.

ღაქღაქებს შოგიერთი, სულმთღაღ ღათარსული,
შოგიე შეუკურთხებს თავის ღატაკობას...
ამოღის ღღვები უსახო გარღასუღის,
შიფიწყებუღი, როგორც კატაკომბა...

სიგყეა, ნაბოშარი ღა ნაცულღუგარი,
ღადის, ქეეღაგანს ღაიქნეღს საცერვიით.
ხეღში უკყრია ნაჯახი, უგარო,
იქეე გაშღიღია პროკრუსტეს სარეეღი...

მათრახის გყღაშუნი ღა არეეღარეუღი
ბრბო, აცურებუღი, გინებით შენამკობი...
სიშმრიღან მოძერება ვიღაც შთვარეუღი,
სხეები, ნუნუნაყღურჭები, ეშმაკობენ...

შოგნი ქვიითინებენ ღა ღარღებს იქარეეებენ,
შოვს შოაქეს შარიღი აღშეღანით...
არის ხორხოცი ღა არის შიქარეეები,
სიხსღის აღრეეა ღა ცრემღის აღრეეანი...

მეორეღ მოსეღისა შენ ხარ მონაწიღე,
ფურცეღმე შეგაროვებ სიგყეებს, ცამოვღიღებს...
მრიღაღებს სიშმარი, მიღეწ-მოღეწიღი,
ხმაურობს ოთახი, როგორც საშორინე...

მიხეილ ქვლივიძე



1999 წლის მაგსული თბილისში

ქალაქს დაუღვა ჯერ არნახული,
წარმოუდგენლად ცხელი მაგსული!
ოფლად გაღვრილი კენესის ივლისი
და შარვლიანი მთელი თბილისი
მოკლე „შორტებს“ და ზღვისპირეთს ნაგრობს...
მაგრამ პოეტი რას შერება ამ დროს?
მასაც ხომ უნდა გაგრაში წახვლა,
შარვლის გახდა და „შორტების“ ჩაცმა,
ის კი დასიციხულ რუსთველზე დაღის,
სადაც ქვაფენილს ალმური ასღის,
ცდილობს დაწეროს ახალი ლექსი,
ვედარ პოულობს საჭირო რითმებს,
ქვეშევე ქუსლების კაკუნი ესმის
და უმწეობას მორჩილად ითმენს.

„მინი“ კაბის შესახებ მაქსიმალურად!

„მინი“ კაბამ გაამქდაენა, გოგოვ, შენი „სეკრეტები“:
მუხლები და ბარძაყები - „სიყვარულის ბერკეტები“,
ხელოსანი არ ვარ, მაგრამ, თუ კი ჩამთელი ამის ღირსად,
მაგ იღუმალ „საამქროში“ ვიმუშავებ მოგორისგად!

**უპარტიო კაცის გამოსვლა
პოლიტიკურ პარტიათა წინასაარჩევნო კრებაზე**

თქვე საწყლებო, ვერა ხვდებით,
რომ ვერაფერს ვერ გახდებით,
ვერც მაგ თქვენი „ტერაქტებით“
და ვერც „ოპოზიციით“?
მეგსაც გეგყვით გაცილებით:
ხართ „ქართველი არძინებები“
და გულითაც დაგცინებდით,
რომ შემეძლოს სიცილი!..

არც ჭკუით, არც განათლებით, -
მარტო თქვენი მანდატებით
აღჭურვილნი, გააფთრებით
საეარქლისთვის რომ იბრძვით,
გარეწრები - გარეწრებად
დარჩებით და „დაგენძრევით“...
ო, რა მაგრა „დაგენძრევით“,
როცა თქვენთვის მოვიცლით!..

რას გვიკეთებთ, მაინც, რასა:
როცა იქებთ თავის თავსა,
როცა ლანძღავეთ მთავრობასა
და მით „ქულებს აგროვებთ“?!
ო, მერწმუნეთ, არაფერი
გამოგივათ, რაც უნდ ბევრი
იქადაგოთ, ა რ ა უ ე რ ი ...
ოლონდ ცოტა გვაღროვეთ!

გვაღროვეთ და ჩვენ, სუყველა,
ვისაც „ერი“ გვერქვა ძველად,
ხოლო ახლა განურჩევლად
გაუხდით „ამომრჩეულები“,
გეგყვით: - კმარა, პარტიებო,
უშნეობის პატიმრებო,
მოუსვით და გაღამუნდით -
იმ სებალინდელ საქართველოს
ჩვენ თვითონვე ავაშენებთ
ჩვენი სუფთა ხელებით!

* * *

ოთარ ხაგიაშვილს

მე გოხოვით ყველა ჩემს თანატოლს - ყოფილ „ბიჭებს“ და „გოგოებს“,
მოგონებებით ავაღმყოფს, იქნებ მიშველოთ როგორმე,
ქვეყნისთვის გარჯილ ბერიკაცს, მეც დამიფასოთ ამაგი
და მომარჩინოთ სენისგან, რომელსაც „ხსოვნა“ დაეარქვა!

ქართულ ენაში, დიახაც, არსებობს სიტყვა ამგვარი,
„სამედიცინო სიტყვარში“ არაა მისი ხსენება,
მე კი, ილაჯი გამიწყდა წარსულის გზებზე ყანყალით:
სულ გარდაცვლილებს ვიხსენებ და წუთით არ მესვენება!..

მოდით, გოლებო, მომნახეთ! გამართეთ რაღაცნაირად!
მე ვიცი, ჩემი მორჩენა არ უნდა იყოს ადვილი,
მაგრამ ეცადეთ, წარსულ დროს წართვით ჩემი თავი და
კვლავ დამაბრუნეთ აწმყოში, საცაა ჩემი ადგილი!

მაურ კალანდია

ძეგლი ყველასათვის

რომანი

ჩემ ქალაქში № წლის შემოდგომაზე, სისხამ დღით, როცა ქვებაიების სახლის აიენიდან თოფმა იჭექა, მე და გოჩი ლევის ხეზე ვიყავით გასულები და, ახლა რომ ვიხსენებ, ჩემი მახსოვრობა იმ საბედისწერო ვასროლიდან იწყება. საბედისწერო ვითქვი, არადა, სამახარობლო გყვია იყო ქვებაიებისათვის - გერო დაბრუნებულიყო ჯარიდან, ჩემი ბიძაშვილი გოჩი ჩხოღარია კი კინალამ იმსხვერპლა... საფანგი ცხვირ-პირში მოხვდა გოჩის, კისრით ჩამოიღო ხიდან, მხარი იღრძო, მაგრამ, ბედად, საფანგი ვიფიქტი აღმოჩნდა, ჩიტისა - უკვე სუსტი და მოშვებული. ის ცალთვალამომშრალი, ცვირმოჭმული დედაბერიც მახსოვს, გოჩის შემუშვებულ-გაფუჭული პირისახიდან თავმოშვებარი ქინძისთავით საფანგს ლამპის მუქვე თითოთითოდ რომ აპრობდა, ქვებაიების ოჯახში კი, მიუხედავად მარცხიანი გასროლისა, გერო დაგვიბრუნდა ჯარიდანო, ქვიფი და ტამხანდურა იყო.

მაიმუნის წელიწადია, მაიმუნის... ჭირი და უბედურება აწი ნახეთ თქვენო, წაიწიკიენება, იმ ცალ თვალსაქ მშაკვერულად წაკურავდა ქვებაიების ღრეობას მიყურადებული თუ საკუთარი ჯალოქრობით დამტკპარ-აღფიზინებული ფეხუცა-გრძნეული და: თოფი, კულანია იმ ჯოჯო, კოჭიც უკულმა ექნებაო, იორლი ბიძიამ ვეღარ მოითმინა, იფიქვა; მისი მუგუზალიეთი ანთებული სახე და კარის გაჯახუნებაც დამამახსოვრდა.

ისე, ახლაც არ ვიცი, რას ნიშნავს და როგორია მაიმუნის წელიწადი! არც ის კოჭუკულმა დედაბერი შემხვედრია სადმე, მაგრამ, დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ, მართალი უთქვამს; მგონი, სულ ის წელიწადი გვიღვას. დანამღვილებით შემიძ-

ლია ვთქვა, მას მერე სიმშვიდე არ ყოფილა ჩვენსას, შინაურობაში, სამეზობლოში, ქალაქში და, თუ გნებავთ, ქვეყანაში; სულ ჩხუბი, კაცკვლა და დავიდარაბაა!

შეიძლება, ეს ასე არ არის!

მახსოვრობაზე ვამბობ. მახსოვრობა, ვგონებ, სხვა რაშეა... ვფიქრობ, ის უფრო აღრინდელია და სხვა გარემოში ჩაკირული, ანუ იმ შორეულ თუ მშობლიურ სოფელში, რომელიც, მინდა თუ არ მინდა, თავს მახსენებს, ბეჭვე გამკრავს ჭვალღიეთ, დამსუსხავს, შორიელის დანახეღიეთ ამიფორაჯდება მურგი და ვარ მარგო, უღონო, ბნელში კედელსმელიღიეთ დარეგინებული... ჯერ კიდევ როდიდან მღვენის ეს განცდა! მღვენის, თუმცა ჯერ... ჯერ:

გერო დაბრუნდაო და, ქვებაიების სახლის აიენიდან თოფმა რომ იჭექა, იმ დღეს ცხრა წლისა შევსრულდი.

შეიძლება არც ეს არის ის, რისი თქმაც მინდა.

ეს შიში უფრო იყო, ალბათ, მისი მწარე და სამახსოვრო ბრჭყალი, რამაც ჩემ ცხოვრებას სამუდამო დაღი დაამჩნია, მეტიც, თავისებურად შეცვალა იგი.

მაინც რა იყო ეს, რაიმე უბელური შემთხვევა, ბედი, ბედისწერა თუ?.. რისი გარკვევის სურვილი მეღავს ახლა, თუმცა, რახან თხრობა იმ „სამახსოვრო“ გასროლიდან დაფიწყე, ჩანს, ეს დღე უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე მახსოვრობის დაწყებითი, გნებავთ, არანაკლები და უარესად ჩამხვერეული ცხოვრების პირველივე საფეხური!

შეიძლება, მახსოვრობას შიშთან მეტი საერთო აქვს ან სულაც ერთია, ერთიანი, რაღაც უწყვეტი და მიუღი - შიში და მახსოვრობა! თავად დაბამის შვილია ეს; ათასწლე-



ული და უფრო მეტის მახსოვრობა - მიშისგან შეკოწიწებული, იმისი თხლე, ნალექი... არ ვიცი, ვიცი თუ არა ეს და, ჩანს, ვერც ვერასოდეს ჩაეწვდები ბოლომდე! მე მხოლოდ ის ვიცი, რაც ვნახე... მე დავინახე, რომ ადამიანი, ვითომ სამყაროს ჭიბი, ვითომ ბუნების მეფე, მბრძანებელი, თავის უფალი... არაფერია! ერთი ახვეტილი ტუჩგია და ნაგავი! რომ ყურძნის პოქკოშე შერჩენილ, ჩიგის გაკენილ კუშპალზე მეტი აღარ არის! უარესიც; ვირის ჩლიქში მოქცეული წიპაა! და სანამ გავიხრისები წიპასათით, სანამ დიდყურას ქაჩაჩში არ გაემქრალავარ, ერთი იხი მაქვს, მკლავს პირდაპირ - წერის ხოში და მეც ვწერ, უფალო, ყველას უჩუმრად და მალულად, ჩემს უხუცემო და ნალელიან თავგადასავალს!

ვიცი, არავინ დაიჯერებს ჩემ მწერლობას! არაფერს, თავემთოთ მოჭიქული ცის ჩათუღლით...

ამის უგყუარი საბუთი არა ერთი და ორი გაქვთ.

რა მერე?

არც მინდა!

არც არასოდეს მომინდება!

პა-რი-დონ, სიგყვა გამექცა...

ჰმ, ჩემო ორგულო ძებნო, ურჩხულებო!

მე არც ისეთი სულელი ვარ, როგორც თქვენ ფიქრობთ და გგონიათ, და არც იმდენად ჭკვიანი - შემოგვადავით რაიმეში და, მახლას, მწერლად წარმოგიდგინით ჩემი თავი!

უფრო მეტს გეგყვიოთ. საერთოდ არ ვთვლი მწერლობას დინჯ, სერიოზულ საქმედ და, მოგიერთი კალმოსნის ჯაბამკიდე, გნებავთ, საჭიროდაც! თუ რაგომ, ახლავე მოგახსენებთ. აი, ერთ მწერალს მაინც ხომ ვიცნობ,

ცოცხალს, რო იგყვიან, ქურდივით კანონიერს; ვეება აბურღული წვერით, გამარადისებული შუბლით, გაფანტული მვერით, პიჯაკით, კილეგზე ვერცხლის ძველიური ბეწკვიანი საათით, მაგრამ მთვრალიც და ფხიშელიც ისეთი უმწვეო და გაუბედურებული - მისი საცოდაობით ვიწვი დღესაც! კი, ის მწერალი ბრძანდება და, როგორც ამბობენ, დია განათლებული, ნიჭიერი, ქალაქში მიღებული, ცნობილი; ვიდაცისგან დაფასებული, ვიდაცისგან დაუფასებელი. ამისა და ამის გამო თუ კიდევ ათასი ოხრობის - პურის ნამცეცი რომ აღმოუჩინო გაბურძგნილ წვერში - გვიხოსის უღლის ქვემ განჯული კი არა, ერთი გაბოროტებული ღრენია სიაბანდი ქაჯი შეგვრჩება! კი ბატონო, ვაღიარებ, მე მისი ნაწერების ბევრი არაფერი მესმის, ლექსს - უცხო, უცნაურ სიტყვებით გაბეძვილს კი არა, ბროლივით უბრალოს თუ მოვისმენ, თუ ვიგან... დაგუშვით, ასეც არის, პოეგია, მაგალობელი ჩიგი, ჩიგივით... რა მერე? სოლომონ ბრითიცი რომ იყოს, რაგომ მამადლის (ჰმ, ვითომ უწიგნურს!) თავის ნაფიქრ-ნა-ჰ-ამრევს მე და, მით უფრო - ქვეყანას!?

მსგავსი რამეებისგან შორსა ვართ, ბატონებო!

ხელედი შორს სიაბანდი მწერლობისაგან! ნაღლისგან ხომ ისედაც შორსა ვარ!

ჩემი ნაწერის, გნებათ, აბურღული ჩანაწერების მიზეზი და მიზეზი არც ლამაზი სიტყვების თამაშია, არც პოეტის „ჭკვაზე“ ქვეყნის მღაგ-მღაგება და, რა თქმა უნდა, არც მგოსნის სახელით ბაქიბუქი!

აი, რაც ვერ გამიმხვლია ვერავისთვის, რაც საუკუნეა გულ-გვაგში მაქვს შემძერალი და ძელებს მიხრავს - ჩემი საფიქრალი ეს არის!

და სანამ გამომხრავდეს, გამომწუნდეს ერთიანად, ფიფქვით თეთრ, ქათქათა ქაღალდის მინდორს თავდავიწყებით ვეძლევი. თითქოს მასზე ამხედრებული მლეგი მხელარი ვარ, ხან - თავდაღრეკილი მორჩილი, ჩრჩილი და უფრო უარესიც, და მაინც, როცა სიხუმე ისაღგურებს, როცა ბოლო სიტყვა ფურცელს მელანივით შეენივთებ-შეაშრება, ვგრძნობ, როგორ ამცელდება გულიდან ლოდი!

მე მინდა... მე მხოლოდ ის მინდა, ჩემი და ჩემთვისაც უცნობი, უმეცარი თუ უკუღმა-

რთი ცხოვრება გომარასავით გადმოვაპირ-
ქავებ, დაგებერგყო და იქნებ შენკენ საგალი
გზებ შევიმოკლო, უფალო!

აღრე, როცა ომი აღარ იყო, არ იყო
სიკვდილი ხარბი, ასე გაუმაძღარი, მაწანწ-
ალა... ქვეყნად სიმშვიდე სუფევდა და, რა
თქმა უნდა, ჩემ მშობლიურ ქალაქშიც ვცხო-
ვრობდით ჩვეულებრივად, მე, თქვენი მონა-
მორჩილი, არათუ წერის ეინს - მწერლობას!
- თავში გვინის ოღნავ გაფარუნებასაც არ
შეუეწუხებიყარ!

ამის საჭიროებას არ ვგრძნობდი, ვიყავი...
რა ბრძანეთ?

სხვა დრო იყო, თქვენი გულნატკენი
ხმა მესმის.

ჭეშმარიტად!

ის დრო რომ წავიდა, გაქრა, გაიპარა?...
თასისირიო, გატყობთ გაწიშტაგებას.

მეც მანდა ვარ!

სხვა კი არა, სიაბანდი დრო იყო!

ასახევეგ-გადასახევეგი ნაგავი!

მაგრამ...

ბოთე-ბოზანდარა კომუნისტები უძახე
შენ... შავი ჭირი, წითელი უბედურება და
უფრო უარესიც! ერთში კი უნდა შევეთან-
ხმდეთ, ამ პირმშენიერ ნეხეთ საათივით
პქონდათ ცხოვრება აწყობილი!

კაროზე, მათი სიტულები დიდი იყო,
მგვრად ქვევა-განადგურების ეინს ხომ არა-
ნაკლები და: ინგრეოდა, მუსრი ევლებოდა,
ნაცარტუტად მიიქეოდა ძველი, სულ ძველი
და სულ ახალიც. აი, ეს კი უნდა ვაღიაროთ:
არ შენდებთ თურმე სიტულებივით ქვეყანა!
არ შენდებთ და აი დარდი, რომელი
სოფლის ამშენებელი მამალი ვარ!

სტოკ-სტოკ!

შენც ხომ მანდ იყავით, არაფერს მპატი-
ობთ.

კი ბაკონო, ვიყავი! აბა, სად უნდა ვყოფი-
ლიყავი, როცა მჯეროდა, ერი, როგორც
ასეთი, უნდა გვეხსნა ამითვან, სამშობლო
ხელახლა უნდა მოგვეუბოვინა... უნდა გამო-
ვწიწკნითი ხელდინ იგი ამ ახერებსო, ხმის
ჩახუნჩამდე გაპკიოდა გოჩი ჩხოლარია ხალ-
ხმრავალ მიტინგებზე და მეც თქვენსავით
ვლალობდი, გული არ მეტკეოდა საგულეში.
დაიხატო, თქვენი პასუხიც ეს არის.

აქ კი შეეჭვება! შეეჭვება კი არა, გასანთ-
ლული თოკი რომ ჩამომავით თავზე, ვაღი-
არებ, რაღაც ვერ გამოგვივიდა ეს საქმე,

უკაცრაული პასუხია და, ჩავესვარეთ, ჩავე-
ლავდით!

არ ვამბობ, შანსი არ გვექონდაო, - თავი-
დან, რასაკვირველია, მაგრამ...

ჰმ, სიტულების მეტი რა იყო!.. აუ,
ხელგაშლილი ნგრევის რა აზარტი იყო და
რა მკლავგაშლილი ზემიცი... ერთხანს ფასალი
შევეულამაზეთ, შევეუბკეთ... მეც, თქვენს გამო,
თქვენსავით მუხლჩახსრეულად, ერთგულად
დაექროდი და, ღმერთია მოწმე, თუ ვინმეს,
მეც გამომიცლია მისთვის ერთი აგური!
რა ზერე?

აი, ამ გადასახედიდან რომ ვუყურებ,
არაფერი შეველილა, ფრჩხილისოღენაც კი,
ისევე იმ ნახიშტრებით არის ეს ქვეყანა გაძე-
ძგილი და სიმწრით მეცინება!

მახსოვს, ერთხელ, დიდი მიტინგობის
ხანაში, „აეგორიტიკაბა“, ვაქაყურ-ქრულ-
ცინიკურმა მასტმა (თუმცა აეგორიტიკა ვერ
იყო უკვე, მოუყანყალა ერთვან ცოტა და
მოჯდა. ცხადია, აღრენილი იყო, არც ჩვენი
სწამდა, არც ძველ-აღრინდელის და შორი-
დან გვექილიკ-გვედალაუებოდა, ვითომც
არაფერი) ვვერფანდ გაიმხმო და თავისებუ-
რად მკითხა: ჭიჭიე, ჯიშიაია, როგორ ფიქრობ,
საროსკიპიოს სახელი რომ გამოთყველო და,
ვითქვამთ, საფურთუშე დაარქვა, შიგ პური
გამოცხვებუა?!

ქურდული მასტი უძახე შე-ენ!

კი გამეცინა გულში, თუმცა არაფერი
მითქვამს, ვითომ არც მივმხვდარვარ.

აი, ახლა ვჭამით, ძმაო, იმ ბალარჯ პურს!
სწორედ ეს არის საროსკიპოში გამოქცევა
და, რამდენადაც მესმის დღეს, ჩემსავით
ბევრი აღიარებს ამას! უარესიც გვხვდება!
აბა რა, როცა გაბოზებული ქურდი პოლიცი-
ელის სამხრეებზე მამაპაპისეულ სახლს დებს
ვირაობ, გარედან მოციმციმე-მოკრიალე-
ული ეკლესია შიგნით გარყენილების ბუფა,
ქალაქის თავი ბრიყვია და უვიცი... პატი-
ონხება კი, ჰე, არის თავისთვის, მთიხოვრის
ქურქში, ჭიგლაყამოკრული, გარიყული... ქვე-
ყანა (თუ ქვეყანა პქეია კიდეც!) ძირმომპალ
ნანავა პგავს, იძირება... კი, ასევე, როცა ცოტა
ვინმე ფიქრობს, საიდან მოდის ან სად ცხვება
ეს პური. მართალია, ყველა ვერ იგრძნობს,
სად აფუებულა ეს ცომი, ისე ჭამს, ისე
დამუშძდება, მაგრამ ხომ არის ის მტორო,
ის ცოტა, რომელმაც იცის? ცოლის მრუშობით
შემოტანილი პურივით რომაა და ყველი

იმითი აქვს ჩაფხრეწილი! კი, როგორ არ ხვდება, მაგრამ რად ვინდა, არც ის კითხულობს, რატომ აქვს ასე მძაღლ სუნი იმას, როსაც მიირთმევს...

პა-რი-დონ, რაგინდარა უწოლე ამ ახერებს, ვაღიარებ, მათი ჯიშისა და ჯილაგის უფრო ვარ!

ამას რომ ვამბობ, სირცხვილით ვიწვი, შუბლზე ორიპირად გადაშლის ოფლი, მაგრამ, რა ვქნა, მზა ცხოვრება მიყვარდა და მიყვარს!

მზა, მშვიდი, ლაღი... უდარღელ, უდავიდარაბო არსებობას ვეტრფოდი ყოველთვის და, დავიქანდები, ასეუ მიცხოვრია ამ ლაყე კომპენსაციების ხელში! იქნებ ხელში არა, იქნებ, როგორც ამოვიკითხე ერთგან გაბეთში, მორუსთ, მონიკულეულ ნაგაე-მაგიეში, მაგრამ მაინც თბილად, რაც მთავარია, უშფოთველად, ყულივით და, ნიძლაგზე ვარ, ღღეს, თუ მთლიანად არა, ქვეყნის ნახევარს მაინც ჩემსავით ენატრება!

ჰმ, მთლად ასეუ არ იყო... არც საკუთარი უზრუნველობა მოლიოდა იოლად! მარჯვეს და გონიერს ჰგუობდნენ ეს ქაჯები. ნიჭი ღვთისაა, გაფრთხილება სჭირდებათ, ირწმუნებოდნენ ხოლმე ბრძნულად და, თუ რჩეულთა რიგებში არა, მათ ჩრდილში იოლად ახერხებდა ყოფნას გერგილიანი კაცი. მე, როგორც ასეთს და ისეთს, უზა არ მაკლდა, იმდენი ტვინი მქონდა, სადაც მინდოდა, იქ გავმითლიყავ... ბავშვობიდან ვიციოდი, ვინ ვიყავი, რა შემქძლო, რა მსურდა და თავს შეძლებისდაგვარად ღლითი ღღე ვწვრთნიოდი, ეუელოდი.

მახსოვს, ჩხოლარიების ქუჩის დასაწყისში სასურსათო წერტი იყო. გამყიდველად ერთი საეჭვო წარსულის გაქნილი, მაგრამ გულჩვილი, ვეშაპივით ღიდი, დიდპეკრად ქალი მუშაობდა. ყველაფერი მქონდა, ყველაფერს მოულობდა: პური, შაქარი, ასანთი, ნავთი... ასე, თორმეტ-ცამეტი წლისა ვიქნებოდი. ერთხელ მანეთი გადმომაყოლა. იქვე მივხვდი, ვიყოყმანე, ბოლოს ჰკუა ვიხმარე და, მეტი ვუეჭტისათვის, შუა გზიდან აქომინებული მოებრუნდი, დავებრუნე. ის ამ საქციელს, რა თქმა უნდა, არ ელოდა და მას მერე, გამოეჩნდებოდი თუ არა, ვინც იქ იყო, იმან ხო და, ვინც საერთოდ არ იყო, რე გამირულ საქციელზე იმანაც იცოდა; თითონ საჩვენებელი თბოლი ემპწვილი გამზხდა უბანში. მის ხმასა და მშერაში ისიც იკითხებოდა:

ასეთი ჯუჯაა, მახინჯი და რა პაგოსინიო! რაც მთავარია, ჩემი ვარაუდი გამართლდა. მისი ნობა, კეთილგანწყობა მსურდა და ღავიმსახურე. ჯერ საეუჭნაოში ვყავდი, უმნიშვნელო რაღაც-რაღაცებში მიხმარებდა. ფქვილის ან შაქრის გომრებს ვალაგებდით კუთხიდან კუთხეში. ერთ ბოლოს მე ჩაეებლაუჭებოდი, მეორეს - ღღეა ცუკა. ავწველით გომარას, გაოფლილ-ჩაშავეული ოღლიები ნეკნებამდე უჩანდა, დაწვევით - გაღმობეურცებოდა, ჩამოეზიდებოდა იძოდენაზე მკერდი, ძუძუების თავებზე ნივრის ფოჩივით მეჩხერ შვე ბლანს შევასწრებდი თვალს და მუხლებში სასიამოვნოდ მსუსხავდა. ეს იყო, სხვა რას გავუებღავდი! სამაგიეროდ, უკვე დახლთანე მიშვებდა, ფულის უჯრაში თავისუფლად ვყოფიდი ხელს და მეც შეუშხნეულად, ყოველგვარი სისხარის გარეშე, ორ-სამ მანეთს ყოველღღიურად ვწაზნიდი. რომე წაეწვრო, ვერ დააჯერებდი. ის კი არა, ისე ვიყავით საეუჭნაოში შეხმატბილებული, რომ მეთხოვა, ღღეა ცუკა, ძუძუმე მაკებინე რა (ამის სურვილი ხშირად მიზნებოდა გომრებზე დახისას), ასე მგონია, უარს არ მეტყოდა.

რა თქმა უნდა, გომნი იცოდა ეს. ცოტაა, ფოსტა გამარღეო, მიჩხიკინება და მეც გაგებრიყვდი, მეღმეტი მომივიდა და საბოლოოდ ის ორი-სამი მანეთი დაეკარგეთ.

წამოვიმარღეთ. გომნი ჩემზე ორი წლით უფროსი იყო; მეძლებსიდაგვარად გვერდით მეღდა. არც მე ვიკარგებოდი. მეტიც, დარწმუნებული ვიყავი, თუ ჰკუას ვიხმარდი, ქალაქი ღღეა ცუკაზე არანაკლებ გულმონწყალე იყო.

მე, ჰიჭე (ასე მიცნობენ და მეძახიან) ვამბობ ამას.

მართალია, ადრე „ჰინჭა“ ვიყავი, უფრო ადრე, სოფელში, პატარაობისას - ჭოლო, თავად რომ არ მახსოვს კარგად. ჰიჭე მოგვიანებით გავხდი. ჩემი მონაპოვარია ეს სახელი და მიყვარს, საკუთარი თავივით ვუფრთხილავდი. ღღე ვერაფერი შვილიაო, სიცოლით გაფხრეწება ვინმე. აბა, მე მკითხეთ! ჯერ ერთი, ჰიჭე პატარას ნიშნავს ჩვენებურად, ჰინჭა კი მთლად კინია, ჰიანჭველა თუ რაღაც უბედურება. ჰიჭე, ანუ პატარა მართლად ვარ, გონით, რა თქმა უნდა, და შემეფერება. მეორე: ოქრო პატარაა, მაგრამეო... აღნიშნავენ ხოლმე ჩემ საამებლად და

ეს თაფლად მელვრება სხეულში. ჭინჭა კი, ჭიანჭველასი რა ვთქვი! ჭინჭა ის არის, ვინც ნეხეშია და ნეხეშიც იღუპება!

კი, სიაბანდი დრო იყო...

იყო და...

წავიდა, გაქრა, გაიპარა...

მე, ჭიჭეს (უფრო სწორად, მაშინდელ ჭინჭას), ვითომ ნამცეცი გვინი რომ არ მქონდა ვიდაც-ვიდაცების თვალში, საპაგიეროდ, განთან შედარებით თავი მქონდა (ცხადია, ახლაც მაქვს!) სამკუთხა ბუხარითა უმეღე-ბელი და ეს დამილთან ერთად სიბრალულს იწვევდა ხოლმე და, თუ ის გაბქრალ-გაპარულ-გაბითურებული დრო-ცაში მგზავრება, მხოლოდ ამის გამო; იმის სუსს მცევი ყოველგვარი დედა ცუცები... სუსტი ვიყავი (ახლაც ვარ), უღონო, მაგრამ გული ფოლადით ფიცხი და უშიშარი მომცა ღმერთმა; ჩემი გადარევა არაერთხელ უნახავთ ქალაქში და ანგარიშს მიწვევდნენ. უფლობა მჭირდა (ახლაც მჭირს), თუმცა კუჭ-ნაწლავის ფუნქციონირებასა და პირის გემოს ვერ დამიწუნებდნენ და ცხოვრებას მეც ჩემბურად ვახერხებდი. ჩანს, ეს მაინც არ მაკმაყოფილებდა და, რამდენიმე ვხვდებოდი, ჩემი დღევანდელი ყოფა ამის შედეგია.

მანამდე კი, როცა ჩემმა ზარმა ჩამოკრა...

მე, უკვე ჰიჭვდწოდებულმა, თითქოს განი ავიყარე, გაგმშენიერდი, გავლადი და, არამარტო სამშოსი, ლამის მთელი ქალაქის თვალი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ეროვნული მოძრაობის მშვენიება, მისთვის სისხლის გამღები რაინდი, ერთ-ერთი ღმერთაგანი გაგხდი.

და როცა...

ჰმ, როცა მშობლები გყავდა თუ არა, არც გახსოვს, სხვის კარზე სხვისი კუტი პურითა ხარ გამოშრდილი, არც რაიმე გამოჩნეული ნიჭი დაგანათლა ღმერთმა და, რაც ყველაზე თვალში საცემია, ჩვეულებრივი დაბალი კაცი შენზე ერთი თავით მაღალი ჩანს... რაღაც ისეთი უნდა ქნა, უნდა აძიულო როგორმე, რომ იმ „ერთი თავით“ ვითომ მაღალმა კაცმა გლოვით მაინც შემოგებდოს!

ეს შენს უპირველეს ხელობად უნდა იქცეს!

ვადიარებ:

აღრე, ჭინჭაობისას, თავის შენახვა ძვირი და ძნელიც იყო; როგორც ზემოთ ვთქვი, მეტწილად გოჩის ხარჯზე და იმედად ვიყავი

და, ცხადია, თავს უხერხულად ვგრძნობდი. ვხედავდი, არც მას ულხინდა მაინცდამაინც, მაშით თბოლ, ახალგაზრდა კაცს (ისე, ნიჭიერი იყო, ჩინებული ხელოსანი. ოცი წლის ყმაწვილი ცნობულ ოსტატებს გოლს არ უღებდა. თავიდან მეთუხუქვობს; სუფთად, სალუქად ჩაგიფენ-ჩაგიფსკენიდა თუნუქის ფურცლებს ერთიმეორემზე, ღერ ღურსმანს არ საჭიროებდა რვათვალისანი სახლის სახურავი. ეს კიდევ არაფერი, უნდოდა - ქვისთლელი იყო, უნდოდა - შეძლულებელი, ღერგალი თუ ხელფურჩი მეზუსრე. კვამლს ბუხრის ყელში კი არა, ნემსის წვერში გაგიძვრენდა და სამუშაოც არ აკლდა. სხვა რაიონებიდანაც ჩამოუღობდნენ მუშტრები) რა უნდა ეშოვნა იმდენი, წვრილშვილი შეენახა, არ გამოჩინდებოდა სამშო-სამეშობლოში, ჩემთვისაც მოხედა, მაგრამ კეთილი ცუცებიც ხომ არიან?... დახ, იყენენ და არიან, ალბათ, კიდევ... ჰმ, ბავშვბებით მიმნდობნი, გულ-მოწყალენი, გულჩვილნი, მეღმტე მრუნვას რომ იჩენენ ჩემნაირების მიმართ და მეც ჩემი „დაჩაგრულობით“ ვხარგებლობდი.

ეს კია, ეცყობა, უფრო მეტის სურვილი მქონდა!

და, როცა ჩემმა ზარმა ჩამოკრა!...

როცა ერთი შემთხვევის წყალობით ღამის ქალაქის თვალი გავხდი-მეთქი, გოჩისაც კი ხნის მიტოვებულ პქონდა თავისი მეთუხუქვობა-ხელფურჩობა. ჰმ, სხვისი უხარბი არ ვაიშვამ! საკუთარს, თავისი ხელით გამოკვანწულს, ვისაც უნდოდა, ასუფთავებ-აწმენდინებდა უკვე; რიგში ედგნენ გუმინდელი დოსტები. ამეებისთვის ან როგორ მოიცილიდა! ეროვნულ მოძრაობაში იყო ყვამდე ჩაფულედი. ზმირი იყო, - თანამედროვე, სახალხო... ეროვნულ დღესასწაულებზე მხოლოდ მას ერთადერთს პქონდა უფლება, თეთრ ცხენზე ამხედრებული მეწამული დროშით, ჩოხით, ყაბაბახით გამოგვეხადებოდა. ქალაქი დიდპატარაიანად თვალბში შესცივინებდა და მეც, გოჩის ალალი ბიამშვილი, ღმრსეულად დავევასდი.

ეხ, დრო იყო, გოჩი ჩხოლარაის გარემე ჩიგი ვერ მოიქნევედა კულ თავისუფლად ოდიშის ცაშე...

ის ნანატრი თავისუფლება კი...

რას არ ვაივონებ ხოლმე!

თავისუფლება ციურ მანანასავით, წვიმასავით უარაფროდ, წყალობად მოსულა თუ

რმე!

მოულოდნელად,
ულრუბლოდ,
უსისხლოდ, -
ჯიუტად გვიმტკიცებენ.
შეიძლება მე არ მესხის და ასეცა!
ერთსა ვიკითხავდი:
ცხრა აპრილი რა იყო?
ესეც რომ არა, იმ ვითომ ცის წყალობას
ხომ უნდა დახვედროდა ვიღაცა შინდისუფრი
დროშების ფრიალით ქუჩებში?!

ხომ დახვდით?!

ისე, ერთ რამეშიც დავრწმუნდი:
თავისუფლება მრავალნაირია, უფრო
სწორად, მრავალსახოვანი.

მეგსაც ვიგევი. იმ ქაჯი კომუნისტების
ხელში თუ ვინმე იყო თავისუფალი ჩემ
ქალაქში, პირველი მე ვიყავი! თავისუფლებას
ურბანლოდ, ბოშასავით თამამად, თამამ-
თამამით მოვიპოვებდი, ვიღებდი, მოვიხმა-
რდი, ვითვრებოდი. შუბლს მისი სიოთი წლო-
ბით ვიგრილებდი; რომ არა... ეს, დარწმუნ-
ებული ვარ, რომ არა ეს ეროვნული ბლეფი,
ანუ გათვლილ-გათვალულ-გათუვლებული რია-
რია, საბოლოოდ, მისი თავმოჯაყული დასა-
სრულა! - მუხის ფულუროში დასახალი რა
მჭირდა!

შეიძლება პირველობას ვჩემობ...

ახლა რომ ვიხსენებ, თავისუფალი თუ
ვინმე იყო ჩვენში, ყველაზე მეტად იქნებ ის
ლოთი პოეტი შემეცნოდა, რომელიც გაღმაა
კეკე, ცაში; ეროვნულ მოძრაობაზე, მაცხოვ-
რის კარის სიახლოვეს, ცაცხეების ძირში
პოეტი სამუდამო განსასვენებელი და, რომ
არ მოვიგონო ის უბედური, თუნდაც ცოტა
მოვიგანებოთ, მეც სიაბანდი ვიქნები.

ვუიქრობ, მართალი ვიყავი, თხრობა
იქიდან რომ დავიწყე, გერო დაგვიბრუნდა
ჯარიდან და ქუეცბაების აივინად თოფმა
იჭექა, ჩიგის საფანტმა კი გოჩი ჩხოლარიას
თავ-პირი საცეროვით დაუცხრილა.

ისიც გახსოვთ, ალბათ, ლედვის ხის ერთ
ტოტზე გოჩი, მეორეზე (ოღონდ ცოტა დაბლა
და კინაღამ ჩამოიყოლა!) მე ვიჯექი და თავი-
სუფლად შეიძებოდა, იმ საფანტის წერა
გაგმზადარიყავი.

ჩავბობლდი...

გოჩი მიწაზე ეგლო, ცხვირ-პირი მტკვერ-
სისხლში პქონდა ამოგანჯღული და, ისე
შეეშინდი, არ ვიცოდი, მედრიილა, დაჭრილს

მიეშველებოდი თუ ბიეოლაჩემის - ორიოდ
წუთის წინ პროხის მოსაწველად სათლით
რომ გავიდა ბოსლისაკენ, - დასაძახებლად
მომეკურცხლა.

მაშინაც კი, ცალთვალამომშრალ-ცხვირ-
მოჭმული დედაბერი თავმოშვარი ქინძის-
თავით საფანტს რომ აცლიდა გასაცოდაე-
ებულ გოჩის და გამუქებულ სისხლის ნიჭზე
გამხმარ თუთუნის ფურცელს აფშენდა, მე
ჩემთვის ბუხრის კუთხეში დამნაშავესავით
ვიყავი მიკუნტული და, რა მექნა, არ ვიცოდი.
რადაც კი მიხაროდა. ალბათ, ის, საღ-საღა-
მათი რომ ვიყავი, თუმცა ბიეოლამ არ შემატ-
ყოს-მეთქი, განგებ ვიბუშებოდი, ბუხარში
მიეფერებოდი.

მე გაღავრჩი!

ეს ბედისწერა იყო!

მე ჩემი მფარველი ანგელოში გამეჩითა
მხარზე, გოჩის თავისი, ოღონდ, როგორც
ჩანს, არაქათვამოცლადი, ჩათვლებილი...

გოჩი მაინც სხვა იყო!

გოჩი ავშიც და კარგშიც რადაც გამო-
რჩეული, უიღბლო-იღბლანი იყო ყოველთ-
ვის, ბედი წყალობდა და არც ხიფათი აქლბ
მის ბობოქარ ცხოვრებას. თუმცა ის შიში,
რაც უნდა ემნახა მაშინ, მწარე საფანტის
გარემოც ვნახე; მას კი, მიუხედავად ჟიჟმატა,
დაღლილი საფანტისა, პირისახე შავად, უსია-
მოდ დაკეცილი შერჩა მაცოცხლის ბოლო-
მდე და, რამდენადაც სასოვს, დიდობაში
უფრო მტკივნეულად განიცდიდა აპას.

ის სურათიც კარგად მახსოვს:

ბიეოლაჩემს სათლი ხელიდან გაუვარდა
და თვალწინ ერთბაშად ამოჭრულდა: დაღვი-
ლი რძის ქაფი მტკვერში და მტკვერში ალგარ-
კალებული გოჩი გადაწითლებული თავ-პი-
რით...

უნახე:

იროდი ბიბია მესერს გაღმოველო, იღა-
ვლა, ცოფად იქცა, თუმცა მალე მიხვდა, სასი-
კედილო არაუფერი სჭირდა შეიღს თუ ქექ-
ბაიების ყითინა და შვიმი მის თავმოყვარ-
ეობას შეურაცხყოფდა, გაწყდა თქვენი სინ-
სილა, თქვე არაკეცებოთ, შინ შევარდა, ალა-
პლაბაეული წაღვი გამოათრია იქიდან და
ქექბაიების სახლისკენ გავარდა მკვდარ-
ცოცხალის გინებით...

კიდევ კარგი, ჯვებებ, ცალფეხა მემობელმა
კაცმა იყოჩაღა სხეებზე მეტად, შუა ქუჩაში
დაიჭირა, წაღვი აართვა, დააშოშმინა, მოა-

ბრუნა, თორემ, რასაც მერე მივხვდი, იმაზე უარესს შევხვდებოდი, რაც მოგვიანებით ვიწვინეთ.

აკი გეროს უფროსმა ძმამ, ლოთი-შფოთმა კოლიმ მემბლის სუფრაზე გამომწვევად პკითხა იროდის: რა იყო, იმ დილაუთენია შენი გინება გვესმოდა, გეროს ჯარიდან დაბრუნება გეწყინათ? ბიძამ წაუყურა, არც „პო“ უთხრა, არც „არა“. აი, ხომ მართალი ვარ, კიდეც მე გამამბეჭუნებთო, გამზიარულა კოლი და ცარიელი ბოთლი ხეთქა თავში, შუბლის ძეგლი გაუტეხა.

მაშინ კი გაღარჩა, თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, ბიძა იროდი ამ შემთხვევამ შეიწირა.

ის დღე იყო და ის, სიგყვა არ დაცდენია ბიძას, არ გამოდიოდა გარეთ, საწოლ ოთახში ჩაიკეტა, ჩამოხმა... ვინ არ მოპყავდა ბიოლოჯემს: ეს გამოლოცეო, ბალახბულაა... სხვა ჯაღოქარიც იყო, ფეხუბა კოჭუკუღმა დედაბერზე უარესი, მაგარი... უნდოდა, ხმელ ეკალს თვალთი ანეღლებდა, უნდოდა, ვარდს ატყნობდა თურმე მზემურად. ერთხანს მოიხედა ავადმყოფმა, იმედი მოგვეცა. მოეჭყუდი. და გამაფხულზე, ადღგომის წინა კვირას, ძილში გაიპარა.

გონი რომ წამოიშარდა, საფანჯით გადაჭმულ-გაღამავეული ცხვირ-პირი ვითომ არაფერი, მამის შეურაცყოფას ვერ პატიობდა ქექბაივის ოჯახს. ჯერ კიდეც ჩვიდმეტისა იყო, უკვე მთლა გაუბედურებული, ლოთბ-შარა კოლი რომ გაიგაცა და თოკით ჩაკიდა ღრმა, ყინულივით მდინარეში; მეორედ ხის გოტზე ჩამოაკონწიალა ცალი მკლავით და, სანამ არ ააბაღავდა, ბეჭზე კანი არ გადაასკდა, არ ჩამოხსნა. მესამედ, თითქმის სულ ახლახან, როცა უაზროდ იყო (ამ ბოლო ღროს ხშირად იყო უაზროდ და მაშინ, მტრისად, შვილს არ დაინდობდა. ჩვენც ვუფრთხობოდით. ერთხელ კი შევხვდეთ, ერთ დღეს ყველაფერი შეიძლება მოგვეთხოვოს-მეთქი. ერთადერთი უფლის წინაშე ვაგებ პასუხსო, თვალამღვრეულმა შემომადრინა და ხმა ჩამაკენდინა), გყეში წაიყვანა და მარჯვენა, მამას რომ შემომიკარიო, ჯირკმე დაულო და მტევანი ნაჯახით წაასხია...

ეს, რა თქმა უნდა, მოგვიანებით, როცა გონი უკვე გონი იყო: აღიარებული, თამამი, მკაცრი, დაუნდობელი...

ძლიერია და სასტიკი, შებერალება არ იცის

აიგეივითო, ხუმრობდა თუ სერიოზულად ამბობდა ავტორიტეტა, ვერ ვატყობდი და ვერაზობდი.

ეს კიდე არაფერი! კოლი რომ სამაგალითოდ დაისჯა - იროდი ჩხოლარიასთვის შემოკრული ხელი კვახის ყუნწით წიკიმაკოდ წააწყვიტეს საწყალს, გონიმ ახლა ქექბაიების ნაბოლარა ქალიშვილს დაადგა თვალი უშნოდ. დღისით-მშისით მანქანაში ისევამდა, დააპორწიალეს დაღმა-დაღმა და, თუ წინანდელს: მამის სული ატონა, ვაჟკაცი ყოფილაო, მარჯვენას უქებდნენ, ამ უკანასკნელზე - მეზობლობას არ ეკადრებო, ახლობლებიც კი კიცხავდნენ. ტაგასთვის რა, დანახავდა თუ არა გონის, გადმოველებოდა ღობეს ოხასავით, კისერზემით ისედაც თხა - ცეტი, ქარაფშუტა და უკან კუნტრუმ-კუნტრუმით მისდევდა.

როგორც ყველაფერს, ამასაც თავისებურად სჯიდა, სხვებისგან გამოირჩეოდა ავტორიტეტას აზრი.

ქალისა და კაცის ყველაზე დიდი განსხვავება აქ არის. კაცი შეურაცყოფას ვერ ეგუება, ქალი კი, პირიქით, უფრო დამყოლი, უფრო ერთგული, უფრო სექსუალური ხდება, ჯიმაგეო, ხელებს გაოგნებული მიშლიდა.

არადა, მაშინ, ქექბაიების აივინიდან თოფმა რომ იტყუა და ხიდან კისრით წამოსული გონი მიწაზე კოტრილობდა, მე ჩემი დამემართა. ელდამ, ეტყობა, გონი წამართვა; აზრზე რომ მოვედი, სისველე ვივრტენი - ჩამოფხამს და, ამისა თუ გონის გასისხლიანებული ცხვირ-პირისა ვაგო, უფრო გამეტებით ავბაღავდი.

ჩემთვის ვის ეცალა!

რომ არა და არ გავჩერდი, მომამორეთ ეს დებილი ბავშვიო, ბიცოლაჩემმა იკივლა, მიკნავებული გონი ბუმბულივით აიგაცა ხელში და, დამფრთხალია ტუქნა ბრმა ლეკვს რო წააკონწიალებს უაზროდ, ჯერ ჭიშკრისკენ გავარდა, მერე ოდისკენ.

მე არხად წავსულვარ. ვიჯექი მგვერში, ვღრიალებდი.

ბევრჯერ მიფიქრია იმაზე, ყოველთვის თითქმის გონის წასვლამდე რატომ მემშინია ხოლმე. არ ვიცი, გულთან რაიმე საერთო აქვს თუ არა შიშს, ჩემთან კი, ვატყობ, არაფითარი. პირდაპირ თვალად, გონზე გადის უცებ ღენივით და თვალებს მიბნელებს.

ან უფრო უარესი. მაგალითად, ხშირად მუცლის არეში ვგრძნობ შიშის ბრჭყალს და, შეიძლება, უფრო ქვემოთაც, თუ უზრდელობაში არ ჩამოშვებოდა, ყვე - ში მიფეთქება, თითქოს სულიერი რამაც, ბრმა ლეკვი ჩამძრომბა შეგ და მწყნარ... ხო, იქ მიგროვდება, შიშის ერთ დიდ პარკუჭად შექცევა, მაქცევს იმაში თავად ჭეპურივით და ციებიანივით ვკანკალებ. ვწრიალებ, თითქოს ხეზე გარჩენილი ბაღლი ვარ და, ეს-ეს არის, ქარბიზხალი უნდა ამოვარდეს, ბუმბულივით უნდა გამბიგაცოს, კისრით მიმაწყვიტოს სადმე რკინის ბოძი... მისივლება და მისივლება ის პარკუჭი. საერთოდ, სიბნელეზე უფრო სიმაღლის შიში მაქვს, სიბნელის შიშს უფრო ადვილად ვძლევ და ვიგან. ეს, იმდენი და იმდაგვარია ეს შიშები, სულ დავიბენი. უფრო მეტსაც ვეგყვი: პატარაობისას დიდი ბიჭებისა მეშინოდა ხოლმე, დიდობისას პატარა ბიჭები მიგუბებდნენ სულს, ისე უპრაგონოდ დაძრწიან ეს ყალთაბანდები. აი, თან ვარ, თან მუხლი შეკეცება და, რა გამოდის, მთელი ცხოვრება შიშში უნდა ვიყო, შიშში უნდა ვიცხოვრო ინდაურივით, ინდაურივით მფრთხალმა და გაფხორილმა. თუმცა ეს ყველაფერი მაინც არის, რაც დაუფარულია, რაც მარტო მე ვიცი, რაც ჩემშია, სულის ჭაში ჩაღეჭილი ან უფრო ქვემოთ, პარკუჭში და, რასაც აი, თეთრ ქაღალდსაც ვერ ვანდობ ბლომდებ.

ისე, როცა გონია ჩემ გვერდით...

როცა გაბო, კოკი, გურამი თან მახლავს, ვარ არხეინად, ყოჩივით, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ამ მახსოვლეს: ვინ ვარ, რაგონ ვარ, სადა ვარ და რისი უფლება მაქვს! საერთოდ, შენი ძალის, უფლების, ადგილის, შესაძლებლობების ვერგარკვევა და, აქედან გამომდინარე, შეცდომათა სერიოზულობა ყველა უბედურების თავი და ბოლო! ეს, როცა არ იცი, ვინ ხარ და რისი შემდეგ... როცა მხრების აჭევება ფრთების ამოსვლა გგონია ჭიანჭველასავით, მაშინ იღუპები.

ეს, რა არ მინახავს!

ვის და რამდენს არ მერჩენია უეცილობით ლამაზი, კოხტა თავი!

ამ ყველაფრის შემსწრეს მახსოვს...

მახსოვს:

თვალის ჩინივით საყვარელი ბიჭები, ჩემი დიდი ძმები, რაინდები: გოჩი, გაბო, კოკი,

გურამი... რომ არც ესენი ყოფილან ნამეგნავად უშიშრები და, თუ ცოლვაში არ ჩამეთვლება, მათაც გამოინასკვიათ ერთგან ის შიშის პარკუჭები.

იმდენი ვიცოცხლო, რამდენიც შევსწრები-ვარ მათ გადაფთვებულ-შეშფოთებულ თუ წაზხდარ სახეებსაც! გაბედავ და მეტსაც ვიგყვი: ერთხელ, სულ ადრე, თითქმის დასაწყისში, სხვა გამოსავალი რომ არ იყო, ჩემ უშიშარ ნაბიჯს, ანუ მოგონიდ გულგრილობა-გულმაგრობის სექტაკლს უხსნია ისინი. უხსნია იმ გაგებით, რომ მე, ჭინჭა, შიშის ძმა, მისი გყუპისკალი უფრო ყოჩადი, უშიშარი, შლეგი აღმოვჩნდი და, თქვენ წარმოიდგინეთ, თითქმის განწირული მდგომარეობიდან გამირებოვით გამოემერაღვართ!

ერთ საღამოს (მაშინ „ეროვნულები“ არ გვერქვა, არც დამოუკიდებელი საქართველოს დროშა გვენახა და არც ქაქუცას პორტრეტი. ჩვენი-ჩვენი უწყინარო საქმეები ვეჭონდა, ვცხოვრობდით) „სხობკამე“ მოვხვიდი შემთხვევით. გოჩიმ არ ჩამომსვა მანქანიდან, რას გვიშლისო, კოკის და გურამს უთხრა და წავედით.

ქალაქგარე, ახალუბნის ერთ საცხოვრებელ სახლს მივაღდექით.

მუშათა უბანია, ექვსი თუ შვიდი ხუთსართულიანი სახლი დგას, ჩამოსულთათვის. მეტწილად რუსები ცხოვრობენ ოჯახებით, მოწვეული სპეციალისტები, ორმაგი ხელფასით. უცნაური ის არის, რუსის ქალები ჩანან, უფრო მკვიდრდებიან, უფრო მეტი სითბო მოაქვთ, კაცები - არაფერი, ჩერები არიანო, დაეცინით. მათ თვალწინ ველაბუეცებით შეიღს თუ დედას... ასეა აქ, პატარა, ჩვენივე, გულისპირგადაბინდულ ქალაქში, თორემ, რუსის კაცი რომ არ ჩანს, ის ქვეყანა, ის მიწის გოჯი სად არის! იმას უფრო ვამბობ, ალბათ, ქალები რომ არ დაეწევაბათ. კარგები ჰყავთ, კალთამაღლიანები, გამგებნი. მმ, ჩვენივერებივით პრანჭები არა; წლობით კულში რომ უნდა სდიო, მუხლი უნდა გადაიყვლიყო, გადაპყვე, როგორმე... მას კი, რუსის ქალს, ერთი თუ მოეწონებ, შენია. რომე არ მოეწონო, არაყი თუ დაგილია, მორჩა, არ უნდა ხეწვნა-ღრიჭინი.

ეს ადრე იყო.

მაგრამ ხო იყო!

დღეს სხვა დროა. თამამად შემიძლია ვთქვა, არც ისე ცუდადაა საქმე ჩვენთან

მაგ ამბებშიც. ცივილიზაციას ხელად ვგუობთ, ქართველები არა ვართ! ჩვენებურ ქალებზე ვაბობ, მაგათ ვგულსხმობ, რასაკვირველია! ოხ, იმდენად და იმდაგვარად გაცნობიერდნენ ეს გორსალები, ჭკუიდან აიწვიე. და სანამ ძეგლს, ახალუბანში ჩვენს დაკადაკას მოვყვებოდე, ახლანდელს, ცხელ-ცხელს ვიგყვი.

საღამოობით, კვირაში ორ-სამჯერ გორასთან ვიკრიბებით. ყველანი აქა ვართ: ახალი მთავრობა, ახლობლები, ახლები... აქ კარგია; სიხალვატეა, სითბოა, სილაღე... გეგონება, ქვეყნის საკუჭნაო აქ არისო. მართლაც, რა გინდა, სულს და გულს, ყველაფერია, რასაც მოინატრებ და ისურვებ.

გორას არაფერი ეშლება!

ჩვენთვის არაფერი ენანება!

გორა დიდი მაცუთბაში ვინმეა!

აი, რაც უნდა მოხდეს მთავრობები წაღმა-უკუღმა რომ იცვალონ, „მეორედ მოსვლა“ რომ დადგეს, თუ დეღამიწა დარჩა სპერ-თოდ, გორა „მესამე წრეზე“ გავა!

გორა მარადიული კლიენტია!

გორაა თავად ბორდელით, ქირქილებს აფგორიგება, მაგრამ მერე რა?

ისე, მოგვიერ ცოტა არიფული გვემართე-

ბა. ყველაფერში ვერ ვერკვევით, რთულია გორასთვისაც, მაგალითად: ერთხელ ძაღლის თუ კატის კონსერვები გვაჭამა, რა თქმა უნდა, შეცდომით. ხო-ხო, რა მივასკლით! რომელიღაცამ მოგვიანებით აღმოაჩინა, ვეითარგმნა ინგლისური. შევრცხვით, შევშფოთდით... საპირფარეშოში რიგი დადგა. ისე, ახლა მის გემოს რომ ვიხსენებ, „კილკას“ ჯობდა.

მიღვივართ, ვქეიფობთ, დამეც ვრჩებით ხოლმე ყველაფერი უხვადაა. ქალებიც არიან, ჩვენებურები, ჩვენები. რა რუსი, რისი რუსი... ჩვენს ქალთან რას მოვა! აი, თუ გაიწია, მოწაფედ არ აიყვანს თურმე. და ვართ, გგულობთ. ღაცეითვის ცალკეა პურ-მარალი, ჩვენთვის - ცალკე; გინდა, მაშაპაპური: სმა - ვახტანგური, ყიცილიყური, ხარული... გინდა - ვეროკული. ქეიფი მოგვწყინდება, ვიღვითი ვერთობით, პორნოფილმები გვაქვს იმზარიო, დაირეხვება კაცი. ქალები თავიდან ვერ შეეჩვივნენ, მარტო ნახულობდნენ, ჩაკეტილები, უჩვენოდ... საკაიფო ის იყო, დამორცხვებულეს და ფეხარეულეს ღოყები უღვივოდით, მერე დამე გვეტიბდნენ, შიშით, ფეხსუბუქად გვიძვრებოდნენ შებრუელები ღოგინში

დღითი დღე უფრო თამაშები და ღაღები... ეს მღვარიც მალე მოიშალა, - მოვშალეთ. ერთად ვნახულობდით რაგინდარა ფილმს, ერთ დიდ ოთახში; შამპო-კონო-შოკო არ იღოდა, ყვის მძინარე მოჩქეფდა. ესეც თავისუფლებაა ერთგვარი, თავისუფლების ერთ-ერთი სახე, მისი ნაყოფი. მართალია, ცოტა უცხოა, ცოტა შეზღუდულებიცა ვართ ერთნიც და მეორენიც; მაგრამ კარ-გა-ია, ხალისიანი, ვითრევეს თამაშად, მსუბუქად, მყარად და, არც ისეთი არიფები ვართ - შევეწყვიეთ.

აბა, რისთვის ვიბრძვით, რატომ ვეღრით სისხლს ვეროპაში შესასვლელადო, დღითი დღე უფრო ღაღია და კეთილი ჩვენი მასპინძელი.

მე მთლად შინაური ვინმე ვარ. ხშირად აქ მძინავს, აქ ვიხსენებ; ჩემი ღოგინი მაქვს, ჩემი ოთახი. მოვალ და ქალების ვივილ-ხივილია, სადაღე წაყვანას მოხივენ, მენდობიან, შესაიღუმლოებიან, შეკეკლუებიან. შოგი კეესაც კი მიყოფს, გაღვჭილს.

ერთხელ ოთახში ვარ, ჩემ ნაშას ველოდები. რაღაც არ ჩანს. გასვლას ვაპირებ, მოვიძებო.

თაფლო შეგეჩება კარში, გორას ცოლი, კეთილი, მეგობრული ქალბატონი. კეეს ღეჭავს. აქა ხარო? - უკვირს, შემოდის. ლიფი შემიკარი, რაო, მოხივს, წელამდე ჩახსნილ, სავსე, ფოთიანა მურგს მიშერს. გავლელი მიურავია, უკაცრავად და, ჩაფსმამდე. მეც ისე ვარ, სპეულიოდ, ოღონდ ეს არის, თითები არ შემორჩილება, მიცხცახებს და ვერ ვუკრავ. ხმაურიც მიშლის ხელს, გვერდითა თთახიდან რომ გამოისმის, განსაკუთრებით გორას ხორხოცი მჭრის ყურს და ვნერვიულობ. თაფლოც არ მომყვება, ცმუკავს; არც ლიფი მომყვება, არც ქალის მურგი, თითქოს ილიებში მაქვს თითები შეყოფილი და ვუღვიგინებ. როგორც იქნა, ჩავსვი „კურუოკმე“, გადავრჩი. ახლა კაბის ელვას წავეპოგინე და აქ უკვე ყოჩაღად, ელვისებურად გამომდის.

მაგარი ვინმე ხარო, ეერს მიბგეკს თაფლო. კევი გამუშევა, გამობერა, ცხვარ-პირმე შემომაფლთია ბუშვივით. უცხო სუნამოში, უცხო შამპანურში შვგავებული ვნება შემომაფრქვია და მიდის, დერეფანში მივოგმანებს, მე კი მუხლებაკანკალებულს, ღენწივით გოროებს.

საპირფარეშოსკენ გაგრიბვარ...

იმ დამეს გვიან მელვიძება.

მარგო ვწვევარ.

ჩემი ქალი არ არის, არ მოვიდა.

რალაქ შარიშური მესმის...

რა ხდება?

„რალაქა“ კი არა, აშკარად ისაა!..

ზურგით ჩემკენ ფანჯრის რაფას ასკლება ქალის ვათიმთიმებული სხეული. ისე, იმდაგვარად ანათებს, ვერანაირი ბნელი რომ ვერ გადალუნავს, ვერ მოდრეკს...

ვინ არის? ძლივს ვიოკებ ნერვებს.

გყვლია! ჩემსას გავითაც ცნობ, თუმცა ქალის ცნობა გავით სავჭვოა, მით უფრო - სიბნელეში. კენესა-კრუსუნით თუ მიხედები. მიხედები კი?!

აპა, ყოჩაღ! პარტნიორსაც ვაძმნევ უკვე, თვალები კატასავით მიელავს ბნელში. მამოა (ერისკაცობაში გურგენი); გაჩაჩხული ფეხებით, წელამდე ახვეგილი კაბით...

ჩაეახველე.

ჩაჩუბდნენ, სული გაიკმინდეს...

მეც ჩუმად ვარ, არ ვინძრევი.

გათიმშული მთვრალიაო, მესმის თაფლოს მინაზგებული ხმა.

ისევ აიხვევა მამაომ კაბა და, ჩემ ჯინაზე, უფრო გაშმაგებით ებრღვენენ, ღამის დაჭამონ ერთმანეთი.

ველარ ვუძღლებ.

წამოვხტი.

კიდეკ პარგი, გაუხდელი ვიწვექი.

შუაღამეა.

ემოში, თალარქვეშ, მარმარილოს მაგიდასთან ვზივარ, სივარეტს ვეწვეი, ათასი სისულელე მომდის თავში.

ვიღაცა მოდის.

ჰმ, მამაოა.

დამორცხვებული ჩანს.

ღაჯაღ.

რას კადრულობ, მამაო? - ველარ ვითმენ. რა ვქნა, ჭიჭყო, მონანიე ხმა აქვს. როგორ თუ რა? არ გრცხვენია? ოჯახში ვართ! - ვერ მომინელებია. ქალი უფრო ძლიერია... თუ გაიწვია, ცხრა უღელი ხარი ვერ დააკავებსო, შეანდამება ეს ჩათლახი. კი მაგრამ, შე-ენ? - არ ვეშეები. მე? ერთს გეტყვი. კაცს რელიგია კი არა, ქალი - მისი მეორე ნახევარი ავისებს და მეც ისა ვარ, შენსავით თვალებდასაფხვებით.

აქეთ არ შემომიბგია!

მე რა, ჩემი რა ნახე, მამაო?

ისე ვამბობ, შოგადადო.

ჩუმადა ვართ.

ისე, ტულეტში სირბილს არ გირჩევ, ხელისგულზე ბალანი ამოგივარო, მექელიკება, უცებ ღვება და მიდის ეს ეშმაკის წილი.

ეს ყველაფერი მერე იყო.

ახლა:

გონი, კოკი, გურამი და მე მანქანაში ვართ, ახალუბანში, ერთ-ერთი საერთო საცხოვრებელი სახლის წინ გაჩერებულები. კაროჩე, აქაურბაბს ვიცნობ...

ბომბების ცვენაა!

ღმერთმა გადალება მისციეთ!

ღა, მოსაღამოვდება თუ არა, გეგონება, ატეხილ-ამჭუნებული ქალაქი დამე სულს აქ ითქვამსო.

როული, ერთობ საშიში უბანიცაა; ვის არ გადავევრები; პალსტუხიან მიყონს თუ გუჩზე რძემუშმურალ მამლაყინწას, კანონიერ ქურდს თუ ცხრა ნომერ ვლესს, ნაყაჩადარ ჩათლახს და, მგონი, ერთი საკუთარი პედერასტიც კი ჰყავთ თავისთვის, საღადაოდ.

აქეთ რომ შემოვუხვიეთ, გამიხარდა.

ქალებში მიეყავარ-მეთქი და ვემუკავდი, სიაშოვნებისგან კბილები მიკაწკაწებდა.

ვიწრო, ათასი წვრილმანით გავსებული, სანახევროდ ჩაბნელებული ღერეფანიც სხვა-ნაირად მაღლეებს. ისეთი მეგრძნება მაქვს, ყველაფერი იქითკენ მიდის, ყველგან ის ერთი: საამო ფაჩუნი, კენესა, ჩურჩული... ის მოძებრება, მეხვევა, მელამუნება ყველა ჭურუგანიაღან. თოკზე გაბმული ჭინჭებიც კი მაღლეებს, სუნთქვას მიკრავს, რალაქ იღუმალი სუნი, სურნელი ახდის, მგონია და, მიეჭირთიფირთობ ხან წინ, ხან ბიჭების უკან. გაეგვიან!

ჰმ, საამო ახვარი დაგვხვდა ბნელ და ანაში თი აშმორებულ ოთახში, ჩემთვის უცნობი შავი მასგები, და გაგლიშინაღი, აშკარად გამიგყვდა; მერე, რაიმე შარს არ გადავეყვარო-მეთქი, შეეწუხდი, გაპარვა მომინდა, თუმცა არც ეს გამომივილოდა. დიდხანს გაგრძელდა უაზრო ბაზარი, კიდეკ უფრო მომწყინდა, ღამის მთქნარება ამიგყდეს. ერთ-ერთი, ცხენისყბიანი, თავიღდა, მოდლლემილი ქურდულს იჭვრდა და ეს უფრო მაღმიანებდა. გოჩის რას გამოაპარებდი, მიხედა, რომ ბლუფობდა ეს გორსალა და თომარი გაუშვა,

ძველი ყველათვის

რქებიოთჲ მიაწვა, ჩინში მოიწყვედია, თვალსა და ხელსუა უკანალზე მოსვა...

არც იმან, გომიმა ჭამა ბოლომდე; ავარდა, მარა არ ავარდა და უცებ შავი, ხოჭოსავით ღურა არ დააძრო: აუხვიეთ ახლა აქედან, თორემ ჩავხოცნავთ, თქვენი დედაცო, შუა ოთახში გაივგიძა.

ვიცილი, არც ჩვენები იყვნენ უიარალოდ. ტოჩი უიარალოდ ჩენმაში არ გავიღოდა და „სხოტკაზე“ მოვიღოდა? მაგრამ წკიპზე შეყენებულმა გყვიამ სახე გადაუფითრა.

ვა!.. ეს ვინ არი, ამის ახვარი-თქვა, გავმეწმი, მერე, ვითომც არაფერი, სიგარეტი მოვიტო, კბილებში უდიერად გავირჭვ, გავიღმიე რბოლად, თვალთმაქცურად, თუმცა, ხელი არ ამიკანკალდეს-მეთქი, ასანთის გაკერის შემეშინდა და ღერი ისევ კოლოფში დავბრუნე.

ასეთი მკვდრული, აუტანელი სიჩუპე არასლოდს მიგრძენია. წამი საუკუნედ შექცა, თითქოს სიჩუმის წვრილი, კოლოს წუთიღვით აბეზარი ხმა-კული ყურებში ჩამიღდა, ტვინში ამივარდა სისხლივით და, ჩემდა უნებურად, წამოვსტი.

თავიდანმ მშერა ჩემქვენ გამოხანათა, ერთი შენიცო, ბუზადაც არ ჩამთვალა, გამბურდა და ისევ ტოჩის მიაცივდა.

ჩემებს სათითაოდ გადავხედე. ვხედავ, ცუდად არის საქმე. არც ვახსოვარ...

აედელი.

ვაი, მოგიკვლეთ ჩემი თავი, ბიჭებო!

თვალეებში მუქი ლაქები ამებლანდა, აფუორიაქი, ალგუფოთი და, თუ დამიჯერებთ, რაღაც უცხანურმა ძალამ შემიპყრო. ისეთმა, როცა შენს სხეულს საკუთარი ნება კი არა, რაღაც სხვა, უხილაევი რამ მართავს, თითქოს შენ არა ხარ საერთოდ; ვასკა ის შიშის პარაკუკი, გავიდა შენგან, ან შენ გააბიჯე მოჯადოებელი წრიდან... ამას ვგრძობდი და ეს უშიშრობა-უწონალობა უნდა გამოემყენებინა აკურაგულად, ჩემებურად, უშეცლომოდ, ვიქვით და ასე; პაერში ავფრენილიყავ, ოთახისთვის გადამეფრინა... თუმცა გეგც ვიცლოდი, ეს ფანტაზიის სფერო უფრო იყო; ვერ ვიქცეოდი ჩიტად ან ღამურად და გადავწყვიტე, შედარებით ნაკლებეფექტური რამ მომეფიქრებინა, რაც შეიძლება მეტად მომეაბღლებინა თავი, რომ როგორმე... გადარჩენის ერთადერთი შანსი ეს იყო!

და, მასხოს, შეწკიპული იარაღისკენ ისე გულგრძლად წავედი, ისე გავვითამშ-გავუთამამდი ხიფათს, თითქოს არაფერი, თითქოს შიშს წამის უემირესადაც არასოდეს შეუუსერივარ.

ლაგდე, სიკვდილსაც აღარ უნდისარ ცინგლიანოთ, ისევ შემომბიღვირა დიდთავამ. უსიცოცხლო, მუყაოსგან გამოჭრილი სახენილაბი აქვს, მარტო ნესტოები ულაპლაპებს შავად, გვეგონება, მით იღრინებო.

ლულამაც შუბლი ამიწვა...

შუბლი რაა, ღამის ცხვირზე გამეხახუნოს რევოლვერის კოპიჭვიით თვალ-ტუჩი და ჩემდა უნებურად გავიბადრე, მერე:

პა-პ-თქო, ცერზე აწეულმა პირი დავაფრინე...

ცივმა ლითონმა ხახა ამომივსო, ყბები გამოთიქვდა, გამგულა...

მთავარი, „ტოჩკაში“ მოვარტყი!

პა-პა-პა!

ცხენისყბიანმა ბითურმა ჩახმახისთვის თითის გამოკვრა ვერ ვაბუდა, მკერდამდე ჩამოუვარდა ღამში... იარაღს ხელი უშვა, პირში შემატოვა და უკან გახტა.

პოპ-სტოპ!

ტოჩიმაც არ დაახანა...

სკამიდან ავარდა, გაფრინდა ისარივით და თავით მიასკდა სიფათში...

კელუს მიაწყვიტა, მიასიკვლიდა, შეტენა... აქეთ, ჩემ უკან, კოკი და გურამი ბრღევიანავენ...

ლაწალუწი გაუღის ყბას, სკამს, მაგიდას... ცოღვის ტრიალია.

მე, რა თქმა უნდა, ჩხუბში არ ჩაერეულვარ. ისედაც რისი მაქნისი ვიყავი, პირიც ვერ დაემუწე კაი ხანს, კბილებიდან ოფლი გამომდიოდა, თუმცა იარაღი უკვე ხელში მეჭირა და ერთი პირობა მისი მოცილებაც კი მომიხდა.

გაღვიფიქრე: გყვია ჩავკეცე და ქამარში უდიერად გავირჭე.

გაოგნებული ვიყავი ჩემი გამბედაობით, ვფრინავდი.

ტუბობა იყო, ერთი დიდი სიამოვნება, რომ არა...

თუკი, შარელის სველმა ტოტმა ბარბაცი ამიწვა, ფუხი გამიშემა...

ჰმ, გამპარვია, იტაკემეც გუბე დგას, შიგვეურავ რა, და, არ ჩამიფლავდეს ყველაფერი,

არ გავიცილო-მეთქი, სკამს ვეცი, ფეხით დავითრიე, ვიბღალეუ:

ჭიჭე ვარ, დაგზოცავთ, თქვენი დედა...

ეზმორიალებ, თავშემოთ გიყვიეთ ვაგრიან-
ლებ სკამს.

აზრზე ხარ?!

ჩემი ქვეშაფილობისთვის ვის სცალია! გყუ-
ილად ვქშინავ და ვიჭაჭებო.

გონი ჩამომეკიდა მკლავზე: არ გავიქედ, ჭიჭე, უყოფათო!

ჭიჭეო, - მშვიდი, კმაყოფილი, მზრუნველი ხმა აქვს.

ვგრძნობ, ყველაფერი კარგადაა, უფრო კარგად, ვიდრე მე მგონია და ვცხრები.

წამში ავორთქლდით.

იმდამინდელი გმირობა დამიფასდა.

მას მერე, ვიყავი თუ არ ვიყავი საჭირო, გონი უჩემოდ ფეხს გარეთ არ დგამდა, ყველგან და ყველაფერში ეახლდი თან. მეტიც, ჩემი გამბედაობა ღამის ლეგენდად გავრცე-
ლდა ქალაქში და, მიუხედავად ადრე სიორ-
ჭოფო თუ ისე რა, შებღალული სახელისა, ყველასთვის საყვარელი ლომგული, სანდო, მზიარული ჭიჭე-ჯიმა-სულელი (აქ „სულელი“ ერთგულების გოლია, მისი სწორფერი!) გახვლი.

მე ავმალდლი!

მე უკვე ჭინჭა არ ვიყავი და ამით უნდა მესარგებლა!

მასხოს:

გონიმ მეორე დღეს თეთრწინწკლებიანი მოღერი პერანგი და ჩემი ზომის ახალი ფეხსაცმელი მომიტანა საჩუქრად. ადრეც სულ მისი ფეხსაცმელი მეცაა, ოღონდ გამონ-
აგვალი, ძველი, სამი ნომრით დიდი. გაბეთის ნახევარს ჩაგვინიდი ხოლმე ჭვინტში და მაინც მოვლამული მქონდა, მძებებოდა. იმდ-
ენად ამაღლელებელი იყო ეს, მარტო რომ დავრჩი, საჩუქრები მკერდზე მივიხუტე, ავ-
გორდო.

უცნაური რამ ხდება, ბაგონებო!

ემშაკიც ვერ გაიგებს, ზოჯერ რა რისი ნიშნით და მიხედვით იზომება!

ჩვენიან, ჩვენი პაგარა, გულისპირგადაბი-
ნდად ქალაქში უფრო მძაფრად ჩანს ეს, ანუ საერთოდ არა ჩანს!

უცხო ხომ მოსწონთ... უცნაური თუა ან მთლა გასამტკერებელი - მით უარესი თუ უკეთესი!

კაროჩე, საოცრებათა კასკადია, რა, ცხო-
ვრება!

ვთქვით, გუშინ ხვლიკის დანახვაზე დაფე-
თებულს უნდა მერბინა აღმა-ღაღმა და
არსობის პური ამით უნდა მომეოთვეინა,
დღეს ღამის სამეფო უცლი მთეორშიათ
„რამკიანი“ ქურდივით!

მართლაც, როცა სიკვდილის სუნი გრი-
ალებს პაერში და რაიმე გამოსავალი არ
ჩანს, როცა წკიაშეა გყვია და ხერვეიც,
ნურავინ დაიკვეხნის, რომ ჩემი საქციელი
იოლი იყო!

მე, შიშის დიდოსტაგმა ქონდრისკაცმა,
მშვიდი ნერვებითა და გულგრილი სახით
ოფოფით ავუშვი, დაღვაბიჯე შიშს და საა-
რაყო გმირობა ჩავიდინე. დიახ, ღამის თავად
ვირწმუნე ჩემი რაინდობა! უფრო სწორად,
დავრწმუნდი, რომ არავინ იცის ჩემზე უკეთ
თამაში, არავის გამოსდის იგი ჩემნაირად
ამ ქალაქში და, რა გასაკვირია, „ძველი“
თუ „ახალი“ ბიჭების ნდობა და სიყვარული
მოხვებეკე.

მე უკვე „მე“ ვიყავი!

ავტორიტეტამ ერთობ უნიჭოდ მაღიარა:
მამაცი და უციო, უთქვამს თურმე.

უკაცრავად!

ეს ჩემი „ყოელისმცოდნე“ ჩამიფლავდა.
არც ერთი ვარ და არც მეორე. მე, როცა
რა მინდა, ისა ვარ, თან ზუსტად, შეუცლო-
მლად, გაგებით...

ეს ცხოვრებამ მასწავლა!

დრომ მასწავლა და, შემძილია თამამად
ვთქვა, ხელახლა ვიშვი - ვისთვის მეგობრად,
ვისთვის საურთხობელად... ვისთვის, რა
დასაძალია, ისეც ჭინჭად დავრჩი. საკუთარ
თვალეებსაც რომ არ დავეჯერო, ვხედავდი,
მაგრამ არ ვიძინევი.

გონი მაინც სხვა იყო...

გონის ვინ შედრება!

გონი - უნიჭიერესი მოთამაშე, უშიშარზე
უშიშარი და განუმეორებელი ტაი!

მისი სიმძლვე, ვულკანისებური ენერგია
თუ გონის სიმძხვილე - გამაოგნებელი იყო!
ეს, იმან რა იცის, ვისაც გონი ბრძოლის
ველზე არ უნახავს!

გყვია არ უკარებო, იცოდნენ თქმა.

მართლაც, თითქოს თავს იქცევსო, გყვიე-
ბის მუშუნში ღაღობდა, თეთრი ნაბდით თე-
თრად დანავარდობდა მინდორში.

ასე იყო სამაჩაბლოში, რუსთაველზე, ცხე-

ნისწყალთან...

აფხაზეთშიც იყო!

ტოჩი, ძმაო, მხოლოდ შენ ერთადერთს შეგეძლო, ალბათ, საკუთარი სიკვდილი ასე ამაღლებული და აღდგებული, შეიმძივით სანახავი გაგეხადა.

უმძიმესი იყო ის დღე, ლუსკუმი იყო ის ღამე და, რა გასაკვირია, ბურუსით იყოს მოცული!

ჩვენიც იყო ის ღამე... ის მითქმა-მოთქმა თუ ჭორხაბრები ჩვენც მოგვწვდა...

შენ მაინც მარტო აღმოჩნდი.

მე, შენი ძმა და მონა, შევეწვარი, ჩემი დასათრეული თვალებით ვნახე, როგორ გაღაფდნენ და ვერ გაკლადნენ. დანით გჩეხადნენ, გყვიას გაღულებდნენ ხახაში და... ცოცხალი იყავი, სული არ ამოგდიოდა! მთელი ღამე გრძელდებოდა შენი გმირული სიკვდილი, ჩემი წამება კი, ვაგყობ, არასოდეს დასრულდება!

შემოთ „ძმა“ და „მონა“ წამომცდა.

ჩემი იმდამინდელი მოქმედებით თუ ვიმსჯელებთ, ეს ასე არ არის! იმ დამეს რომ ვიგონებ, მაშინ ვგრძნობ უღმერთობას, კაცი-სას კი ვერთობობას, ჭაყყელობას, ნაგვობას და შიში ხერხემალში მაქვს გყვიასავით გა-მჯდარი.

ღიახაც, ტოჩი ჩემი საფიციარი იყო, მიყვარდა, მეამაყებოდა, მაგრამ... თურმე შენს სიყვარულსაც ვერ შეეშინებოდა სიკვდილში! ყველაფერი: ძმობა, ფიცი, ერთგულება უკან რჩება თურმე, მოგონილი, გყული ყოფილა და მიწა უნდა ვჭამო, ნაცარი თავზე უნდა დავიყარო, ჯაჭვი უნდა ავისხა განზე სათრეველად, სული ოღნავ მაინც რომ შემიმსუბუქდეს!

ეს, ძმანო ჩემო, რანაირი მკვლელიობა, სიკვდილი, მკვლარი არ მინახავს!

მინახავს:

მაშაყი, შურისმაძიებელი ცხედარი, არასოდეს რომ არ გასვენებს, ნაბიჯ-ნაბიჯ მოგლეხს უკან, შენს შფოთიან გვებზე მოუსვენრად დახეცება და გგანჯავს...

ეს, ეგეობა, შიში მკვლარსაც აბითურებს.

გაუბედურებული, საშიშდრად ბოკრუნჩხული, ბეჩავი გვაში (გულს მეორე დღესაც რომ გირეგს!) შემომფეთებია და შემძულებია საკუთარი თავიც.

ის დრო იყო... ისეთი დრო, თითქოს ყველა ერთი ხელობისა ვიყავით, ერთი სულის მატარებელი - მკვლელი თუ მსხვერპლი.

ქვეყანა მეგურად, ცოცხლად ღებდა: იღვრებოდა, იღვრება, ხვალ კიდევ დაიდვრება ცოფილ-უცოფელის სისხლი!

მე ყველა მათგანს სახეზე ვცნობდი, ვცნობ...

სუნზე ვცნობ, ვიცი, ვმეგობრობ... მელი-ღებთან, ველი, მონაწილევა ვარ ჩემით თუ ჩემდა უნებურად.

მაგრამ, როგორც ტოჩის სულის გაყრა იყო სხეულთან, მსგავსი ამაღლება მხოლოდ კინოში შეიძლება იხილო!

მსმენია, მკვლელებად იზრდებიან, კი არ იბადებიანო.

ეჭვი მეპარება ამ ნათქვამში!

ტოჩის მკვლელებზე ვერ იგყოფი ამას!

ვერ დაიჯერებთ, რა ცოფი ვნახე, რა ენება და სილაღე მკვლელი-დიდოსტაგებისა!

აუ, ისეთი აღგზნებულები, ისეთი გახარებულები, ნეგარები იყვნენ, თვითქმედით, რაიმე სიღვთო რიგუაღს ხომ არ ასრულებენო!

ღიად, ის - ტოჩი-ლევენა (ვისი სახელის გაგონებაც შიშის ზარს სცემდა, შიშის ქარს ამოუღებდა ნებისმიერს მუხლბედიან) ჩაუვარდათ ხელში შემზივვეით და უცებ, ერთბაშად კი არა, თანდათანობით, შექცევით, გამოშოგვით, ასმეურთედ უნდა მოეკლათ!

აი, მაშინ შემზივდა ჩემი თავი!

მისი სისხლი და ხორცი - ჭიჭე-სულელი-ლომუგული - თხრილში ჩაყრული ვადვენებდი თვალს მის განჯავა-წამებას. ჩემს ნაგავში ვიჯექი გასუსული, უმოქმედო, ხმამაღლა ქვითინისაც მემინოდა.

ასე შევინდი, ალბათ, მაშინ, ხუთიოდე წლისა, ჩემ შორეულ სოფელში, რასაც ჩემი პირველი - დაწყვეილი მახსოვრობა ჰქვია!

მაშინდელ შიშს ქეცაბაების აივინიდან თოფის გასროლას თუ შევადრო.

შეიძლება უფრო მეტიც იყო, ვინაიდან იმთავითვე, თითქმის დაბადებიდან, სიმშრის ნაფლეთივით მაქვს ჩარჩენილი.

... ..

გბაზე ნავი ცურავდა, მიირწოლა...

შენთან მინდა, სიყვარულო-ო, თათული წამოგა, გურამს მიეახლა, წააბარაყდა...

მერე ჩვენ ყველანი წყალში აღმოჩნდით.

და, დამურთხალმა, - ცურვა ხომ არ ვიციოდი, მუხლამდე არ მეგვულვარ გბაში, დღეაში, მდინარეში, მაგრამ დამქარა თუ არა ფსკერმა, უმაღ მიეხვედი თუ გამახსენდა, ხელები უნდა ამეგაყუნებინა და... მოვესვი

ბაკაყური.

გალავრჩი.

გურამი და თათული დღესაც იქ არიან, ფსკერში... აი, ძაბული რაგომ წაიყოლეს, არ ვიცი.

გამოდის, მინდა თუ არ მინდა, იმ ელდა-შიშის მადლობელი უნდა ვიყო, მას უნდა ვუნთო სანთელი, რომ მიმახვედრა თუ შემახსენა, როგორ მოექცეულიყავი, და არა ბედისწერის, რო იციან ხოლმე თქმა.

ასეა თუ ისე, რაც უნდა დიდი სურვილი გქონდეს, შენს წარსულს ვერ მოსწყდები.

ბრძოლებს გამოირიდებული ტანკი დაეინახეთ.

სად გარბიხართ?! ტოჩი ვარ, დაგზოცავთ, თქვე ნაბიჭვრებო! იბღავლა ტოჩიმ და მანქანიდან ჩახტა, რასრახით მიმავალ ტანკს მუხლუხოზე ფოცხვერივით შეახტა.

წამით ყველაფერი ჩაჩუმდა, ხმაურს გამოერიდა ვიღაცის გაოცებული ხმა:

„ტოჩი ჩხოლორია?!“

და ტანმა ცული მიგრძნო...

ჩვენც ჩავეცივით მანქანიდან...

ფრთხილად-მეთქი, დაძახებაც ვერ მოვასწარი, რომ:

სწორედ შენ გეძებთ, შენი დედაცო, მომესმა.

დაეინახე:

ტანკიდან ამოძვრა, ამოიზარდა ლანდიურჩხული...

ავტომატის ჯერმა ტოჩი პაერში ააგდო, ბნელს წააპოტინა ნადირივით, მორკალა და ასფალტს ბაყვანიით დაანარცხა.

ტოჩიმაყ გასცა პასუხი, მისმა „ავტონმაყ“ იჭყაბ...

არ ვიცი, რა დამემართა, რა მოხდა...

საღღაც ბნელში, მინდვრის თაგვივით ეღვრეთ თავი.

სხვებიც ვამლივინდნენ აქეთ-იქით...

წკვარამმა შეგეწოვა...

ისე ისროლა წამოფოტოხილავებულმა ტოჩიმ.

ვაი, რომ უშედეგოდ, - გყვიამ პაერი თუ გაკაწრა.

არადა, ვინ არ იცის, რა ჩინებული მსროლელი იყო ტოჩი. პირველი ჩუბინი, ავღებულ შაურიანს აქრობდა ცაში. აი, ტანკშიც რომ მჯდარიყო ის ახვარი, სამწერ მილს გყვიით ამოუკვებდა. უნდოდა, შუღლს გაუხვერებდა, უნდოდა, წამწამს ჩამოუღებდა, მაგრამ...

მერე ის მახსოვს: ჩემი დასავსები თვალებით ვნახე -

ჯიბის თოხი-ხუთი ფანარი სერავდა ტოჩის სხეულს...

ნახე, კიდევ ცოცხალია ეს ჩათლახიო, რომელიღაც ბღაოდა, იბღწვებოდა (ის ხმა დღესაც ყურში მიღგას!) და, რა იყო, რა საშინელება: ავტომატზე წამოცმული დანახიშტი ავტომატიანა ატაკა სახეში, მოუნაცვლა - მკერდი შეუნგრია.

მაინც ვერ ჩაახშო...

ვინებამ სისხლივით იფეთქა ტოჩის პირიდან...

და იყო დაცენტილითა ზეიმი...

ცალ-ცალკე და ერთად ჩხვადნენ მკლავ-სიგრძე დანებით; წეწავდნენ, შიგნულს გარეთ აყრევინებდნენ... გყვიას გყვიამე აჭკედებდნენ მიწაზე ჯიუტად მოფოთქუნე ტოჩის. ის მაინც არ აპირებდა სიკვდილს... ეს ავგზნებული სისხლიხვერეპია სვავები კი ველური ყიეინით უვლიდნენ გარს და, მომქვვენა, ამ შემზარავ, გამაყრუებელ ხმებს არამარტო მკვლელები - შემფოთებული გარემო, ბნელი... ცა, მიწა, ვარსკვლავები გამოსცემდნენ.

ვინ არ ჩავრივთ, რა პირობებზე არ წავედით.

არაფერმა გაჭრა, გვაშს არ იძლევიან ის ახვრები. არადა, ჩვენ ვერ გავღვივით იქით, რუსი ჰყავთ შეკერილი, ასიანი სიკვდილია; ვერც ისინი ბღავენ, მიუხედავად იმისა, იციან, ვინ და რა ძალა გვეყავს ტოჩის სახით დაკარგული. ჰმ, მოულოდნელად დაგვესხნენ, გაბლატავდნენ, მოგვჩანთეს, წაიღეს „მკვლარი ზონა“, კიდევ ორიოდე სოფელი და იქვე გამაგრდნენ.

არავენ იცის, ხვალ რა იქნება!

სამარცხენო ის არის, თავი არ გამოგვეყოფა: მიცვალებული გვეყავს დაუმარხავი! მეოთხე დღეა, თხრილში ავღია უპატრონოდ, ღორების საჯიფგანად... ვერავენ გაუკარება თურმე. შურბეგმაყ თქვა, მთავრობის სასახლეს არ იცავს იმდენი საღდაფონი, რამდენიც ტოჩის გვაშსო.

მე წავალო, თავი გამოიღო ავტორიტეტამ. ბევრს არ მოეწონა. ორი რამის გამო, ალბათ. პირველი: მათთან შეკრული ხომ არ იყო, მეორე: ვიღაც-ვიღაცების თვალში ის ავტორიტეტი არ იყო უკვე. უკანასკნელში მოტყვევდნენ.

გზად, ქალაქის შემოსასვლელთან ვიდექით

და ველოდით.

როგორც იქნა, საღამო ხანს გამოჩნდა.

ძლივს აპკრიფიო, თქვა ფერდაკარგულმა; გაჭირვებით გადმოვიდა მანქანიდან და შემერეოდა.

მანქანაში ვნახე გოჩი... სახეზე გაზეით ეფარა... ვერ მოვითმინე, მოვაშორე. საღ პქონდა სახე - წაშლოდა, თითქოს ორმოცი დღის მიცვალებული იყო, სიმწვანეც გაღაპკროდა და, ღმერთო მაპატიე, ყარდა...

თვალებზე ხელები ავიფარე და იქვე ჩაეკექი.

- ძაფი თუ გამოიბი?

- ძაფის ვიღაცის ხმა სიჩუმეში.

- რა ძაფი... გაგიჟდი?!

იფეთქა ავტორიტეტამ.

- რა დიდი ამბავი ეგ იყო? სული ხომ უნდა...

ხმა გაეზმარა იმ ვიღაცას.

- სული არა, გოროლა!

უხეშად პასუხობს ავტორიტეტამ.

- ორმოცამდე დიდი ღროა, ძმაო, მოვიყვანათ...

ეს უკვე კოკია.

გამაერეოდა...

რა ღროს ეს არის, ღმერთო!.. მახსოვრობაზე მაქვს საუბარი... ასე ჩაცუქცული, თვალებზე ხელაფარებულნი რომ ვხედავ:

კომუნისტობისას უღადივასტკაში ვართ მე და კოკი. მისი უმცროსი ძმა იყო იქ ჯარში. ისეთ დღეში ჩავარდა საწყალი ბიჭი, ორი თვის თავზე მოიწერა: სადა ვარ, გამაგებინეთო. ძლივს გავარკვიეთ ჩვენს კომისარიატში. ჩავედით. წავიჩაღინეთ, სამ ყუთამდე არაყი დაგვიჯდა და ნაწილის სასაღილოში მოვაწყვეთ პურის მჭრელად.

უკან მოვფრინავთ. ტრაპთან შაოსანი ქალი მოვიდა, ჩვენებური.

მარგალი რექო, სკუა, ქუგალო? მეუბნება. პო, მეგრული ვარ, დედი, - ვპასუხობ გაკვირვებულს. შარშან შეილი დამელუპა ამ გადასაკარგავში და იქნებ მიშველო-ო, მხსნელივით შემომყურებს. რაშია საქმეთქო? - დავინტერესდი. სიშმრებმა არ დამაყენეს; ჩამოვეთრიე აქა. სული მინდა შინ წავიყვანო, მომეხმარე, ბორბალზე გამომინი ე ძაფიო, კოჭს მაწვდის. ჩვენში იციან ეს, ამის მეტი რა მინახავს. აღრე ჩვენი გმეზ ბაბისის თეთრი ძაფებით - სახელგარეთ დაღუპულთა სულებით იყო მოფენილი... რაღაცნაირი რიდი თუ შიში მქონდა ხოლმე,

ფეხი უხეშად არ გადამიდგამს იმ ძაფისთვის... ეს ყველაფერი უშალ გამახსენდა, დამბურბულა და შეგვეყრი თვითმფრინავის ფრთებქვეშ კოჭიანა, სამ-ოთხჯად შემოვახვეო (თითქოს ცალფა არ ყოფილდა!) ბორბალს...

კეფაში მხედება მწარედ... დაბერეიანი, დავეყი. აპა, მკლავებგადაგრეხილს მიმაკონწიალებენ, მე ცალკე მტენიან მანქანაში, კოკის ცალკე უშალ მივხვდი, რამიყაა საქმე; აშკარად ტერორისტი ვგონივარ და მინდა აუეხსნა, ჩემი რუსულით ვნაღინობ, წესი გვაქვს ასეთი ქართველებს-თქვა. უშედეგოდ ვერ გავიხსენე „სული“ რუსულად, ეს ოხერი! სამი დღე და ღამე ვყავდი ბუნკერში. ცემა-დაკითხვებით გამოშილაყეს გვინი. ბოლოს, როგორც იქნა, გაირკვა და გამოგვაპანდურეს, ჩვენ „სუს“ დაუკავშირდნენ თურმე. ეს რა შერეკილი ხალხი ხართო, მუშლმე თითის იგრაილებდნენ, იხოებოდნენ სიცლით ვლადივასტოკელი სუკელები.

ის დედაბერი ისე აეროპორტში დამხვდა. არ წასულა უჩვენოდ, ველოდა. ჩემ წინ მოთავსდა სავარძელში. ავმშრლდით, ავფრინდით...

ვხედავ: სავარძლის სახელურზე ორი-სამი ადლი ძაფია გამოფსკენილი... ძაფს ბოლო ეწევა, ერხევა, მიირწევა ცისფერი შოლივით... ქალს შევხედე...

სახელურებზე მკლავებდაწყობილი მის მშვიდი, ამაყი, გამართული და საღდაც შორს, ნეგარად იმშრება...

...
გოჩი სამ ნაწილად იყო გაჭრილ-დაჩეხილი.

სააგაღმყოფოში ავაწყვეთ. ბიცილანქეშმა ვერ იცნო. ეს არ არის ჩემი ვაჟაკიო, არ გაეკარა. მერე, როცა თვალა მოვალენო, კინაღამ ჭამა ჩაგვიტვა.

ის ერთი ლიმონი მაყუთო, ავტორიტეტამ რომ წაიღო, არ დამჭირდაო და ჩემოდნის გაუხსნელად უკან მოიტანა.

აქ უფრო შეეპარათ ეჭვი იმ პირველზე - იმათი კაცი ხომ არ იყო?

მე ვლუქდი.

კაცმა რომ თქვას, რა უნდა გვეფიქრა, როცა ბავშვმაყ იცის, დასაბამიდან ყველაფერი ფულია! ვთქვათ, მოგინდა სიყვარული, სითბო, თავისუფლება? რაც შეიძლება, მეტი ფულია საჭირო (მნიშვნელობა არა აქვს, გუშინ თუ დღეს, გაღმა თუ გამოღმა),

და ისევე ფული! ვიცი, ნასწავლი მაქვს, დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს! ცოგა მეუჭვება. თუ ბრუნავს, თუ იძვრის საერთოდ მიწა ადგილიდან, ასე მგონია, მხოლოდ ფულით, ფულითვის, ფულის გამო... ის ჭრის, ის კერავს და, თუ საჭიროა, მხოლოდ მას ეწირება, მისთვის კვება გმირი, არაგმირი, გულდელაღიე გმირულად...

რომელი ერთი არ აღიარებს, მის უძლეველობას?!

ოღონდ ფული თქვი შენ და, ვინ და რა რჯულისაც უნდა იყოს, შენია! უკაცრავლი პასუხია და, თუ სურვილი გაქვს, უბოდიშოდ დაითრევე, ვინც ვინდა და რა პოზაში გინდა!...

ასე იყო მაშინ.

ასეა ახლა.

ხვალაც ეს იქნება!

*

დაერწმუნდი, საკუთარი თავის პოვნა და დამკვიდრება ურთულესი პროცესია.

მართონიაო ეს ქვეყანა!

შეიძლება ასეც არის, ანუ ვისთვის რა არის, ვისთვის რა!

უფრო: არიფების ღოღი მგონია მე.

ლოდე: ხალისიანი, ჭრელი... საეშმაკო-სა-ფთერთაკო, მიგმაგიან-მინშილიანი, ბითური...

ლოდე: ვინ საით გარბის და ვინ საით. ხშირად ერთმანეთის საპირისპიროდ: თავ-ქედ მოგლეჯილები, გალაღებულები, გაბოროტებულები, საწყლები. ფინში მაინც ერთია, ერთადერთი. ოთხი გაჩორკილი ფეიპერი ამდენივე ყაზილარის ჯანითო, როგორც იროდი ბიძია იცოდა. ამას შეგუებულები ვართ და არცა ვართ.

მახსოვს, ჯერ კიდევ მაშინ, საბრალო ჭოლო თუ ჭინჭა რომ ვიყავი, ერთ სადავო საკითხზე ჩემი აზრი ხმაშაღლა გამოვთქვი ახლობლებში, - ასე და ასეა საქმე და თავი დაანებეთ უკანალის თამაშს-მეთქი; ყველა პირდაღებული მომაჩერდა.

ხო, თუ რამე ისეთი ვიგეოდი, რაც ჭკუასთან ახლოს იყო, უმად ვეკითხე შემომხედავენ, თითქოს დაუკრეფავში გადაეჭრილიყავ, ვინმეს წილში ჩავდგომოდი ან, უბრალოდ გავტოლებოდი.

აი, ნიფხის ამარა რომ გამერბინა ქუჩაში ან გაფრენილ ჩიგს გამოკვილებოდი მოსატაგ-დ, ეს მოსწონდათ, ღამის ყიფინით შემგებებოდნენ გასამხნეველად.

პა-რი-ლონ!.. დრო იყო, არც ამეებზე დამიხევია უკან. ისე, როცა ერთ-ორ ღაღ, გულმოსაფხანს იტყვი ან მოიმოქმედებ და, რაც მთავარია, „ხალხს“ ხელში აიყვან, უნდა ეცადო, რაიმე ჭკვიანურიც გამოურო, თორემ მთლა სულელი და სოფლის გიჟი აღარავის უნდა. ჩემი გამოცდილებიდან ვაზბობ, ცხადია, და კარგადაც მაქვს დამუღამებული. რა თქმა უნდა, ესეც ცხოვერბამ მასწავლა, ნაირფერმა მართონმა, მაგრამ ისეთი ვინმეც მახსოვს, ვინც მართლა სხვა იყო, ერთი შეხედვით, ჩვენ არ გვგავდა და გვგავდა კიდეც... არადა, თავისთვის იყო, თავისებურად გლახობდა, არ მონაწილეობდა ამ საერთოსახალხო ჯირითში.

აი, თავისებური კლიენტი სწორედ მას ეთქმოდა!

განით ჩემსავით პაგარას, სუსტს, ჩიტივით მსუბუქს, ეგყობა, გული ჰქონდა დიდი, ცარიელი გული და ფიცი იყო ისეთი, ამ ჩია კაცის სხეულში ვულკანი ბუღობსო, გათქმევიზება. აუ, ნიჭი ჰქონდა, ნულარ იტყვი! ლექსებს, რო იტყვიან, აბედივით აკვევებადა, აბედივით - იქვე, მოსწრებულად, ალადაც, გულს გააოვიზინებდა და სულსაც. ნამდვილი პოეტიყო, მაგრამ... დინჯად, შემფასებლურად ასკენდა ყველა, ლექსის მცოდნე, მოყვარული თუ უეფი. ისე, მგრისას, გამოუსწორებელი ლოთი იყო, მოწამლული ენის პატრონი, უკმეხი, თავნება, მის სიახლოვეს დიდხანს ვერ გაძლებდი, ნერვებს უცილობდა აგიფთქებდა. ყველაფერს პატიობდნენ, განსაკუთრებით ღოსკა ვორსაღები. რაღაც სასწავლი მწო და ნიჭი ჰქონდა ქეიფის აგდებისა, აჩენისა, გამოქქევისა და დაბლურა ლოთებსაც მეტი რა უნდოდათ, ჯგროდ დასდევენენ კულში, იოლად გადიოდნენ მისი ყნოსვისა და ენამახვილობის ხარჯზე.

პირველად რომ გამაჩნეს, არ მომეწონა, ლუკმას მართემეს-მეთქი პირიდან და დავიბოღმე, კონკურენტად ჩავთვალე, მაგრამ მერე, ცოგა მოგვიანებით მივხედი, პირიქით იყო ყველაფერი. მე ვისთვისაც ვმახსრობდი, ყელზე ბაწარს ვიბამდი, ფინია ძალდივით ეწკაეწკაეებდა, სწორედ მათ აბითურებდა იგი და საკმაოდ მწარედაც.

ჰო, ასე იყო, ერთი-ორჯერ გული მეც მომფხანა, მაგრამ მაინც ვერ შეეწვევით ერთმანეთს. სიკვდილის წინ ან ცოგა აღრე, არ მახსოვს, რატომ, თქვა: ჭიჭე, ჯიბია, ყველაფერი წარმაებალია, მარადისობისკენ

მგერა მხოლოდ გიყვება და პოეტებს აქვთ მიმართული; ჩამიქირქილა, გამომწვევად შემომხვდა, თავისებურად მომწვა. პო, ვერ ვისსენებ, რისი თქმა უნდოდა, თუმცა, რაღაცაში რომ იყო საქმე, მიხვდი და გავლიზიანიდი. ტოჩის ვუთხარი, მაკვარანცი კი არა, კაი მაშაძალი ვინმეა ეს შენი არილა (რომ დაგცინოდა ყველას, ვერ შეგებდე), ვეღარ ამჩნევ-მეთქი? უცებ ვერც კი მიხვდა, მერე ეს პოეტია, მშაო-ო, იზნაირად მომიგო, თითქოს სიტყვა „პოეტის“ გულისგულში ასი სხვადასხვა სიტყვა იყო ტყვიებითი ჩაწყობილ-ჩაწყვიციკებული, ვთქვათ: თავისუფლება, ნაღმი, ბავშვი ან სულად ჩიტი და ვაგერმუდი.

მისი სიკვდილი მეორე დღეს გავიგე. ვილაგამ ბირეაზე, - არილა მომკვდარაო. ვინ არილა-მეთქი? არილა ერთია, მშაო!

გამინაწყენდა ტიპი! მიხვდი, პოეტზე იყო საუბარი და გული მომეწურა... თუმცა, რაგომ ერთი, სხვა არილაყ გვეყვება ქალაქში.

დასაუფლავების დღეს ტოჩიმ გამომიარა სახლში. ვერ ვიყავი გუნებაზე, რაღაც მაწუხებდა, რა, არ ვიცი. ისე, ამინდიც უკმური იყო, წვიმას თოვლს ურევდა და ფეხი ავითრეც. ტოჩის გაუკვირდა. მუცლის ტკივილი მოვიმიღებე, მოვისაწყლე თავი და არ ჩამცივიბი, წავიდა.

აი, აქ, ჩემო ბატონო, თავი მინდა შეგასხენით.

გაბისენებთ, ალბათ, ამ ათიოდე წლის წინათ ტოჩის სტუმრობდით ჩვენ ქალაქში. „ჩვენს“ ვამბობ, თორემ, ხომ ვიცი, თქვენიც იყო და არის; თუკი ვინმეა ქალაქელი, ერთი თქვენცა ხართ. იმისი თქმა მინდა, ორ-სამჯერ ღაზათიანად მოვიღბინეთ, „ლეწეში“, „ნიავიში“, „ოდიში“, მღვამეც ვიყავით სათუფხაოდ. არა მგონია, ეს რომ დაგვიწყნოდათ. პირველსავე დღეს, „ლეწედან“ რომ გამოვედით, მაცხოვრის კარის სასაფლაოზე ასვლა მოინდომეთ. რა დიდი ამბავი ეს იყო, ავაგესთ პურ-მარილით მანქანის საბარგული და წავედით.

ეკლესიის უკან, ფერდობზე, მათეულბადით შემოკაგებულ ღარიბულ სასაფლაოს მივადექით.

მაშინ მიხვდი, ვის საფლაოზე ვიყავით. ტოჩიმ კარის მოძღვარს უხმო. სუფრას რომ ვმლიდი, შევნიშნე: მომცრო, ბუნებრივი ქვა ღამაში წარწერთ.

მინდერის ყვავილების რამდენიმე დამტკნარი ღერიც იღო ქვაზე.

თქვენი სიტყვები ახლაც მახსოვს. სამი რამ ამწვევებს ქალაქს: სალოცავი, მუშუეში და პოეტის საფლავიო. ბედნიერი ვარ, რომ ჩემ ქალაქს პოეტის საფლავი გაუჩნდაო, თქვით, წვეთი გადაუქციეთ არჩილას, დალიეთ და რაგომდაც შე გაღმომაწოლეთ ცარიელი ჭიქა.

პოეტობა თუ ლითობაა, უფრო დამსახურებულები გვეყვანან ქალაქში-თქო, ვეღარ დავიჯერე, მაგრამ რას გაგებდავად, ჩავიდულეხურ რაღაც ჩემებურად და დაელიც.

ცხრა აბრილი შევახსენებთ. ჩვენ, პროვინციელები, გვიან ვიგებთ ყველაფერს, თუმცა, დაშუთახნებით, ჩვენთვისაც არანაკლებ გრაგიკული იყო ის დღე. მართალია, იმ დღეს ჩვენს ქალაქში სისხლი არ დაღვრიდა, მაგრამ რამ გაგვეყო - დედაქალაქი ხომ ერთია, ერთადერთი, უცუკელი და უმანკო გოგო-მიჭების სისხლი, თბილისის დაღარულ, დალილ, ბებერ ტანს რომ აცხია, ყველასია, თითოეული ქართველის და, თუ რამე გაგვებება, მწამს, რომ მაშინ, იმ უძიამესსა და ამაღლებულ დღეებში მაინც, სულ სხვა საქართველოში ვეხოვრობდით!

ცხრა აბრილი ჩვენს გვექონდა! კითხვას წინ მჯღომარე, გამაფრთხილებელი აქცია იყო, სულ უბრალო ლომუნგით: წადი, რუსო, შინო! ვინ იყო წამსვლელი! ჩვენც რა, ჩვენსას არ ვიშლიდით, ლეიბებზე ვიყავით წამოგორებული... რაც მთავარია, ხალხი „აყვანილი“ გვეყვება, ერთი ურდო, და გაამრებეულად, მეთოდურად ვმართავდით.

ილიაა, ბაიბურში არა ვართ. უცებ თავს „ღუბინკებით“ შევიარაღებული მიდიცია დაგვესხა და დაგვაწოკა, კინწისკერით წამოგეყარეს. დიდი ხანია, ასე გაცოფებული არ მენახა „ფიფოს“ ეს მოხელე, თახსირი გომიები... ამით გაგისწორებ ტვინსო, მომბლაოდა ამირპილებული მირდიკო - სუპერ-საექსპორტო ტიპი. სად არ ვახოხიალე „ღუბინკით“, რას დამიჭერდა!

დადიანების ბაღისკენ მოვუსვი. იქ არავინ იყო.

უკან, სასაფლაოსკენ გავედი. პოეტის საფლავს ვაგებდე.

საფლავთან გოგონა იღვა, ასე, თორმეტცამეტი წლისა, და, ამ უთენია რამ მოიყვანა აქ-მეთქი, დაინტერესდი.

მათეულბადის ბეგონის ბორღიურზე იჯდა

იდაყვებით მუხლებზე დაყრდნობილი, გარინდული, და მომეჩვენა: სანთლის ორი კოხტა სვეტი - ფეხები - სილაში კი არა, ფეხების ორმოში ედგა და ბელურასავით მოწყენილს ბელურების აყვივებული გუნდი დახვეოდა...

თითქოს აღრე მენახა ეს სურათი, წიგნი მენახა ნახატივით (საფლავის ქვა; სველიანი გოგო; ჩიგები...) და იმდენად გამიხარდა, წელანდელი წყენა გადამაიწყდა.

უფრო ახლოს მივიწიე, დაეინტერესდი. ვუყურებ... საკუთარი სუნთქვა მესმის, გული აბრუნების ცემა და ალვიგზნე... გოგონა შეირხა...

რადაც ძაფი გაწყდა... პატარა, შავი ხელჩანთა გახსნა, კალამი და საწერი ქაღალდი ამოიღო, - მუხლმუდლებულ ჩანთაზე დაიფინა.

დამიხედეთ, ლექსა წერს?!
კარგი ხართ, ქალიშვილო!

ხედავთ, რა იცის პოეტის საფლავმა? განწყობას ვიქმნის სიმარტოვისთვის, ფიქრისთვის, ლექსისთვის... ოღონდ სისხამი დილა უნდა იყოს, თან ჩიგყ უნდა გწყალობდეს და ცაზე ღრუბელიც...

უჩვეულოდ აემსუბუქედი, აემჩაგდი და, არ დაგაფრთხილ-მითქი, ხეს ამოვეფარე.

წერას რომ მიორჩა, ოთხად გაკეცა ნაწერი, პირჯვარი გადაიწერა, მიმოიხედა აქეთ-იქით ფრთხილად, შერე საფლავის ქვის ქვეშ ქაღალდი შეაცურა და სწრაფად დატოვა იქაურობა.

თვალს რომ მიეფარა, შევედი. ჩიგები დაფრთხინენ, გაფრინდნენ... მეწყინა.

ვითომ ჩიგებმა ითაკილეს? ვერ გამიგეს ნაღად... კმ, ჩიგმა რა იცის, რა საინტერესო იყო ის ქაღალდის ნაგლეჯი ჩემთვის და გული დამწყდა.

გამოვიდე... კმ, სამად სამი სიგყვა შემჩნხ, მოგყევი: „ხვალ, თორმეტზე, საყვარელო“ ეწერა. მაინც სასიამოვნოდ გამიცრა ტანში.

- ჭიჭე!
მოძღვარი იყო.

წერილი ჯიბეში ჩავიკუჭე და თითქმის სირბილით მივედი.

ვისმენტო, მამაო.
ვიცი, ასეა წესი, მაგრამ მიჭირს. ვიტყვი, „მამაო“ და, ვგრძნობ, ლოყები რომ ამეფაკლება.

- იცი, ჭიჭე, რა მოხდა?

ასეთი შემოთქმული არასოდეს მენახა.
- როგორ არა...

თავს თამამად ეუქნე.

მამს დედაქალაქში დატრიალებულ უბედურებაზე არაფერი ვიცოდი, ჩვენი ამდილანდელი დარბევა ვიგულისხმე და: რა გასაკვირი ეს არის, უფრო უარესიც გვინახავს თქო, გავიფიქრე.

- შერე!
ხმა გატებარა, დიდხანს მიყურა სასოწარკვეთილმა.

უეყურებდი და ველარ ეცნობდი. თითქოს დაპატარავებულხყო... კისრის დამალვა თუ უნდაო, თავი მხრებშია ჩაპკარავილა ანაფორის სახელოებში შეყოფილი ხელებით. მიღად გამოვეშვერიდი.

ის კიდევ მომხრებია. როცა საგულისხმო ვერაფერი შემაგყო, იქვე, ვიდაცის საფლავის ლოდზე მოწყვევით დაეშვა, თავი ჩაპკიდა, მხრები აუცაცხადა, აგორდა.

არადა, მაგარი ვინმე იყო. მის თვალებზე, ცრემლი რაა, ნამი არ გაიციალებდა. ქიციე იცოდა და ქიციეცურეც. ერთ დროს ძველი-ჭობდა თურმე. რა მისი მუშტი მოგხვედრია, რა ქვაო, ახლაც ამბობდნენ. მიუხედავად ასაკისა, ხელად დაემკაცდილი. კეთილი იყო, სულ შენზე ზრუნავდა, შენ არ მოგაწყენდა არასოდეს, განსაკუთრებით, ქეიფისას, როცა ანაფორას გაიხდიდა და მკლავებს დარდიმანდულად გამოიდა. დიდ პატივს სცემდა გონი. მისი კურთხევის გარეშე საპროტესტო აქციას კი არა, პურს არ ვჭამდი.

შარშანწინ, ზამთრის მიწურულს, გახზე სანადიროდ გვყავდა გაჩიანში. უკ, მლაპრული ღრო ვატარო.

- გონის გადაეცი, ცოტა ხანს ნუ გამოჩნდება აქ, სხვის უბედურებაში ნუ გამხვევს, ჩემიც მეყოფა...

წამოდგა, კაბის სახელოთი თვალები ამოიწმინდა და ეკლესიისკენ მივრალივით წაბარბაცდა.

ვერც ახლად გავივე ვერაფერი.
უკან გამოვბრუნდი.

დახე, პოეტის საფლავთან სხვა ვინმეა, ყმაწვილი ბიჭი.

ნაცნობი სხვ აქვს. ერთხელ სამომშილოდაც იჯდა, მგონი, რაიკომის შენობის წინ, მაგრამ სახელს ვერ ვიხსენებ.

საფლავის ქვას უტრიალებს.

შემამჩნია. გამომხედა, თითქოს რაღაცის კითხვა უნდა და ვერ ბუდავს.

მივხვდი, გოგონას წერილს რომ ეძებდა. გავშრი. ჯიბეც აპეწვა... რა მექნა, არ ვიცოდა.

ჩემი მაშინდელი საქციელი სხვა დროსაც გამსხნებია და ლოლად დამწოლია გულზე. არა, ახალგაზრდა გოგო-ბიჭების მეტი რა მინახავს სასაფლაოზე, მაგრამ წერილს რომ უგოვებდნენ იქ ერთმანეთს, საფლავის უბრალო ქვა საშუაბავლო რომ ყოფილა შეყვარებულთათვის, ვერ წარმოვიდგენდი. კმ, ეს რაღაც აღმოჩენა იყო!

მაშინ კი ვირწმუნე პოეტის...

თქვენი სიტყვებიც გამახსენდა. იმ აზრს ჩაეწვდა, ჩემო ბაკონო, რაგომ და რისთვის არის პოეტის საფლავი ქალაქისთვის საჭირო. იმაშიც დაერწმუნდი, პოეტები ყველაზე მეტად შეყვარებულებსა და ჩივებს უყვართ. და რაც უნდა ჭრელი, სიაბანდი, ვერაგი იყოს სამყარო, შეყვარებულებს ჩივებივით თავისი უფლებები აქვთ; ცაშიც და მიწაზეც!

*

ის უნდა მოსულიყო გუშინ, გუშინწინ, უფრო ადრეც; ამ თვეში, იმ თვეში, შარშანდელ გამაფხულზეც...

ეს არ იყო ჩვეულებრივი ლოდინი.

ასე არამიწივრის, სასწაულმოქმედის სასწაულს ელიან!

ასე იცოდნენ... ასეთი სიჯიუტით ელოდნენ, ალბათ, იმ დროს, ათასწლეულების მიღმა უძველესი, წარმართი კოლხები, შიხსქეროდნენ ცას მოთმინებით, ცალ მიიწვედა სიყვარული მშობსა და შვიარისა...

ფრინველებგამოსახული პურის კეკრებით ხმოდნენ წვიმას...

ლოცვაში, სიამის ტანჯვაში იყვნენ და ისიც მოდიოდა დამსახურებულად, წყალობად; ჟოვდებოდა გვალებით დამსკდარ-დამაშურული მარჩენალი მიწა.

იღგნენ და ელოდნენ, ოლონდ წვიმას არა...

წვიმაზე მეტად, უწვიმოდ ხმოდნენ გამაფხულს... თავისუფლების გამაფხულზე მღეროდა, ხან გუგულებით უწყინრად და მოთმინებით ოცნებობდა, ხან ზღავილით იკლებდა მოედანს ერთ დიდმუშტადშეკრული ძალაჯგრო...

მზე მაღლა იყო.

მზე მსუბუქად აცხუნებდა, მსუბუქად კბენდა ხალხმრავალ მოედანს.

მზე - გასაძლისად ზომიერი ლოდინისათვის, მოსვლისათვის, მომსვლელისათვის.

ის კი - მომსვლელი - არა და არ ჩანდა. ადრე მონივანზე, საყოველთაო-სახალხო მიტინგობიანადვე, პროლეტარიატის ბელადის ძეგლი იდგა.

შარშან თუ შარშანწინ ჩამოვაგდეო. თავით დაფუშვით დაბლა. ბეკონს, თვითმურხანის ასაფრენი ზოლივით მაგარს, მილიტერებში აცდა, რბილად და ღრმად ჩაერჭო ერგაზე ყვავილნარში. ძლივს ამოვართივით, ბუქსირი დაგვეჭრდა. საოცარი ის იყო, პოსტამენტის მარმარილოს ფილა, ფეხი რომ ედგა მელ „ბელადს“, თითქოს ცოცხა აკლდა ამ სიაბანდს, საფლავის ქვა აღმოჩნდა. ჩე წლის (რაღაც ანაღვეარი) არისო, გაპკილდა ჯიშურ უკუში, ბიბლიოთეკების გამგე, კიდევმ-შემოჭმული წიგნების თვალდახუჭული მცოდნე და ჭია. კვირობდით, თუმცა უ-ჩეწ-ოდაც შეაგვობდი, ძველი და საფლავისა რომ იყო.

მალღობა ღმერთს, „ბელადი“ აღარ არის, „კამაზის“ მძღოლმა წაიღო, გამომადგებო; არ უთქვამს, რაში. მოგვხსენებათ, არც ის შთავირობაა, გადავაცირავეთ იმ ძეგლივით, სამაგიეროდ, გრბიუნა ცოცხალი, ფართო აივნით, მაგზოლეუმის სტილში, და ვიყენებთ.

ჩვენია, ჩვენ ვდგავართ დღეს.

მართალია, სულ ის ხალხი ვართ, ერთი და იგივე სახეები... თუ ვიცვლებით, კანტიკუნტად, მით უფრო, ამ ბოლო დროს.

დრო იყო, ყველა ერთად დოქვით, დღევანდელი პოზიცია-ოპოზიცია, ვერ ვეგოლით ლიდერები გრბიუნაზე და მის გაგანიერებაზე ფიქრობდით, განსაკუთრებით, ცხრა აპრილის შემდეგ, სამა-ოთხი თვე, შეიძლება ცოტა მეტიც. ეროვნულს ვაწვებოლით მდგერად, ალაღად, გულბოყვით... გეწამდა, ჩვენი რომ იყო ქვეყანა და არ ვითბობდი, მის კეთილდღეობაზე ვოცნებობდი.

ისე, ნუ იგყვი და, ვინ არ იყო, ვინ არ მოძერებოდა ზემოთ, გრბიუნისკენ. მხდალი და მამაცი, გონიერი და უგუნური, უხერხემლო ინტელიგენტი და გაბოზებული ქურდი. სხვა ათასი ნაგავი.

მაგარამ...

მაგარი ბიჭებიც ვიყავით, ძმაო, ქალაქში გამორჩეულები, მისი გულშემატკივრები, ნაღებები! ადრე საღამოს რომ არ ეგყოდნენ, პურს რო არ გატეხდნენ ზოგიერთიან, იმათ გვერდით დაზვექით კაცურად. თქვენ უფრო სწორი ხართ, სიმართლე თქვენსკენ უფრო

შეგნაო, ერთხმად ვაღიარეთ. „უფრო მეტი“ იმიტომ, ალბათ, ჯერ ცხრა აპრილი არ იყო, არ იყო ყველაფერი გარკვეული, დღემიწის ერთ მიეჭესვეს ჯერ „სამშობლოდ“ ვიფიქრობით. სწორი იყო ჩვენი არჩევანი. ის ბიჭები კი, გუშინ ავტობუსით რომ ჩამოვიდნენ ქალაქში, მხრებაწურულები რომ დადიოდნენ მის ქუჩებში, გამოსულიყვნენ გარეთ თამამად ეროვნული დროშის ქვეშ... იფიქრობდნენ, შიმშილობდნენ, ქვეყნის დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. არ იყო ეს პატარა ამბავი! სამშობლოსთვის შქონდათ თავი გადადებული და ავტორიტეტისთვის უაღვილოდ, უშნოდ ვერ იქირქილებდი. ცხრა აპრილმა ხომ მთლად „დაგებატა“, ერთ მიკროფონთან მოგვიყარა თავი ყველას!

აი, რა ძალა აქვს, ძმაო, სიმუღვილს!

წითელი ჭირის სიძულველმა ქნა ეს - გაგაერთიანა!

კიდევ:

მიკროფონის სიყვარულმა!

ღია სიყვარული იცის თურმე!

თუმცა ღღისთვის ცოტა სქანაირადაა.

იმ გამორჩეული ბიჭებიდან ბევრი არაა ქალაქში, ბევრიც არის, მაგრამ არ ჩნდება, რაც მაინცდამაინც არ მომწონს. ვერ ვიტყვი, ძეული, მითაყამინდალი სახე დაგვიბრუნდა ან უფრო გამოვიჯაგეთ, გამოვიწერთინით და ერთობა უკვე ხელს გვიშლის, ხერხებსაც, მაგრამ ცალ-ცალკე, ჯგროვად, ჯოგებდა, ხროვა-ხროვად რომ გვაწყობს ამ ბოლო დროს, ბრმავე კი ხელავს. იმისდა მიხედვით ვართ, საით და ვისკენ გადაიხრება სასწორი!

სასწორი კი კარგი რამეა, ძმაო, სულ ეშმაკობს, სულ თითლიბაშობს, ხან აქეთ იხრება, ხან იქით...

ასეთია ცხოვრებაო!

რაცა ვართ, იმისი ალიკვალიო!

რაიმე განსხვავებულ აზრი მაქვს ამ სა-კითხზე-მეთქი, ვერ ვიტყვი.

აი, ახლა რომ ჩაიარა... მაღალი, ჭაღარა ჯაკი, ჩრდილს რო ეძებს, ჩრდილივით როა... უხეპკრეფილი, დასახინრებული ღანდივით... რაც მახსოვს, მშის მუქი სათვალე უკეთია. ჩემკენ იყურება და არ მაშჩნევს. გგონია, არ ვიცი, რატომ არ უნდა, შემაშჩნიოს? გარე-გარე დაძვრება ეს ქაჯი, გრიბუნას ვერ გა-ეკარება. რას ერჩი, თავის ხელობას კი დაუბრუნდა იძულებით. მუსიკოსია, პანაშვიდ-ებზე გარმონს უკრავს ხოლმე. არადა, რა ყინხად იღვა ადრე იქ, მემოთ, გრიბუნამე:

დე ფაქტო, დე იურეო. იცოდა თქმა. თუმცა ახლაც არ ვიცი, რას ნიშნავს, მუსიკალური გერმინი თუა? ცხრა აპრილის ფული შეჭამა, წარმოუდგენლად დიდი თანხა მოლუნა და, ჯერ პარტიიდან გარიცხეს რომელიდაციდან, ერთივე მიბეგვეს ხოშინანად, კაი ხანს ვერ გამოლიოდა გარეთ დაბინგული და, რაც მთავარია, გაორმაგებული თანხა დააყაჭინეს თურმე.

მოუხდება. ჩემსოფელელია და მისი ჩათლ-ახმაესტრობა სხვაზე უკეთ ვიცი. არც კი მახსოვს, ჯერ კიდევ სოფელში ვიყავი თუ აქ შევიტყვევ, რაც ჩაიდანა, რისთვის გა-მოაპანდურეს იქიდან. გერი, გასათხოვრად გაპიწკინებული გოგო უხმარია სიმთე-რალეში. სიძემ არ ჭამა, ქალიშვილი არ იყო, უკან მოუბრუნა ოჯახს. ამან, ამ გვე-ლაძემ დაძმუპაო, შუალო თუ არა ჭიმუკარი, აწიელდა სასოწარკვეთილი გოგო. რა ექნა, არაფერი მახსოვსო, შეწუხებულა ეს ახვარი. მაშინაც, სხვებისგან გამორჩევიო, მშის მუქი სათვალე ვეთო ამ პედერასკსო, ახლაც გულს ურევდა მოგიერთ ნაცნობს მისი ვითომ ელევანტური სიფათი. ცემა-გყვიით ვაივდეს თურმე შემობლებმა სოფლის ბოლომდე. მას მერე ვერ ჩადის, იქაური როა, მაღავს. არ ვიცი, ამაზე, არ ვიცი, სხვა რამეზე, იჯლა კიდევ იყო წელი. შპ, მერე რა, ნაჯდომობა ადრე იყო ცული, დღეს პირიქითაა, - ნაცი-ხარი თუ არა ხარ, კაპიკია შენი ფასი ერო-ვნულ მოძრაობაში. არა, პოლიტიკურზე ვიჯ-ექიო, ამდენს ვერ ბედავს ეს ნაგვის გროვა, მაგრამ ჩამიწყვესო, ხშირად იმეორებს და ვიღაც-ვიღაცებს აჯერებს კიდევ.

მოუკვდა პატრონი!

...წახვლა მომინდება - მოდისო, აშრიალ-დება მოვლანი.

ის მოგვეყენა თავისუფლებას!

ის მოგვეყენა პურს!

ის შეგვემოსავს!

ის ჩვენი მშვაო, მესმის მჭახე, ყრუ, მოყლა-რუნე ხმები.

არადა,

მზე არის,

მზე პირს იბანს მოგჯერ.

მთვარე ამოდის,

წვიმა მოდის,

თოელი იყო,

კიდევ იქნება.

ის კი არ ჩანს.

არადა,

ძველი ყველასათვის

ვინც აქ ღვას, მხოლოდ მას ელოდება, სხვას არავის!

ამითი ოპტიმიზმი აგწვეს ჭკუიდან, მაგრამ, რად გინდა, ვიცი უნდა იყო, აღრინდელი ჭინჭა მაინც, ხმამაღლა რომ თქვა.

სხვა მომსვლელები არ აკლია მოედანს. მნათობები ვართო!

მშვეტა ვართო!

მსაჯულებიცო!

მხსნელებიცო!

არა და არაო, ასფალტს შრიალი შეუღე-
ება.

და, მიდიან...

და, მოდიან...

მათ მიმართ მოედანი მამაცია და უეცო, თავისებურად უმიშარიცა და მართალიც.

სწამთ, რომ სხვას, ვინც უნდა იყოს, აღთქმული ქვეყნისკენ ნანატრი გზით წაყვანა არ შეუძლია. არც იმედის „ეკეთება“ შეუძლია, არც მშვესავით ბარჩხალი და წვიმის მოყვანა.

მხოლოდ ის და... სხვა არავინ!

ასე სჯერათ!

და აქ, ამ მშის ქვეშ, ამ ქვაფენილზე ელოდებიან მას ჯიუტად, მოთმინებით, გამძაფრებით და, თუ საჭირო იქნება, უფრო მეტხანს - კიდევ ერთი გრძელი საუკუნე დაელოდებიან!

ასეთი იყო მოედანი.

მოედანი აბობოქრებული მღვთა!
მხოლოდ აქა ღვას საქართველო, მეტი არსადაო, ყვიროდნენ, სხვებსაც ასე მოუწო-
ლებდნენ.

აქ დგომა დიდი პატივია, მაგრამ, რა ჩვენი ბრალა, ამდენი პატივი თუ არ აღმოგ-
ვაჩნდაო, წუხდნენ ვითომ არამოდუნელები.

მართლაც, ერთი შეხედვით გაუგებარი და უცნაურიც იყო!

ეს აღვადი ვისთვის ქაჯებით დასახლე-
ბული უღაბური კუნძული იყო, ვისთვის -
სამყაროს ჭიბი - განუსაზღვრელი ენერჯის, იდეების, სიყვარულის მაგარებული. ვიდაცას
სჯეროდა, ამის იქით არაფერიაო, ვიდაცას:
იქ არაფერიაო!

მოედანი ერთი და იმავე ხალხისთვის იყო, ქალაქი კი ცალკე, უმოედნოდ - არა-
ვისთვის!

ეს რომ კარგი არ იყო, მოედნელები გრძნობდნენ. უფრო მუსტად, იმათ იცოდნენ, ვისაც უნდა სცოდნოდა ეს და თავიდანვე
ჰქონდათ თადარიგი დაჭერილი.

ყოველ დღით, სისხამზე, მეგაფონის ხმა

დაძრწოდა ქალაქში, თავისუფლებისა და ერთიანობის სახელით ყველა კუთხე-კუნჭუ-
ლში მიძვირებდა:

დღეს თუ არა, ხვალ უსათუოდ ჩამო-
ბრძანდება მამა-ბატონი! დღეს-ხვალ ამობრ-
წყინდება ერის მზე, ქვეყანა რომ გასწორდეს
და ქედზე კაიბა საჭიროო!

არ შეელოდა მეგაფონის ხმა. ვისაც სჯე-
როდა სასწაულის, ვინც გონება-ანთებული
იყო, ისედაც აქ იყო, როგორც ერთგულება,
როგორც ქრონიკული მოედნელი მოლო-
დინში ათენ-აღამებდა, ხოლო ის, ვინც არ
იყო - არ იყო; ისევე ის და იმდენი იღვა,
როგორც გუშინ, გუშინწინ და უფრო ადრე!

მაგრამ...

მოხდა საოცრება.

ის დღე დადგა.

რომც ელოდნენ და არც ელოდნენ, მარტო
იმედიდა რომ ბუტყავდა, სწორედ მაშინ გამ-
ოჩნდა იგი.

ერთიც (მოედანი) და მეორეც (სტუმარი)
დიდებული სანახავი იყო, დღესასწაულზე
მეტი - შობის დღესასვით!

წვერმოშვებულ სახეთა შორის, შინდის-
ფერი დროშების გყეში, მათ ფიცხსა და
მკაცრ ტაკუნში იელეება დაწაგრული პატ-
რონის ქრისტეს პერანგივით ქათქათა გვი-
რგვინოსანნი თმა-ჭაღარა...

სვლა დიდხანს, ნელი კადრებივით გაგრძე-
ლდა ორბადგაყოფილი და ძლივს, ცოცხალი
კედლით შეკავებული ბრბოს აღტკინებულ
გულში, მის სიღრმეში... მევიტ, ყვაილელებით
მორთული ტრიბუნისკენ მიიწვედა პატრონი
მხლებლებითურთ...

მიდიოდა მსუბუქად... თვალადი; სიარუ-
ლით, ფერით, სიმაღლით გამორჩეულ... ოდ-
ნავ წახრილ, წაწურულ მხრებზე ღამამა,
კოხტა თავი ეღვა.

ორივე ხელი შეაწია...

ისე აღიღდა, აბობოქრდა მოედანი, მიწას
მანზარი შეუღვა.

გვაულოვა. მარცხენა ხელი კეთილად,
დიდსულოვნად ჩამოიღო, მარჯვენა პაერში
გაამეშა.

ამაყი და უტეხი მშვერა ჰქონდა.

ხალხო და ჯარო-ჯამაათო, დაიწყო...

ხმა თივადი წერილი, წკრილა იყო, მე-
რე რომ მოდიდა, ამვირთდა და ფოლად-
ივით მტკივე და მქუხარე ვახდა...

და ის ლაპარაკობდა დიდხანს.

აუ, ნამძვლი ქარიშხალი ამოავლო!

იმასაც მივხვდი, როგორ მოსწონდა ოღნავე შეყოვნება... სიტყვას ტაში რომ ცელიდა, ტაშს - დიდი, თავდადრეკილი, საძარი-სებური სიჩუმე.

უცნაური რამ ხლებოდა მოედანზე, ჩემ-შიც...

მე, ჭიჭემ, სრულიად ურწმუნო სეპატიკო-სმა თავზე ის დღე ჩემად აღვიქვე; ჩემი და მხოლოდ ჩემთვის იყო ეს დიდებული სპექტა-კლი, მოწილედ არავინ მიხლოდა, არც შეა-ვლა!

აქ, მოედანზე ვიდექი და სხვა არსად! ბედნიერება! - გავიფიქრე მე, - როცა ასე გამოგარჩევს შენი ხალხი, შენი ქვეყანა... - ჭიჭემ!

ცივად მომხვდა ყურს, საკუთარმა სახელმა შემამშოთა, უკან უხეშად მომხვდა.

აგრონიტეტა. მიყურებს, მშობავს და, არ ვიცი, რატომ, თვალს ვეღარ ვუსწორებ.

- თავისუფლებასა და სექსს ერთი დიდი საერთო აქვს - ორივეთი შეიძლება ტკობა, ჩემო ჯიბა.

✓ თქვა და შებრუნდა.

მიდის.

მშორდება...

გავცოფდი.

აუ, ძლივს შევიკავე თავი. ერთი სული მქონდა, ტყვიან კუთხეში მიმეჭვდებინა.

ტრიბუნას გავხვდი.

ცა მოწმენდილი იყო. ცა შარავანდედით აღვა თავზე პატრონის და ცუდად შენიშნა ეს, არ გამლხვავლიყო ამ გაფარებრებულ სითუთრეში უცაბუდად.

ამ დროს, ამ შენიგზე უფრო ახლოა სიკ-ვილიც, - შეწყვეტილი ფიქრი გამიგრძელდა, - შეიძლება, აქ, აღტკინებულ მოედანზეც კია ჩასაფრებული და არამარტო ერთგან... მას მერე მოედნის ყოველი აღმაფრენა მკლავდა, სიტყვება გაჩენილი სიჩუმის წაში კი სასაფლავის მღუმარებად მხვლებოდა გუ-ლზე.

დამჭნარი გვირგვინის სუნიც დატრი-აღდა...

მაინც რატომ ანხონა ქრისტიმ ავაზაკი? მჰ, ხშირად ასეთი უაზრობაც ამეკვიტება.

ტონი დაეინახე.

ტონი, რა თქმა უნდა, პატრონის გვერდით იდგა ტრიბუნაზე. მხარს მხოლოდ მას უს-წორებდა.

რადაც ცუდის მოლოდინში დავიძაბე.

შემისგან შემაცავა.

მერე შორს იყო მოედანი.

ყველაფერი შორს იყო...

*

არ ვიცი, ვის რა აღებინეს კალამს.

ღაერწმუნდი, წერის პროცესი დიდ სული-ერ განჯავსთან ერთად დიდ სიამოვნებასა და შეებას ანიჭებს კაცს. ამიგომ მეექვსება, აღრესატი ჰყავდეს ამ პროცესს. და მაინც, თუ ვინმემ მინდა ნახოს ეს ხელნაწერები, უპირველესად თქვენ, ჩემო ბატონო! მოგკი-დებ თუ არა კალამს ხელს, სიტყვასთან ერ-თად ფიქრიც დამისკუპდება - ძერას რომ ვეღარ უშამ! - როგორ შეხვდებით ჩემ ნაჯაბნს! ეს არამარტო ნაცნობობამ, უფრო მეტად იმან განაპირობა, ამ ბოლო დროს თქვენი წიგნი ჩამივარდა ხელში, ათილდე წლის წინათ დაწერილი, ჩვენს ქალაქს რომ ეხება, და ისე გამიბატა, ერთ დამეში მოე-გულდე. ბევრი ისეთი რამ შენიშნა, გაოგნე-ული ვიყავი მთელი დღე, რაღაცნაირად მტკი-ვნეული და უბრალო, უცნაურად კარგი და გულშემეკუპშეული იყო ყველაფერი. თითქოს ჩემიც იყო, ჩემს სულში იჯექით და... მაფ-ორიაქება, მომწონდა. მას მერე ვეჭვობ, თქვენი ნაფიქრ-ნაღვაწის გამოძახილი ხომ არაა ეს ჩემი განჯავ, როგორც მეშოთაც გითხარით, სიამოვნებასთან წილნაყარი...

იმ დღეს, მოედნიდან რომ გამოვიპარე, შტაბის წინ მოგკარით თვალი და შეეცბი; მანქანა მოშორებით გაეაჩერე.

პატიმრები ქუჩას ხევეტდნენ...

სალამოს ჩრდილებითი მანტად, უგერგი-ლოდ ირწოტდნენ...

უცებ თქვენ შეგინშნეთ...

განაპირებული ცოცხს ყავარჯენით ეყრდნობოდი, ოხბად იდექით ჭადრის ქვეშ. ისეთი გახევებული, განჯული, დაღეწი-ლი სახე ტკონდათ, თუ დამიჯერებთ, ასეთი პირქვეში და სევეიანი სურათი არასოდეს მინახავს. ნეტავ რას ფიქრობს-მეთქი, პირე-ვლად აშან გამკრა გულში.

რა არის ცხოვრება? - შემდგომ ამ ფიქრში დავიჭირე თავი, - ქალაქი, რომელიც შენით ამაყოფდა, გეფერებოდა, შარ-მეიმით გხვდე-ბოდა აღრე, აცურებელიყო ცაში ან ძველი, მითიური ქალაქის ნანგრევებით გაშქრალ-იყო მიწაში და შენ ახლა ის მონა-მორჩილი იყავი, რომელმაც რაღაც მშობლიური ნამსხ-ვრევეები იპოვა - შტაბისწინა პატარა სკვერი,

ძველი კველასთავის

- სამშობლო ხელახლა რომ აესხა, ქვეყანა კიდით კიდემდე რომ გადაეხვევა მეგობრის გრძელი, ხელჭოკივით ცოცხლი...

ეს შენი სალოცავი ქალაქი იყო!

ასეა! გულს ისა გკენს, ვინც გიყვარს.

არადა, რა სიყვარული ვნახე, რა სითბო...

არც სევდა აკლდა იმას, რაც იყო წიგნში, არც შენეული ირონია...

შეც ეს უკანასკნელი გამახსენდა, წიგნში რომ წერთ ერთგან: საიდანაც უნდა შემოხვიდე ამ ქალაქში, სად ან ვისთანაც მიხვდი, პირველად ფულის სუნი გცემსო!

სანტერესოა, ცოცხმე დაყრდნობილმა რა მოყნოსეთ, რა გეცნით? ნიავს რისი სუნი მოაქონდა?

გიყურებდით და ამას ვფიქრობდი.

მოსვლა დაგაბოროტე.

კიდევ კარგი, უმაღლ გადავიფიქრე.

მოგვიანებით მიხვდი, რომ დაგინდეთ.

მიუხედავად თქვენდამი დიდი პატივისცემისა, თუ დამიჯერებთ, ჩემს ერთ-ერთ გმირობად ვთვლი ამას!

აგომბატიან მეველს ვუხმე.

გახსენებთ, ალბათ, ერთი კოლოფი სიგარეტი და სანთებელა გადმოგცათ. ჩემი მანქანისკენ გამოიხედეთ, მაგრამ შე უკვე დაეპარა.

ავგორიგეტას ჭიშკართან ვარ.

ფიქრობ, ვერ გადამიწყვეტია, ჩაივლი თუ არა მანქანიდან. ერთი სული კი მაქვს, იცის თუ არა თქვენი გვეგობის ამბავი.

ვარიანტი არ არის, რა გამოეპარება!

კარგა ხანია არ ვყოფილვარ. მას მერე, კოკიმე რომ მაწყენინა.

ადრე სულ აქ ვიყავი. აივანზე დაჯდებოდით, ის „ჩუფირს“, მე უფრო სუსტს - მიუქ-მადარ ჩაის გეახლებოდი, ვმასლაათობდით განუსაზღვრელად, თავისუფლად ძველებურ, ვერცხლისბუნიკებიან სამოვარის ნელ თუხთუხში... ავგორიგეტა ჩემთვის ის კაცია, თუ ვინმე მიცნობს, ის მიცნობს, ყოველ შემთხვევაში, მათზე უფრო მეტად, ვინც ბავშვობიდან თან მახლავს და დღესაც ვემეგობარბო. ვერძნობ, ბევრს არ ესაგება გულზე ჩვენი ძმობა. ჩემ თავს ვიჭერ ხოლმე, მეც ვმაღავ, თითქოს რაიმე საიდუმლო გარიგება მქონდეს, არადა, ღმერთია მოწმე, ჩვეულებრივ, კაცურად ვცემ პატივს. ერთი-ორჯერ სიტყვა ჩამოვუგდე, რაგომ არა ღვას ჩვენთან, ეროვნულ ხელისუფლებასთან. ერთი შენცო, ხელი ამიქნია, გაგონებაც არ უნდა.

მწყინს; ვფიქრობ, დიდი დანაკლისია საერთო საქმისთვის. გონივ ამ ამრისაა, სხვებისგანაც გამიგება. ვინ არ იცის, აგორიგეტა სულ კომუნისტების ელვა კრიჭაში. ჯერ კიდევ როდის ცემა ქალაქის მილიციის უფროსი, შეურაცხყოფა არ აპატია და ცხვირ-პირი დაუღლიდა, ორი წელიც სხვა ვირის აბანო... რომ გამოვიდა, სხვა გარემო იყო უკვე და გავიხვდებოდა, ეროვნულებში პირველი თუ არა, პირველებში იქნება-თქო! გაგიგია, აქეთ გვიპირისპირდება, რას არ დადაბოს ჩვენზე, რა მიშემია, ვეღარ ვხვდები.

მახსოვს:

კოკი პოლიციის უფროსად დანიშნეს და გახარებული მოვევარდი.

რაო, ჭიჭე, კოკი დანიშნეთ შერიფადო, თვალმოწყურული, ირონიულად მეკითხება და ჩემი აცუნდრუება მეწყინა.

რაგომ?... კარგი ბიჭია კოკი, ეროვნული მოძრაობის ერთგული-თქო, ეპასუხოვ; სიტყვა „ეროვნულს“ ხაზს განგებ ვუსვამ, მეტი დამაჯერებლობისათვის იმასაც ვახსენებ: „ბეუღალის“ ძეგლი რომ გადმოვაცირავეთ, რაიკომბს შინობის სახურავზე პირველი კოკი ავარდა და საბჭოთა წითელი დროშა ფრიალ-ფრიალით გადმოუშვა იქიდან... პაგარა ამბავი კი არ იყო, ჯერ კიდევ მყარად იდგნენ კომუნისტები.

გასაგებიაო, თავს გამაღმიანებულად მიკანტურებს.

მაინც რა გინდა, თქვა-მეთქი, ვფიცობო.

არ ვიციოდ, თუ ასეთი ყოჩაღი იყო კოკი, - ვაგყობ, გლახაობის ხასიათზეა, - იქნებ ჯობდა, ქალაქის პირველ მეხანძრედ დაგენიშნათო.

ა, გაუძელი, თუ ბიჭი ხარ!

მამინ დავიფიცი, მეტჯერ არ მოვსულიყავი...

მის ჭიშკართანა ვარ; ჩაივლი თუ არა მანქანიდან, ვერ გადამიწყვეტია.

დამინახა და ჩემკენ წაბოვიდა.

მივეგებე. გული მინდა გაკატინო, ყინჩად ვუბნებო:

- შენი ძმაკაცი ვნახე... ისა, მწერალი როა. ქუჩას ახვეტინებენ. რა ეშველება ამ ამბავს?

- ვიცი. - ვითომ ვერ მიმისვდა, არაფერი შეიმჩნია, - ვერაფერს უშველი. პირიქით, მოუხდება... მე თუ მკითხავ, უფრო უარესი ეკუთვნის თქვენგან.

- რა, ვითომ არ ეკუთვნის?



უცებ გამიქრო ხალისი, თითქოს შიგნეუ-
ლო ჩამეწვივა.

- მეც ეგა ვთქვი.

შემოდო, ფართოდ მიღებს ჭიშკარს, დი-
სკულოვნად იღიმება.

გაქცევა არ გამოთმის.

ამ კაცისას ვერაფერს გაიგებ.

ჯერ იყო ღ: ეროვნული მითაგრობა დაგ-
ვეშო თავზე... ქალაქი დაგვეშო, რუსთავე-
ლი მგვრად იქცა... უბედურება ის არის,
ვინც ეს ქნა, ვისი ბრალიც იყო, ის არ გვა-
ბობოს სწორედ, მეძებარებით კვალში გვყ-
ავს... პრეზიდენტო ჩეჩნეთში იყო გახიზნული,
ფესშიშვილს, მუსლიმ ყონბაღბში წინაღობის-
ამარა ჩამჯდარს წარამარა ცხვირწინ გვი-
ტრიალებდა ხუნტის ტელევიზია, დღეს კი აქ
არის და მისთვის არაფერი! აქეთ, აფხაზეთში
ომია, მიწა ფეხქვეშ გვეილება, გვეკარგება;
ყოფა ნამდვილ საგვივე გვექცა, ეს კიდევ
ყურს არ იპარტყუნებს. დაიქცა ქვეყანა-
მეთქი, ვეუბნები. მზე ამოდის, ჩადის... ხეს
კვირტი გამოაქვს... ეს თქვენა ჭაბო ერთმა-
ნისთ და ქვეყანა დაიქცაო, მაგყუებითო. შენ
მაინც შენსას ერეკება, ძმაო, ვერ ვითმენ.
დღეს ის დროა, სულელად ყოფნა გერჩიოს
ამათთან ღგომასო, ერთსა და იმავეს იმე-
ორებს, ჩვენ თუ გვიპოქენს ისევე ბზიკივით
და ეს არის!

ახლა კიდევ, კარგა ხანია, არ ვყოფილვარ
და რას ვხედავ: რაღაც თვითნაკეთი, ვითომ
კარუსელი წამოუკიშავს ემოს შუაგულში,
თეთრად შეულებავს, ფერად-ფერადი ბუშ-
ებით გაუწყვიტა, გამოუკვანწავს ნაგვისის ხეს-
ავით და არის არხეინად. იმდენი ბავშვია
კარუსელზე, ემოში, ვერ დაითვლი, აქაურობა
ბაგა-ბაღი გეგონება.

გამეცინა.

რა გაცინებსო, არ მოსწონს.

ის მაინებს...

ჰმ, საინტერესოა, რას იტყვის, ერთი საა-
თის წინ მისთვის გყვიის კუფაზე დაჭედება
რომ მინდოდა!

ორიდან ერთია, რა; ან მთლა გიყია, ან
მთლა ჭკვიანი.

მართლაც, რა ეს კაცი, რა ეს დრო, რთუ-
ლი ამოსაცნობია ორივე!

ინდური ჩაი მაქვს, ძველი, შემორჩენილი
და, დაფლიოთ, შეპატივება.

არაფერი მინდა, მაგრამ მაინც მივლევ
უკან, წასვლა არ ივარგებს.

ჰმ, აივანზე პატივცემული იუკია, ავგორი-

ტეგას ძვირფასი და დღეს იქნებ ერთადერთი
მეგობარო.

გახსოვთ იუკი, ალბათ, ჩემო ბაგონო!

- პრივეტ, იუკი!

შორიდან თავაზიანად ვესალმები.

იუკი დიდი თავაზიანობით არ გამოირჩევა.
აივანიდან მარტო გაბურძნული თავი
უჩანს. მის თავისთვის საავარძელში დაშასხ-
რებულად და მალდიდან შევრავს გარემოს,
უცხო ბუშიც არ გაჭაჭანდება ახლომახლო.
ისეთი სერიოზულია, იფიქრებ, თავად არის
დარწმუნებული თავის სიღარბაისღელშიო.
ცოტა უშრო კია, მობერებული, აქა-იქ აქერც-
ლილი, ყავისფერი ბაღნით, გაბრტყელებული
დრუნჩით. ზანტიცაა, სულ ამოქნარებს; ვეება
ლილისფერ ხახას რომ დააფიქნს, შიშით
მუცელი შეჭიმება. წმინდა სისხლისააო, გვა-
ჯერებს ავგორიგეტა: არ ვიცი, რა სისხლი
აქვს ასეთი, ისე, ჯერ კიდევ როდის დავრწ-
მუნდი, მართლა უცნაური ვინმეა მის ჯილა-
გთან შედარებით; არა, ძალღების მეტი რა
მინახავს! ძალდი იმდენი ვიცი... მასხოვს,
გონი დადილდა ერთ რუსის ქალთან. კარგა
ვოგო იყო, კეთილი, სათრიანი, მორწმუნე,
გაგებული... მაგრამ ძალდი ჰყავდა, დაიცენ-
ტრებოდა! პაგარა, მინიატურული იყო, ციყ-
ვივით, თავ-კისერზე გრძელი, სასაცილო ბუ-
წუწუებით. ისე იყო დასახლისი შეყვარბუ-
ლი, სულ კალთაში ეჯდა, ბანდა, ვარცხნილა,
ხელისგულიდან აჭმევდა. ძალდიც, ეს დიდგუ-
ლა წრიბა, თუ გუნებაზე არ იყო, გონისაც
კი უღრნდა. მაინც რა იყო სასწაული? ჰმ,
სასწაული ერთი კი არა, ორიც იყო. კეეს
დეჭავდა... ამოიღებდა თუ არა გონი, ქალა-
დის შემოცლას არ აცლიდა, ცმუკავდა, წკმუ-
ტუნებდა სასიამოვნოდ... მისცემდა. ჩაცუქვდე-
ბოდა, წაიგებდა თავს და - ცალი ყბით
გემრიელად გაუდიოდა კეეს დაჭვალუკი. მე-
ორე უფრო დიდი სასწაული იყო! სიმღერა
იცოდა. ჰო, აიღებდა ქალი გარმონს და,
რაც უნდა დაეკრა, აყუფლებოდა ისე ნაზად,
ისე მულოდორად აპყვებოდა მუსიკაი, შე-
გშურდებოდა.

ვისოცებოდი სიცილით.

იუკი მაინც სხვა იყო; უფრო დინჯი, სერ-
იოზული, მედიდური... შეიძლება ითქვას, ერო-
ვნულ მოძრაობაში, ძალდის პირობაზე მაინც,
დიდი დასახსურების მქონე და მეც, პაგრონის
ბაქიბუქის გარეშე, მიფიქრია, რახან ძალდია
და უტყვი, ხომ არ იწავრება-მეთქი!

უნდა შეგახსენოთ, ჩემო ბაგონო, თუმცა

ძეგლი ყველასათვის

დარწმუნებული ვარ, ეს ისეთი დღე იყო, უჩემოდაც გემახსოვრებათ, ალბათ.

აი, თვეზაობის მერე რომ ვიქეიფეთ ანაკლიაში.

მამა პაულე, გოჩი, ავტორიტეტა, კოკი, მურბეგი, მე... ყველა ერთად ვიყავით.

მთვრალები ზღვის სანაპიროს დაუყვევით. როგორ იყო?

უცებ ავტორიტეტა ქვის ბორცვზე შეხტა, იუკის თითი მრისხანედ მიუშვირა და უბრძანა:

- იუკი, დაუდგათ ძეგლი ლენინს!

ფხელავ:

იუკი განზე გაბუნძულდა, ქვიშა მოცოცხა დინჯად, მოასუფთავა იქაურობა, მერე ნაბულზე დადგა მწვეარივით, ყურები ისრებივით წაჭიმა, გაიჭინთა და... დასვა „უკუკა“.

მახსოვს თქვენი აღფრთოვანებაც. როგორ იყით ძაღლს ყურებში მთვრალი, კონცა გინდოდათ მგონი, დრუნჩზე და, ავტორიტეტას რომ არ ემარჯვა, ცხვირ-პირს მოგაჭამდათ.

დავიბენი, ვერაფერი გავიგე.

- იუკი, დაუდგათ ძეგლი სოციალიზმს! კელავ ჭექა ავტორიტეტამ.

ისევ ერთგულად გავარდა იუკი, ისევ მოხვევა ქვიშა, მოსუნა და ჩაცუქქდა...

მე მთლად გამომეშტკერდი.

- იუკი, დაუდგათ ძეგლი კაპიტალიზმს! არ მოეშვა ეშხში შესული ავტორიტეტა.

იუკიმ (არ ვიცი, კაპიტალიზმს სცა პატივი, არ ვიცი, ამათი დაბლობა მობეზრდა) მოკლე კუდი ბრაზით შეათამაშა, ერთიც შეიღრინა, რას გადამეკიდეთო.

- იუკი!

ავტორიტეტამ არ დაუთმო, მრისხანედ ჩაჰკრა ქვიშას ფეხი...

იუკიმაც თავი ჩაღუნა, დამორცხვასავით და კელავ გაბუნძულდა...

აი, აქ ამიგყდა საშინელი ხარხარი.

გავკოტრიალდი ქვიშაში.

ყველანი (იუკიც კი!) მე მომჩერებოდნენ, ჩემი უფრო უკვირდით და ეს მახარხარებდა, მაგთეებდა.

*

ჩვენებურ, მაძლარ ჩაის ესევამთ.

ვაბოლებთ.

ავტორიტეტა თავისას ერეკება, მე - ჩემსას.

- ჩვენი ძვირფასი იუკი-ძეგლამდგმელი რას შეება?

დავინტერესდი.

- გმადლობთ.

- აქ უფრო თავაზიანია.

რადაც უგუნებოდ მერყვენება.

არ ვეშუბი.

- საში დღეა, კუჭში ვერ გაღის.

გამომიგყდა.

- სასაქმებელი არ მიეცი?

შევეწხდი. თუმცა არც ვიცი, შეკერისას აძლევენ სასაქმებელს თუ პირიქით.

- ეს!..

ვერ არის გუნებაზე.

- რა ეს?..

- თურქული არაფერი გაიშვა!

ხელი აქვს ჩაქნული.

- რა, სასაქმებელიც არ უვარგათ?

გაკვირვებული ვარ.

- ძხვზე გამბობ... ძხვზეა უქნა, თურქულმა.

- არ გადამრიო?!

აღვშფოთდი.

- აბა, რა იცი შენ!.. არადა, „მოსკოვერს“

სად იშოვი. სე ლა ვი!

ეს კიდევ რადაა!

ამ თურქებს მაინც რა სჭირთ, ამ უბედურებს...

ჰმ, ხალხი ბალახს ჭამს, მშობლიურს და...

ვართ, ოღონდ...

ხეს ფოთოლი არ შერჩა...

ბალახზე გამახსენდა:

ბალახს შევჭამო! მთავარი, ქვეყანა იყოს თავისუფალი, გემოდვრავად მურბეგი.

ისე აგისღეთ ყველაფერი, როგორც ეს პირველი აგვისდა.

იუკიმ დაამთქნარა...

ხახა იმხელაზე დამიფრინა, შიშით მუცელი დამეჭიმა.

*

მესამე დღეა, ომია...

ვფიქრობდი, აქამდე არ მივიღოდი, რადაც სასიკეთო ძერები იყო...

გაგვიგია! მოლაპარაკება ასმეურთელ ჩაიშალა და, რა თქმა უნდა, იმათი მხრიდან. მთლად უარესი!

ბრძანება მოვიდა, დასცხეთო და დავცხეთ, დავბრლდენით, ვაბოლეთ იქაურობა...

ისინიც არ ხუმრობენ...

ძღვის გავცხეთ, გავცდით „მკედარ მონას“, მიველწეთ შგაბ-ბინა, დავითრით, რაც



მოვასწარით, რისი დათრევაც შეიძლებოდა და დღეისთვის კმარაო, თქვა უცებ გაბომ, გვიშველა.

მოგებრუნდით.

დანაკარგი არა გვაქვს.

ორი მუბრძოლი დაგვეჭრა ისე, მსუბუქად, და ასეთი ბათილებუთქის მერე კმაყოფილები ვართ, ვგვიმობთ.

უკან დახევის ბრძანება ვინ გასცაო, გოჩი გაგიგებულები მოვარდა, დახვრეგით იმუქრება. რომ გაიგო, ვინც იყო, შეცბა.

თვალს ვერ ვუსწორებ გოჩის...

ვინ მითხბავს, თორემ უაზრო ომიამ! კი, დაგრწმუნდი, რაც იყო, რაც არის და ხვალაც რომ იქნება - უაზრობაა და უფრო უარესიც. კარგა ხანია, ასე ვფიქრობ, გული შეთანადრება, მაგრამ... მეტი სიცივე რაღა გინდა, შეიძლება არაფრის გამო, სუელეურად მოკვდე, თან რისთვის და ვისი ხელით?.. განსაკუთრებით მაშინ მახსენდება, როცა ვინმე დაგვეჭრება ან...

წინა კვირას პატარა ბიჭი დაგველაპა, ნაღმზე აგვიფუთქდა.

ცოღვის კითხვა იყო!

შინიდან გამოპარული ყოფილა. ცას წვდებოდა გაუბედურებული დედის წყველა-კივილი და თავი დამნაშავედ ვიგრძენი, თითქოს ამ ყმაწვილის სიკვდილში ბრალი მეც შედო, ამკარა თუ არა, რაღაც უნებლიე, ფარული, და აჰან შემაწუხა.

გაემწარდით.

არავისთვის გვიკითხავს, ისე შევეუგით ფიცხლად, თავგანწირვით, მამაპაპურად...

მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე ის გლახები და გაისუსნენ, ჩაძვრნენ საღდაც ბუნკერში.

ხიღმე ვართ, ხიღგაღმაც, იმათ ნაპირზე უშიშრად, თავისუფლად... დედ-მამის სულს ვუსენებთ, გულს ვიფხანთ...

ბიჭის მამა სულ იქით მწვედა, სიღრმეში. დავეშალეთ. ვიცით, ზედმეტიც არ ვარგა. გაგვექცა...

იქვე, მათი შგაბ-ბინის მახლობლად ცას მიწვედინილ, მტკვერით გაბაქეტილ ნაპეის ხეზე აივრა, კენწეროზე მოექცა და საშინელი მშუილ-ბაგვილი მორითო, ახლომახლო მოსახლენიც მოცივიდნენ, მერე გიგის ხარხარი მოგვესმა იქიდან...

ძლივს ჩამოვიყვანეთ.

დაგრწმუნდი, სანამ არსებობს ეს ხიდი, სანამ გაბომლემებს „ჩვენი“ გვექვია და გაღმელებს „ისინი“, შერიგება, ჩვენი ერთად

ყოფნა არ იქნება! შერიგება მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა შვილმკვლარი დედა შევილმკვლარ ღელასთან სამძიმარზე მივა და ერთად იგირებენ თავიანთ გაუბედურებულ დღემე, ყოფამე... იმ ხალხური ლექსისა არ იყოს, გოჩის რომ უყვარს კითხვა სიმთვრალეში. თუქცა კი შევეჭვება! აი, ის, ვეფხვს დელასთან რომ მიდის მოყმის დედა... მოყმე გმირია, ვეფხვსაა გაბოლბული და მიდის ამაყი, ამაღლებული ქალი. აქ, ძმათა ომში გმირები არ არსებობენ და არც არასოდეს იქნებიან! ამ შავი დღისთვის არ გაუზრდიათ დედებს ისინი და ჩვენი სიბრძოლისთვის ისევე მათ, ერთმან და მეორემაც - მკვლელისა და მოკვლის დედამ - დამნაშავესავით თავდაბრილებმა უნდა იარონ, ალაბათ!

არ ვიცი, ამაღავარი უთავბოლო ვარაუდები მაქვს!

ხედავ, სანაპიროს ნაღმავენო, ჩვენი ეშინიათო, სიხარულს ვერ მალავს ხუნჯგურუბა.

ისე, სიკვდილიანობა რომ არა, სისხლი რომ არა... არაფერი გვიჭირს. ხშირად, ომის კვალობაზე, კარგადაც ვერთობით.

რა არ ხდება:

აქ რომ ჩვენა ვართ, გამოღმა, გაღმა ჩვენებია, მაგრამ სხვა სახელით მონათლულები. უკაიო, გამყიდველი ქართველები არიან ისინი, რაშიც ვერ ვაკერებთ, პიროქით, უარეს ხურდას გვიბრუნებენ, ჩვენ ველებენ ბრალს სამშობლოს დაღაგში!

აღრე სულ ერთნი ვიყავით, მიზანიც ერთი გვექონდა. ერთი იყო სამშობლო, მხოლოდ მისთვის ვიღვწოდით. მერე, ჩვენი თუ უფლის ნებით, იქ, დედაქალაქის თავზე ჩამოწვა ღრუბელი; აირიენენ, ვერა და ვერ შეთანხმდნენ დემოკრატიის მამები და საშველად ჩვენ გვიხმეს... სამკვდრო-სასიცოცხლო დაგვაპირისპირეს ერთმანეთის.

პირველი ცყვივაც გავარდა...

სისხლი მოჰყვა პირველი...

სახე წაგვიშალა, იდინა...

ომი მოჰყვა; ჩვენი ორად გამყოფი, გამთიშავი, გაბნადგურებელი, სასტიკი...

და მას მერე ასე ვართ.

ასე სურთ, ასე სწამთ, ასეა ნაბრძანები! ჩვენ შორის ცხენისწყალია. ხიდი გვეყოფს, ასამდე ნაბიჯი თუ იქნება ეს ხიდი და „მკვდარ მონას“ ვემახით.

კიდევ:

ორი პრემიენტიც, ვისთვის აქ რომ არის, ვისთვის იქ, უცხოობაში, და, - გვეყოფენ! ვი-

ციო, მათი ინტერესები სხვადასხვაა, ერთმანეთს ვერასოდეს გადაკეციენ ისინი და ჩვენ, ძველი გვარდიელები - გაფიარენით, დავმოვრდით... ვართ გაღმა-გამოღმა, ჩვენ-ჩვენი პრემიანტების შემყურე, რომლებიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა დავიცვათ.

სხვა რისთვის ვლგავართ „აქ“
ასეც ხდება:

როცა შეღამდება, სროლა არაა, არც თავდასხმაა მოსალოდნელი. ვართ ჩვენთვის, ანუ ვის როგორ უნდა. ერთი შინ მიღის, მეორე რჩება, თავისებურად ერთობა, მესამე, ღმერთმა უწყის, რას აკეთებს, რისთვის ემზადდება...

ეთქვათ:

ვხვდავ, ყველა აქ არის; სხვა ფაიფუყია, რაღაცნაირი, „ლომკური“. ნიძლაგზე ვარ, წამალი იხარშება სადაღაც ახლომასლო. საინტერესო ის არის, არა აქვს მნიშვნელობა, გაღმა თუ გამოღმა - წამალი გაჩითულია და მორჩა, ყველასია: ჩემი, შენი, იმათი... ვერ იცევი, ცუდად მუშაობენ ბიჭებიო. მოგს „ქსიფა“ აქვს, საკუთარი პაროლი, მოგს არც ეს უნდა, ყნოსვა აქვს უბედური და უხმოდ, ჩუმად ქრება სადაღაც.

და, გადადიან და გადმოდინან...

ხელსავ ვერ ვუშლით.

შეუშლი და უარეს დაიჭერ! მათ მხარეს თუ არ გადავიდნენ, თუ არ გაგყიდეს საერთოდ, ღმერთგობას ვერ აგუვალთ და ვითმენთ, ვითომ ვერაფერს ვხვდავთ.

გადავლენ ან გადმოვლენ, მოწვევენ, შეიშხაპუნებენ წამალს, ხვალ კიდე შეგვახვედროს ღმერთმა საღ-სალამათიო, გადაკოცნიან თურმე ძმურად ერთმანეთს და ხიდის გარეშე, უხილოდ მიმოდინან...

ხვალ შეიძლება ომი იყოს!

ხვალ ერთმანეთს უნდა ესროლონ!

ასეც არის:

ჩვენ გვყავს ორი ტანკი „34-ები“, ჯერ კიდევ რუსებისთვის როდის წართმეული. მეორე მსოფლიო ომის ფილმიდან მახსოვს ეს მოღვეო და, რა თქმა უნდა, ორივე ძველია, ჩამოწერილი. ვინდა უყურებს ამას! ისე, გაყვანილად (აქ გამზდილი ერთი მემთვრალიე რუსი მოიყვანა გაბომ და იმან აგვიხსნა) და ისერის, მაგრამ ადგილიდან ვერ ვერავით, ცალბე მუხლუხო აქვს გაწყვეტილი და კოჭლობს, გან-გან მიხობავს, ვერ იჭერ. მეორე: ისე რა, დილაობით დაგორებით ექოქათ, დაჯანრიგენით შევით-ქვევით შესაში-

ნებლად, ტყუილა... ჭურვის ჩასაკეცი აქვს თურმე მოშლილი არ დავილი მესაძლბელია, თავადაც აფუთქღე.

მაინც ტანკია და ვუფრთხილდებით.

გაღმელებსაც ორი ჰყავთ, მათაც რუსული, რუსებისა, ჯახრაკა და, რომ არ გავგერიოს ერთმანეთში, ჩვენსას (რომ მომრავოს და ვერ ისერის) ლუღა ფისით შევეულებეთ. საკმაოდ ეფექტურიც გამოვიდა.

ჰმ, დაუყვებიან მდინარის პირს... გვმერავენ, არახრახებენ, აღმუქლებენ - მაღლა ჩიგი, ძირს ჭიანჭველა არ გამოგვეპარებო! მეორე შტაბთანაა. სულ იქა დაგას, ლულა ჩვენკენ აქვს მოშერილი და, ბლფეობენო, რომ ვფიქრობდით, სწორედ მაშინ გებეთქა...

ერთხელ ის „მშვერავი“ ტანკი მოულოდნელად შემოგვეჭრა და, არაფრის შიში რომ არ გვექონდა, ავტონისპექციის გაუქმებულ ჯიხურში ნარდს რომ ვაგორებდით, ცხვირი ისე გვლეწა, კედელი შემოგვინგრია და პორიზონტალურად დაშვებული ლულა მეტრონახევიარზე შემოგვივლო...

როგორია?!

გაქცევის შანსი არაა.

მიკუნჭულები ვართ მაგიდა-სკამ-ნარდიანა ერთ კუთხეში.

„ლიმიკა“ კი დავადრე, ხელში მაქვს, ვუჭერ, ტკივილისგან თითები მებრციება, ოფლად ვიდვრები, მაგრამ, რად გინდა, ეს იგივეა, ლაჯანშუა აიფუთქო... ჯიხურთანა ავალი მაღლა. თან ესეც მივიკირს, ამდენ ხანს ცოცხლები რომა ვართ.

მოთუხთუხე ტანკი ჩაქრა, ჩაჩუმდა...

იმ ჩემალალას ჭურვი არ პქონია!

უფრო უარესი. არც სროლა სცოდნია!

ტრაქტორისი ვარ, ტანკისტი კი არაო, ცემა-ტყეპაში გამოგვიტყდა ეს ქაქი.

ვხვდავთ, ერთმა საღლაფონმა გაბოსთან მიიბრინა და ყურში რაღაც უჩურჩულა.

გაბოს ფერი ეცვალა...

არ მოკლათ, თქვე ახვრებო, დავილუკეფიო, დაგვადევის, ხელიდან ძლივს გამოგვდლიტა.

რომ არა გაბო, ასეც იყო მოსალოდნელი, ვერ გადაგვირჩებოდა.

ჰმ, ჩვენი ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერის უმცროსი ძმა აღმოჩნდა.

ტანკი დავიკოვით, ტანკისტი (თუ ტრაქტორისტი) გავუშვით.

შე თესლო, შენი ძმა რო მჯდარიყო აქ, ჯიხურში, იმამდო? ცოფებს ყრის ხუნჯაგუ-

რუა.

გუშინ სესია იყო გროზნოში, აქ რა უნდოდაო, ხუნჯაგურუასი უკვირს ამ ნაწლს.

ის ტანკი მაინც ვაქრა...

მივხვდი, ვისი ნაქნარიც იყო. ვერ ვიტყვი, წამალს დახარბდა თუ მათი კაცი იყო სულაც, მაგრამ, ყველაფერს რომ იკადრებდა, ვიცოდი.

გაბოს ჩემი ვარაუდი გავანდი.

დანიტერესდა; ენახავო, დამამიქდა; მერმინდელი არაფერი ვიცი.

ისევე ორით ორზე („34-ებს“ ვგულისხმობ) დაერჩით.

ესევე მახსოვს:

გაბო სამურმაჯანოშია გადასული. კაკაბსივლეს ვხვდები აფხაზეთთან დაკავშირებითო, არ დამიშალა.

არ მომწონს ეს ფარული შეხვედრები; ვგრძნობ, კარგს არაფერს მოგვიტანს. რაღაც კავშირებზე, გარიგებებზე თუ ერთობლივ ფრონტზეა ლაპარაკი. მუსტად არავინ შეუბნება. ისე, იმას კი ვხვდები, რაც მეტხანს ვართ ერთად, მით უფრო ვმორღებოთ ერთმანეთს, მეტი საიდუმლო ჩნდება გაბოსა და ჩვენს შორის. სხვებზე მაკვირვებენ უკვე. ეს ჩემნები ხომ მთლად ნერვებს მიმლიან! ამ რამდენიმე დღის წინათ იყვნენ ჩამოსულები, ოღონდ საიდან ან რომელი ქალაქიდან, ვერ გავიგე - არც სტუმრებს უთქვამთ, არც მასპინძლებს. შტაბში შემთხვევით შევესწარი და, იყავით, გოჩიმ, დამტოვა, იმათი საპატივემლო პურ-მარილიც ქე მივირთვი. ოთხი ტიპი იყო, იარაღში კბილებამდე ჩაჭადარი წვეროსანი ვერმილა... კრაველის ძვირფასი ქუდი ეხურა ოთხივეს. საინტერესო ის იყო, ვერ გაიგებდი, ვინ იყვნენ და სანამდი... საერთოდ, რა უნდოდათ ამ ჩემალალებს! არა, ერთსად მივხვდი, ის ფაფახები ისე მტკიცედ, საფუძვლიანად პქონდათ ლარტყის ლურსმნებით თავზე დაჭედილებული, კისერს ვერ აბრუნებდნენ ეს საწყლები! პო, რა: პირველად ვნახე ამ ღონის ყურბანები და არც შემცოლებია (ლურსმნიან თავზე მაქვს ლაპარაკი), ასევე მოუხდებათ-თქო, ჩემთვის მივდილი და ვფიქრობდი.

რაო, გაბო, გაგრამი ჩენურ „გაღსტუმზე“ რას მეტყვი? - მეორე დღეს მხვდება გაბო და ვერ ვითმენ.

სიწითლემ ყურებამდე აპკრა.

დიდი პოლიტიკა შენთვის აღრეა, ჩემო ჭიჭე, ჯერ ჩვენ გვატალეო, თავისებურად

მიყვავებს, ლამის თავზე გადამისვას ხელი.

გაბო, ძმაო, სწორი ხარ... შეიძლება, მე არც პაგარა პოლიტიკისა ვიცი რაზე... ჭიჭე ვარ, შენი შესხენებაც აღარ მინდა, მაგრამ იმდენს კი ვხვდები, სად ერეკულ და სად ჩემი „ემპლინი“-მეთქი!..

ეთქვი და მოვტყდი.

აი, აქ თუ გაჩნდა ჩვენს შორის პირველი ბზარი!

სხვისი არ ვიცი და მე, პირადად, ეჭვიანობამ დამღრღნა, მომითავა ხელი.

რა ისეთი თვალი ამას უნდა, აშკარაა, რაღაც დიდ სიბინძურეში ვტყუე თავი!

ნურაინი ნუ დამწამებს იმას...

ვინც პირველი განგვიღვა და შეიარაღებული შეთქმულება მოაწყო, ვინც შარბაზნები უბათქუნა მთაერობის სახლს და იქიდან მოგვაცოცხინა... რუსთაველი - ძველი, დიდებულები, ძვირფასი - გვიქცია სასაკლაოდ... აი, ის კაცი, დღევანდლობის ეს ბაყათარი ახლახან გვწვევია თურმე. მურბეგს, ვითომ პრემიენტის ერთგულ ძმას, დისიდენტს... ჩვენს იდეურ მამას და მოძღვარს შეხვედრია ანაკლიაში და რძეში მოხარშულ თიკანს და ელარჯს შეექცეოდნენ თურმე ტკილ ბაასში.

ამბობენ, გოჩიც იქ იყო-ო!

მაინც აქა ვღაგავარ!

ენახოთ, რა მოხდება.

...

დიდაა.

გაბოს ვცვლი. ისე რა, ვუფროსობ. ცინცხალ ანეკლოტებს ვყვები გაღმელებზე. მსოფლიოვებს, ყველა რომ მისმენს, და ვხარხარებთ.

ვხვდავ, ის ნაენობი, ანუ ლამის სამიარო ტანკი მოიწვეს ჩვენკენ... ვითომ უჭურვო, ვითომ ურგებელი, მაგრამ, რას გაიგებ, მაინც ტანკია, მეორე მსოფლიო ომი აქვს მოგებული. კვამლს მოაბოლქვებს, მობრღვნიავს, მდინარე უკვე გადმოლახა.

ბრძანებებს ვიძლევი, ვყვირო:

აღცილებზე!

ახლო მოუშვით!

ვატა, მოემზადე!

ესროლე!!!

თხლიშა ხუნჯაგურეამ ყუმბართმცყორცი და ააბოლა...

ყოჩაღ!..

ასეთ სიმუსტეს არ ველოდი.

კარგია, რომ ჭედა, ჩააწყვეტინა ხმა,

აღგიღმე გაყინა, მაგრამ რომ იწვის?..

დაძაბულები ვართ...

ეხედავ:

ლუკი ავარდა ტანკიდან და ვიდაცა მოძე-
რება; სახელოებზე, შურგზე ცეცხლი ფრთე-
ბივით აქვს გამოსხმული...

სასწაული თუ გინდა!

ვიდაცა კი არა, ჩვენიანია, ბესოია მუგ-
რუკი... უბედური ჰყავს გამჩენს...

ხუნჯაგურა, შენი დედა მოვგ-ო, ბდავის,
გაოგნებულ ვაგას, ჩვენ, ყველას მუშგს
გვიღარებს და მდინარისკენ გარბის.

წყაღში ტუტა თავი...

გაღაერჩით.

წუხელ წაძალზე გადასულა და ჩარჩენილა.
რაღაც „ტრუზა“ იყო, ცუდად გამოთიშაო; თავს
იმართლებს. ამრზე რომ მოვედი, დილა იყო
სუვე, ისინი არ არიან. ვიფარ, ოფლად ვიღე-
რები, ევლოლები. ვაგებრამდი. გარეთ გამო-
ვედი. აქაც არაინაა, ტანკი დგას უპატრო-
ნოდ. ჩაეძვერი, არ მეგონა, დაიქოქებოდაო.

ეს ამბავი თბილისშიც გახმაურდა თურმე.
არ გჯივრდება, მეღმეგია შენთვისო და
მეტი სიფრთხილისთვის ავტომავი აართვა
გაბომ. შერეც კარგა ხანს არ დაუბრუნა.

მივდეთ, სისხლი გაუყვავით და ტანკი
აგეწაანა, „გვიპოვებო“, განაწყენებული
იყვნენ გაღმელები და, თუ მოიხელთებდნენ
სადმე, ცემით ამოხდიდნენ სულს, ალბათ.

ისედაც რა მოსაწონი იყო ბესოს საქე-
იელი.

ხუნჯაგურას თხოვა გაბომ, ხიდაღმა ბუ-
ქსირით გაეყვანა ნახევრად დამწვარ-განად-
ქურებული ტანკი და პატრონებისთვის ჩაება-
რებიანა.

ლულაზე თეთრი ნაჭერი - სამშვიდობო
ბიარალი გამოვუბით და გაუვუვით.

ორი საათი, შეაგვიანდა და ველავდით.
დიდებულად მიიღეს თურმე.

არ დაგადაეს რაიმეო, დაინტერესდა რო-
მელიდაცა.

რა უნდა დაეაღებინათ, წაძალიო?

ეწყინა ხუნჯაგურას.

არა, კაცო! წაძალს შენ ვინ გაკადრებდა.
სხვა რამეო!

მამის სულს გეფიცებით, სამად სამი ჭიჭა
დავლიე. ერთი იმათი, ერთი ჩვენი, ერთი
კიდო პრემიდიენტის საღღერძელი-ო!

რომლისაო?

არ მოეშენენ.

გიჟი კი არა ვარ... არ დამიკონკრეტებიაო,

გამოგყდა ხუნჯაგურა.

*

ერთხელ:

კვირა საღამოა.

შვეით, მაცხოვრის კარის ეკლესიაში ვართ

წირვაბე.

ჩემები არ მოსულან.

მაღიშალ უკან ვიყურები, ევლოლები.

სუნთქვა ჭირს, ვერ ვეგვეით, იმღელი ვართ
მლოცველები. ვის არ ნახავ, ვინ არ არი;
წმინდანი, უწმინდური, ყაჩაღი, მკვლელი თუ
გუშინ აქ ამოსულს, სადაც ჯერ არს, იქ
რომ გასმენდა... სამაგიეროდ, ყველა სანთ-
ლითაა, უფალთან მისაახლებლად, ვითომ
მორჩილები. სანთლებივით სუფთები. ჰმ, მე
არაფერი მესაქმება, ცხადია, მაგრამ დღეთს
თვალის ახვევა მგონია ეს - საკუთარი ცოდ-
ვების დასაფარავად! მეტიც, მე რომ მკითხო,
მე რომ მოგიერთებ რაღაც-რაღაცები ვიცი
და მინახავს, დმერთო, მაპატიე და, საკურთ-
ხეველთან კი არა, სახლში არ შეიშვება,
საკუთარში, რასაკვირველი! არა, არც ისეთი
მკრეხელი ვარ, უფალო, შენს არსებაში ან
ჩვენივთს, ჩვენს გაბო შენს ჯივრცამში ვჯვი
შემეპაროს, მაგრამ, ნამეგანი მიმტევებელი
რომა ხარ, ამკარაა. შეიძლება, მოგებმრდა,
უფრო სწორად, მოგებმრდით და ხელი გაქვს
ჩვენზე ჩაქნული! აი, იმას ხედავ? ჰმ, ჩემი
თქმა რაში გინდა, უბრალოდ, ვერ ვითმენ...
ო, ის ტიპი, დღეთსმშობლის საგს დაწყობილი
სახით, წმინდანივით რომაა მიჩერებული.
ერთს მილოცებს და აქედან გასულიც არ
იქნება, ჯოჯოხეთი დასანანი გაგისდება მის-
თვის. ეს შენ იცი, უფალო! მეც ვიცი! თვი-
თონაც იცის. მეურ რა? ხელო ისევე აქ მოვა,
ეკლესიის გზა არ შეეშლება, არც სანთული
დაუნანება, მაგრამ, თუ დასჭირდა, დმერთო,
შეგცოდე და, ფეხი რომ დაგრჩეს ვარეთ,
მოგაკენცს.

ვართ და... ვლოცულობთ.

ვართ და ვინანივით.

ამის უფლება ყველას გვაქვს.

და, მიუხედავად ამისა, აქსურობას თავისი
ხიბლი აქვს. მომწონს, სანთლის ემიციმბივით,
როცა ინანიებენ, ლოცულობენ...

სერო ჩამოსულაო, ჩურჩული მესმის.

სერო...

რა თქმა უნდა, დიდ სეროზეა ლაპარაკი
და სმენდა ვიქციე.

მამა პავლე (ერისკაცობაში გურგენი) თუ იცის? უჭკველი ეცოდინება, და... მოლოდინში ვარ. ასე მგონია, მარენის რეკვა უნდა აგყვას, მიელმა ქალაქმა აქ უნდა მოიყაროს თავი. რამხელა ამბავია - სერო ჩამოსული! ჩემებიც რომ არ ჩანან. რა მიზეზია? იქნებ სეროს მოულოდნელი გამოჩენა? მე კი აქა ვარ, ლოცვაში.

წირვა დამთავრდა და მეთის ცხება დაიწყო.

არ მიყვარს ეს პროცესი... მოთმინება არ მყოფნის, მანამდე ვიპარები ხოლმე.

მასხოვს, სულ პირველად:

მამა პავლე მეთი შუბლზე წამისვა, ჯვარი სანახევროდ გამოშახა და, ჩემდა სასწაულად, შეექანდი, თავებზე დამხევა; თითქოს ნემსი ეხვებოდა და შიგ გვინში გამსვლოდა... მერე ის ტკივილი უცებ გაქრა და ახლა ბუმი თუ დამაჯდა მედ, ჯვარზე საცეცხებით დამწევა... როგორია? ნაბიჯს ვერ ვღებამ, ხელიც ვერ მოვისვი შუბლზე, შეეშინდი, მღვდელს შეეყურებ ლენჩივით, რომლის გვირგვინს უცნაური შუქი ეცემა მაღლიდან, პაიროს ოქროსფრად ღივლივებს...

დიდი ეშმაკი ვინმეა მამა პავლე, გაჭირვებას უმალ მიმიხვდა და: შვილო, ჭიჭე, ნუ გეშინათო, თავზე ხელი გორივით დამადო, თითები მარწუხებევით მომიჭირა, გამომაფხიშდა და კარისკენ მიბიძგა.

გადაერჩი.

მამა პავლე თვალით მანიშნა, მოდიო.

ჩაველქი რიგში სამირონოდ; მომწონს თუ არ მომწონს, მივიწეე ნელა, რიდით, დარბაისურად გაბადრული.

სერო ჩამოსულა. თუ არ ვცდები, ტოჩისთან იკრიბებიან და გარეთ დამელოდე, მალე მოვილევო, მეზურჩულება, შემომღიმის სათნოდ, მოწყალებდ, თან მეთი წამცხო და არც წამცხო.

ცოტა კი მეწყინა.

გარეთ გამოვედი.

ლენგო დაეინახე.

საფლავის ქვაზე მის, თავის თავს ელაპარაკება. ასეა ყოველთვის, განსაკუთრებით, გამაფხულმე. დაღის მარტო, მარტოსული და, თითქოს გვერდით მიპყვება ვიდაცა, ჩრდილივით ერთგულად, მაგრამ ჩვენთვის უხილავი და მას ებაასება. წიგნებმა უყვესო, ამბობენ სინანულით. ადრე სახალხო მედიცინას სწავლობდა თურმე, მერე თევზების ენას, ახლა, როგორც მესმის, ენათმეცნიერებაში

აქვს წინსვლები... რა სიგყვარ არ უნდა იყოს: ქართული, რუსული... ჩინურიც, ყველაფერს მეგრულად ხსნის. სამყაროს ჭიპი აქ არისო, სადაც ღვას, იქ დაპირავს ფეხს და შორან. ვერ მამჩნევს და მეც ქე ჩავუარე გვერდით ჩრდილივით.

მანქანაში ჩავჯექი.

ველოდები.

გამახსენდა:

სერო და მამა პავლე, ანუ გურგენი ალალე ბიძაშვილები არიან. ეს ყველამ იცის ქალაქში. სერო მფარველობს, ბუშს ვერავინ დაუფრენსო, გამოიგია ხოლმე, რაც მე, მაგალითად, არ მჯერა. კაცი ღვთის მოციქული გამხდარა, უფლის ტაძარში შინაურულად, უფლოსტეში დაფარუნებს და კიდეც რა მფარველობა უნდა?

მთავარი, სერო აქ არის, ბოლოს და ბოლოს, ჩამოვიდა.

არა, აქამდე ვიცოდი, სერო პოლიტიკისგან შორს იყო, არც ცუდად ერეოდა, არც კარგად და ამას საცხებით კანონმომხერად ვთვლით. ვთქვით, ჩემი ან ჩემისთანების სიმართლე იმამში მდგომარეობს, რომ ვიდევით ერთგული მოძრაობის მხარდამხარ, ეს გეყოფნის სინდისის დასამშვიდებლად, მაგრამ სეროზე ასე ვერ იტყვი. რატომ? ცნობილია, რომ ერთგულობა არ გააჩნია მის მოღვაწეობას, ყოველგვარ ერთგულს გაბუ ადევს მთი საქმეში... თუმცა ისიც უნდა ითქვას; ჩვენ ქალაქში დაბადებულსა და გაზრდილს, ჩვენებურს ვერ ვხვდებით ჩვენს გვერდით, გულს გვტკენდა. ალბათ, ეს იყო მიზეზი, ხუნგას უთანაგრძობისო, რომ გაეონა.

მე ეს არ მჯეროდა.

ის თავისუფალი კაცი იყო.

სეროს თავისუფლებას ვერავინ მოისყიდა.

და აი, ის ჩვენთანაა!

შავი სამყაროს გონი, კანონმდებელი, სიამაყე, ხელისუფალი... ნებისმიერ ქვეყანის, ნებისმიერ კუთხეში პატივს რომ მიავებდნენ და ეს ამ ქალაქის მკვიდრთ (უკლებლივ, ვინ რა ხელისუფალი და მწის იყო!) ეამაყებოდა. დიდი მასშტაბები ჰქონდა სეროს და მისი მოულოდნელი გამოჩენა ჩვეულებრივ მოვლენად არ უნდა ჩავგვეთვლა. სერომ ეს მოახერხა თავისი ქალაქისთვის. უნდოდა და შეძლო... ან ვინ იყო მისი დამაკავებელი? მასხოვს, ადრე, ძველ დროში, როცა კანონი აშკარად ჭრიდა, სერო უკანონოდ, ვითომ

ძველი ყველასათვის

არავენ არაფერი იცოდა, სპეციალური თე-
თმურინავითა და საგანგებო დაცვით ჩამო-
ბრძანებულა ხოლმე.

ეს დღე ქალაქს ამახსოვრდებოდა.
თუმცა სეროს ნახვა არც ისე იოლი იყო.
ის ყველგან იყო და არ იყო...

და, რამხელა ამბავია, დღეს ჩვენთანაა!
ლეგენდარულ სეროსთან შეხვედრა მე-
ლოდება.

გამოვფხიმლდი.
წავედითო, მეუბნება მამა პაულე.
დავიძარით.

ეგობა, ვერ აიკრიფა კაბა, კარში მოჰ-
ყვა და ისეუ აღებს, ხენვის, ჩალიჩობს...
როგორც იქნა, მოხერხებულად დაჯდა.

ქვემოთ, ქალაქისკენ დავემეით.
ეკლესიისგან განსხვავებით თავს კარგად
ვეგრძობო მანქანაში, მამა პაულესთან.

- თუ იცი, მამაო, რა საქმეზეა სერო-
ბატონი ჩამოსული?

- ვერაფერს გეგყვი ჯერ. - საკუთხეულ-
იდან თუ გამოჰყვავო, დინჯი და ბოხი ხმა
აქვს. - ველოდი კი.

- რაღა ამ დროს! - ჩემდა უნებურად წა-
მომედა, - არეული დროა, რაიმე გაუთვალე-
სწინებელი არ მოხდეს.

არ მოეწონა, შემომხედა.

- რატომ, ჭიჭე? სერო ყოველთვის და
ყველა დროში სეროა.

- არა. ეგ არ მითქვამს. - საკუთარ თავზე
ებრაზობ. ვერ დავაჭირე ენას კბილი! -
დარწმუნებული ვარ, სერო ეროვნული ხელი-
სუფლების მხარდასაჭერად ჩამოვიდა. ეს
ხუნტამ იკითხოს.

ვიცინი.

- ნამეგანი ჭკვიანი ხარ შენ, ჭიჭე...
გულმოწყალებ მიდიხის, მხარზე თუალთ-
მაქცურად მიგყაპუნებს ხელს ეს ბომანდარა.

- პირადად იცნობ?

ვითომ მთლა ბოთე ვარ.

კარგა-ხანს მიყურა:

- ბიძაშვილია ჩემი, შე კაცო!

ნუთუ აქამდე არ იცოდლო, განაწყენებული
ხმა აქვს.

ტოჩი გამახსენდა...

ტოჩი მიყვებოდა გურგენას (სამღვდელ-
ოებაში პაულე) მონაყოლს და ახლა ვისხენებ:

არასოდეს უთქვამს კვეკვე სუფანასკირს შეი-
ღისთვის, უფროსი ძმის სახელი აილე. ბან-
უხათია მოკალიო, მაგრამ, თქმა არ უნდა,
წლობით ამჟამადედა პატარა სეროს ამ ნაბი-

ჯისთვის.
- სეროს სოფელი რომელია?
მინდა ჩავთრიო საუბარში.

ცაიში. იქაური ვარ მეც, ბიძაშვილები
ვართ-თქო, უკვე გითხარი. გვერდიგვერდ
ვეცხოვრობდით, სომინდის ყანა სამიარო
გვექონდა. ტოჩიმ იცის, ჩვენსას ნამყოფია.
მღაბრული სოფელია. ვიფიქრე, წავალ, დაე-
სახლდები იქ, სიბერეში... სხვადასხვა მირნია,
გავბრწყვდი. იმხელა სახლი წამოვჭიპე გყუ-
ლია...

- რატომ გყუილა?
- კარი არ შეაჩინეს და ფანჯარა... გული
მოგიკვდება.

ეხედავ:
გმა გადაკეტილია. ავტომატიანი ბიჭებიც
დავლანდე... თქმა არ უნდა, ძველების ხალხია,
„აპაჩები“, ასე ეძახიან თავის თავს. ძველისაც
სხვა სახელი აქვს, ალბათ, არ ვიცი. ეს უბანი
ამოიჩემეს. ჩვენ არა, ჩვენ ვინ რას გვერჩის.
ისე, დიდი ბინძური ვინმეა ეს ძველები, სუფთა
ნაღირთო, რო იტყვიან. კი, თავიდან ესეც
ჩვენთან იყო, ახლა ავტონომია აქვს, გაფარ-
თოებული; ნაყარნუბანი გყიურებით, მგლე-
ბით, ტურებით... რას არ კისრულობენ ეს
ბანძები, მაგრამ ვერაფერს უშამ, თავხედობა
არ აკლიათ და გყვია-წამალი. ერთი მთლა
დაცენტილი პყავთ, ვინმე აბღლუა, რამდე-
ნიმე „ტრუსი“ ითვლის. იქ, ავანდეთში... გა-
უფატრე, ძმაო, მკერდი და გული ამოვგლიჯე
ცხელიო, გეტრაბახება. ჩემი მანქანა იცნეს;
წადიო, ხელით მანიშნებენ. ორი უცხო
(მგონი, სომხეთის ნონრებია) საჭვირთო მა-
ნქანა პყავთ „პოპ-სტოპზე“! ძველები აქვე
ღვას. ვითომ ვერ მამჩნევს. არც მინდა. პმ,
წელმემოთ შიშველია, გყვიაფურქვევის ღენ-
ტი ვარდიგარდმო აქვს ტანზე გადაყვარდი-
ნებული, უფრო სამიში, უფრო შეშხარავი
რომ ჩანდა, ალბათ, ვილაიცისთვის. ჭრის
კიდეც. ცხოველი გეგონება, აი, გორილა...
სხეული შავი, ჩახუჭვებული ბაღნიო აქვს
დაფარული, სუფთა კანს ხელისგულმეც ვერ
უპოვი და შეგეშინდება უცხო კაცს, აბა რა
იქნება! პმ!. შერე, ცოტა მოგვიანებით, რაღაც
სამოთხის თვეში კი მოიმიკა სამკალი... მხედრი-
ონელებმა თუ გვარდიელებმა გამოიჭირეს.
ეგეობა, ვიღაცამ იცნო (რა დიდი ცნობა უნ-
დოდა) და გაყიდა, ან ისე, სასერიოდ... სარმე
დაუბამი ეს გორილა და ნელ ცეცხლმე სა-
მობაო ღორივით შეუტრუსავთ... მომწვარ-
მოზარწული მქონდა მთელი ტანი თურმე

მეითუნის მეთის აბაზანაში ეწვით ერთი კვირა. ასეუ მოუხდებაო, ვიცინოდით, ვინც ვიცინობდით, ვინც არ იცნობდა, ისიც. ახლაც მიკვირს, როგორ გადარჩა. მას მერე დაიკარგა, იქნებ მოკლეს კიდევ, არაფერი ვიცი.

ჩუმაღ ვართ.

- რა ეშველება ქვეყანას, მამაო?

გადიზიანებას ვერ ვპალავ.

- ქვეყანას ეშველება, ჩვენ რა გვეშველება, ისა თქვი, - ხუმრობს იგი.

- ამათ ხელში, ალბათ.

მეღიშება.

- იცი, ჭიჭე, რას გეტყვი. დრო მოვა, ესეც გადაივლის. ყველაფერს თავისი სახელი დაეჩქევა.

- რა, ძველების ძველები?

- თუნდაც ძველების - ძველები...

თქვა ამანაც არაკი!

ჯერ ერთი, გოჩისაა ეს, ისუმრასავით: სანამ მე ისევე სახურავზე არ ავალ, ძველები გრადიკტორს არ დაუბრუნდება (ავტორიტეტამ სულ საპირისპირო უნდა ამტკიცოს: რა გრადიკტორისტი? მისი ხელობა „სტუკაჩობა“ იყო სიღამიო!), გყუილია ყველაფერი! გოჩი ჭკვიანია, თვითთრონიაც აქვს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, აწი სახურავზე ავა! მკედარია ეს აშბავი! მეორე კიდევ: ქვეყანას, თუ არსებობა უწერია საერთოდ, უნდა ეშველოს, ჰყავს თუ არა ძველები... სხვა ათასი ნაფეხი, მაგრამ, მამა პაეულე აქვს ფრთხილია, მეღმეტს ვერ დააყენებ.

არც ეს მაინტერესებს იმდენად... ის მაინტერესებს, სერო რაზეა ჩამოსული.

მივდივართ.

ვეშუკავ, მისი ალაპარაკება მინდა.

რას არ მიგვიხდება მამა პაეულე-გურგენი...

- სერო და მე გოლები ვართ, - მოულოდნელად იწვიებს. - ერთ კლასში ვსწავლობდით. თავიდანვე უცნაური ბავშვი იყო, ყველაფერში გამორჩეული, პირველი; ჩხუბში, ქვის სროლაში, სირბილში, ცურვაში... სხვა ათასი ოხრობაში. სულ ფხიშლად იყო, მზად იმისთვის, რადაცთ გაეკვირვებინე. გველხოკერას ლაიჭერდა და კლასში შეუმჩნელებად გაუშვებდა... დიცი ღეროთი ბაყაყს გაბერავდა, მშეზე დასვამდა და, სანამ არ გასკდებოდა, უთვალთვალვებდა თავად გომეშოსავით ჩაცუქებული, თვალბეგდმოკარკული. სულ დამეჭვებულები ჰქონდა ხელები. სწავლა მაინტერესებდა არ უყვარდა, მაგრამ ნიჭიერი იყო - რომ მოენლომებინა, აქვს გვაჯობებდა.

პატარები ვიყავით, ხუთი-ექვსი წლისანი...

*

ჰე, რომღის იყო; ბუნდოვნად ახსოვდა სეროს უფროსი ძმის, ჯურუმის მკვლელობის ამბავი. ტანად დიდი იყო ჯურუმი, ლაღი, მხრებგამლილი, მოხეული. მკვლელობა უბრალო რამეზე მოხდა, თითქმის არაფრის გამო. სმაში მაგყუებო, აუჭინჭვლდა ვინმე ბაბუხადია სოფლის ლექსანში. ხარივით მსმელი იყო, ხარივით ამტანი, ამიგომ ეძახოდნენ ჯურუმისა და, რა სათქმელიაო, აგერ მე და აგერ კილო ე ყანწით, ხელმეორედ მოუყულებია საწყალს. და ამ დროს, ამრმე რომ არ იყო, ყამა ლანრულად გაუყარა მეაწვეულ ყანყარაგოში იმ მამაძალმა, სული იქვე გააფრთხობინა.

მოკლა და გაიქცა, ის წლები გადაიკარგა.

იმ დღეების ბევრი არაფერი ახსოვდა, მაგრამ ერთს ვერ ივიწყებდა: სეფინისკვარებში უცაბედად ამტყადარ საშინელ წივილიკივლს.

ბავშვები კოჭობანას თამაშობდნენ სამზადში, სოხანგზე.

გაცივივინენ...

წინ სერო, უკან ის.

ბიცილა ფეხშიშველა გარბოდა თოვლჭყაში უფროსი შვილის „მესავებულად“. კვეკვე დაბმული მყავდათ, მემობლის ოთხიხუთი კაცი ძლივს იჭერდა. ბოლოდა დასაკლავი ხარივით. რამდენიმე თვეში კი ისე მოტყდა, ლოგინიდან ამღვარი არ უნახავთ, დიღხანს კი იცოცხდა.

რომ წამოიბარდნენ, სერო გაენდო, უნდა გაეიქვე შინიდანო. რაგომო? ჩაყიდა. სხვა საშველი არა მაქვსო. რომ ვერ მიუხვდა ვერაფერს, შინ წაიყვანა და, სადაც მამამისი იწვა, მომდევნო ოთახში ღრიჭოსთან დასვა, საკუთარი თვალთ რომ ენახა, თვითონ კი მშობლებთან შევიდა.

უცნაური კაცი იყო კვეკვე სეფანასკირი. არასოდეს უთქვამს პატარა სეროსთვის, კაცი მოკალი, შენი უფროსი ძმის სისხლი აიღეო, მაგრამ...

უყურებდა, ცალი თვალთ აწებებულები კედლს...

მოხვედით, კვეკვე შვილს გამოხედა, მერე ბალიშქვემოდან თეთრ ხელსახოცში ფაქიშვად გახვეული რაღაც მუჭისგოლა საგანი გამოიღო, გაბურეგმე, წყლიანი ჭიქის გვერდით დაღო, გასხნა: ხელში აიღო, ააჩრიალა,

დაანახა.

გურგენს სული შეუგუბდა...

ჩონჩხი იყო... ჩაშავებული მგვენის ძვალი გაფარჩხული თითებით... წასხეპილი მაცის თავზე წერილი, ფერადი მავთული პქონდა ძეწკვივით ამოცმული...

არც ახსოვს, როგორ გამოიპარა იქიდან.

აბა, რა ექნა, რას მიჩრევეო, მეორე დღეს, სკოლიდან რომ ბრუნდებოდნენ, სერომ შეახსენა.

მანაც სად უნდა გაიპარო, ღანგურესდა გურგო.

ქვეყანა დიდიაო, თქვა სერომ დიდივით. მანაც მეც შენთანა ვარო, მოულოდნელად გადაწყვიტა.

კარგა ხანს აღარ ულაპარაკიათ ამაზე. სულ ერთად იყვნენ; წინ სერო, უკან - გურგო.

სეროს ჭიშკართან იდგა დილაუთენია, სკოლაში ერთად მიდიოდნენ.

ახლავეო, გამოიხედავდა იგი და ისევე გაუჩინარდებოდა. იცოდა, რა დროც უნდა ყოფილიყო, თუ მიდიდა სადმე, ბიჭი მამასთან უნდა შესულიყო. კვეკვე, ჩვეულებისამებრ, ჩამავებულ ჩონჩხ-მგვენს აუჩხრიალებდა, - ეს ძელები შენი უფროსი ძმისააო! რა თქმა უნდა, უსიკვფო, თვალებით ეუბნებოდა ამას; არ აძალეებდა კი, ბავშვი რომ აღდგებო, გაუფიცებინა: მე ჩემი გიფხარი, აწი შენი საქმისა შენ იციო და... კედლისკენ იბრუნებდა პირს პროტესტის ნიშნად, მურგს უბოდიშოდ შეაქექვდა სახვალეწილ შეილს.

გურგის უკვირდა, ვერ ხვდებოდა, მანაც რა იყო ეს, რას ნიშნავდა? რაგომ მანინც-ღამანინც სეროს უნდა აეღო ძმის სისხლი, როცა კიდევი ორი ვაჟიშვილი ჰყავდა კვეკვეს, თანაც უფროსები?

ახსოვდა:

მამის მიწურული იყო.

გამოცდები დაუშთავრდათ, მეშვიდე კლასში გადავიდნენ.

სისხამზე მოაკითხა სერომ.

უკან, ლაფაროში გაიხმო სალაპარაკოდ. სიგვამე როგორა ხარო? პქითხა.

რა იყო-ო?

ვერ მიხვდა.

საბოლოოდ გადაწყვიტე, მივიღვარო;

შერეო?

შემინდა.

თუ მოდიხარ, ერთ საათში სოფლის ბოლოს, ეკლესიის ნაშალთან იყავიო, თქვა მტკი-

ცელ სერომ.

არ ელოდა და გაშრა. კიდევი იმან შეამფოთა, სხვა „არაღაც“ რომ პქონდა ჩაფიქრებული... დიდი, მოფლამული ხალაით ეცვა საგანგებოდ... რას მალავო, წყენა ვერ დამალა გურგომ. ხმა არ გასცა. მითხარი, თორემ აღარ წამოვალო, თქვა, ასეც პქონდა გადაწყვეტილი. კი გეცვიო. ლულაგადაჭრილი თოფია, მარა ეს შენი საქმე არ არი, ეს ჩემი გასაკეთებელია, ისე არაფერი გამოვარო, თქვა გადმიზანებულმა. რა მანინცო? - შემოთივებულმა პქითხა. იცი შენ, ჩემი იმედი აქ კვეკვია ჩათლახს... თუ არ ჩავაძალევი ჯურუმისა მკვლედი, ვერ მოვიხვევებ. აქეთ ნაძირალა ბაბუხადია, აქეთ მამაჩემი მკვლარიც დამგანჯავსო, გაფხისხდა და ჭიშკრისკენ გაეპარდა.

გამოეკიდა.

შუკაში რომ გავიდნენ, სერო შედგა, მიმოიხედა. ხედავ, რა მაქვსო, ძმის ჩონჩხი-მგვენანი აშობილო შარულის ჯიბიდან, აუჩხრიალა ცხვირწინ კვეკვესავით გურგის, მწარედ ჩაიციინა და წავიდა.

გამოეკიდა.

გვიან, როცა გონს მოვიდა, უკვე შორს იყო.

მანაც მიჰყვა უკან.

უცებ აღვიღს მოსწყდა სერო, გაიქცა...

მანაც ვერ მობრუნდა უკან.

მოგვიანებით გყის დასაწყისში, ბარდებში ჩაცუქული დაღანდა.

გურგაც იქვე, მოშორებით ჩაიმაღა.

ვარიანგი არ იყო, აქ არ გამოველო იმ უბელუს!

ხომ არ გადავასწრო, დაეუხვევ წინ ბაბუხადია თუ ვინ ოხერიო, გაიფიქრა. იყო-ყმანა, ერთი პირობა წამოიწია კიდევი, მაგრამ სწრაფადვე გადაიფიქრა, სეროსი შეემინდა. თუ გავუგებდა, არასოდეს აპატიებდა. მოსალოდნელი იყო, მოსისხლისათვის გამზადებული გყვია მისთვის უყოყმანოდ, გამომსულად დაეჭვდა შუბლზე.

ბედისწერა იყო, აბა რა!

არ დასჭირვებია დიდი ღოდინი: ბაბუხადია დაბარებულევით გამოჩნდა.

სერო ბარდებიდან გამოვსტა...

ახსოვს:

მოულოდნელობისგან პირი ღია დარჩა უბედურ კაცს...

და სერომაც ღიად დარჩენილ ხახაში ლეწა მისთვის საგანგებოდ გამზადებული ცერის

სიმსხო გყვია...

ბაბუხაია თავისქალიანა ამობურთავდა პაერში...

გურგის შეეშინდა და შინ გაიქცა. სერო?

ის დღე იყო და... გაქრა.

აქ, ამ ქალაქში ჩამოდიოდა, მშობლიურ სოფელში - არასოდეს.

მერე სერო... სერო გამზდარიყო და, რამდენადაც იყო, არც სხვა მკვლელობები გასჭირვებია, არც... არაფერი!

*

მოგყეუვლით.

შტაბში ღაცვის ბიჭები დაგვხვდნენ მხოლოდ.

სეროა ჩამოსული და ერთად არიანო, გვითხრეს, მაგრამ სად, მათაც არ იცოდნენ ან მალავდნენ.

გული დამწყდა.

ისევე გახშირდა საიდუმლო სეროები...

გამთენიისას მღვდელი დამაღვა თავზე. ფერი არ ელო?

- რა იყო?

ვეკითხები, თან ვიცეამ.

- წუხანდელი ამბავი თუ იცი?

შეშოთებული მეკითხება.

- რა უნდა ვიყოლე? რა მოხდა?!

- სერო აღარ არის...

ამბობს, ნიკაი უცახცახებს, მერე თვალს მარილებს და ცრემლს სახელოთი იმშრავლებს.

ძალიან შორს შეეგოპეთ!

- ვინ გითხრა?

ძლივს ვაბრუნებ ენას.

- ბევრი არაფერი ვიცი.

- მაინც?

ლოვინზე ჩამოქდა.

- გაბო მოვიდა გვიან და იმან მითხრა.

გავიხარე, ყველაფერი კარგად იყო, მისაღები წინადადებები პქონდაო. მომდევნო შეხვედრაც დაბეჭდით, დავილოცეთო. მერე მე ჩემ საქმეზე წავედიო. გონის ბიჭებმა ვააცილეს სერო, ვერგმურენი სგადიონზე ელოდა საკუთარი დაცვითო. ჩაჯდა და, აფრინდა თუ არა ცაში, სანამ წითელი, საკონგროლო შუქი გაქრებოდა, აფეთქების ხმა გაისმა თურმე და ახლა იმ მიდამოებში სეროს სხეულის ნაწილებს პოლიციის გაწვრთნილი ნაგავები ექებენო...

მეტი არაფერი ვიციო, მიმეორებს.

მის უღონო, შეშინებული, მოშვებული...

მჯერა, რომ ასეა! მეტი რომც იყოღეს, იმდენად საშიში მონაა დღეს, არაფერს გეგყვის. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, მე რომ მოვიხიო პირი... ის ღრობა, ისეთ ფაშაში ვართ, სად აორთქლები და გაქრები, არავინ იცის. სამარე უნდა იყო, ბოქლომი უნდა დაიდო პირზე, თუ არ გუნდა, გყვიანადულეებულ სამარედ იქცე...

- ძალიან შორს შეეგოპეთ, მამაო.

სკამზე მოწყვეტით დავეშვი.

- ვიცი.

ცერისგოლა კურცხალი გადმოუგორდა.

*

სულ ასეა, უკუღმა...

რაც არ უნდა მახსოვდეს, ის მახსოვს ხოლმე, ცხვირ-პირს მომიკრუსავს მოულოდნელად, უნებურად... ის კი, რაც მინდა, რომ მახსოვდეს, გულზე სალბუნად რომ დამეფინება, თითქოს არ ყოფილა! გონებაში, ფიქრში, ენის წვერზეც რომ ვაგრილო მთელი დღე, ხელიდან მისხლგება, მეკარგება, მშორდება... ეჭვი მაქვს, კარგი უფრო რთულია და ძნელი დასანახი. კარგს, ეგყობა, კარგი დანახვა უნდა! გული უნდა სუფთა და ბელელივით ღიად; მისი სითბო და გამძლეობა, წარდენისდროინდელი სურნელით. კიდევ: რწმენა და სული... თუ გაქვს, თუ შენშია ერთიც და მეორეც, მესამეც...

(დასასრული იქნება)



მხატვარი ლალო ფოჩხუა

მანანა ჩიგიშვილი



კორინთის სამების ეკლესიასთან

ცაცხვი შრიალებს
თუ გაპრიდან მოისმის ლოცვა,
მხოლოდ სიჩუმე,
ვარდზე აღარც ბუღბულნი ყუფენ...
ერთი დრო იყო,
მამულს ჩვენსას უჭირდა როცა,
ამ ხეობიდან
ერთგულ მოყმეთ უხმობდა მეფე.

დღისით, კლდეებს რომ ეხეთქება
გალდა და ხენეშის,
ნაკლებად ესმის,
სად ემსხვერვა მამულს ფიქალი,
ღამით კი ქსანი
მთვარის მახვილს აიღებს ხელში
და ბარისაკენ
სამუხრანოს გავლით იჩქარის.

ოღონდ მითხარი

არც სიჭაბუკის ფერთა გამა და
აღარც ოქროსფრად ბრწყინავს თიხნარი,
ოღონდაც ამ დარდს თან ნუ გამაგან,
ოღონდაც ახლა მაინც მითხარი,
როცა ის წლები გაფრინდნენ გუნდად
და არც ვარდები აღარ გვიყვავის, -
შენ რანაირი მიჯნური გსურდა,
შენ ვინ გინდოდა ვყოფილიყავი?

ობლის ცრემლი

სალი კლდე,
შავად მზირალი,
ჯიხეთა რომ თქმულა საწოლად,
მღვის ფრონა,
წვიმა, ღვარცოფი,
ზვანნი, თოვლი რომ აკონა -
მაცხოვრის თბილ ხელისგულზე
ობლის ერთ ცრემლმა დასწონა.

* * *

ქარი თოვლიან მინდვრებთან თვრება,
ვუსმენთ დამსხვრეულ გოგების ლიწინს,
უკანასკნელი იმედი ქრება,
უკანასკნელი სანთელიც იწვის.

მხოლოდ ბებერი იფნების კენესა
და თოვლი -
მინდვრის თეთრი საყელო,
არავინ არ ჩანს, რომ ტკივილს ჩვენსას
სალბუნი დასდვას და უსაშველოს.

ვს ეფიქრება, რატომ ქრებიან
ჩვენი სანთლები და იმედები,
თვალები ცხელი ჭრილობებია,
ხოლო ცრემლები - სისხლის წვეთები.

ირგვლივ ქარია და თოვლი მძიმე,
მალე აპრილი შეცვლის ამინდებს...
მშვიდობა ყველას, ვინც ბოლო იმედს
და უკანასკნელ სანთელს აგვინთებს.

* * *

ვიღრე მანქანა დაარტყამდა,
ფიქრში წასული
შუა ქუჩაში შეჩერდა და
საათს დახედა
და მერე მისმა გაყინულმა,
დიდმა თვალებმა

სამარადღამოდ,
საკუნოდ დაიმახსოვრეს
საკუთარი გარდაცვალების
საათი, წუთი.

ორი ალმასი

შორს გაწყვეტილი იწიელებს სიში,
მოდის საღამო ფერებით ვიშრის,
შენ მოიყოლებ მშვენიერ ღიმილს,
მე ჩემი ცრემლის ფიანდაშს გიშლი.

და მზედ აღგება პატარა მღვიმეს
შენი სიცილი და თვალთა შუქი,
შენ დაგშვენდება ზურმუხტი მძიმე,
მე კი ჩემს საწყალ სიმღერებს გზუქნი.

მისვალ, მივლავს ფარჩა-ატლასი
და ყველა იმედს ფრთა ეკვეცება,
და ორი ცრემლი, - ორი ალმასი,
შენს ნაფეხურებს ჩემად ეცემა.

* * *

ჩვეულებრივად საუბრობენ კაცი და ქალი
და ჯერჯერობით ვერც ამჩნევენ
სიტყვათა შორის,
როგორც გაბურღულ
ფოთოლთა და ეკალთა შუა,
როგორ იმრდება
სიყვარულის ღაღანა ვარდი.

მუხრანის ველი

არ გახსოვს მუხრანის ველი?
ცის თაღზე მთვარის სუქალი,
მინდვრის პირს განზე გამდგარი,
ღაღონებული ეკალი.
ყვაფილთ მიჯნური ნიაფი,
ტრფობით ცის გადაბლუკავი,
თეთრკაბიანი გვირილა -
ამ სიყვარულით შემკრთალი.

მარტო არა ხარ


რომელი კლდისკენ მიფრენ, არწივო,
 ცის რომელ ბილიკს მისდევ გათელილს?
 მე იქნება ხმა ვერ მოგაწვდინო,
 ვერ მოგინათო ბნელში სანთელი.

ჩემს ბაღში ვარდი და ღერო ჭინჭრის
 შენ გნაგრობს,

გიცდის ვერხვიც ბებერი,
 განა იმიტომ, რომ რამე გიჭირს
 ანდა მე ძალმძის შეუძლებელი,

მაგრამ თუ გზები აგობალახდა
 და ვერც ოცნებას მისწვდი, გაფრენილს,
 მინდა, იცოდე, მარტო არა ხარ,
 იცოდე მხოლოდ...

სხვა არაფერი.



შაბგვარი ლერი ჭანტურია

ირაკლი ბაზაძე



როდემდე უნდა მეძებო

როდემდე უნდა მეძებო,
სიკვდილო, ჩემზე ღლეგრძელო,
ჩემზე დილო და ნამდვილო,
დამრბევო და დამლეწველო.

როდემდე უნდა გემალო,
მარადის დაუღევარო,
სიცოცხლეს დაღევნებულო
თმაწამოშლილო მღევარო.

უნდა დაშალო ქვიგკირო,
მკერდს სისხლი გაღაიღინო,
რამე თუ არი ისეთი,
შენ არ დაჯაბნო, სიკვდილო.

* * *

ნეგა როდის დაღამდი,
წარსულის ნეგარებაჲ,
ძნელი არის გარება
ჯვარის ცათა აღმართით.

ამერთ და იმერთ
მზისცის კარნაღიმები
მინღერები ღივღივებუნ
ჯალოქრის დანახაგი.

სიმრებში რო მახევეენ -
აქეთ ვრცელი ქართლია,
უფრო აქეთ მაღლია,
მაღლი ზღაპრის - კახეთის.

იქით... იქით შუქია,
კოლხეთის ცის შუქია,
დიდი ნათლის შუქია
უფლისკენ ასახელი.

რაკი ასე მომენდე,
ალბათ, ესეც ხვედრია,
ალბათ, ესეც ბედია,
რომ თან მღვედე ყოველთვის.

საქართველო მითია,
დღემდე ხანძრის გვირთია,
უმბიმესი გვირთია,
მერქვას შენი პოეტი.

თათია

რამე თუ მახადია,
შენი თბილი მადლია,
ესეც შენი ბრალია,
ბედმა რაც დამათია.

შუქი ისევე ანთია
შენს სარკმელში, თათია,
მოწანწალე ოცნებამ
დამე სად არ ათია.

დროც რა მალე გასულა...
ეს რა მიყო წარსულმა, -
რო მეგონა დამთავრდა,
რო მეგონა დასრულდა,

შიგნით რაღაც აღელდა,
ახლა აგერ, აქედან
ფიქრმა მოვინაგრა და
შენკენ გამომახელა.

* * *

ახლა იმდენად მარტო ვარ - მარტომ
რომ მოვითმინო ეს მარტვილობა -
ხანდახან შენაც მხსნელივით გნატრობ
და ასჯერ აღთქმულს ვარღვევ პირობას.

ხანდახან შენაც ვიამბობ - ტკივილს
და გაწბილებას რომ მაზიარე,
რომ შენს კისერზე მჭირალა მძივი,
ვით აღრე, ახლაც მიხსნის იარებს.

შენგან ნაგობოი და ნაწყევარი,
ვეგრძნობ, როცა თავში შევიშშირები,
უფრო და უფრო მღვენის მღვევარი -
შენი თვალები მღვევენ - მშირები.

რომ აეხსნა შენთან, რისთვის მოვედი
/ყელში ბურთივით გარჩნენ ბგერები/,
რო მე, ყოველთვის შენი პოეტი,
შენს უარყოფას რად ვერ ველევი.

* * *

მოაქვს, ისე მშვიდად მოაქვს
გრილ ოქტომბერს ფოთლის გროვა,
ყველაფერი შენით ხდება,
ყველაფერი შენს გამოა.

როგორც მკერდში გულის ცემა,
ძვერს სარკმლიდან გაბმით წვიმა,
თითქო გამახსენებს შენში,
აღრე რაც მიყვარდა, იმას.

შორს კი ნისლში იდგა რკონი,
ჩვენც ნისლს ვავცქეროდით ორნი,
ახლა გულთან მტკივა ისე,
მგონი მომენატრე, მგონი.

* * *

ისე უნდა მწყუროდე,
ისე უნდა მშობოდე,
შენთან შეხიზნებული
სხვასთან არ მივილოდე.
ჩემი უნდა გეტკინოს,
შენი უნდა მტკიოდეს,
ერთად ვიღვეთ მინდორში
ქარები მოგვკიოდნენ.
სულში უერთმანეთოდ
უსაძლისად გვეციოდეს,
გვყავდეს გოგო და ბიჭი
ცოტა - სულ ათიოდე.
მტერი გულზე სკდებოდეს
ბოღმის ცრემლი დიოდეს,

დრო კი - ჩქარი მდინარე
 საღაც შორს მიდიოდა.

ვინც ვარ, იმად ვრჩები მუდამ


ფიქრი ფრთხილად იწყებს წრიალს,
 ვარუთ დაუსგვინა ქარმა,
 ბაღში შემოდგომას ცლიან -
 ცლიან სიშიშვლეს და ქარვას.

სარკმელს შემოხედა ბინდმა
 /ნაგვრა ახლა არ ჰგავს ნაგვრას/,
 გამახსუნდეს, არც ის მინდა,
 დამაფიწყდეს, არ მსურს მართლაც.

შორით მოაქვს გიგარის ხმა,
 ღამეს მოაქვს... მტკივა გულთან,
 ვინც ვიყავი, ახლაც ის ვარ,
 ვინც ვარ, იმად ვრჩები მუდამ.

მალე თოვლიც მოვა - თოვას
 თვალს მივაპყრობ, როგორც ზღაპარს,
 ძირს დავიგებ გამხმარ თივას,
 ნაბაღს წავიხსურავ სახნად.

არც საყვედურს რამეს ვეგყვი
 შურით გაქსუებულ მაენს,
 არც ვიფიქრებ, რად მოვედი,
 და არც იმას - საით წავაღ.



მხატვარი ლერი ჭანტურია

გოდერძი ჩოხელი

საფლავისაკენ მიმავალ გზაზე

უკვე მერამდენე თვეა, ლოგინად არის ჩავარდნილი. ქვეყანას თავისი თვალებით ვეღარ ვუყურება.

წვეს და ფიქრობს.

საფიქრალს რა გამოუღევეს.

ბოლო დღეები ფეხზეც ვეღარ დგება.

ერთი დალოცვილი ჩიგი თავის ენაზე რა-ღაცას გალობს ფანჯრის იქით. მთელ ქალაქში ახლა, ალბათ, მხოლოდ მაგას ესმის ჩიგის გალობა. ან იქნებ სხვასაც; მაგას განსაკუთრებით. მთელი ცხოვრება ხომ ჩიგების გალობას, ბალახების ჩურჩულს, ნაკადულების ჩხრიალს, ზამთრის მოსვლასა და გამაფხულის დაღვომას უგდებდა ყურს. თავისი ქვეყნის წყალ-ჭაღას ვუყურებოდა.

გარედან მარბაზნების გრუხუნის ისმის.

ეს ხმა ახშობს ჩიგის გალობას. საზარელი და აუტანელია მისთვის.

ბორგავს.

ყოველ დაგრუხუნებაზე შეშფოთებულად ეკითხება თავმებდგომ მოძულელს:

- კაცო, გამაგებინეთ, რა ხდება?!

- ესერიან.

- ვისა, კაცო, ვის ესერიან?

- ესენი ესერიან იმას.

- ვაა, ვინ ისინი, ვინ ესენი?!

- პოშიცია და ოპოშიცია.

- პოშიცია და ოპოშიცია ვინდა არის?

- ფორმალეები და არაფორმალეები.

- ახლა რომლეები ესერიან?

- რაღი, რას გაიგებ, დიდ ხმაზე არაფორმალეები ესერიან, პაგარაზე - ფორმალეები.

- რომელი ტყუის?

- რაღი, რას გაიგებ, ორივე მართალია.

- დემერთო, დალოცვილო, მა რაღა აქეთ გასაყოფო?

- რაღი, რას გაიგებ.

- რას ამბობენ, რომელი აჯობებსო?

- ვერც ერთი, ორივე დამარცხდება.

- მაიგა, მაიგა...

- პოშიციას თუ იქიდან მიეხმარნენ, ოპოშიცია დამარცხდება; თუ ოპოშიციას მიეხმარნენ, პოშიცია დამარცხდება.

- რას ამბობენ, რომელს მიეხმარებიანო?

- რაღი, რას გაიგებ.

ლაშა.

შემოდგომის სუსხიანი ღამე.

გარეთ ცოტა ხნით ჩაჩუბდნენ მარბაზნები.

აუბადყოფი გულაღმა წვეს და თვალგახეული ფიქრობს თავის მშვენიერ, პაგარა ქვეყანაზე, ველ-მინდვრებით, მორთულ-მოქარგულზე, აყვავებულზე, ამწვანებულზე, თოვლის ფიქვებით თეთრად გადაბარდნილზე, მაღალი მთებით რომ ებჯინება ზეცას. ფიქრობს გოროლაზე, ამ საოცარ, მშვენიერ ჩიგზე. გუგულზეც ფიქრობს, შაშვზეც. ფიქრში ცდილობს წარმოედგინას იმისას თუ რას აკეთებს ახლა წიფლისჩიგა - იოგა რაზე საკვები თუ ვერა. ჩხიკე დიდი მიამუნია, უვასშიოდ არ დარჩებოდა, მეღიაც მთიციად რამეს, სხვა თუ არაფერი მინდვრის თავეს მაინც წააწყდებოდა საღამუ. ცივა, ნაკადულებს უკვე გაყინავდა მთაში. თოვლიც, შა-და-შა, მოვა, თუ მოსულიც არ არის უკვე იალღალებზე მოსული იქნება, არჩევს ქვემოთ ჩამოაყრიდა, ირემი ახლა, ალბათ, დიდი წიფლის გვერდით დგას და ნესტოებიდან თბელი ორთქლი ამოსდის...

უცებ გარედან მარბაზნის ხმა მოისმა.

ამ ხმაზე შეკრთა.

- ეეებ! - გულდაწყვეტილმა ამოიოხრა და ეკლდისკენ გადაბრუნდა.

გარეთ კარგა ხანს ესროდნენ ესენი იმას. მერე ესენიც ნელ-ნელა ჩაჩუბდნენ და ისინიც.

ისეც გაღმობრუნდა და ახლა მთების კალთებში შეუყუქულ სოფლებზე დაიწყო ფიქრი: „ნეტავ იქაც თუ ესერიან ისენი და ესენი, „პა“ ანის გაფიქრებაზე შეკრთა. პაერში უწყოლ გააქინა ხელი.

მერე ბავშვობა გაახსენდა. ბებიამისი რომ ჩაისვამდა კალთაში, შუბლიდან ქოჩორს გადაუწყვედა და კარგახანს შეჰყურებდა შუბლზე.

- ლა იყო, ბებო, ლას მიყულებ?
- იმას ვიყურებ, ბებო გენაცვალოს რო, შენ შუბლზე იქნებ ანგელოზის ნაფეხურს მოგკრა-მეთქი თვალი.

- ანგელოზი ვინდა აღის, ბებო?
- ჩემი ანგელოზი შენა ხარ, ბებო, შენ. ჩემი?

- შენა კიდე, ჩემო შვილო, რო დაიბადე, თავით გეღვა, ძალიან გაბრწყინებული დაგყურებდა და იღიმებოდა.

- ლაგო იღიმებოდა?
- იმიგო იღიმებოდა, რო უხაროდა. ესო, ძალიან კარგი ბიჭი დაიბადაო. კეთილი იქნებაო, ჭკვიანიო, თავის ღელ-მამასა და ბუბოსაც გაახარებს და თავის ქვეყანასაცო.

- მელე სად წავიდა, ბებო, ანგელოზი?
- ღმერთთან, შვილი!
- კიდე შოვა?
- შოვა, ბებო გენაცვალოს, აბა მა რას იზამს.

ნეტავ მართლა თუ ნახა მამის ბებიამ ანგელოზი?..

ისევე დააგრიალეს გარეთ. აშკერად მხოლოდ ერთხელ. ცოლის საწოლს გადახედა. ქალი ფხიშლობდა, მაგრამ დროდადრო თვლებდა.

მასაც ჩათვლია. მერე უცებ რაღაც უცხო ხმამ გააღვიძა. ეს ხმა არ იყო, არც იმათი, არც ამათი. ეს ხმა თითქოს ყველასი იყო. თვალად რომ გაახილა, საწოლთან სამი მშვენიერი ასული იჯდა.

სამივე უდიშოდა. მანაც გაუღვიძა.
- დაიძინე, დაიძინე - წყნარად უთხრეს იმათ.

მანაც დაიძინა. ამკამად ისევე მარბაზნის ხმამ გამოაღვიძა. გოგოები აღარხად იყვნენ. მიმოიხედა და ცოლს ჰკითხა:

- სად წავიდნენ?
- ვინა?
- გოგოები.
- ვინ გოგოები?!
- აი აქ რო ისხდნენ, ჩემ გვერდით. კი ვერ ვიციანი, ვინ იყვნენ, მაგრამ რა ლამაზები იყვნენ; ვინ იყვნენ?

- ეე, შე ეშმაკო, გოგოები მოინდომე, არა! - გაეხუმრა ცოლი.

- ეეს, შენც იცევი რა! - გაბრაზებულმა ისევე უშწოლ გაიქნია ხელი და ისევე კედლისკენ გადაბრუნდა. თან ერთსა და იგივეს გაიძახოდა:

- ღმერთო, ღმერთო! რა მშვენიერები იყვნენ, ეს რა საოცრება ვნახე! მარბაზნებმა ხმა ჩააწყვეციანეს.

ცოლს ჩაეძინა... რო გაეღვიძა, მარბაზნები ისევე ქუხდნენ, მაგრამ მეუღლე? უკვე სხვა სოფელში წაყვანათ ანგელოზებს.

ახლა იგი უკვე მემოდან დააჟარაფატებდა თავის სხეულს და ყველაფერს ხედავდა, რაც ხდებოდა გარშემო. ახლობლები მწარედ გიროდნენ. მას უნდოდა, ენუგეშებინა ყველა, მაგრამ ვერც ამჩნევდნენ და არც მისი ესმოდათ.

გარეთ ისევე გრიადებდნენ მარბაზნები. ოთახში კანგიკუნტად შემოდდიოდნენ მისი ნაცნობ-მეგობრები, თავდახრით, მწუხარედ ემთხვეოდნენ ჭირისუფალთ და ებოდიშებოდნენ:

- ვაჟაბაგიეთ, აქამდის ვერ მოვედით, ხომ იცით, როგორი დროა, ქუჩაში ვერ გაშოსუღხარ კაცი.

მერე ეგოში ჩადიოდნენ და იქ ყველა სხვადასხვა ამრს გამოთქვამდა:

- ისიც იწვის!
- სკოლა?
- ჰო, აბა!
- ქაშუეთის ეკლესიაც, თითქოს...
- არ ვიცი, ეს ტელეფონებიც არ მუშაობს.
- გაიქცევაო, იძახიან.
- თუ ისინი მიეხმარნენ?
- რაგო მიეხმარებიან?
- შევა ესენგეში.
- რაიე, რას გაივებ.
- ის უნდა ჩამოეყვანა და დაესვა საგარეო საქმეთა მინისტრად, ამან კიდე გინება დაუწყო.

- არ ჩამოვიდოდა, აქ რას წამოვავ, ფული იმას არ აკლია და სახელი, მსოფლიო იცნობს.

- ეგვე მართალია, აქ რას ჩამოვავ.

- ისე, კარგი იქნებოდა, ახლა ეგ აქ რო ჩამოსულეო, ყველაფერს გააკეთებდა ერი-სათვის.

- არა, არ ჩამოვავ.

- რაეი, რას გაიგებ, მარა, აქ არ იყო?
- მხედროინი?
- მხედროინი, კაცო, დიდი ძალაა, მაგრამ...
- არა, ესენგემი თუ შეეა, რუსები მიეზმა-
რებიან.

- მაგათას რას გაიგებ.
- უკრაინას ვუღიარებდით, არა?
- რაეი, რას გაიგებ...
- ამ საწყალმა კიდევ კარგი, თავის თვა-
ლით ვერა ნახა, რაც ხდება; ხო გაგიუღებოდა,
რა გულის კაცი იყო, სიგყოს იტყოდა და
მთელი საქართველო ნათლებოდა.

- ნეტავ ვის მხარეს იყო?
- ამასობაში ემოში მღვდელი შემოვიდა
და სულიც მას გაჰყვა სახლისაკენ.

საკმეღლის სუნზე დაწყნარდა. რაღაც
არაჩვეულებრივი სიმსუბუქე იგრძნო.

„სულთათნაჲ“ საოცარი შეგება მოჰგვარა.
ოთახში უცებ ის სამი მშენიერი გოგონა
შემოვიდა, სიკვდილის ღამეს რომ იხილა
თავის საწოლიდან. ისინიც პაერში აწეულნი
გაჩერდნენ მის აქეთ-იქით და უთხრეს:

- დაწყნარდი... დაწყნარდი...

ეს იყო ღვთაებრივი დაწყნარების წამი.
მღვდელი ღოცვას განაგრძობდა. განსვე-
ნებულის გარშემო შავებში ჩაცმული ჭირის-
უფლები იდგნენ ანთებული სანთლებით ხე-
ლში.

გარეთ კი გულდაგულ გრიანებდნენ მა-
რამზნები.

როცა მღვდელი ღოცვას მორჩა, გასვენ-
ების სამზადისი დაიწყო და მაშინ ისევ სვედა
მოეძალა სულს.

საფლავისაკენ მიმავალ გზაზე პროცესიას
სულ რამდენიმე კაცი მიჰყვებოდა. ისინიც
ძალიან ფრთხილობდნენ. მიხვეულ-მოხვეული
გზებით მიდიოდნენ.

სულიც თან მიჰყვებოდათ სამი ანგელოზის
თანხლებით.

ერთი ქუჩის კუთხიდან რამდენიმე ავტო-
მაგინი გამოვიარდა, პროცესიას თავს დაესხ-
ნენ, ერთ-ერთი მანქანიდან ჭირისუფლები
გაძლიერდნენ, შიგ თვითონ ჩასხდნენ და
გაიქცნენ.

თანდათან მხედლებოდა პროცესიის სვლა.
სული ხედავდა დანგრეულ და გადამწვარ
ქალაქს, რომლის ქუჩებშიც იარაღიანი ხალხი
დარბოდა და ერთმანეთს ხოცდა.

თითქოს ის ქალაქი იყო, რომელიც ასე
უყვარდა მას და გული სწყდებოდა, რომ

ასე არეული ხალხი დარბოდა შიგ.

არა, სული ვერა სცნობდა ამ ხალხს.

მოგს შავი ლენგები ქონდა შუბლზე წაკ-
რული და თუ გამომარჯვებული სადღაც
გარბოდა, მოგსაც სამხედრო ფორმა ეყვია.
ერთ ქუჩაზე განკმა ისე ჩაუქროლა, კინა-
ღამ სახლის კედელზე მიამსხვრია კატაფა-
ლკი. ბედად გადარჩნენ, მარტო ძარა შეეშ-
ილა და საბურავი გაგლიჯა.

სანამ სათადარიგო ბორბალს დაუყენებდ-
ნენ, მათ გვერდით ისე ჩამოანგრია ნაღმა
სახლი, რომ მისგან დაყენებული მტერისგან
კარგახანს აღარაფერი ჩანდა.

ისევ გაუყენენ გზას.

ახლა უკვე ახლოს იყვნენ სასაფლაოსთან,
მაგრამ, შუუხვიეს თუ არა მოსახვევში, ავტო-
მაგის ჯერმა გაიარა კატაფალკში. ტყვიამ
გადასახურავი გადახადა მიცვალებულს და
რამდენიმე ადგილას განშიც გაუარა.

იმავე წამს მიცვალებულის ვაჟი, რომელიც
გვერდით იჯდა, მოცელილი გადაფარდა საკ-
ცისკენ.

სული შეერთა.

კატაფალკი შეჩერდა.

მოციფდნენ ჭირისუფლები და მიცვალებ-
ულის ვაჟი, რომელიც უკონოდ ეგლო, სხვა
მანქანაში გადაიყვანეს.

სულს უნდოდა შეიღს გაჰყოლოდა.

ანგელოზებმა დააწყნარეს.

- დამწყვდი, დაჭრილია, არაფერი მოუვა.
საავადმყოფოში მიიყვანენ და გადარჩება.

- გზაში? გზაში რომ კიდევ რამე შეემთ-
ხვეს?

- დაწყნარდი... დაწყნარდი... ავერ სასაფ-
ლაოც აქევა, ხომ უნდა დავასაფლაოთ შენი
სხეული.

ისევ განაგრძეს გზა და, როგორც იქნა,
მისვენეს იმ ადგილას, სადაც რამდენჯერ,
რამდენ ვინმეს მოჰყოლია განსვენებული.

სანამ ჩაასვენებდნენ, ტყვიებით დაცხრი-
ლულ საკუთარ სხეულს ეამბორა სული და
გირილი მოუნდა...

იმ ქვეყანაზე რომ მივიდა, თავის ბუბომ
შუბლმეჭურჩენილი ქოჩორი გადაუწია და
უთხრა:

- როგორ გამრდილა შენ შუბლზე ანგე-
ლოზის ნაფხუჯი, ბუბო გენაცვალოს!

ამის მერე თეთრი სამოსი ჩააცვს და
წარადგინეს ღმერთთან.

ეთერ თათარაიძე



* * *

ყაზბეგიანთ კართიად
ეკლესიის შარის სმაჲ
მოღის, რაგვერც ქარიჲ...
მითია-ღ მთის წვერთ ეხვევაჲ,
გულის კოშკს ეწამლებაჲ
ზაღაგიო-ღ ქნარიჲ...
ყაზბეგიანთ კართიად
ეკლესიის შარის სმაჲ
მოღის, რაგვერც ქარიჲ...

* * *

აი, თუ გიჲ არ არის
თმაგაწეწილ მარტ:
ა'იქ ტყემაღ ა'ყვაიღ,
ნამალ მშეს დუ'სუ ბღარტ,
წელში გაღუ'სმიავის,
ყელყარყარა' ყარტ,
ფერი-ღ სმა გამოცელიღი
ნარუეალა ჟანტ.
პირნალესად ალაპლაპ
ფიხის ქცევას წალტ,
უცბად ბუილით გათოვღ,
მიწას თეთრ ღმოს ტანთ...
აი, თუ გიჲ არ არის
მატყუარა მარტ...

* * *

რა'გვერთ-რა ზაფხულს ელით,
წმიდა ღეკა-ღეიანო?

* * *

აი, აღმა რო ი'ლეჲ,
ვერ მისწყდება-ღ ტყე იწყებ, -
ძველ, თაუხრილ სახლს სეღაჲა?..

* * *

დედო, დედა მთებისაკ
გეპარება თვალებ?
მშემ მოხატა ცერებზე
თვალდაჭყეტილ ხალებ?
ხშირ-ხშირად იყრებითა
ჩვენ კელოსიორ ქალებ?
სუ ერთკვადის კმილაებ,
წინავ ნიავ-ქარებ...
გიძახისთა უფრ ხმაძაღლ
შორს დანაკეტ კარებ?
ემზადება გადასვლად
აქა-იქ მრჩალ ფარებ?
სისუ-სიცივემ სცვალა
ნელერთიან დარებ?..
დედო, დედა მთებისაკ
გეპარების თვალებ...

* * *

გამოჩინდა თუ ჯერ არ
შენ ცას წვროთ წრიალა?

* * *

შორ ყოფილ, მნელ მოსაწილ
ყისმათიან მასკვლავ...

* * *

მარიამს

მთელი დღეს ნაკნაჭ ფეხებს
სახეწა' აქვ წართმულ...

* * *

წვიმს. უშენოდ რა ვაკეთებ?
ჩემზე უფრო დარდიან
ცა დამხურვი თავზე...
გულ საბუდრით ამომფთხად
სარკმელს ვეცემ ლოდინით
ჩიტი ეავ-ცივის ხმაზე...
„დრო წასულავ, ეთეროვ,
დრო მიდისავ, ეთეროვ!“ -
ავთირთოვდებ ჩქაშზე...

* * *

დრო უღლეღად მიდენილ,
შესვენება არ სცოდნი,

აღამისძივდ რიდილი-დ
თუალის დახრა არ სცოდნი,
მუ'სყიდველსა-დ უქრთამოს
შებრალეზა არ სცოდნი...
დრო მიდენილ უსრულოდ,
კაცთგან ოქრო არ მდობნი,
ჩინიანსა-დ უჩინოს
ხელში უღვთოდ ჩაზნობი...
დრო მიდენილ უღლეულად,
მუ'სყიდველად, ურიდლად.

* * *

მანანა თაგაძეს

აი, შენ სულის ფერებ,
ყველათაგან რჩეულ,
აი, ღვთიურ თაიფულ,
ძლივა დანაჩნეულ...

* * *

სიყვარულ არას ცვეთილ,
არც ბერებულ, არც მკვდარ,
უფრ მღვივინებულ, ვარვარულ,
უფრ უაღაფ, არ მქვრალ...
სიყვარულ არ ბერებულ,
არ კარგულა-დ არ მკვდარ...

* * *

მესიზმრ სამარეების
ანაჩირთალ გორ,
ყაერიით ნალობ ყანითა გ
ანაფრინალ ქორ...

* * *

მივლიოდით კესანეს
ლურჯ ნისლებში ხვეულენ,
ცრემლით ანათოვ სერებს
ჩილ ხქონდ გადახმეულ...
უფალ დღებს გვსაჩქრობდ
უვიწყს, გულსაჭკეულს.

* * *

რუსიკო შურაიძეს

შენ სამარეს ხედავენ
იმერეთის სერებ,
თოვლის ლაქარჩენილებ,
ზოგჯ - ყვავილის მშლელებ.
ცაჯ მოსარკულ, უფთილოჯ,
მიწის თვალით მჭერელ...
შენ სამარეს თვალთ სჭმენ
იმერეთის სერებ.

* * *

უეამხანიერო
აღამისძის დარდ,
მწკენტავ ეკალნასხამი
გადაფურჩქენილ ვარდ.
ნაკაფი, მაგრ ვერნასრულ
ფეხთზე ნახვევ ბარდ.
ნაწვეი, მაგრ მძიმეი
სცენას ნაფარ ფარდ...
უეამხანიერო
წუთისოფელ-ბანგ...

* * *

სერებ - ნასერ ფერებით,
ფერებ - ნახუჯ ჩუმ ღვთისაჯ,
ოლებ - ნაფენ ფერლებზე,
ჭალა ნადგამ უბისაჯ...
გულსაფონო სამყოფლოჯ
გადაღალულ უფლისაჯ.

* * *

ღათი მუშლაძეს

ყვირილას რო გადახვალ,
ბოსლევისკ რო ახყვებ,
რა' ფიქრს აღარ გადაე'ყრებ,
რა' დარდს აღარ გახყვებ.
თაეის ჭკეაზე მოგაქცევს
ბუნებაი-დ დახყვებ,
მზე ამოვ, ამოხყვები-დ
ჩასვლად დე'მლეე - ჩახყვებ...

* * *

რამდენხან ერთად უკარო
მელოდია საკვირელ
შენა-დ ჩიგებთ, დათა...

* * *

იმერეთის სიბუჯა, სიფრიფანა ყვავილით
ანათოვ გზებ შესიმზრებ...

* * *

ორ ღულუნა მტრედ როა,
სუ რო ერთიკვალს ხელავენ...

* * *

ყანიმწვანილა'ობის ღლეებ ახლოვდების,
აკაცია' - თუთებით ტყეებ ახოვდების,
პატარზალა'ის სამხლით მწვანე აჭროლდების,
ნაენგარა' სამოსხდილ ღლეებ გაფონდების...
ვაშლის, ნუშის, ალუბლის ხეებ გათოვდების.

* * *

ჩიტების მტკმარ ორკესტრის
მოსასმენად ვემზადებ...

* * *

ჩამ-ჩუმ ჩამდგარ ხაგირში
ნისლ შრიალით მოღვების...

* * *

გამოღვარა ვაცეტამ?
ამოჩითდა პირმზევ?
არწივმ თვალთ შეჭამა
ფეხუკარებ, ხშირ კდეებ?...
ირმის შეილაამ მგეს უთხრა,
მომისირმევ წინწკლებ?
ნაყვითლარს აფე ღრია,
ცოცხლდებისა წინ ტყეებ?
ენძალა'ებ ცახცახით
თოვლქვეშ ჩინსა ცინცხლებ?...
გამოღვარა ვაცეტამ?
იკინძება მძივ ღლეებ?

* * *

დაქაც ჯერ ნისლმ ისუნსულ,
პარვით მოხყე მემრ წვიმა დ...

* * *

ერემლისყრით ჩამოგზედვენ
წვიმალებით ყვაილედ
ჩამ-ჩუმ ნაფენ სამარეს...

* * *

ხუმფელ აღვარდ მზეჩენით
დანაწვიმარ სიპებს,
ერთკვადში რენა დი'წყეს,
ქავ-ქივ უღვას ჩიტებს.
რვალის ქვაბში მწვავ შრაგში
თავებ ჩუ'ყვი ქიტებს,
კუღბუთქენა' შვილ ჩუ'ვარდ
ხით-ხეს გამხტარ ციყვებს,
ცხემლ კანკალით უჭერავ
ქანცგანაცალ წიკვებს...
ხუმფელ აზღის მშეღამცხრალ,
აღაპლაპულ სიპებს...

* * *

თუშურა წინდა მოექსოვ,
ფერად, რაგვერც დელის ველ...

* * *

ცხვარაყრისად ირევის
ნამშვედარა ამინდ...

* * *

ზაფხულ ზაფხულს არ ღვავის,
გამთარ არ ღვავე გამთარს,
სისუშესრულ მზე მიჭყერეგს,
წინაე - მფლეითელ აუთარ...
თვალში ნანთება კოცონ
მინაელულა-დ ჩამქვრალ,
გულზე ნამჩქეფრ მდინარე დ,
ხმა-ჭკვა ნაკრეუ, ჩამცხრალ,
მუხლში ნაღვომ ქარიშხალ
მინაქანცარ, ჩამღვარ...
კუპრისსადარ სასუედო დ
გელის უსკერზე დამღვარ.

* * *


რაივ, - მყინვარმ, - ღაფეროივ?
 ანაღ ყურომ, რაივ?
 სამებას ნათელ ეცვაჲ,
 ქაბარჯინას - ჭკაი?
 რაივ, ღალანგურის ჯვარმ,
 გემაგოსთავ ფხაივ?
 რაივ, ჭიუხის წვეერბთ,
 მჷსიად გეფევაჲ ცხაივ?
 რაივ, დამშერალ ღარიალმ, -
 თერგით მერგოვ ჭრაივ?...
 ნათელ ეხვია მყინვარს,
 ქაბარჯინას - ჭკაი?

* * *

ჭირხლმოღებულ ჭადარმე
 ეღალფთებიან ჩიგ ჩამოჯღ,
 ულოღნელადაჲ აფრინდ,
 მწკალნაღგამ ადგილ ჩამოღნ...
 ცქრიატ, ცეჭ-რეტა ნიავმ
 გოგებითა ჭირხლ ჩამოფხენ.

* * *

ნეტა, სიისკ გაღე'ფარ,
 აჩქარებულ მთვარეო,
 სუ უჩუმრად მავალო,
 ფეხთ ცერებზე მპარეო,
 ხან ნასარკალ ეას მყოფო,
 ხან შავ ღურბლებს მგანეო...



მხატვარი ლერი ჭანტურია

მურაბ ნარმანია



სიხარულის ხმა

იხილებოდა ისევ და ისევ
ოცნება ნისლში უნაპირობის...
არ გვიტოვებდა იმედსაც სივრცე
და ფრენით დაღლილ ფრთებს მივტიროდი;
ოდეს წუხილში ვიცანით კაცი,
ჩვენთვის ნაგანჯი რომ მოდიოდა,
- სიმართლე ვარო! - და ჯვარზე ვაცვიო
სიხარულის ხმა საიჭიოდან...

მაგრამ...

წაიღო, ცოდვამ გაითავისა,
აღამის გულში ცოცხალი ჩანგი,
ასე ვჩნდებით და ბნელში დამისა
არც გვახსოვს, დრო თუ იყო, რომ ვჩანდით...

მაგრამ წუხილს ხომ არ ძალუქს, ძებნად
არ იქცეს და არ წარუდგეს ძლიერს -
სოფელში ჩვენთვის დარჩენილს მძევლად
სიყვარულის და სიმართლის მიერ...

ვიშვით...

ვიშვით მშის სხივქვეშ, მცემ ინათა,
არ ვიხილებით ამით და მიკვირს,
წამიერებამ შეგვაშინა და
შევაჭმეინეთ იმედი სიკვდილს.

არ ვიცი, რისთვის გვთხოვენ სიმართლეს,
წინ რას გვიმზადებს ბოროტის ბოლო,
ყოლისმხედველი არ გეწამს სინათლე,
დღე უნაყოფო ღრტყინვაში ბოლავს.

...სიყვარულისას დარღს რომ იქარვებს,
იმ ზარს გულისას გამოცლის ბზარი
და წვეთწვეთობით დაფარავს კარვებს,
მწუხარების ქვეშ შემდგარი წყალი.

* * *

მზე სხივის კალმით შეეხო მწვერვალს,
იძრა ნათელით უსაზღვრო თაღი...
ამ უსაქტაკეს მხატვარს და მწერალს
რომ ვერ გაუგებთ ბარათი-ბაღი,
სწუხდა მდინარე და ნაფოტების
უსულო ჩქამით აკრთობდა ღამეს,
გაპარულიყვნენ საღდაც ნოტები,
რომლითაც ცნობდა შებაღე ბაღებს.
თითქოს სიმზარი ჩამქრალა ამბად:
აღარ ბრწყინავენ ფიქრის მძივები,
აღარ ქათქათებს გრძნობების ბამბა,
აღარც სინდისის ფრთებს ვეშქივებით...

* * *

სად ვიმყოფებით, ალუბლებო, სად ვიმყოფებით?
საით მიაღწევს ცრემლით სავსე ღრუბლებს ზღვაური?
ვინ წყვეტს სიმღერას ბაღში ჯამის დანაყოფებით?
სამყაროებში ვინ აგება აურზაური?

ფიქრს ვარსკვლავებთან რა უნდოდა ფრთების გარეშე?
ვინ შეაღწია, სიმზარი ვინ გამიფურადა?
რაისთვის გახსნა მშის საფანქრე, ვინც მოთარეშე
ღამეებისთვის მნათობმოყრილ კაბას კერავდა?..

ცნობისწადილზე მოწყალეებას რომ არ ააირებ,
არც ღირსვარ, მაგრამ ყვავილების და ბელურების
ულრან თვალებში იმგვარად გცნობ, ვით მონადირე
ნადირს ცნობს თოვლზე ცარიელი ნაფეხურებით.

მარტი

ბაღში ქალივით ჭირვეულობს - აღარ გავიდა
მარტი, კაცის გულს ჩაფრენილი იჭვის კლანჭებით.
დღეებო, მალე ჩაიარეთ, მომწყდით თავიდან,
ვერ მივხვდი, რისთვის მეგრისებოთ და შემანჭვებით.
ვის საძებრადაც ქვეყნად უფლის ნებით მოვედი,
მშვეს ვემაღები, ვით ცოფიან ძაღლსა და კატას...
დააქვს გამაფხულს გრამალების დიდი მოლბერტი
და ჩემს თვალებზე მატყუარა ყვავილებს ხატავს.

* * *

მოაქვთ სივრცეებს დედამიწა ისე შორიდან,
უსიყვარულოდ ვერ შეძლებდნენ მათი მკლავები;
აღმოეჩინათ უდაბნოში დედიშობილა
სულს ეკლესია, თვალებს ღამე და ვარსკვლავები.

მერე? - შევეცაღე უფლის სიტყვა ღობით...

ავეჯით...

ამევსო სახლი ლეგიონით მგრების, ვერაგის,
როგორც მინდვრების საგალობელს ლეჭავს კამეჩი,
ისე კაცის სულს ვიგრინების ჭრელი პურანგი.

...უარყოფისთვის უარვიქმენ და, ცისმიერო,
ჩემსავ ქალაქში, როგორც უცხო, დავეხეგები,
აღარც რამ დამრჩა მაგ სინათლის სამაგიერო,
რა გსურს, წუხილო, ციდან სულში რომ იხედები.

შენს გარეთ ვისი რაა?!

გარდა სინათლის მშობლის... ყვავილების და პურის,
ვეჭვ, ღირსი იყოს რამე, მონად გაქციოს შურის.

ოქროს სასახლე, ოქროს ფეხსაცმელი და ქუდი,
არ ღირს, დაკარგო მათთვის წუთისოფელის წუთი.

ქვიშით ანაგებ კოშკებს ფრთაყ რომ შეეხოს ქართა,
უსასოდქმნილი რჩები შენითვე დახშულ კართან...

თუნდაც გარეთა სახით მშვენიერების დარი,
ქვეყნად რაც არის, წავა - ვერ წავა, რაც არ არის...

სურვილს არა აქვს ფსკერი, არც სიმართლე აქვს სურვილს,
ბრმად ამბოსა შედა აჩქროლებული გული,

ოდეს ჰგონია სწვდება, მიზანს შორდება მეტად
და თუ სიყვარულს კარგავს, სხვა რამ რად უნდა ნეტა?..

პატარაობიდან წერდა ლექსებს და მოთხრობებს. დაახლოებით ოციდან ორმოც წლამდე არაფერი დაუწერია, ბანაკებში ჭკუაში არ მისდიოდათ ასეთი საქმიანობა. პატიმრობის შემდეგ სერბთმულად წერს. ვახდება 1979 წლის ხსრკის სახელმწიფო პრემიის დაურეკავი, მთიან რუსთაველის 1994 წლის პრემიის დაურეკავი, ღირსების ორდენის კავალერი; ამათან, პრემიოღვება უცხოური, რუსული, ქართული პრემიებითა და პრემიებით. თავისი ანგარიშით, ნაწარმოებები დაბეჭდილი აქვს მსოფლიოს ხალხთა ოცდახუთ-ოცდაათ ენაზე და, ამ ყველაფრის მიუხედავად, კვლავიც იხსენებს დიდი კატორღელის, ურანსუკა ვითისის სტრიაქონებს:

„და უპირობე სოფლის საბურღაქს
სად არის თოვლი მარმარწინაღილ?“

შენიშვნა: ბატონო ჭაბუკ, ამ მცირე ბიოგრაფიული ესეთი ვიდეა, გვერდი ამეწლო იმ საეაღლე-ბული და, ლაბათ, ბანაღლე შეკითხვებისთვის, რასაც ხმარად გისაგუმე ურნაღისტებში. ჯერ ეს იქნება, მერმე კი ხენი დიალოგი დაიწვეება;

- სანამ საუბარს შეეღვებებოდა, მინდა ერთი დეტალი დაეაგუსტო: თქვენ რომელი ამირეჯიბი ბრძანლებით - ზემო, ქვემო თუ ახასანისა და კიდევ - არსებობს ამირეჯიბთა ვერბა? ვეგობა, ჰერალდიკურ წიგნებში ცელად ვეძებ... ისიც ვთქვარ, რაკი ოთანე ბატონიშვილის თქმით „ძველაღვე ფალაგან-ღანათა ვებარისანი“ ხართ, შესაბალო, გერბიც მათნაირი გქონდება - ისევე, როგორც ორბელიანებისა და ბარათაშვილების ვერბებია ერთმანეთის შსგავეს...

- ამირეჯიბთა გერბი ყველა პერალდიკურ გამოცემაშია დაბეჭდილი. რაც შეეხება ჩემი გვარის წარმომავლობას, მოგახსენებთ, რომ ჩვენი პირველი წინაპარი, ვინც ღვთის კურაპალატისგან საამირეჯიბო ხელი და ქართლში მისგანვე მამულები მიიღო, იყო ქურციკ (ქუნა) ქვაბლიძე (ქვაბულიძე, რაჭველი ციხივანი აზნაური). ადვილი შესაძლებელია, ამირეჯიბები და ფალაგანდშილები ამ ერთი კაცისგან მოედოდა; აქ ყურადღების ღირსია ისიც, რომ ეს ორი გვარი, მონღოლიზმიდან მოკიდებული, ერთმანეთში ქალს არ გაათხოვებდა და არც დღეს შეგულებია, რომელიმე ამირეჯიბის ქალი ფალაგანდშიანთ რძალი იყოს ან, პირიქით, ამირეჯიბის ფალაგანდშიანთ ქალი ჰყავდეს. ამის მიზეზი შემდეგშია: მოგეხსენებათ, ქართლში მონღოლობის დროს სახალხო აჯანყებას ორი გვარი მეთაურობდა - ამირეჯიბნი და ფალაგანდშინი. ისიც მოგეხსენებათ, მონღოლებმა აჯანყების ჩაქრობა ვერ შესძლეს და შერიგების გზას დაადგინეს. ჯერ ფალაგანდშიელებს შემოუთვალეს, - რამდენიც იყოთ იარაღის მტარებელი, ჩამოეთ. ყაენს ეახლეთ, შეერიდეთ და ქვეყანა დაეამშვიდოთ. თუ არ ვცდები, იმჟამად მთაში გახიზნულ მუფე გიორგის თანხმობით, ფალაგანდშიელები მართლაც ეახლნენ ყაენს, შერიგება მოხდა და ეს გვარი აჯანყებას გამოეთიშა.

ამის შემდეგ ყაენმა ამირეჯიბებსაც მოუგზავნა შუამავლები, მაგრამ ესენი დიდხანს მტკიცე უარზე იდგნენ, აჯანყებას განაგრძობდნენ. შემაგანვე არაერთი აბოლს მიემთა გამო, მაგრამ ამირეჯიბებმა ბოლოს და ბოლოს თანხმობა განაცხადეს, ჯალაბი ციხეებში მიმალეს და სამოცდასამნი - იარაღის მტარებელნი, ყაენს გამოეცხადნენ. არც ის არის ცნობილი, იქ რა მოხდა, როგორ წარიმართა შერიგების მსვლელობა. ცნობილია მხოლოდ, რომ მონღოლებმა სამოცდასამთავე ამირეჯიბს თავები წააგდებინეს. ერთი გვარის მიერ გაღებული ამდენი და ერთდროული მსხვერპლი ქართველი ერის ისტორიაში, რამდენადაც ვიცი, ცნობილი არ არის. პირადად მე ასეთი ფინალის მიზეზად იქ ჩასულ, „მონღოლთა მედა“ არაერთგზის გამარჯვებული ამირეჯიბების აპპარტაგუნებასა და მკაფიოდ გამოხატულ მუხლმო-

ულრეკლობას ვთვლი, რაც ყაენმა პირად შეურაცხყოფად მიიღო, ურთი ყაენური პასუხი მიაგო.

რაგომ და რისთვის მოიძულა ამ ორმა გვარმა ერთმანეთი, არც ამაზეა ცნობილი რაიმე ყოველ შემთხვევაში, მიზეზი არც ჩემმა უახლოესმა წინაპრებმა იცოდნენ.

ჩვენ ის ამირეჯიბები ვართ, ვინც ქართლში, ფცისა და ფრონეს ხეობებში, ქართლიმერეთის ქედიდან მტკვრამდე მამულებს ვფლობდით, ანუ იმ ზამას ჩამომავლები, რომელიც ერეკლეს მიწაში იყო და მეფემ სასიყვარულოდ „ქოფაკი“ შეარქვა. ზამა, სოლომონი, ქაბორლო, დარნისპანი, გიორგი, ერეკლე, მშეჭაბუკი - მეშვიდე თაობა ვარ და საერთოდ კი ორმოცდამეთერთმეტე ამირეჯიბი. ასე თითქმის პაპანქემი გიორგი (ჯერებიანი გიგო).

სხვა ამირეჯიბები რაჭველები ვიცი, იმ პირველი ქუნას მძის, ციხივან აზნაურ ქვაბლიძეთა ჩამომავლები, რომლებმაც გვარი ამირეჯიბად შეიცვალეს. ერთი ასეთი ჭარმაგი, წარმოსადგეი კაცი ათას ცხრაას ორმოც წელს კიევში კლავთუბრეთელმა ასპარეზობაზე ჩასულმა ვინახე. ოფიციალტი იყო, გვარი მკითხა, ვუთხარი, - მეც ამირეჯიბი ვარო და პასპორტი მაჩვენა.

- ბატონო კაბუა, გვინდა, რომ ისიც უზენაესმა უწყალობა მწერალს, მასზე დაყრდნობით უფალს რღვაის თქმა სურდა ადამიანებისთვის; ასე რომ, ყოველი ნიჭიერი მწერალი უფლის კალამია, ამის აღიარებას რომ გაუზრდეს კიდევ. თქვენ როგორ ფიქრობთ? და ისიც გვიამბეთ, თუ როგორ გახდით მწერალი.

- მე ასე ვიტყვი, ყოველნაირი ნიჭი უზენაესის წაყლობაა, ყოველი ნიჭიერი კაცი, რა თქმა უნდა, უფლის მიერ კაცობრიობისა თუ გარკვეული ერისთვის გამოწვდილი, სიკეთით დამუხტული ხელია, კალამი იქნება ეს, გონიო და სხვაზეა, გარდასახვის მახეილი უნარი თუ კიდევ სხვა რამ დირება.

რაც შეეხება ჩემს მწერლობას, იგი რვა-ცხრა წლის ასაკიდან დაიწყო. ლექსების წერას ვლამობდი, უამრავ თავგადასავალს ვთხზავდი, ამხანაგებს უკამბობდი, პირდაპირი მისმენდნენ. ამ ერთი თუ ორი წლის წინათ გაშეთმა „კავკასიონმა“ ჩემთან ინტერვიუ გამოაქვეყნა და წარუმიდგარა ჩემს

მიერ რვა წლის ასაკში ბათუმში დაწერილი ორსტროფიანი ლექსი... ერთმა ღმერთმა იცის, საიდან და როგორ იბრუნეს. ჩემი პროზის პირველი შემფასებელი ნეტარსენებული აკადემიკოსი ლალი (ალექსანდრე ივანეს ძე) ჯავახიშვილი იყო. ლალი და ჩემი და - როდაში, ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები იყვნენ, მეგობრობდნენ და საგნებსაც ერთად ამზადებდნენ, ხან ჩვენთან, ხან ლალის, ანუ ჯავახიშვილების ცნობილ სახლში... სკოლიდან დაბრუნდი. ლალი და როდაში რაღაცას კითხულობდნენ. დაეინახე, ჩემი ხელნაწერი იყო, რაღაც მოთხრობა მქონდა ნაცოლვილარი. ლალიმ მითხრა, - ყოჩად, კარგი მოთხრობააო!... რა თქმა უნდა, ჩემი თორმეტცამეტი წლის ასაკისთვის იყო ქათინაური ნატივიაო... ჭაბუკობაში ლექსს წავეგანე, მაგრამ ღმერთმა მიკარნახა თუ თავად მივხვდი - ლექსი ჩემი მოწოდება არ იყო, თავი მივანებე, სპორტი ვარჩიე ყველაფერს. ვთამაშობდი ფრენბურთსა და კალათბურთს. ამასობაში მეორე მსოფლიო ომიც წამოიჭრა და...

პატიმრობაშიც ვცდილობდი მეწერა. მართმეოდნენ, კარცერშიც კი ვიჯექი ხოლმე, რომ არ ვიშლიდი, იმიტომ. უფრო კი ვკითხულობდი მხატვრულ ლიტერატურას, ვსწავლობდი, ვინ როგორ აღწევდა გამოსახველობას. ასე ბუერს რასმე ჩაეწვიდი. იქიდან დაწერილი არაფერი შემჩენია იმის გარდა, რაც შინ მიწერილ „მარცხენა“ წერილებში შევძელი თითო გვერდი შეშუპარებინა.

მეწერალი კი ასეთნაირად გავხდი: შინ ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის ოცდამედი დეკემბერს მოვედი, რამდენიმე დღე ქიფ-სკუმრობებმა წაიღო. ათას ცხრაას სამოცი წლის ორ იანვარს დავექეი და დავეწერე საშუალო ღირსების მოთხრობა „რაგომ არ დამაცადე“. შემგებლმა გადამიბეჭდა მანქანაზე ორ ეგზემპლარად. მოეკეცე, ჩავიდე პალგოს მარჯვენა უბეში და წავედი „მნათობის“ რედაქციაში, რომელიც მაშინ თერთმეცხართულიან სახლში, მეორე სართულზე იყო. კარგად მახსოვს, მეცვა ყავისფერი ღრამის, ჩემი სიძის - მიხეილა სვეტლოვის ნაჩუქარი პალგო, მეხურა შავი „შლიაპა“, ყელზე წითელი „კაშნე“ მეხვიდა... ავედი მეორე სართულზე, შევაღე პირველივე კარი... მბეჭდავმემანქანების ოთახი იყო.

- ბოდიშს ვიხდი, მოთხრობა მაქვს, სად

და ვისთან უნდა მივიგებო?

ვიგრძენი, ერთგვარი ცნობისმოყვარეობითა და, თუ არ ვცდები, ასეთი ქვეტექსტით შემომქვეროდნენ, - აი, კიდევ ერთი გრაფომანი და მსხვერპლი სახელის ძიებისათ. მერე ერთ-ერთმა მიმასწავლა:

- დერეფანს გაყვითი, კარებს სულაკაური აწერია, მისი საქმეა პროზა.

ის კარიც შევაღე. სამი კაცი უკვდა საწერ მაგიდებს.

- სულაკაური რომელი ბრძანდები? - ვიკითხე.

- მე გახლავართ, - მითხრა გახუნებულ, ნაცრისფერპალტოიანმა, საშუალოზე დაბალი ტანის წასასვლელად გამზადებულმა კაცმა. - რით შემიძლია გვმსახუროთ?

- მოთხრობა მაქვს, - მივეუკე და უბიდან, როგორც უკვე ვთქვი, სიგრძლივ ორად მოკეცილი „შედეგის“ დავაძრე.


- აქ დადეთ! - თქვა არჩილმა.

დავედი და ვიკითხე:

- პასუხისთვის როდის გეახლოთ?

- ორი კვირის შემდეგ!

წასვლა დავაძირე... მოხდა სასწავლი - ორად დაკეცილი მოთხრობა გადაიშალა, არჩილმა თვალში მოჰკრა: ჭაბუა ამირეჯიბი. „რაგომ არ დამაცადე“ და მკითხა:





- თქვენ რომელი ჭაბუა ამირჯანი ხართ?
- სეხნია არა მყავს, ბაგონო არჩილ.

ჩემი გვარ-სახელი იმ პერიოდში ქართველი საზოგადოებისთვის კარგად იყო ცნობილი. ესაც ნუ იქნებოდა, მე და არჩილის მამა ერთად ვიყავით ნაჯდომი და ჩემი ამბებსა არჩილს მამისგანაც ეცოდინებოდა.

გახიბადა არჩილმა პალტო, კედელსა და მის საწერ მაგიდას შორის ჩაკეხებულ სავარძელზე მიმითითა - დაბრძანდითო, და კითხვას შეუდგა. ბოლომდე ჩაიკითხა, დაბრუნდა, რაღაც ადგილები განმეორებით ჩაათვალიერა და უკვე გულწრფელად, შინაურულად მიიხრა:

- მწერალი ყოფილხარ, ძმაო! ერთი წუთი დამიყაღე, ახლავე დავბრუნდები.

მამის „მნათობის“ მთავარ რედაქტორად ბაგონი სიმონ ჩიქოვანი იყო. იქ წაიღო ჩემი მოთხრობა არჩილმა. ბარე ორმოცი წუთი ვიჯექი. მოიგანა ვიშით: „დაბეჭდოს პირველი ნომერი. ს. ჩიქოვანი“. იანვარი უკვე დაწყებული, პირველი ნომერი სტამბაში ჩაშვებულ იყო. არ ვიცი, ვისი რა ამოიღეს, რამ მოხიბლა ბაგონი სიმონი - ჩემმა ბიოგრაფიამ თუ... ასეა თუ ისე, მოთხრობის დორსება ვერ ითამაშებდა როლს იმაში, რომ ბთას ცხრაას სამოცი წლის იანვრის „მნათობში“ ჩემი პირველი ნაწერი დაიბეჭდა.

ასე ვიქცეი მწერლად.

გრამი სეკელი იტყვის: „ყველა დროის საზოგადოებაში იყო არწივის, სევასი და ჩიორას მეტ-ნაკლები ასპარეზი და ადამიანი ერთს, მეორეს თუ მესამეს მწიგნობრივი მიდრეკილების თანახმად ირჩევდა“. ამგვარი დეფინიციით თქვენ რომელი ფრინველისა თუ ცხოველის ასპარეზი ირჩევთ?

- დავიბაღე და აღვიმარდე ოჯახსა და წრეში, სადაც არავის და არასდროს (შესაძლო მცირე გამონაკლისების გარდა) უარი არ უთქვამს მაღალი მწიგნობრითა და ქართველი მამულიძეობით განპირობებულ მოვალეობათათვის. სხვათა შორის, მრავალ ინტერვიუში მაქვს ნათქვამი, ძნელი, ჭირვეული ბავშვი ვიყავი და გამოსასწორებლად „გამაბარეს“. არ ვიცი, როგორ დაიყოფილეს სორბონადამთავრებული, ბრწყინვალე პედაგოგი, ქალბატონი მელანია მექმარიამიელი-გველესიანისა (იმხანად უკვე ვარდაცუდილი ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ბაგონ გრიგოლ

გველესიანის მეუღლე), ავეყვანე, მაგრამ მგონია, ამ ადამიანმა არა მარტო ჩემი „მორჯულება“ შესძლო, არამედ, თუკი ღმერთისგან რაიმე რიგვანი მონაცემების ჩანასახები შექონდა, მაქსიმალურად განმვიეთარა და ჩემში შემოქმედებითი აზროვნების უნარიც აღმრდა.

ოჯახში აღმრდისა და ქალბატონ მელანის ორი წლის შრომის შემდეგ - გაზელება, ვიგყვი, - თანდაყოლილი მწიგნობრივი მიდრეკილებიდან გამომდინარე, არწივის ასპარეზი და ხასიათი მარგუნა მაღალმა ღმერთმა. ალბათ, მართლაც ვაშობო, თუკი ჩემი განვლილი ცხოვრების რეაქტივებისა და შედეგად ჩამოყალიბებულ ფსიქოლოგიურ ტიპს მივღებთ მხედველობაში.

უკვე ბრძანეთ, 1960 წელს ევრნალ „მნათობის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა თქვენი პირველი მოთხრობა „რაგომ არ დამბედავ“ - ასე დაიწყო თქვენი საწერელი მოღვაწეობა. მამისნაღვ აგმოსეფრის სომ არ გაიხსენებდით, ნაკაგორდალი კაცის დაბეჭდა ძალიან გართულდებოდა...

- ჩემი დაბრუნებისა და პირველი პუბლიკაციის დრო არამცთუ მიმიყარ იყო, არამედ საგრძნობლად შერბილებულიც. ეს გახლდათ, ოგა პაჭკორიას ტერმინს თუ გამოვიყენებთ, „რეაბილიტაციის“ პერიოდი. დაბრუნებულთა მიმართ ხელისუფლება შემწყნარებლობას იჩენდა, ხოლო პაჭკორიანი მოხელეები ხელსაც კი გვიწყობდნენ ყველაფერში: რეპრესიების მსხვერპლთ აძლევდნენ ბინებს კონფისკებულის სანაცვლოდ, ფულად ანაზღაურებებს რეაბილიტირებულის ბოლო ხელფასის გათვალისწინებით. პირადად მე კონფისკებული აგარაკიც კი დავებრუნე კიკეოში. ძალიან დამეხმარნენ. ესარგებლო შემთხვევით, უდრემს მაღლობს მოვახსენებ ყველას, ვინც ხელი გამოგვიწყოდა. ასე რომ, არც ჩემი პირველი მოთხრობის დაბეჭდა გამწვანებულა. მაგრამ, ცხადია, ეს არ განხორციელდებოდა, თუ არა ბაგონ არჩილ სულაკაურისა და ბაგონ სიმონ ჩიქოვანის კეთილი ნება. ღმერთს, ნათელში ამყოფე მათი უკვდავი სული!

პიროვნების ავლი და როლი საზოგადოებაში, ინდივიდის ფორმირება - მისი განკაცება: განდგომიდან სხვისთვის სიკეთის

შეგნებულ და ამრიგად ქმნაძლე - აი, ამ რეგისტრში მიმოიქეცე დათი თუთაშხიას მრავალგანზომილებიანი ხასიათი, რომლის შესაქმნელად, წარმომიღვნიას, რამხელა ძალისხმევა დახარჯული... ვეებ გავგანდოთ, როგორ მუშაობდით ამ რომანზე?

- ვეთანხმები თქვენს მოსაზრებას დათი თუთაშხიას მრავალგანზომილებიანი ხასიათისა და მისი, როგორც პროტაგონისტის, ქმედების რეგისტრის თაობაზე. მგონია, გმირის ხასიათის ჩამოსაყალიბებლად ყველაზე ხელსაყრელი ფორმაა ავტორზე ქმედება და სხვათა ამრიგად ამ ქმედებათა გამო.

რაც შეეხება ძალისხმევას, უნდა მოვასხნოთ, რომ იგი საკმაოდ გრძელ დროშია განუყენილი. ნელა, დროდადრო ვწერ. ამდენად დიდ დატვირთვას ვერ ვგრძნობ. საერთოდ კი, უნდა გამოთქვა ამრიგად სწრაფად და ნელა წერის გამო. არა მგონია, სერიოზული თხზულება სწრაფად, „ერთი ჩაჯღოთი“ იწერებოდეს. პირადად მე ერთი ჩაჯღოთი სტატიასაც კი ვერ დავეწერე. პროზას ვწერ ნაწყვეტებად, ეპიზოდებად. წერას ვიწყებ მხოლოდ მას შემდეგ, როცა რომანი „დანახულია“, ანუ იგი მთლიანად არის აღბეჭდილი ჩემი წარმოდგენაში. ამასთან ერთად ვწერ იმ ნაწყვეტს, რომელიც ამჟამად მზად მაქვს დასაწერად. ეს შეიძლება შუა წიგნიდან ან სულაც ბოლო ნაწყვეტი იყოს. „დათა“ შესაძლებელი არ მქონდა დაწერილი, როცა ფინალი დავეწერე. ყველაზე რთული, ძნელი და შრომატევადი სამუშაო კომპოზიციაა, ანუ ადრე დაწერილი ნაწყვეტების მთლიანობაში მოყვანა და ისეთ მთლიანობაში, როგორც წიგნის ჩანაფიქრს, ანუ იდეას სრულად დააკმაყოფილებს.

- ამ ნაწარმოების წყობა, აგებულება, მოკლე, მთელი კომპოზიციური სისტემა - სხვადასხვა აღამაინის თვალთ დანახული გვძირი, მათი მონათხრობი - სახარებისეული თხრობის არქეტაპს ხომ არ ვუძნებთ?

- დარწმუნებით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ბიბლიასა და ოთხთავებზე ბევრი მძქვს ნამუშევარი და ადვილი შესაძლებელია, ჩემი რომანების ფორმასა და სტილზე ამ წიგნთა წიგნებმა გარკვეული გავლენა მოახდინეს. ასეც რომ იყოს, ცუდა?

- ცუდი კი არა, პირიქით... ალბათ, ამგვარმა არქიტექტონიკამ თავის შრავ სავანგებო სტაგურული ენა დახასიათროვა, რომელიც არაფრით თავსდება ხოლმე სალიტერატურო ენის ერთიანი მორფოლოგიურ-სინტაქსურ კანონების ჩარჩოებში და რომელმაც გამოავლინა სალიტერატურო ენაში სიტყვის გამოყენების ასპექტები, ის განსხვავებული ელფერები და მნიშვნელობები, ესა თუ ის სიტყვა რომ იძენს კონტექსტში - იქნება ეს კოლოკაციებში, დიალექტში, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ეარვონში თუ პროფესიულ მეტყველებაში... ამას ხომ სპეციალური შესწავლა დასჭირდებოდა, აგრეთვე, სასაბურო ენის მოსმენა და სხვადასხვა ლექსიკონების დამუშავება...

- არაფერი არ მისწავლია სპეციალურად და მაინცდამაინც არც ლექსიკონები შემიწუხებია. ვცხოვრობ, მესმის, ვხედავ და ყოველივე ეს ცხოვრებისეული, მათ შორის, ენობრივი გამოცდილების სახით გროვდება გონებასა და მეხსიერებაში. განა ძნელი შესაძენვია, რომ ქართული იტყვიის - „ვერეა ევა“, ხოლო მეგრული - „ასეა ეს“, ან ის, რომ თბილისელი ახვარი და შუგდიელი ინტელიგენტი ერთი და იგივე ლექსიკური ფონდით არ სარგებლობენ? ენის ნუახსენებია გმირის დახასიათების ერთ-ერთი უმთავრესი მასალა. არ უარვყოფ, ყოველივე ამას ის ხელი სჭირდება, მემოთ ერთ-ერთ შეკითხვაში რომ გამოიყენეთ. მართალია, ყოველივე ეს მხოლოდად ლეგალურია, მაგრამ სრულიად აუცილებელი და ქმედითი წერიმადი. სხვაგვარად მხატვრული მწერლობა ვერ განხორციელდება.

- ალბათ, დამეთანხმებით, მთავარი მასივ სიტყვის გრძნობაა, რომელიც, მუსიკალური სმენის მხავხლად, ან აქვს ადამიანს, ან არა. ამ სიტყვის გრძნობას ასე სხნიან ძველდროული პოეტის თეორეტიკოსები - მხავხლად ახიებისა, სიტყვებს რომ შვალდენენ, კიდევ არსებობს უზენაესთან დაკავშირებული რაღაც ბგერათაობის, რაც სიტყვის მნიშვნელობას ვალდოსიქებს - ისევე, როგორც დარეკვის შემდეგ მარში ვკვნი სიმისი. ილია ჭავჭავაძეს ეს კარგად ესმოდა და, ალბათ, ამიტომაც ამბობდა - ენა საღმთო რამ არის, კაცი ცოდიელი ხელით არ უნდა შეეხოსო. თქვენ რას იტყვით სიტყვაზე, როგორც დეთაებრივ ლოგოსზე?



- „პირველითგან იყო სიგყვა და სიგყვა იგი იყო ღმრთისათანა და ღმერთი იგი იყო სიგყვა“. ეს ერთადერთი ინტერვიუა, რომელზე გამამდებრა. ღმერთი, რა შესანიშნავი რამ არის მხატვრული სიგყვის ვერადრება უკვე ჩამოკრული მარის შემდეგ განივითებულ გუგუნთან. ამ მოვლენას მე სიგყვის ნამდვილი, წინასწარ გამიზნული არსის ამეგყველებს დაგვარქმევდი. სიგყვა ითქვა (დაიწერა), გუგუნი ისმის. სწორედ ეს არის ნამდვილი სიგყვა კამშულთა და სიგყვის ხელოვნების უმაღლესი მწვერვალი. უმეცარი, ღვთივ კალთადაუბურცავი ხელის შეხება ამ ფენომენტთან მართლაც ცოლავა. ილია ყოვლთვის და ყველაფერში ილიაა!

- ბაკონო ქაბუა, არ იფიქროთ, ინლოეთიდან ექსპორტირებულ რთმელზე რელიგიის აღმზარებელი ვიყო, მე ჩემს წინაპართა რწმენაზე ვეგაფარ და ასეც მოუკვდები, მაგრამ იმით ვამხსენებელი, რომ შემვიღე-მეთავე საუკუნეების ჩვენმა დიდმა მითრგმნელებმა ქრისტიანულ ყიდაზე გარდათქვებს ბუღას ცხოვრება „სიბრძნე ბალაშვარისას“ ხაზით, ჩემი შემდგომი შესაძლებლობების კვალობაზე იმითგან რაღაე-რაღაიების სწავლას ვედილობ ხოლმე და აი, რა ვიპოვე ხანსკრიტულ პოეტიკაში: ყოველ ჰემშიარტოგოგურ (ამ სიგყვაში პროზაე იგულისხმება, ლექსიც და დრამატურგიაე) თხზულებას უნდა გააჩნდეს ორი ფენა: ნაწილი, გამოხატული სიგყვით (პირდაპირი და მეტაფორული მნიშვნელობით) და ნაწილი დაფარული (სუბტექსტური), გამომდინარე გამოხატული ნაწილიდან, თუმცა ეს დაფარული ნაწილი ბუნდოვანი კი არა, მკაფიოდ დაკავშირებული უნდა ყოფილიყო გამოხატულ ნაწილთან, განუყოფელი მილიანობა უნდა შექმნას მათთან... აქედან გამომდინარეობს მეკითხვარე: „ღათა თუთამხისა“ პორიფონგში გამოხატული კონკრეტული დრო და სივრცე, რომელშიც პროტაგონისტი თვითსრულყოფის კიბით ზევისკენ მიემართება, წაკითხვის შემდეგ თავისუფლდება სიგყვესივან, განზოგადება და სწორედ იმ სუბტექსტურ პლასტებს აჩენს, ხანსკრიტული პოეტიკის თეორეტიკოსები რომ მოითხოვდნენ: წმინდა გიორგის მარადიული ბრძოლა გველეშაპთან, რომელშიც იგხო ქრისტეს მისგვრიაე შემოდის და კაენ-აბელს არქეტაიპი... მაგრამ რა აწესრიგებს ამ დაფარულს - ქრისტიანული თუ წარმართული მსოფლმხედველობა? აი, ამ რომანის მეოთხე კარის იგბური ეპიგრაფის ფინალი: „ღაუგვეა სულმან

თუთამხისაჲს ხორცი მიწასა გედა, აღეკლინა ცაღ, დაჯდა მთოვარედ და იქმნა ძე იგი ხორციელი ღმერთად“. ქრისტიანული სწავლებით, ძე ხორციელი ღმერთად ვერ იქმნება...

- ვფიქრობ, თხზულებას (თუ გნებავთ, სიგყვის, იერსახის) სუბტექსტური ნაწილის გარეშე სულიერად მართლაც ღირებული ვერაფერი შეიქმნება. დაგაკვირდეთ, ყოველი შედევრის უპირველესი მახასიათებელი გაცხადებულია და დაფარულის მკვიდრი და ნათელი ერთობლიობაა. ამის მკაფიო მაგალითის მითოსები იძლევა: ამავე შეიცავს გაცხადებულ ფაქტსა და ჩასაწვლომ დაფარულსაც. ორთავე ერთად - იდეასა და თხზულებას მილიანობაში, ჩემი აზრით, ამ მოვლენის მოწესრიგება ხელეწიება ინტელექტს და არა ამა თუ იმ მსოფლმხედველობას, ქრისტიანული იქნება იგი თუ წარმართული.

რაც შეეხება იმას, რომ „დაჯდა მთოვარედ და იქმნა ძე იგი ხორციელი ღმერთად“, ნება მიბოძეთ, ეს მწერლის ნებას მივანდით. დავსძენ, რომანი ოცდახუთი წლის განმავლობაში ამ „ურეგიკოსობის“ გამო არავის გაუკრიტიკებია და მისი ავტორი წინაპრებიე თი მართლმადიდებლური ეკლესიის შვილად რჩება.

- „ღათა თუთამხისა“ რეა თუ ცხრა წლის განმავლობაში, 1964-1972 წლებში იწერებოდა, ამავე წლის „ციხის“ შემდეგ ნომრიდან მამინდელი რედაქტორის, ჯანსუღ ჩარკვიანის ვაქაუერი თანაღვობით დაიწყო მისი პუბლიკაცია თუ ძიგვამიხილი სვლა: წიგნად გამოვიდა, კინოფილმდაე ვადაღვს და ახლა უკვე მსოფლიოს ხალხთა ოცდაათამდე ენაზე თარგმნილი... ასეთ შემთხვევაში მორჩესი იგყოფა, რომ წიგნმა ვადაღვანა განმრავლის ჩარჩოები... რა მოხდა, თქვენ როგორ ახსნიდით ამას?

- „ღათა“ რომ დაგვამთავრე, ვიციდი, წიგნი შედგა, მაგრამ, ახლებად გამოძახილი თუ ექნებოდა, მერწმუნეთ, არ მეგონა. ჯანსუღ ჩარკვიანზე სიპართლეს ბრძანებთ, მისი თავდადება და რისკი რომ არა, რა ბედი ეწოდა ამ რომანს, ვერ გეტყვით. ყველაფერი კი ასე მოხდა: მივიცანე უმარამაზარი ხელნაწერი (მანქანაზე გადაბეჭდილი) „ციხარში“, დავეუღ ჯანსუღს მაგდამე, ვუთხარი, - ვიცი, ამ წიგნის დამბეჭდავი დღე-

დღეობით არავინ არის, მაგრამ მაინც წაიკითხეთ, დარწმუნებული ვარ, ათი, თხუთმეტი წლის შემდეგ დაიბეჭდება-მეთქი. პირველი მკითხველი გვივი გეგეჭკორი იყო, მეორე - ტარიელ ჭანჭურია და ა. შ. მოლოცა ჯანსუღმაჲ წაიკითხა და მითხრა, - ერთ სიგვეს არ შეეცვლით, ისე დაგებჭდავით. მეგონა, მასსრობდა... ჩაუშვეს სტამბაში და, რა თქმა უნდა, ცენზურამ ხელნაწერი უშიშროებაში გადაგზავნა. ქალი კი, რომელსაც რეცენზირება ევალებოდა „შეველებამი“ გაუშვეს. მაშინ მწერალი იყო მთავლიცის თავმჯდომარე, მგონია, ვარდლოსანიძე. მივედით ოგია პაჭკორია და მე რომანის დაშვება-არდაშვებაზე სალაპარაკოდ, ნამუსზე შევაგდე, - კაცო, მწერალი ხარ თავად და რატომ უნდა გიკვირდეს, თუ რომანში რამდენიმე „იდეოლოგიური“ ნონსენსია-მეთქი. მოლბა, მაგრამ უშიშროების თანხმობა იყო საჭირო. სწორედ აქ გამოიჩინა ჯანსუღმა სიმტკიცე, როგორც იტყვიან, საქმეს „მაიწვა“. რომანი ნიკა ჩერქეშიშვილსა და ოთარ ქინქლაძეს წაიკითხული მქონდათ. ნიკა ჩერქეშიშვილმა მითხრა - ერთი ეგემპლარი მომიტანე, ბატონ ელუარდთან ერთად დასასვენებლად მივიღებთ მე და ოთარი, წავეკითხებით. აპას ბატონ ელუარდის სანქცია მოჰყვა, „ეისკარმა“, ანუ ჯანსუღმა დაბეჭდვის უფლება მიიღო; აწყობა გაგრძელდა. შეველებოდან დაბრუნებულმა ბატონმა ელუარდმა ნიკას უბრძანა (თუ, პირიქით, ნიკას იღა იყო), - ოც, ოცდახუთ მწერალს დაურიგე სარეცენზიოდ, ვნახოთ, რას იტყვიანო. დაურიგეს, ოცამდე დადებითი გამოპასილი მოჰყვა. მაშინ ბატონმა ელუარდმა ცენტრალური კომიტეტის ბუროს დღის წესრიგში შეიტანა საკითხი „ეურნალ ეისკრის“ რეკოლეგიის მუშაობის შესახებ“. დადგენილების ნაწილში აღინიშნა, სარდაქციო კოლეგიის მუშაობა დადებითად შეფასდესო და ასე მოიპოვა სიცოცხლის უფლება „დათა თუთაშხიამ“. შემდეგ წიგნადაც გამოვიდა, რუსულად ვიარგმზე და რუსულადან მსოფლიოს ოცდაათამდე ენაზეც ითარგმნა. ამ წიგნის ასეთი მომავალი მისი ამთავრებისთანავე ორმა კაცმა იწინასწარმეცხველა - აწ განსვენებულმა კრიტიკოსმა ნოდარ ჩხეიძემ და მხატვარმა რევაზ თარხანმოურავმა.

წიგნმა, როგორც თქვენ ბორხესი დაიმოწმეთ, მართლაც გადალახა განზრახვის ჩა-

რრუები და ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ დასავლურ ლიტერატურას დადებითი გმირი მოეწონა ვითარებაში, როცა წიგნის ბაზარი შეუმდგარი პიროვნებების, სულიერ ცველანობა და ნებაჩაყვლილი ადამიანების აპოლოგიით იყო მოწეული. მკითხველს „კარგი, სადი კაცი“ ენატრებოდა. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია წიგნის ახალი ფორმა, დეტექტივისა და ფილოსოფიური თემის ელემენტებიც.

- ასეთ რომანს რომ დაასრულებს მწერალი, წარმოიდეგნია, რა დღეშია - სიყარისელებს, ამოებებს გრძნობს, გამოფიგული და მუსათარია და, ალბათ, იქადნება კიდევ (თუქმა ხელ გყუელ-უბრალოდ!), სიგვეას აღარ დაქწერო, არა?

- არავითარი სიცარიელე და ამოება არ დამუფლება, ერთადერთი, რაც დამუფლება, გაკვირებისა და სიხარულის გრძნობა იყო.

- კინოფილმი ვახსენეთ და, ალბათ, ისიც კანონზომიერი იყო, რომ 1979 წლის სსრკ სახელმწიფო პრემია აღირეულად დაიმსახურა - ოქ ხომ ზეენი კინოსა და თეატრის არაერთი ცნობილი ოსტაგი მონაწილეობს... თქვენ ვის ვახსენებდით და, საერთოდ, რა ამრის ხართ ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზებამზე?

- პირველი, რაც „დათა თუთაშხიას“ ეკრანიზაციამ დამანახვა და გამახარა, ეს იყო ქართული სამსახიბო ანსამბლის ნიჭისა და შესაძლებლობათა დემონსტრირება. რამდენი და რაოდენ დიდი მსახიბო გეყოლია, აღარას ვამბობ ვიგა ლორთქიფანიძისა და გიბო გაბესკირიას კინემატოგრაფიულ შესაძლებლობებზე, რომელი ერთი გავიხსენო, ყოველი მათგანი თავისებურ შედეგად მოეწონა მაყურებელს. და მაინც - ქალბატონი სესილია თაყაიშვილი, ვინც სულ რაღაც ორმოცდაათიოდ მეტრ ფირზე შესლო დაუეიწყარი კინემატოგრაფიული იერსახის შექმნა...

ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაციის გამო ვიტყვი, ძლიერი ლიტერატურა კინოს სპეციფიკიდან გამომდინარე - კარგავს, სუსტს და საშუალო, რეცისორისა და მსახიბობის წყალობით - იგებს. მართალი თუ არ ვარ, მკითხველმაც მაპატიოს და კინემატოგრაფისგებამაც.

- ბაგროს ჭაბუკი, იმ დიმილისმომგვრელ ბრალდების, რომ „დათა თუთაშხია“ სხვისი დაწერილი - ჭორისკები ბიბლიოთეკისასახელელებს, გადასახლებაში მყოფ ვიღაც მწერალსაც და მოვიერთი მათგანი ისე შორს მიდიდა, რომ სულგანათლებულ მიხედვითაა, რომ 1994 წელს გამოქვეყნებული „გორა მბორგალი“ ვაგეით პასუხი, მაგრამ უფრო კონკრეტულ პასუხზე ხომ არ გიფიქრიათ მოგაერ?

- ჭორი და შერი ხელოვნებაში ცვედნათა და ხელმოცარულთა ხვედრია. სათავე კი ჭორის ერთი ხუმრობის წყალობით დაედო.

აღარ მახსოვს, რომელ წელს, „ესიკარში“ ერთი გურული პედაგოგის რომანი დაიბეჭდა. ავგორმა დიდი პურმარილი ჩამოიგანა და მაურ ბოლქვაბის ბინაზე ქეიფი მიეწყო. მე რამდენადმე დაგვიანებით ვეწვიე სუფრას. პურობა, თურმე, ახალდაწყებული იყო და თამადამ შარი მომლო, - სადა ხარ აქამდე, აგერ შენ ეს ჯამი უნდა დალიოთ. ეჭვი ვერ შევიგანე, დავლიე. მეორეც დაბალევისა. სუფრა განაბული შემომიქცროდა; კარგი რომი, აბუსა თუ იმაბედა იყო, ვერ დამაბორო. ვაგერძელდა ქეიფი, მოვიდა ჩემი დღეგრძელობის ჯერი. თამადამ რუს მწერლებთან ე. წ. ბამ-მე იმეზავრა, ახალი დაბრუნებული იყო და ასეთი რამ იამბო: თავისუფალი საღამო მქონდა, ქალაქში გავიდი, რომელი-ღაცა სასაბალოს ვესტუმრე, ერთი ბოთლი ლუდი მოვაგანინე; ვმივარ, ნელ-ნელა ეწრუპავ. დარბაზის მეორე ბოლოში ოთხ-ხუთკაციანი კომპანია ქეიფობს. შევაგყევი, ნაპატიმრალბეი იყენენ. წავავედი ხელი ჩემ ლუდის ბოთლს, იმ სუფრასთან მივიდი და შემოსწრების უღლება ვიხივე. დამსვეს, მათ ქეიფს შეეუერთიდი. ცოტა ხნის შემდეგ ასეთი დაალოგი გაიმართა:

- ბიჭებო, ჭაბუკა ამირეჯიბი თუ გავიგიათ, რა კაცია?

- როგორ არ გავიგია, ცხონებული აგერ არის დამარხული.

- დამარხული?.. ცოცხალია, თბილისში ცხოვრობს, მწერალია...

- ეგეც ვიცით, მაგრამ ნამდვილი ჭაბუკა აგერ მარხია, ეგ თბილისელი ჭაბუკა ნამდვილი არ არის, აფერისგია. ჭაბუკას ნაწერები მოპაპრა, თბილისში ნამდვილ ჭაბუკას

დედას შეუთანხმდა, - შენს შევილად მაღიარეო... აფერისგია, ნამდვილ ჭაბუკას წიგნი მიითვისა...

„დათა თუთაშხია“ ამის დაწერილი არ არის, სხვისი დაწერილიაო, - დაწითავრა თამადამ და სადღეგრძელო განაგრძო. როცა დაამთავრა და სხვებმაც დალიეს ჩემი სადღეგრძელო, თამადას ეუთხარო: - ჩემსა და შენს შორის ის განსხვავებაა, რომ შენ კიდეც ხუთ წიგნს დაწერ და არც ერთზე არ იტყვიან, რომ შენი დაწერილი არ არის-მეთქი.

აი, ამ ხუმრობას მოჰყვა ეს ჭორი. შემდეგომში ჩემმა მტრებმა მარჯველ გამოიყენეს „დათა თუთაშხიას“ ნაპარაობის ვერსია და მოგეს დემოიდე მგონია, სხვისი დაწერილიაო. ჩემი დამოკიდებულება ამ ჭორისადმი კარგად მოგესხენებათ, თქვენ პირველი ინტერვიური ხართ, ვის წინამდე ამ ჭორზე რეაგირება მოვახდინე. ქართული ანდაზაა „ვინც რა უნდა თქვასო და ბუჭულამა ფეხასო“. იმათი საქმე ჭორი და შურია, ჩემი საქმე - მწერლობა და სამოგადო მოღვაწეობა.

- როგორ განხდა „გორა მბორგალის“ უხილურ ნაწილში კორილის განზოგადებული სახე, რომელმაც ლოკიკური წერტილი დასუვა ავგორ კარგარეთელის და აქედან გამომდინარე, მთელი საქართველოს თავისუფლებისაკენ ჭირთაბეხით სვლას? ასეთი აღმოჩენები, რომლებზეც არეთუ ცოგაა რომანში, წახაკითხად არის აღვილი, თორავა? პოეზას მოგაერ წლებზეც სჭირდება, არა? და კიდე, როცა წინა რომანი ასე გაითქვამს სახელს, მომდევნოზე მუშაობა უფრო გართულდება ხილმე...

- ალბათ, გახსოვთ, „გორა მბორგალი“ მთავრდება ფრაზით: „ ვინ ხარ შენ, გორა მბორგალი, ხარი თუ ესაადა?“. ესაადა მარადისი ბრძოლისა და გამარჯვების სიმბოლოა, ხარი - ბნელი ძალთმორეობა, რომლის ბოლო ასპარეზიდან გათრევა და საამისო მსახურის მიერ კორიდაზე დაღვრილი სისხლის კეალის მოსობაა.

გორამ გასაჭირის, სიკვდილის უშიშესი გზა გამოიარა და ლიანდაგზე დაჯდა ისევე, როგორც მისი ერი. გორას, ანუ ქართველი ერის ნებაზე ჰკიდა სავალის არჩევანი. ამ მხრივ გორა ესაადა, მაგრამ ყოველთა დირსეულთა და უღირსთა საქმეთა ბოლო მანინე არარაობა, ასპარეზიდან გათრეული

ხარის ხვედრია, რადგან, როცა იქნება, პლანეტა „დედამიწა“ კოსმოსურ უსასრულობაში აითქიფება აღამიანთა მიერ ქმნილ სიკეთითა თუ უკეთურობებთან ერთად. ამით იმის თქმა ყველა, რომ ყველაფერი წარმატებელია, მათ შორის ლინდავისკენ დაუოკებული სელაქ, რადგან კაცობრიობა საბოლოოდ უნდა მივიდეს მღვრამელ და ვითარებამდე, როცა საბრძოლველი აღარაფერი იქნება და, ვფიქრობ, სწორედ მაშინ აღესრულება ჩვენი დედამიწა.

- თქვენს მოთხრობებზე, თუ არა ველები, ნოდარ ჩხეიძეს აქვს დაწერილი - მწიგნობრივი პრობლემებისადმი თქვენს ინტერესს იმთავითვე ხელაქვია... სხვა კრიტიკოსებსაც ხომ არ გაიხსენებდით და, საერთოდ, რა დამოკიდებულება გაქვთ კრიტიკოსთან?

- რახან ნოდარ ჩხეიძე და მისი ჩემი მოთხრობისადმი დამოკიდებულება ასხენეთ, მოვივარდებ სხვებსაც, ვინც ჩემი მწერლობის სათავეებს შეესწრო და სახარბიელო გავლენაც მოახდინა ჩემს ჩამოყალიბებაზე. ესენი იყვნენ: საქართველოს სახალხო მხატვარი რევამ თარხან-მოურავი, მწერალი, ფილოსოფოსი რევამ თვარაძე, კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე ნოდარ ჩხეიძე, მწერალი და კრიტიკოსი ოგია პაჭკორია, ჟურნალ „ცისკრისა“ და „მზათობის“ რედაქციები და სხვანი და სხვანი.

ვინაიდან თქვენ თავად მოთხოვეთ ინტერვიუს ტექსტი არ შემეძლება, თავს ნებას მიეცემ, ზოგი რამ გაიხსენო.

რევამ თარხან-მოურავს, მგონია, სამართლიანად მივიხსნევ არამარტო ქართველ ხელოვანთა შორის, არამედ მთელ ქართველ ინტელიგენციაში ერთ-ერთ უგანათილებულეს კაცად. ამაზე დამეთანხმება ყველა, ვინც „რემიკას“ იცნობდა. მითქვამს და ვიმეორებ: განათილებულობის პოტენციით იბადებიან და ნასწავლობა ამ პოტენციას მხოლოდა ინფორმაციის გვიროს მაგებს... ალბათ, ბევრი გვინახავს ნასწავლი, ვისაც გონებაგანათილებულობისა არაფერი სცხა და ისეთი ადამიანებით, ვისაც არაფერი უსწავლია, მაგრამ მათთვის ნათილე გონებისა და ინტელექტის მაღლი თვით დამერთს უბოძებია. რევამ თარხან-მოურავი აღამიანთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნებოდა, რომელმაც ღმრთივ მომადლებულ სულგანათილებულობას უდი-

დეს ნასწავლობაც დაურთო.

მე მასთან ერთობ დაახლოებული, როგორც იცხვიან, მისი ყოველდღიური, განუკრული მეგობარი ვიყავი და ჩემი ლიტერატურული ცნებები მისთვის და სხვა ასეთივე ახლობლებისთვის თუ არა, ვისთვის უნდა გამეზიარებინა?! ჩემი ლიტერატურული ურთიერთობები რემიკასთან ასე დამახსოვდა: მივიდოდი, დავიწყებდი მორიგი თემის კითხვას... რემიკა მოღებრეს მიაშურებდა და მხარუკულმა მეგყოდა, - იკითხე, ყურს გივლებო. ცხადია, მესმოდა, რომ ნათხზავი არ მოსწონდა - ერთხელაც იყო, მივიტანე ნოველა „გიორგი ბურღული“, დავიწყე კითხვა. პირველი აბზაციის წაკითხვისთანავე ხელნაწერი გამომტაცა, რამდენჯერმე გადაიკითხა და მითხრა, - ვარგა, კარგიაო!.. ღმერთმანი, მიხვდი, რატომაც მოუწონა და ამ ორმა სიტყვამ ბევრი რამ შევცადა პროზისადმი ჩემს დამოკიდებულებაში. სხვათა შორის, „დათა“ რომ დავამთავრე, რაღაც გაორებამ თუ უკმარისობის გრძნობამ შემამყრო. მესმოდა, რომ წიგნი დასრულებული არ იყო. კარგა ხნის წყაღების მერე ეპიგრაფივად დავწერე, რემიკას წაუკეთხე და ასე მითხრა, - ბიჭო, წიგნი დავამთავრებია და ეგ არის, რახან მაგის გრძნობა გაქვს, გათავდა, ნაღდი მწერალი ხარო.

რევამ თვარაძე, ვინც რემიკასავით ჩემი უახლოეს მეგობართავანი იყო და ამჟამადაც არის, შეიძლება ჩემ ლიტერატურულ მოძღვრად ჩაითვალოს ისევე, როგორც ცნობილი ნოდარ ჩხეიძე იყო. ამან რევამ თვარაძის სიტყვიერად გამოთქმული აზრი - ამ მოთხრობების ავტორისგან მომავალში კარგი რომანისტი დაღებო - თავის ერთ-ერთ სტატიამში წერილობით დაადასტურა.

საკოდავი ოგია პაჭკორია ჩემსავით ცნობიერებამოვლილი კაცი იყო. ეს გარემოება გვემეგობრებდა და, რა თქმა უნდა, ერთმანეთის ნაწერებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა პერმანენტულ ხასიათს ატარებდა. ამ ბრძენ კაცთან ურთიერთობამაც ბევრი რამ მასწავლა.

სანანებლად მრჩება ერთი რამ: რევამ თვარაძეს „გორა მზორგალი“ უკვე წაკითხული ჰქონდა, როცა რჩევა ვთხოვე, - რომანში ცხრა კარია, გამიჭირდება, მაგრამ განმზახული მაქვს, ყოველ კარს ეპიგრაფი უნდა წაუვმძღვრო-მეთქი. რემიმ მითხრა,

- არ გინდა, უეპიგრაფებოდაც ყველაფერი რიგზეა, გაპორებდა ჩაგითვლიანო. მე კი მგონია, რომ ეპიგრაფები მეტ სინათლეს მოჰყენდა წიგნის ქსოვილს, უფრო გასაგები და, ამდენად, „გორა მბორგალი“ უფრო სწორად შეფასებულაც იქნებოდა.

რაც შეეხება საერთოდ კრიტიკასთან ჩემს დამოკიდებულებას, უნდა მოვახსენოთ, დადებითია; გონსასეირო და ჭკუის საწაველებელი რამ არის ლიტერატურული კრიტიკა. ჩემი ასეთი დამოკიდებულება შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ იმ უამრავ რეცენზიებში, შინ თუ გარეთ, ერთი უარყოფითი შეფასებაც კი არ შემხვედრია.

- რომელია ის მწერლები, წიგნები თუ პერსონაჟები, თავს რომ მოვანაგრებენ ხოლმე?

- არა მგონია, ქართველი მწერლისთვის მაც შეკითხვის მიცემა მართებული იყოს. ყველაფერი მომანაგრებს თავს, რასაც ღმერთის მაღლი აღეეს, მაგრამ მაინც გატყეპით პასუხს. ყოველთვის და არაერთთვის სიაშოვნებით ვკითხულობ ბიბლიას, ოთხთავს, რუსთაველს, ვაჟას, ილიას, სულაკაურს, ფანჯიკიძეს, ღონაძეშვილს, ჭიჭიშვილს, ჭილაძეებს, ღოსკოუესკის, ბალზაკს, დიუმას, მარკ ტვენს, რომენ როლანს და სხვათა და სხვათ - როცა მცალია, ანუ როცა თავად არ ვმუშაობ. აი გმირებიც, ვინც მუდამ თან მდევნენ და არ მასვენებენ: დიუმაის დარგანიანი, მარკ ტვენის ინდიელთა ბელადი, ბალზაკის ვოტრენი, რუსთაველის ავთანდილი, ღონაძეშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა“, ვაჟას ალუბა ქეთელაური... ძნელია ჩამოთვლა იმ გმირებისა, რომლებითაც ცხოვრობ და ამრთვნებ.

- ბატონო ჭაბუა, გავიგე, „გორა მბორგალი“ გამოსულა შეეღერ და რუსულ ენებზე... ეგებ ამის შესახებაც ვგიაშობო, ხმებიც დაღის, მოხალღონღალია ნობელის პრემიაზე წარდგენილი...

- ნობელიანგობაზე სამუდამოდ ამიერგულად გული. „დათა“ ორჯერ იყო წარდგენილი, ნომინაციაშიც ორჯერ მოხდა. საამწლოდ რევაზ თიარაძემ (ლიტ. ინსტიტუტის ხაზით) „გორაც“ წარადგინა; ეს მესამე წარდგენაა, მაგრამ, ვიცი, არც ახლა გამოვა რამე. ისე

კი ურიად სასიამოვნოა, რომ სულმანთა აკაკის, ბრძენი ბატონ გიორგი ვარაზიშვილის, უდიდესი ტალანტით ღმრთივ კალთადაბერტყილი ოთარ ჭილაძის გვერდით ამოყო თავი.

- როგორ ხდება ხოლმე, ჭაბუა ამირჯაბის შექმნილი პერსონაჟები უკარებენ ავტორს თუ თავის ჭკუაზე დაღიან?

- პერსონაჟი თავის ჭკუაზე ვერ ივლის, რადგან იგი მთლიანი ჩანაფიქრის მხოლოდ-და ელემენტია. მან უნდა იაროს ისე, როგორც ავტორის განზრახვას სჭირდება და ასევე დაღიან.

- „სტილოს“ ბერძულად მხვილწვერიანი ჯიხი ყოფილა, რომლითაც განათულ დაფაზე წერდნენ... თქვენს „სტილოს“ როგორ დაახასიათებდით, იცვლებოდა თუ არა წლების განმავლობაში?

- არა მგონია. იცვლებოდა ჩანაფიქრი და თხზულების მიზანი. იცვლებოდა დრო და სამშობლოს საჭიროებათა ნუსხა (პუბლიცისტიკის ველოსისმობ). ჩემს ასაკში ძნელად რომ „სტილო“ შეიცვალოს. სიგყვამ მოიტანა და ბარემ სტილის გამოც ვიგყვი ორიოდ სიგყვას - თხრობის, თხზულების აღწავლობასა და კომპოზიციას ვეგულსხმობ.

დაბეკვირდთ ჯერის მონასტრისა და სვეტიცხოვლის ტაძრის კომპოზიციას. ჯვარი მკაცრი პროპორციების, მოცულობათა გეომეტრიული სიმუსგით განლაგების სტილია გადაჭრილი. სვეტიცხოველში ერთისა და იგივე ხუროთმოძღვრული დეტალის განმეორებას ვერავინ ნახავს. ტაძრის კომპოზიცია გადაჭრილია პრინციპით: მრავალი, მკვეთრად განსხვავებული, უმშენიერესი დეტალების ისეთ კომპოზიციამში თავმოყრა, რომელიც ერთ, მთლიან მშენიერებას ქმნის, დაახლოებით ასეა აგებული ჩემი რომანები: მრავალი დეტალისა თუ „ნაჭრის“ ისეთ კომპოზიციამში მოქცევის ცდა, რომ ყველამ ერთად მთლიანობა და განზრახული მშენიერება შექმნას. დავიღოთ გულზე ხელი - უძნელესი და ურთულესი სტილია, მაგრამ, ჩემი ამრით, სწორედ ასეთმა სტილმა უნდა შექმნას ურთულესი და გონმისაწვდომად ძნელი მშენიერება. რაყა ვარ, ესა ვარ და არც მინდა მეტი ვიყო.

- ხომ არსებობს ქიმიური ელემენტების მენჯელევისი პერიოდული სისტემა. თქვენ, მწერალი ჭაბუა ამარჯუაძე, - ორი რომანის ავტორი, მესამე რომანს შექმნიდნენ, უამრავი ადამიანის ცოდვა-მადლის ამწონ-დამწონავე, - როგორ ფიქრობთ, თუ შეიძლება ამნაირადღე ამ მახასიათებელი ავიკის ადამიანთა პერიოდული სისტემა თუ ეს შეუძლებელია?

- მგონია, ფსიქოლოგებს ადამიანთა თავისებურებებისა და ამროვნების „მენჯელევის“ სისტემა შექმნილი აქვთ. შექმნილი მაქვს მეც, ანუ მგონია, რომ ადამიანი შეწყვეტილი მყავს მისი ავ-კარგითა და თუნდაც ინდივიდუალური ბუნებით.

- რა არის თხუთმეტკუთხედიანი ქართული ლიტერატურის უმთავრესი სინამდვილე თუ თვისება? რით გამოირჩევა სხვა ერების მწერლობიდან და რით ჰგავს?

- ქართულ ფოლკლორში ბოროტ გმირს ვერ იპოვით. დევბიძე კი მხოლოდ იუმორის საგანს წარმოადგენენ. ქართული მწერლობა მთელი თავისი არსებობის მანძილზე სიკეთისა, ახლის ძიებისა და შენების ქადაგებაა, სიძულვილსა და შხამს ჩვენს სიყვარულში მწერლობაში ვერსად შეხვდებით. ვფიქრობ, ეს მახასიათებელი საერთოდ ქრისტიანულ მწერლობაზე ვრცელდება იშვიათი გამონაკლისების გარდა.

- საუკუნე მრისხანე ვიყით, მერამდენაო, ბრძანა პოეგმა და ვეებ თქვენი აზრი გავიზიაროთ ამ მრისხანე საუკუნის მიწურულს ლიტერატურულ ცხოვრებაზე და, აქედან გამომდინარე, ჩვენს სინამდვილეზე?

- ჩვენი საუკუნე მეორე ათასწლეულის დამაგვირგვინებელი საუკუნეა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება სხვა საუკუნე, რომელშიც ესოდენ ძირფესვეული ცვლილებები განეცადოს კაცობრიობას და მასთან ერთად ქართველ ერსაც. როგორც გვებიძავს, ავწონ-დავწონით, ლიტერატურისა და ხელოვნებათა ავ-კარგი სამოგალოების სოციალური ვითარების აღკვეცაია. გავხედოთ წარსულისკენ, ყველა (ან თითქმის ყველა) ლიტერატურული შედეგები სამოგალოების (წარ-

სულში მმართველი წრეების) მაგერიალური კეთილდღეობის წყალობით შეიქმნა. დამკვეთის სახსარი არ ჰქონოდა, ვერც პირამიდები, წმინდა პეტრეს გაბარი და ვეფხისტყაოსანი შექმნილდა და მეორე ფაქტორი - სამოგალოება, როგორც სოციალური დამკვეთი!

კარგად მოგეხსენებათ, რას დამეგავსა დღესდღეობით ქართული პრესა. სამოგალოების ერთ ნაწილს როგორც სჭირდება, ისეთია. მე ამ პრესას შევადარებდი სტეკს, რომლითაც შუასაუკუნეების ევროპელი მონარქები და დიდძობილები შურგს იფხანდნენ, როცა მათ მტებნარი შეაწუხებდა. დღევანდელი ქართველობის ერთ ნაწილს მაგერიალური გასაჭირით განპირობებული მტებნარი აწუხებს, შურგს პრესით იფხანს. საბედნიეროდ, ქართულ კაპიტალისტურებაზე ეს მოვლენა ნაკლებად ვრცელდება, მაგრამ ლიტერატურას უაღრესად უჭირს, რადგან მაგერიალური გასაჭირის გამო მომხმარებელი არ მყავს, წიგნის შექმნა შეუძლია მათ, ვისაც ცოგალოდენი სახსარი აქვს და სიბრძნის სიყვარული შემორჩა. მიუხედავად „საუკუნის მრისხანებისა“ ჩვენი მწერალი, საბედნიეროდ, ვაკეცია, მიმძლს არ ეკუება, მის და წერს.

ბარაქაბა თქვენ, სიყვით რაინდებო! ღარწმუნებული ვარ, ვითარება თანდათან გამოსწორდება და წიგნი ჩვენს ადამიანში თავის ადგილს დაიბრუნებს.

სულწარფობა ადამიანის არა მარტო უარყოფითი, არამედ დაბლუპული თვისებაა. ჩვენ ახალ ქართულ სახელმწიფოს „ცარიელ ადგილზე“ ვაშენებთ და ისეთ სახელმწიფოს, სადაც ქართველ კაცს წიგნის გრადიციული მოთხოვნილება აღუდგება. გადავავლოთ თვალი: ისრაელმა ჩვენი პლანეტის კაპიტალების აქტიური შემწეობითაც კი ვერ მოიძიოვა სასურველი მშვილობა, მიუხედავად ყოველდღიური ადამიანური მსხვერპლისა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა, „მარშალის გეგმის“ მრავალმილიარდიანი ინექციების მიუხედავად, დღევანდელი ვითარების მიღწევას ოთხი, ხუთი ათეული წელი მოანდომეს: ჩვენ რა წითელი კოჭები ვართ, ექვს, შეიდ წელიწადში სამოთხის აშენება ხელგვეწიფებოდეს?! სამშობლოს სჭირდება ოფლი და სისხლი. უნდა გავდლოთ და ქართული ლიტერატურა თავის თხუთმეტკუთხედიან სახეს



დაიბრუნებს. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ჩვენი მწერლობა იმავე ლიანდაგით და დღესაც მწვერვალისკენ მიემართება. გაიხსენეთ, რამდენი მართლაც შვენიერი წიგნი დაიწერა ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში! ვითომ რაგომ იქნება ქართველთა ლიტერატურული მომავალი წარსულსა თუ დღეს არსებულზე უარესი?

- თქვენი ბიოგრაფიის კაცისგან მოულოდნელი იყო და იქნებ აგვისსნათ, ვაშეთ „ქობაშვილი“ გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილში მხარი რაგომ დაუჭირეთ სიკვდილი დახვას?

- საერთოდ სიკვდილი დახვასთვის არ დამიჭერია მხარი. იქვე ფორმულასავით რამ ვთქვი: თუ მოსულ მტერს, რომელსაც ჩვენი ერის საუკეთესო შვილებს ამოწყვეტა აქვს განზრახული, იარაღით, მრისხანებით, მოკვლით შეხვედრა ეგების, რაგომ უნდა დაგვიხლით მტერი, ვინც ჩვენს ახალგაზრდობას სამარისკენ მიერეკება. სამწუხაროდ, კაცობრიობა ვერ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი შვილების მკვლელს სიკვდილი ეკუთვნის. ამიტომ მგონია, რომ კანონწინააღმდეგი ნარკომწარმოებელი და ნარკოვაჭარი სიკვდილით უნდა დაისაჯოს, „აქა ვღვაჯარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“.

- „პათემაგა მათემაგა“ - ჭირთათმენით შეცნობისკენო, ესქილედან წამოსული ეს ფრთიანი ფრაზა უკვარდათ ძველ ბერძნებს... თქვენ შრავალი განსაცდელი შეგახვედრათ ცხოვრებაში: ორი დახერგის განაჩენი, თქვენსგან წლის კაგორგა, შეიღის სიკვდილი და კიდე ვინ მოთელის, რამდენი ვადაიგანეთ... მაინც სადა აქვს სათავე თქვენს მხეობას, ჭირთათმენის ნიჟს?

- ალბათ, ეს თვისებაც დმრთივ ბოძებულია და შემდეგ შრავალი განსაცდელით იარის გამოწრთობილი. აბა, რა გითხრათ, თავად მიკვირს - ეს სამოცდათვრამეტი წლის მოხუცი კაცი კიდე ვრთ მძიმე საქმეს შევეჭიდე, სხევითან ერთად „ქართულ სულიერ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია „ივერია“ ჩამოფაყალიბე და ილიახეული „ივერიის“ „ახალი „ივერიის“ სახელწოდებით გამოცემასაც ვაპირებ. რაგომღაც დარწმუნებულ

ვარ, შევძლებ კიდე. მიზანი ახანგრძლივებს სიცოცხლეს. ალბათ, ამ ფორმულით აიხსნება ის, რაც თქვენ ბრძანეთ. მიზანი!

- *ამას წინათ წავიკითხე, რომ მართი ვარგას ლიოსა პოლიტიკაში ვადაბარვდა, პრეზიდენტობის კანდაღაცე კი იყო პერუში, თუმა დაბარვდა და ახლა კრიჭაში უღვას ხელისუფლებას... რა მარბუნხნებს მწერალს პოლიტიკაში, საქმე ვამოვლია თუ ჰკონია, რაღაი კარგი მწერალია, კარგი პოლიტიკოსი იქნება? როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მწერლის დამოკიდებულება თავისი ქვეყნის ხელისუფლებასთან?*

- მართი ვარგას ლიოსა პერუში, სწორედ იმ პერიოდში გავიცანი, როცა თავისი კანდაღატურის წამოყენებას აპირებდა. ვუთხარი კიდე, მაბაგით, მომხრე ვარ იმისა, რომ მწერალი პოლიტიკოსიც იყოს, მაგრამ პრეზიდენტობისა რა მოგახსენოთ-მეთქი. მგონია, გაწყრა.

მწერლის პოლიტიკოსობაზე გეგყვიო: მწერალი, უპირველესად ყოვლისა, თავისი ერის შვილია, ახე თელიდა ყველა დიდი ქართველი მწერალი. მე თუ რაიმე დამიწერია, ყველაფერი ჩემი ერის, მისი ახალგაზრდობის მწეობის დახეყვისკენ იყო და არის მიმართული და ეს სწორედ რომ საქართველოს კეთილდღეობისკენ მიმართული პოლიტიკაა. კრიჭაში ჩავუღვები ყველას, ვინც შეგნებულად თუ შეცდომით ქართველ მამულიშვილობას საქმითა თუ სიგყვიო ვანუღვება. ყველას ამოუვღებო მხარში, ვისაც გულწრფელად, თავდადებითა და უახგაროდ სწურია ქართველი ერის მომავლის მსახურება. ეს არის ჩემი პოლიტიკოსობა.

მწერალი, ვინც თავის თავს ქართველ მამულიშვილად რაცხს, უნდა მხარში ამოუღვებს ხელისუფლებას, რომელსაც სამშობლო სახელმწიფოებრიობისკენ მიჰკავს და პირუკუ - ბრძოდეს ხელისუფლებას, თუ იგი სხვა კრიგირთუმებს აღიარებს.

- *ჩემთვის მიფიქრა ხოლმე, რომ თქვენ დიდი კაგორღელების მოღვმისა ბრძანდებით - სერვანგესისა, ვიოინისა, გურამიშვილისა, ფუჩიისა, სხვისა და სხვისა... თავად თუ ვაგრძენიათ მითთან სულიერი სიახლოვე?*

- თქვენს მიერ ჩამოთვლილ გენოსების გვერდით დადგომა კანდიერება და უხამსობა იქნება ჩემგან, მაგრამ სულიერი სიახლოვე მიგრძენია იმ ფაქტორის გამო, რასაც ვისოსისა და საქის „სურნელება“ ჰქვია. ეს მათ ყოველ თხზულებაში მკაფიოდ იგრძნობა და მეტიც - არ ეყნოსათ, ვერ დაწერდნენ, თუმცა შედეგის შექმნისთვის აუცილებელი არ არის ციხეებში ყურყუტი. აგერ რუსთაველი, დანტე, გოეთე, პუშკინი და, რა ვიცი, კიდეც ვინა და ვინ.

- და ბოლოს, როგორ მიმართავდით ახალგაზრდა მწერლებს „ცისკრის“ ფურცლებიდან?

- ახალგაზრდებო, მერწმუნეთ, თქვენი სულიერი თუ ფიზიკური შესაძლებლობები თავისებური კაპიტალია. კაპიტალს იმ ნიადაგში დაბანდება უყვარს, რომელიც მეტ მოგებას მოიგანს. ჩადეთ თქვენი კაპიტალი იმ


ნოყიერ ნიადაგში, რასაც მშობლიური მიწა-წყალი, ჩვენი საქართველო ჰქვია და ნახავთ, რომ უდიდეს მოგებას მიიღებთ.

ასე მოვიქცევი მე და, ვფიქრობ, ბევრიც მოვიგე!

ბოლოოჰმა

„შიდი წლის მანძილზე მასწაველია გრაფი სველი გერმანულ ენას და არ მახსოვს, დახვეწილი მრდილობისა და სანდომიანი თაუაშიანობის ნორმები ერთხელ მაინც დაერღვიოს. ჩვენმა ღრომ წოდებები უარჰყო, მაგრამ ჩვენი მასწავლებლის გუარი „გრაფის“ გარეშე არავისგან გამივონია. ვფიქრობ, ამას თვით მისი პიროვნება, საქციელი, აღაშიანებთან ურთიერთობების ბუნება აპირობებდა“, - წერს „ღათა თუთაშიას“ წინათქმაში ავტორი და იგი ბოლოთქმაში იმიტომ გამოვიგანე, რომ დარწმუნებული ვარ, ეს სიტყვები თავად ჭაბუა ამირეჯიბსაც წარმაგებით შეიძლება მიუსადაგეთ.

მიხო მოსულიშვილი



ცნობილ ქართველ პოეტს მურმან ჯგუბურიას 60 წელი ამ რამდენიმე ხნის წინ შეუსრულდა. იგი „ციცკართან“ არსებული მწერალთა გაერთიანების „საეკლასის“ წევრია და გადაეწყვიტეთ, მოგვიანებით, მაგრამ სწორედ „ციცკრის“ ამ ნომერში მიგველოცა მისთვის ეს საინფორმაციო თარიღი, რომელშიც მხოლოდ „საეკლასის“ წევრების ნაწარმოებებია წარმოდგენილი.

ბაგონო მურმან! გულთადად გილოცაუთ დაბადებიდან მე-60 წლისთავს, მხნობა და ახალგაზრდული შემართება არ მოგაკლოთ მამამეციერმა. მკითხველს ეთავაზობთ თქვენს ინტერვიუს „ციცკრის“ თანამშრომელთან, ჩვენი მხრივ კი მაღლობას მოგახსენებთ ამ თბილი სიტყვებისთვის, ამავე ინტერვიუში ჩვენი ჟურნალისთვის რომ გამოიქვეყნოს.

საყვარელი მუსიკოსი - ქართველი ხალხი

*ბაგონო მურმან, დაგვისახელეთ ჩვე-
ნი საუკუნის ხუთი საუკეთესო პოეტი.*

- ესენია: გალაკტიონი, გრანელი, ნიკო სამადაშვილი, ვიქტორ გაბესკირია, ანა კალანდაძე.

ამ ხუთეულს, ჩემი აზრით, მკვეთრად გამოხატული საკუთარი მსოფლმხედველობა აქვს. საკუთარი ხმა ბევრსა აქვს, მაგრამ საკუთარი მსოფლმხედველობა - არა; ჩვენ ყველანი, უმეტესად პატრიოტი პოეტები ვართ, რაც ჩვენი ცხოვრების ყაიღამ განაპირობა. არა მგონია, პატრიოტიზმი რაიმე განსაკუთრებულ თვალსაზრისს, განსაკუთრებულ მსოფლმხედველობას გამოხატავდეს: მამული ყველას უყვარს, დედა ყველას უყვარს. პატრიოტი პოეტი იყო ლაღო ასათიანი. მისი მიმღევრები არიან:

მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე (გარკვეულ დრომდე) მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე და კიდე მრავალი ქართველი პოეტი.

პატრიოტიზმის მოჭარბება, როგორც ვიცით, დამწყებ პოეტებს ახასიათებთ. თითქმის ერთნაირია მათი თვალსაწიერი, ის საგანი, მოვლენა, რამედაც წერენ. კაცი შეიძლება ოთხმოც წელს იყოს მიგანებული, მაგრამ მაინც დამწყები პოეტის დონეზე აზროვნებდეს, მარტოღმარტო, პატრიოტიზმის ირგვლივ გრიადლებს მისი შემოქმედება. საამი-

სი მაგალითის მოძიება უხვად შეიძლება.

საკუთარი ხმა კი, როგორც ვთქვი, ძალიან ბევრ ქართველ პოეტს აქვს.

სამაგალითოდ:

მუხრან მაჭავარიანს რომ იმხელა საკუთარი მსოფლმხედველობა გააჩნდეს, რამხელა საკუთარი ხმაც მოუპოვება, დედამიწის მურგზე საუკეთესო პოეტი გვეყოლებოდა.

- *სია ხომ არ გავაგრძელოთ, თქვენი ხუთეული ათეულად რომ გადავაქციოთ, იმ პირველ ხუთეულს კიდევ ვინ დაემატებოდა?*

- გიორგი ლეონიძე, ლაღო ასათიანი, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, ტარიელ ჭანტურია, ბესიკ ხარაჩაული, მანანა ჩიტიშვილი...

- *მეტი გამოვიდა...*

- კიდევ შეიძლება ამ სის გაგრძელება (ისევ და ისევ საკუთარი ხმის მქონე პოეტებს ვგულისხმობ), მაგალითად, ოთარ ჭელიძე - არავის, არაქდროს არც ერთ სხვა პოეტში არ აუტრევა ეს პოეტი, იმგვარი მკაფიოდ გამოძახილი საკუთარი ხმა გააჩნია...

- *რა ვახსოვთ ყველა დროის პოეტებიდან ყველაზე ღიდი და ფასეული გამოონათქვამი?*

- ქართველმა პოეტმა თქვა: „რასაცა გასკებ, მენია“. გერმანელმა პოეტმა თქვა: „ჩვენ გვაკინებებს ჩვენი წარმატება“. რუსმა პოეტმა

თქვა: „Жить знаменитым - некрасиво“.

- რა პროფესიას აფასებთ ყველაზე მეტად?

- იმ პროფესიას, რომელსაც უკეთესად ფლობს ადამიანი.

- ვინ არის თქვენი მეგობარი?

- ვისაც ჩემი ესმის, ვისაც ჩემი არ ესმის.

- რამდენი შვილი გყავთ?

- ხუთი. სამი ვაჟი და ორი ქალი.

- გამოირჩეულად თუ გიყვართ რომელიმე?

- დროდადრო.

- თქვენ ხომ პროზასაც წერთ. რომელი თქვენი პროზაული ნაწარმოები მოგწონთ?

- რომანი „ორი თვალი“. ეს რომანი ორგზის გამოიცა, მაგრამ არც ერთი გამოცემა არ არის სრულყოფილი. პირველი გამოცემა ნაკლები იყო, მეორე - გაღამებულად. ახლა მინდა, შესაძლებლად გამოეშვა. შევამყირო დაახლოებით, ასე, 100 გვერდით მაინც.

რითია თქვენი რომანი საინტერესო?

რაგომღაც მგონია, რომ ეს ნაწარმოები იცავს მწეობას. თუმცა ამ მწეობაზე ყველას თავისებური შეხედულება აქვს. კანტი ამბობს (ნუ ითქვამთ, რომ კანტი კარგად ვიხილე; უბრალოდ, ამა თუ იმ ფილოსოფოსის ნაწერებიდან იმას ვიმახსოვრებ, რაც ძალიან მომეწონება და ეს არის): „მწეობის საკითხი ყველაზე მეტად ფილოსოფოსებმა გახადეს საეჭვო“. ძალიან საყურადღებო გამოჩნობაა.

- მეოცე საუკუნის უდიდესი პროზაიკოსი?

- პრუსკი.

- მეოცე საუკუნის უდიდესი პოეტი?

- ალბათ ვალაკიონი.

- რატომ „ალბათ“?

- ენის გამო. სხვა ენის პოეტი უფრო ნაკლებად მისაწვდენი და გასაგებია ჩვენითვის ვიდრე პროზაიკოსი.

- თქვენი საყვარელი პოეტი?

- ვიქტორ გაბესკიონი.

- რაზე თუ ვახსოვთ ამ წუთას მისი შემოქმედებიდან?

„...ი, მწვისიანი... ნუ შაღღღებით, მფირთებო, გხვადით...“

- საყვარელი მითხრობა?

- უიარაღოს „მამულეკი“.

- საყვარელი ლექსი?

- „როგორც შენავემ ძველი სანაო,

ვით გულმა გული და მკლავმა - მკლავი,

ისე, პირველი ნახვისთანავე,

ვიცანი ჩვენი მისიანის ნაო.“

ნეტა, ამ ნაწილს დამაძინა და

გამომპლავდა ასი წლის ვარე,

მანახავ, რა მხრით, როგორც ისინაო

და როგორც ბრწყინავს აქ მზე და მთივარე“

- უდიდესი ქართველი პროზაიკოსი?

- დავით კლდიაშვილი.

- თანამედროვე მწერლებიდან?

- ოთარ ჩხეიძე და რემო ჭეიშვილი.

- საყვარელი მხატვარი?

- დავით კაკაბაძე.

- საყვარელი მუსიკოსი?

- ქართველი ხალხი.

- მომღერალი?

- ნიკო ხურციია.

- კინო-ფილმი?

- „ლეგენდა ნარაიაშაშვი“, რომლის მთავარი გმირიც, რატომღაც მგონია, არის თოკლი.

- თანამედროვე დრამატურგიაზე რა ამბი გაქვთ?

- ცუდად ვიცი. დიდებული დრამატურგი იყო პოლიკარმე კაკაბაძე. „ყვარყვარე თუთაბერი“ ყველა დროის ნაწარმოებია. დრო გადის, ხანი არ ემატება; როგორც ერთმა მხატვარმა თქვა საკუთარ ტილოზე, „ბრ ბერდება“. ამიტომაც არის მისი ავტორი ჩვენი თანამედროვე დრამატურგი.

- თუ გიყვართ, პიესა დაგეწერათ.

- მიყვარს. უმეღვეოდ. ძალზე კონკრეტული, სპეციფიკური ცოდნა საამისოდ აუცილებელია. ალბათ, წაგიკითხავთ, გოლსტონის არ მოსწონდა ჩხოვის დრამატული ნაწარმოებები - რას დადიან ეს თქვენი გმირები საწოლიდან საწოლამდე და რაზე საუბრობენ, ვერ გამოვიგო. ცდებოდა, ცხადია. ჩხოვი თავის დროზე ყველაზე მდიდარი მწერალი იყო დღემდე. მას აქვთ გორკი იყო უმდიდრესი მწერალი მსოფლიოში.

- თანამედროვე ქართულ თეატრს დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი. რას გვეტყვით ქართულ თეატრალურ რეჟისორებზე?

- საუკეთესო რეჟისორია ბატონი თემურ ჩხეიძე. ჩხეიძეს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ იგი ქართული თეატრის კლასიკურია

გმის გამგრძელებელია. დიდად აფასებს თავის მასწავლებელს, ბატონ მხიელ თუმანიშვილს. ბატონი რობერტ სტურუა, ჩემი მუხედლეებით, უფრო პერიოდიული თეატრის მოყვარეა. ახმეტელის მიმდევარია, თუ შეიძლება ასე ითქვას. სტურუასთან, სტურუას სპექტაკლებში რეისორი მეტად ჩანს, ვიდრე მსახიობი. ამიგომაც დღეის რუსთაველის თეატრი - რეისორის თეატრია. ჩხეიძის თეატრი უფრო ეროვნულია, სტურუას თეატრი - უფრო ინტერნაციონალური. ამას, ალბათ, მათ მიერ შერჩეული რეპერტუარიც მიეგვანიშნებს. სტურუას რომ მსახიობი შევარებოდა, ბორის წიფურაას არ მოიშორებდა. სამაგალითოდ ვამბობ. ბორის წიფურია ამოუწურავი შესაძლებლობის მსახიობი მგონია. მაინც ვფიქრობ, ამ საკითხზე, თეატრი ვინც უკეთ იცის, იმან უნდა ილაპარაკოს. მე ერთი უბრალო მაყურებელი ვარ და ჩემი თვალსაზრისიც ერთი რიგითი მაყურებლის თვალსაზრისია.

- ერთი თქვენი ლექსი ასე მთავრდება: „იხურო ქრისტიკეს დაბადება ნამღვილად მჯერა“. აღდგომა თუ გწამთ?

- დაბადებაც მწამს, გარდაცვალებაც და აღდგომაც.

- საყოველთაოდ ცნობილია საქართველოს ხალხისი ვითარება. გამოსავალი თუ ჩანს?

- ჩვენ უნდა გვიხსნას შეთანხმებამ, ერთობამ, შრომამ.

მშრომელ კაცს იმდენი თავისუფალი დრო არა რჩება, ბევრი ურიგო საქციელიც რომ ჩაიდინოს.

ამ შრომის რაობაზე იცხება თავი დიდმა ილიამ. არადა, ღვთით, ისევე ვუბრუნდებით კერძო საკუთრებას. ესე იგი, შრომაც ელირება.

ფროსტი წერს, ადამიანს შრომა უნდა უხაროდესო. მხოლოდ მაშინ მიეცემა ცხოვრებას აზრი.

ერთხელ ჩვენს ოჯახში, დიდი მსხლის ჩართში ორი კაცი ამღერებდნენ ხარღს. ერთი მათგანი ბაბუაჩემი იყო, მეორე - ბიძაჩემი. ბაბუა გლეხი მყავდა, ბიძაჩემი კი ქალაქში მსახურობდა, ჩინოსანი კაცი იყო.

- ცხოვრებაა აქ ჯდომა და თამაში, - თქვა ჩინოსანმა.

- შენ ხომ იმიგომ მსახურობ, რათა დაისვენო, - უთხრა მას გლეხმა, მე კი იმიგომ ვისვენებ, რომ კარგად ვიმშრომე.

დღემდე მახსოვს ის დიალოგი.

მთავარია, კაცმა იშრომოს და საქმე წინ წაიწვეს. ერთი კაცის ნახელსაქმარი, არ იქნება, სხვასაც არ გამოადგეს, თუნდაც იმ ერთმა კაცმა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის სარჩენი სარჩო-საბადებელი მოიპოვოს. ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, ჩვენი დღევანდელი ყოფიერება, ჩვენი სიღატაკე და სიბეჭავე, უსაქმურობის ერთი სახეა. „მუშა მიწვიე მუშაკობდეს“. ყველამ ჩვენ-ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, მთავრობის კაცმაც და თოხის კაცმაც, მწერალმაც და მეცნიერმაც.

ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი, ბატონი ზვიად გამსახურდია ჩინებული მთარგმნელი იყო, მაგრამ არ იყო პოლიტიკოსი. ფლორენსკი წერს: პოლიტიკოსის ისეთივე პროფესიონალიზმი სჭირდება, როგორც ლიბერალს, ფიციკოსს, გეოლოგს, ისტორიკოსს, მათემატიკოსს და ა. შ. თუკი ყველანი ამას ვაგაქვითოთ, რაც უკეთ ვიცით, საქმეც გამოისწორდება და საშველიც დაგვადგება.

უსაქმურობასთან არის დაკავშირებული მიგინგების, დემონსტრაციებისა და მანიფესტაციების მოწეობა („Идут неработающие рабочие“, ბუნინი); ამ მიგინგომაშიაში ამავე დროს არის რაღაც ქალური; მიგინგი ხმაურია, მოყაყანე და გამოკივანი. ქალი მეტს ხმაურობს, ვიდრე კაცი; კაცის გვირგვინი ფიქრია, - ამბობს ვაჟა.

ერთი სვანური ხალხური ლექსი მთელ დედამიწაზე ყველაზე საკვირველად მიიჩნევის იმ ამბავს, რომ ქალები სხედან და არ ლაპარაკობენ. ისტერიამდე მისული ყვირილი თუ კივილი ქალის ხელობაა.

- თქვენ ერთ-ერთ წერილში ამბობდით: ეკოლოგია კერძო საკუთრებასთან არის დაკავშირებული.

- არავისი არ არის მოწა; არავისი არ არის წყარო; არავისი არ არის ქუჩა; არავისი არ არის ლიფტი; არავისი არ არის ქალაქი და ვინ უნდა მოუაროს? არავინ მოუვლის. ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი ნამღვილი სახელი და ყველაფერი უნდა დახრუნდეს თავის ნამღვილ პატრონს: მიწა - გლეხს, ფაბრიკა - მუშას, გაზეთი - ჟურნალისტს, გამოშვემლობა - გამოშვემელს... თუკი გვინდა, რომ ეკოლოგიურმა კატასტროფამ არ დაგვლუპოს. თქვენს რედაქტორს ბატონ მარე კალანდიას კარგად ეხსოვება ასეთი გამოხატულებები: „კაჭიას გყე“, „შედანიების

მოა“, „ეთმეს ყანა“, „გოტოჩიას ფერდი“, გულეს გობა“ (გბა) და ა. შ. მაგრამ მოდი, მცირე ხნით ნუ მომცემ შეკითხვას და ერთ რამეზეც გავამახვილოთ ჩვენი გულისყური. რამედან ჩვენ აქ ვსაუბრობთ, ეს ჩვენი ცხოვრებაა. ცხოვრება, ანუ სცორიბა, ისტორიამ კი მხოლოდ და მხოლოდ სიმართლედ უნდა ასახოს. რომელმა ერთმა მწერალმა ვაღიარეთ და მოვიხანით საკუთარი დანაშაული, დიდი თუ მცირე? ერთხელ ქალბატონმა ირინა სარიშვილ-ჭანტურამ პატივისა და მიგვეების შესახებ ისაუბრა. არ ვიცი, ვის რა უნდა მივეუკვეთოთ, თქვა მან, ჯერ უნდა დავადგინოთ, ვინ რა დააშავა და მიგვეებაზე შემდეგ ვისაუბროთო. არადა, ვიდრე დაწამაულს სხვები დაგვიდგენდნენ, ხომ უკეთესი იქნება, თავადვე ვაღიაროთ ჩვენი დანაშაული, რითაც მიგვეების მასშტაბზე გაიზრდება. ისტორია პირუთენელია. ადრე თუ გვიან ყველას თავისას მიაკუთვნებს. მაგრამ აქ ერთ საკითხზეც მინდა გამოვიქვა ჩემი კინი მოსაზრება. რა გვახსოვს ჩვენ ისტორიიდან? - ავი და ბოროტი საუკუნეები, ტირანი და ღესპოტი მფეუები და კეისრები, - მაკელონელები, კალიგულები, ნერონები, ნაპოლეონები, პიტაგორები, სტალინები. რა არ გვახსოვს? - წყნარი და შშიანი ეპოქები, მიწათმოქმედებისა და მშვილობისმოყვარე მფეუები და ერები. ერთი ხე მოიჭრა თბილისში და ქვეყანამ გაიფო. ათასი ხე რომ დარგო, ვერავინ გაიფებს.

მე ვიყნობ კაცს, რომელსაც თანაბრად უყვარს ქრისტი და ნაპოლეონი, რუსთაველი და სტალინი. მაგრამ განაღა ამით რა საერთო აქვთ? ისინი ხომ ერთმანეთს გამოირიცხავენ, როგორც დღე და ღამე, კეთილი და ბოროტი, ანგელოსი და სატანა. რაღაც მზარნაქვევს მაგონებს მთელი ჩვენი კაცობრიობის ისტორია...

ერთხელ დაწვერი, შევარდნაზე ღმერთმა სტალინის მაგიერ ვამოუგზავნა-მეთქი საქართველოს. გულდად ვთქვი, რასაც ვფიქრობდი. სამაგალითოდ: სტალინმა შუაზე გაყო ვერმანი, შევარდნაქემ - გააერთიანა. მაგანს და მაგანს ემწარა ჩემი ეს აზრი. მაგრამ მე მაგანთა და მაგანთა რეაქციამე კი არ

ვფიქრობ ახლა, არამედ იმაზე ვფიქრობ: საიდან ამ ერთი ხელის დაღება ქვეყანას ასეთი ღონის პიროვნებები. საიდან - რუსთაველი, საიდან - დავითი? საიდან - ვაბა, ილია, აკაკი, გლავაკიონი? საიდან - სტალინი, ბერძე, შალიკაშვილი, შევარდნაძე?

- *ბატონო მურმან, მოვიდეთ პირველ სიგვეას, როგორც იგვეიან.*

- როგორც ვენბავდით!

- *„ეისკარზე“ რას გვეტყვი?*

- კარგს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მე, როგორც ავტორს, ძალიან მწყალობს. მეორე იმიტომ, რომ ჩემი სახელი და გვარი სულ რომ არ გააჟანახოს თავის ფურცლებზე, არც არაფერი ამით არ დააკლდება. რედაქტორს, ყველას ვგასკვირად, არამწვეულებრივი ერთუმიამითა და ენერგიით მუშაობს, არაფერი რომ არ ვთქვა იმის შესახებ, თუ რა მძიმე დროში უწევს მოღვაწეობა. დღითიღე, ნომრიდან-ნომრამდე უმჯობესდება ჟურნალის შინაარსი, ჟურნალის სახე. ბლოკმა თქვა ერთხელ კუშინის ლექსთა კრებულზე: მარცხენა ხელში თუ მიჭირავს, მენახება, მარჯვენა ხელში ვადავიგანო. შილად ასე არაა ჯერხნობით, ალბათ, თქვენი ჟურნალის საქმე, მაგრამ, სახლს უთქვამს, საქმის დასაწყისი საქმის ნახევარიაო.

- *რა ასაკისა ბრძანებით ბატონო მურმან?*

- ეს საუბარი დამთავრებული „ძლივს“ გვექნება, 60-ისა გაგხდები.

- *რამდენ ხანს ისურვებდით სიცოცხლეს?*

- იმდენ ხანს ვისურვებდი, ვიდრე ერთი ქართული შლაინის გმირს არ დავემგვანებოდი, საკუთარმა ნაშეგრმა ბერიკაცი კალათით მთაში რომ აიყვანა და იქ დაგოვა, რაც ძლიერ მომგონებს კაფკას ცნობილი მოთხრობის გმირის თავგადასავალს და კიდევ ჩვენს საუბარში ნახსენები იაპონური ფილმის შინაარსს.

- *ვიხარიათ, ქართველი რომ ხართ?*

- არა.

- *ვინ ვინდათ, რომ იყოთ?*

- ქართველი, ოღონდ უკეთესი.

გურამ ოდიშარია


მღვის სარკეში არეკლილი მზე

ლექსებზე აღრე ჩემს ნახაგებს ბუჭდავდენენ
 ჟურნალებში, მერე ხაგვისითვის საჭირო დროს
 ლიტერატურას ვწირავდი, მაგრამ მეგობარ
 მხატვრებთან ურთიერთობის დრო არასდროს
 არაფერზე გამიყვლია. მხატვრებს შორის ერთ-
 ერთი გამორჩეული მეგობარი, ჩემი თაობის
 კაცი - ლერი ჭანტურია მყავს.


ლერი ჭანტურია - სოხუმელი მხატვარი!

მას უყვარს ასე - სოხუმელ მხატვრად რომ
 მოიხსენიებენ. ეამაყება. იქნებ განსაკუთრებით
 იმიტომაც, რომ სოხუმი დღეს მსოფლიოს
 უშორესი ქალაქია ჩვენივის, გოკიომე და ნიუ-
 იორკზე უშორესი და მოულოდნელ გკივილად
 გვექცა, თუმცა, ჩვენი სულის ნაწილი ის ყოე-
 ელთვის იყო.

ფერებიც განსხვავებული აქვთ მღვისპირა
 ქალაქებს - მღვა უმარმაზარ სარკესავით ირ-
 ეკლავს მზეს და იქაური მწვანე უფრო მკვეთ-
 რი და ხასხასაა, წითელიც სხვანაირია, ლურ-
 ჯიც... ამიტომაც განსხვავებულია ლერის გილო-
 ების მწვანეც, ლურჯიც, ყვითელიც და ისეთივე
 ეგზოტიკურია, როგორც სოხუმისა და გაგრის
 ბაღებში მამთარში აყვავებული, დათოვლილი
 ქრიზანთემა, ლამის გროპიკულ, მომწვანო



მხატვარი ლერი ჭანტურია



მხატვარი ლადო ფონხუა

წვიმაში მოყვავილე ბრამილიური აურაკარია,
 მღვის სილურჯეში მოსხმარგალე ვერცხლისფე-
 რი, ნახევრად გამჭკვირვალე ლიფსიგების
 ქარაფანი.

დღესაც კარგად მახსოვს რამდენიმეგმის
 აკრძალული, მაგრამ საბოლოოდ მაინც 1971
 წელს მოწყობილი სოხუმელი აფანჯარდისტი
 მხატვრების გამოფენა. მონაწილეებიც მახსოვს:
 ვალერი არქანია, ნუგზარ მგალობლიშვილი,
 ალიკ სემენცოვი, ვოვა შენგელია, ვიგალი
 ლაკერბაი, საშა მარკოსიანი... და, რა თქმა
 უნდა, ლერი ჭანტურია. მას შემდეგ თითქმის
 ოცდაათი წელი გავიდა, დრომ ბევრი, ძალიან
 ბევრი რამ შეცვალა, მაგრამ ლერი კვლავ




მზაგვარი ვია შენგელია

ძველებურად ერთგულია თავისი გზისა. მის გილოებზე ხან ფერია მარტივი, კომპოზიცია კი რთული, ხანაც პირიქით. მისი აბსტრაქციები მრავალგვარია - გრაფიკული, გეომეტრიული, კონტრასტული, ზეგრძნობადი... მოგიც კლასიკური აბსტრაქციონიზმიდან იღებს სათავეს, ზოგან სემანტიკა გახსენდება.

ლერის გილოებზე ნათელი ფერები ირევა, წრიალებს, მოძრაობს, ეამიყამ ფეთქდება, სიერცე დინამიკურია, დამუხტული. თბილისში შექმნილ მის სურათებში ვგრძნობ მშვიდი, იდილიური მღვისპირა სამყაროს მონაგრებას.

ზღვის ზედაპირზე არეკლილი წითელი და ყაეისფერი, თეთრი, მშის სხივები... ეს ამკარად აფროსნების შეჯიბრია, რეგატაა.

„დელოფინი“, „დაისი“, „ნიჟარა“ - ლერის ფერებით შექმნილი, სხვა სიცოცხლით მფეთქავი. ლერი ყოველთვის გაძლევს საშუალებას, საკუთარი წარმოსახვით დაასრულო მისი ნახატი,



მზაგვარი ლერი კანკურია

შემოქმედებითი შრომა გასწიო და იმ საამოენების ნაწილი მიიღო, რასაც მზაგვარი განიცდის.

ხატვის პირველ გაკვეთილებს ნიკოლოზ თაბუკაშვილი უგარებდა სოხუმში, ხოლო თბილისში კარლო გრიგოლიასაგან სწავლობდა მონუმენტურ-აბსტრაქციული ქანდაკების თეორიას.

ახლაც თვალწინ მიდგას მისი ქანდაკებები: „თეთრი დელოფი“, „დინამიკა“...

1994 წლიდან ლერი ქანდაკების საერთაშორისო ცენტრის წევრია. ორი წლის წინ ერთბაშად ორი პრემიის ლაურეატი გახდა - გიორგი შარვაშიძისა და პოლაკ-კრასნერისა. პოლაკ-კრასნერის პრემიის მიღება ამერიკაში მიულოცეს. მას არც აღიარება უკვირს, არც პრემიები, ჩვეული სიდინჯითა და ერთგულებით. სიყვარულით აკეთებს თავის საკეთიფელს.

ლერი ნამუშევრებს არავითარ მინაწერს არ უკეთებს, მისი მიზანია, მაქსიმალურად მიუახლოვდეს, შეერწყას ბუნებას, მის სიმშვიდეს. ოცნებობს, მცირე ოამისებზე ურბანიზმულ გარემოში, ფეთქებად ქალაქებში, არქიტექტურულ პლასტიკური სამყაროს სახით, რომელიც შერწყმული იქნება ბაღებთან, პარკებთან, შადრენებთან, ჩანჩქერებთან. ოამისები იარსებებს ღია ცის ქვეშ, სადაც იქნება გამოფენები ცვალებადი ექსპოზიციებითაც.



მისი ოცნების ოამისებში სოხუმის მღვისპირეთის შრიალი ჩამესმის.

ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ლერი.

ლადო შონხუა ოცდაცხრა წლისაა. ის საინგერესო, ერუდირებული, რაფინირებული მხაგვარია. ერთხელ ფურცელზე ამოტეხილი საკუთარი ინფორმაცია გადმოშვა. ინფორმაციას წინ უძღოდა მორის ბეჟარის სიგყვები - „ჰემ-მარიგი ავანგარდი იმაში მდგომარეობს, რომ წარსდგე რაიმე წმინდა კლასიკურით“.

ლადო თვლის, რომ დღეს ხელოვნება, უბრუნდება სიმბოლოს, მეტაფორას, ფილოსოფიურ გაზრებას, მუშეუშებს, იდეების სამყაროს.

მის კონცეპტუალურ სურათებში პარადოქსული განზომილებებია - ნიჟარები და სამუშეუმო ნიშნები, ეაკ კალოს ოფორტი და მასმე რეკლამის მოციმციმე შუქი, ბავშვის გულბრყვილო სამყაროს აგრინუტები და „დღეების“ საგნები.

ლადოს დედა აფხაზეთის ცენტრალური მუზეუმის თანამშრომელი იყო. ლადოს სანახევროდ მუშეუშში იმრდებოდა. ამიგომაც მის სურათებში სურია მუშეუმის ნიშნები, წარწერები, რიგხვები...

„ხუთი ქვა მარიამისათვის“ - გილომე ხუთი ქვაა გამოსახული. წარმოიდგინეთ, მარიამ მაკლანინელისათვის სასროლად განკუთვნილი ქვები ვინმეს რომ ვაღემალა, შეენახა, ჩვენ, ადამიანები მათ ხომ აუცილებლად მუშეუშში მოვითავსებდით, თან შესაბამის ახსნა-განმარტებასაც დაეურთავდით. ეს ლადოს ფერწერული ირონიაა.

„ფრთები და ქვები“ - თუ ამქვეყნად არსებობს რაიმე მსუბუქი და ნაგიფი, რასაც ფრენა მუშეულია, იქვე აუცილებლად არსებობს რაღაც მძიმე და უხეშიც, რომელსაც მუშეულია დაამსხვიროს ცაში მონახვირდე ფრთები.

მის ერთ-ერთ ფერწერულ სურათს „დღესასწაული“ ჰქვია - ოქროსფერ ბავშვს სამკუთხა, ოქროსფერი დროშა უკირავს; დიდებმა საპირველდებით თუ საშუალოდებრო პარადზე წაიყვანეს, რათა თავიანთი ყალბი დღესასწაულის მონახვილე გახადონ. ის ოქროსფერიც მხაგვრის ირონიაა.

მისი ნახატების ერთ-ერთი აქტიური პერსონაჟი - პატარა ბიჭი ხან წინაპრის მფრინავ სულთან, ხანაც მხეცთან ერთად სეირნობს, ბიჭის დაეანგული, დაბრეცილობორლებიანი კვლისიკაღე მისი უსიხარულო ბავშვობის სიმბოლოა.

ლადო ნიჭიერი გრაფიკოსიც არის. წიგნის, ეურნალის, გამეთის ფურცლებზე დახატული მი-



მხაგვარი ლადო ფონხუა

სი ადამიანები სულ სადღაც მიიჩქარიან, მოგზაურობენ - ხან რომელიღაც აზიურ ქალაქში იმყოფებიან, ხანაც ევროპაში, ამერიკაში, ხან მღვაზე და ხან ხმელთაშუა „მოგზაურობა“ - ეს მისი საყვარელი თემაა. მჯერა, რომ ლადო ფონხუასა და მის სურათებს წინ დიდი მოგზაურობები ელით. მურგის ქარს ვუსურვებ მათ.

ბიორბე შინბაქია - სრულიად ახალგაზრდა, ოცდარი წლის იმედისმომცემი, ენერგიული მხაგვარია. მის სურათებში ექსპრესიული წითელი დომინირებს, კიდევ - შავი ფერი.

გიორგი ცილობოს, წამიერი სურათები დააფიქსიროს - ფილმის სცენით შუშინებული მაყურებელი, რომელიც ხელს სახემე იფარებს; ხელეების ჩრდილების თეარული თითების მოძრაობა. ადამიანებს ხატავს იმ სიგუაყიანში, როდესაც ისინი გახსნილები არიან - ახლობლებთან, მარტო ყოფნისას და არა მაშინ, როდესაც საზოგადოებაში ნიღბებს იფარებენ. მის ერთ-ერთ სურათში ადამიანი იმალება პატარა, შავ კოლოში. ამ დამალვაში მისი ბედისწერაცაა.

როდესაც აფხაზეთში ომი დაიწყო, გიორგი თხუთმეტი წლისაც არ იქნებოდა. ერთ-ერთ სურათზე გულრიფშის მღვისპირეთი აქვს დახატული. როგორც მახსოვს, ისეთი დახატვო, მითხრა. ღმერთმა ის დღე მალე გაუთენოს, როცა მშობლიურ სახლში მყოფი დახატავს მღვის სანაპიროს - იქ ხომ მღვა უზარმაზარ სარკესავით ირეკლავს მშეს და იქაური მწვანე უფრო მკვეთრი და ხასხასაა, წითელიც სხვანაირია, ლურჯიც...



დავით მჭედლური

ეროვნული იდეის ძიებაში

დავით მჭედლურის ესეისტურ-კუბოლისტური ნაწარმოები საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმოცენება-განვითარების 3000-წლოვან იუბილეს და ქრისტეს შობიდან 2000 წლისთავს ეძღვნება. ამ წიგნის ცალკეული თავები („წანარეთი“, „ოქროს ხანა, ანუ ეროვნული იდეის კრიზისი XII საუკუნეში“) სხვადასხვა დროს დაიბეჭდა „ცისკარში“.

შსსპაი

საქართველო ორი ცივილიზაციის, ორი კულტურის საზღვარზე მდებარეობს, პოლიტოლოგი პანთინგოტონი ამგვარად „გახლეჩილ“ ქვეყნებს ეძახის, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ ქვეყნის ხალხი თავის სწრაფვასა და სულსიკეთებაში, ზნეობასა და გრადიციებში ორ ცივილიზაციას ემყარება, ეს ცივილიზაციები უმეტესად ძალზე განსხვავებულია ერთმანეთისაგან, თუმცა ყველა მათგანი კაცობრიობის ღირსეულ მონაპოვარს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, განსხვავებულია მათი ბუნება, ხასიათი, ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რელიგია და სულიერი ორიენტაცია, ხოლო ცივილიზაციათა საზღვარზე მდებარე „გახლეჩილი“ ქვეყანა გამუდმებით მერყეობს ორ საწყისის შორის ანდა ერთი რომელიმესკენ მისწრაფის, რაც ხშირად მტრულ მდგომარეობაში აყენებს მეორესთან.

ევრაზიის საზღვარზე, ესტარეობა, მუსულმანური და ქრისტიანული სამყაროს ჭიდილი უკანასკნელი თხუთმეტი საუკუნის მანძილზე და, საერთოდ, ორი ცივილიზაციის შეხვედრა სწორედ აქ, კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, გამუდმებულ შემოქმედებას ახდენდა ჩვენი ქვეყნის ბედ-აღბალსა და ისტორიაზე ამ ბრძოლამ თუ თანხმობით ცხოვრებამ თავისი კვალი დატოვა ეროვნულ ცნობიერებასა და ინდივიდუალურ მსოფლმხედველობაში და ეს კვალი ერთობ ღრმავა, იმაზე ღრმავა, ვიდრე ჩვენ მას ვამჩნევთ ან თუნდაც შეცნობიერებული კვლევებით შეგვიძლია ჩავწყვიტოთ.

ბევრი რამ, რაც დღეს ჩვენს ეროვნულ თვისებად გვეჩვენება, სავარაუდოა, რომ სათავეს უძველესი დროიდან, იმ სამყაროს ცივილიზაციებიდან იღებს, რომელიც პელესპონგიდან ჩინეთის მდებარე იყო გადაჭიმული და მისი ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიის ქედს გადალამა იღო, ხოლო სამხრეთით ინდოეთის ოკეანეს ეხებოდა ან იქნებ უფრო შორს, ავსტრალიასა და ამ ოკეანეში მდებარე არქიპელაგებზეც ვრცელდებოდა.

ლეღამიწის ამ ნაწილში გამუდმებით იქმნებოდა და ინგრეოდა სახელმწიფოები, იმპერიები, რასაც თან ახლდა ცივილიზაციათა აღორძინება და დაცემა, ხალხთა აძრევა და განცალკევება, ეთნოსთა განადგურება და წარმოშობა, რასების გამუდმებული გადაადგილება...

ამ ეპოქალურ ნგრევა-აღორძინებათა ცალღები მრავალი საუკუნის განმავლობაში აწყდებოდა კავკასიონის ქედს და მის სამხრეთ კალთებზე მცხოვრებ ხალხებს არ შეეძლოთ, თავის თავზე არ ეგრძნოთ და არ განეცაბათ მისი გავლენა.

ამ გავლენის ნაკვალივითა აღმოჩენისთვის საჭიროა ვიცოდეთ იმ ეთნიკური მასების ბუნება და ხასიათი, რომელნიც ისტორიულ მოძრაობათა ეპიცენტრში იყვნენ და რომელთა უმეტესობა დღეს აღარ არსებობს: გაქრნენ ფინიკელები და ეგვიპტელები, ხეთები და ურარტელები, ასურელები და ბაბილონელები... ქვეყნებებს მოსწყდა ინდოეთისა და ჩინეთის ხალხთა ცივილიზაცია, მოგვიანებით ძველ კულტურ-



რათა ამ ნანგრევებზე გადაიარა ბერძულ-რომაული აგრესიის მრავალრიცხოვანმა გაღ-ღამ, ხოლო შემდგომ, არაბული და თურქული მოდგმის ხალხთა შერევით, სრულიად ახალ ეთნიკურ წარმონაქმნებს დაეღ სათავე.

საქართველო, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილი, ვამუდმებით ამ ისტორიულ პროცესებთან იყო დაკავშირებული და ამ ცივილიზაციითა არეალში ცხოვრობდა. მას არ შეეძლო რომელიმე სხვა ცივილიზაციაზე ორიენტაციის აღება და ასეთი, ვგონებ, ქვეყნიერების სხვა მხარეს არც იყო; ევროპა ბევრად ჩამორჩებოდა აღმოსავლეთის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციითა და ეთნიკური მდგრადობით, ხოლო კულტურით პირდაპირ ბარბაროსთა მოდგმას წარმოადგენდა. ევროპული და ამიური ცივილიზაციები თვით ევროპელთა მიერ ამიის საფუძვლიანი კოლონიზაციის შემდეგაც კი უცხონი დარჩნენ ერთმანეთისთვის და ევროპულ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ამიელთა ბრძოლაში გაცილებით დიდი ადგილი ეკავა სულიერი ორიენტაციის გადარჩენისათვის მოძრაობას, ვიდრე წმინდა პოლიტიკურ ან სამხედრო ხასიათის წინააღმდეგობებს.

ადრეულ შუა საუკუნეებში, რენესანსის გარიჟრაჟმდე, თვით ანტიკური ეპოქის დიდი ცივილიზაციაც კი, რომლის ნაშთები ყოველ ნაბიჯზე იხილვებოდა ევროპულ მიწაზე თუ მიწის ქვეშ, ისეთივე უცხო იყო უკვე სახელმწიფოებრივი სიმწიფის ხანაში შესული აქ მოსახლე ხალხებისთვის, როგორც ვრათა მომთაბარე გომებისთვის ნილოსის ველისა და შუამდინარეთის კულტურათა გრანდიოზული ნაშთები.

ევროპას ძალა არ ეყო, ამიის ხალხებისთვის

თავს მოეხვია პრაგმატიზმით გამსჭვალული წმინდა ბურჟუაზიული კულტურა; არც იმისი ძალა აღმოაჩნდა, რომ შებრძოლებოდა და წაეღეკა ათასწლოვანი ცივილიზაცია, სულიერი ცხოვრებისა და ფილოსოფიის ის სისტემები, რაც ამ უზარმაზარ კონტინენტზე მცხოვრებ მრავალმილიონიან ხალხებს ოდითგანვე ჩამოუყალიბეს თავისმა დიდმა მოძღვრებმა და რაც მათი ცხოვრების უმთავრეს კანონად იქცა. ამიის ხალხთა მაკერიალური ყოფაც მაკაცრად ეფუძნებოდა საუკუნოვან სულიერ ორიენტაციებს, რომელთა მოშლა ვერ შეძლო ევროპელთა მედაპირულმა და ცერემონიალურმა კულტურამ. ერთადერთი, რაც მიუღ ამ კოლონიურ ომებში ევროპელთა სისასტიკეს ოდნავ მაინც ჩრდილავს, ის არის, რომ ისინი გულმოდგინედ შეუდგნენ თავისი ახალი კოლონიების ან მათკენ მიმავალ გზებზე მდებარე ქვეყნების მიწისქვეშეთის შესწავლას, მედიმდე აღმოაჩინეს ძველი ცივილიზაციები და სათავე დაუდეს მათ მეცნიერულ შესწავლას.

... თვალს ვავლებთ ისტორიის ამ სიღრმეებს და ჩვენს არსებას დაუოკებელი ცნობისწადილი ეუფლება: როგორ ცხოვრობდა და რას აკეთებდა ამ ღროს ხალხი, რომელსაც დღევანდელი საქართველოს ტერიტორია ეჭირა.

სამწუხაროდ, კაცობრიობის ის შორეული წარსული აქ არაფრით ამკლავნებს თავს: არც მიწისქვეშ დამარხული დიდი ქალაქები შემორჩენილა, არც მიუვალ კლდეებზე ამოკვეთილი წარწერები, არც დიადი საკულტო ძეგლები და, რაღა თქმა უნდა, არც პირამიდების მსგავსი ნაგებობები.

მეცნიერულ მსჯელობისთვის ოდნავ ხელშესახები შენობები მხოლოდ ანტიკური ეპოქიდან არის შემორჩენილი და ისინიც იმდენად მწირია, რომ თვით ყველაზე ვონებაშავილური მეცნიერიც კი ვარაუდების სფეროს ვერ გასცდება.

ეს ძირითადად იმ უცხოელ ავგორთა ჩანაწერებია, რომელნიც შემთხვევითა წყალობით მოხვდნენ ამ ტერიტორიაზე და მოგზაურის მოკლე შენიშვნები შემოუნახეს შთამომავლობას ის, რაც ერთი თვალის გადავლებით ნახეს და დაიბნესოვრეს.

ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას და პატივს ვცემს განცდებს უჭირს იმ ამრთან შეგუება, რომ ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა, რომელთაც უამრავ ადგილას დაგოვეს თავისი პრეველყოფილი ცხოვრების ნაშთები, ვერ მიადწიეს განვითარებისა და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ისეთ დონეს, რომ არსებითი მონაწილეობა მიეღოთ ძველი მსოფლიოს ცხო-

ერებაში, ვერც აღმოსავლეთის დიდ ხელმწიფეებს დაბამასხოვრებს თავი, რომელნიც საკუთარ გამბრუნებათა აღწერისთვის ყველაზე მყარ მასალას - პიგოლო კლდეებს ირჩევდნენ და ვერც შუამდინარეთის ებოების შემოქმედთა ფანგამაში ჰპოვეს ადგილი.

მსოფლიო ცივილიზაცია კი ყვაროდა.

ინდოლეგმა ჯერ კიდევ III ათასწლეულის დამლევს ისწავლეს წერილობითი; II ათასწლეულის დამლევს შექმნეს ებოები „რამაიანა“ და „მააბახარაბა“; I ათასწლეულის დასაწყისს განეკუთვნება მეფე მანუს კანონები. II ათასწლეულის შუა ხანებიდან მიღრეივება ჩინური დამწერლობის ნიმუშები, 3500 წელს ითვლის შუმერში ნაპოვნი პიქტოგრაფიული დამწერლობა. ბაბილონის მეფე ჰამურაბმა თავისი მოფონის 2067-2025 წლებში შექმნა მისი სახელით ცნობილი კანონები. დამწერლობა და კულტურა ყვაროდა უღამსა და ხეთაში, მაშინდელი ქართველები კი არაფრით ამკლავებდნენ ინგლექტიკული შრომისად მიღრეივებას, ყოველ შემთხვევაში, ამისი კვალი არა ჩანს.

თუ არა საქართველოს გერიგორიაზე აღმონენილი პირველყოფილი აბამიანის ნამოსახლარები, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩენოდა, რომ ამ ნაყოფიერ მიწებზე, მთებსა და ხეობებში, ბერძენთა და რომაელთა გამოჩენამდე კაცის ხასიათი არ ჰაჭანებდა ანდა, თუ ცხოვრობდნენ, წარმოგვჩვენა კი არა ჰქონდათ ცივილიზაციის ისეთი პირველსაწყისზე, როგორც არის დამწერლობა და მშენებლობა; მათ არაფერი დაუწერიათ არც ქვაზე, არც თოხზე, არც პაპირზე; არაფერი აუშენებიათ ისეთი, რაც დროს გაუქვდა.

მაშინ, როცა ყვაროდა ეგვიპტისა და შუამდინარეთის ცივილიზაცია, როცა ინდოეთისა და ჩინეთის ხალხები ქმნიდნენ ფილოსოფიურ და თეოლოგიურ სისტემებს, საქართველოს გერიგორიაზე, ალბათ, ისევ პირველყოფილი აბამიანთა ჯოგები დაბოვდნენდნენ, პრიმიტიული იარაღით მოამოვებდნენ საკვებს და ბუნებრივ საფარს - გამოქვაბულებს აფარებდნენ თავს.

მიღებული თვალსაზრისით, დედამიწა 5 მილიარდ წელს ითვლის, ხოლო აბამიანის მსგავსი არსება მის მულაპირზე მხოლოდ ორი მილიონი წლის წინათ გამოჩნდა. ორ ფეხზე მოსიარულე ცხოველის ვადაბამიანების პროცესსაც იმ დროიდან ითვლიან, როცა მან მომხმარებელიდან მწარმოებელზე გადასვლის მიღრეივება გამოამკლავა და აღწყო ქვის იარაღების გამოხორცხა.

სამწუხაროდ, ჩვენი წინაპრების ანთროპო-

ლოგიური სახისა და ინგლექტიკულ შესაძლებლობათა განსაზღვრა არც ისე ადვილია. მთელი ეს მეცნიერება პირველყოფილი აბამიანის შესახებ რამდენიმე ჩონჩხს ეყარება, რომელიც დედამიწის სულ სხვადასხვა კუთხეში აღმოაჩინეს. მათ შორის ყველაზე ძველი - Homo habilis-ად, ანუ მარჯვე აბამიანად არის ცნობილი და მის ჩონჩხს განგანიკაში მიაკვლიეს, პითეკანთროპის ჩონჩხს იავაზე მიაგნეს, სინანთროპისას ჩინეთში, პაიდელებერგელი „აბამიანის“ ნაშთი გერმანიაში აღმოჩნდა, აგლანთროპი გუნისში, ნუანდერტალი ისევ გერმანიაში, ხოლო კრომანიონელად წოდებულ არსებებთა ჩონჩხები მიჩნეულია აბამიანის ფიმიკური განვითარების ბოლო საფეხურად და, დარვისისეული მოძღვრებათა კაცთა მოდგმის უშუალო წინაპრად ითვლება. არაფრის იცის, სად განისვენებენ ამ ბედნიერთა მშობლები და მათი მილიონობით შთამომავალი, რომელიც უნდა ავსებდეს თითოეულ ხანას, რაც იმ გაჭირვებაში ცხოვრობდა, რაც იმდროს და მხოლოდ ათიოდემ გაუძლო საუკუნეებს. მაგრამ ეს რა საკითხებია? ჩვენს ცივილიზებულ დროშიც ხომ ერთეულები ქმნიან მთელ ებოებს და ჩვენც ჩვენი შორეული წინაპრების სხვათაგან გამოჩნვეით გამძლე ყბის ძვლებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ საუკლებია გვეძლევა, თვალს გაგვადევნოთ კაცობრიობის განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიას სწორედ ამ ხუთიოდ ყბის მოხაზულობისა და შესაძლებლობის მიხედვით.

ეს „მეცნიერება“ კი იმდენად ხელოვნური, არამყარი და არადაბაჯერებელია, რომ ძალაუბრეულად ვჭვს ბადებს - ვინძლო მოუქნელი ყბის ის ხუთიოდე ძვალი აბამიანის მსგავსი რომელიდაც ცხოველს ეკუთვნის, ხოლო აბამიანის ის ცბიო, რომელიც დღეს მკვიდრობს დედამიწაზე, რომელიდაც სხვა სამყაროდან თუ სუბსტანციოდან მოველინა ჩვენს პლანეტას. და თუ მაინც ევოლუციის თეორიას დავმყარებთ, მაშასადამე, ჩვენს წინაპრებად ვადარებთ მაიმუნის მსგავს არსებებს, მაშინ ჩინეი დაუდევარი წინაპრები თავისი ცხოვრების კვალს მხოლოდ ქვის ხანიდან გვგვებენ, რომელსაც მეცნიერები პალეოლითად, ანუ ძველი ქვის ხანად, და ნეოლითად, ანუ ახალი ქვის ხანად, აყოფენ. ამ პერიოდში იწყებს „აბამიანი“ აქტიურ ცხოვრებას, ქვისიდან გამოიკოიტეხული იარაღით გამაგებელი იბრძვის ველურ და მკაცრ გარემოში თავისი ადგილის დამკვიდრებისთვის. მათ შორის უნდა ვივლისებთ ძველი ქართველებიც.

იმდროინდელი საქართველოს ღანღმა-

ფსიხა და ფაუნის წარმოსადგენად საკმარისია გაეხსენოთ, რომ მტკვრისა და რიონის ჭალებში დაბეჭდებულნი სპილოები და მარგორჭები, ბომბები და გარეული ტახები, მღვიმის დათეები, ანტილოპები და ლომ-ფეხები. ოღონდ ვე არის - ეს უმარმაზარი ცხოველები ჩვენმა მარჯვე წინაპრებმა ან ძველიანად შეხარამუნეს, ანდა გამყინვარებისთანავე ისინი ისე გადაიხვეწნენ საქართველოს მიწიდან, რომ ერთი ჯემი არ დაუტოვებიათ, მხოლოდ სათაფლის მღვიმეში დარჩა ყეყეი დინოზავრის ნაკვალევი.

რაღა თქმა უნდა, მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა, ადამიანთა მოღვმას 25 საუკუნე დასჭირდა, რათა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის პირველჩანასახამდე მისულიყო და წერა-კითხვა ესწავლა, მაგრამ ჩვენი წინაპრები ჯიუტად არ მრუნავენ თავისი ცხოვრების წერილობით უკვდავყოფამ; ამ ხალხმა, როგორც ჩანს, არ იცოდა ლურსმული დამწერლობა კი - არც თავად წერდნენ და არც მემობაზე სახელმწიფოებიდან აღებულიდნენ წერილობით დოკუმენტებს, არც ერთი ასო, არც ერთი კულტურული ნაკაწრი და ნახაზი რაიმე მყარ მასალაზე... თუკა ჩვენი ქვეყნის გერეგორიამე სახელმწიფოებრიობის რაღაც ჩანასახები უსათუოდ არსებობდა.

ძველ აღმოსავლელ მონარქებს, ხეთას, ურარტუსა და ბაბილონის, საარსეთის მეფეებს ძალიან უყვარდათ საკუთარ გმობობათა საქეყნოდ დაღად; ოსტატობა თვალმუღვამ კლდეებზე კვეთდნენ თავიანთი ბატონების მორიგი ლაშქრობებისა და გამარჯვებების ამბებს. გულშეიად მონარქებს, ცოგა არ იყოს, გრძობაჲ უყვარდათ; მცირე დასახლებებს ქალაქებად მოიხსენიებდნენ, პრიმიტიულ თავმესაფრებს ცხე-სამაგრებად ასახედნენ, გომთა ბელადებს მეფეებს ეძახდნენ, ხლო მათი გავლენის ქვეშ მოქცეულ მცირე გერეგორიებს - სამეფოებს. მაგალითად, მეფე სარგონს რომ დაეჯეროთ, იმ გერეგორიამე, საღაც დღეს სახმრეთ საქართველო მდებარეობს, მას ერთ-ერთი ლაშქრობისა 20 ქალაქი აუღია და 44 მეფე დაუმარცხებია (!?).

ეს უკვე ის დროა, როცა ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეში მტკიცედ არის დამკვიდრებული სახელმწიფოებრიობა, ეროვნული გრადიციები და წეს-ჩვეულებანი, ყვავის დამწერლობა, კულტურა, იქმნება სიგყვიერების ძეგლები, მიმდინარეობს მეცნიერული ძიებები.

იმ ხალხს კი, ვინც დღევანდელი საქართველოს გერეგორიამე ცხოვრობდა, და თუნდაც იმ 20 ქალაქში იყო თავმოყრილი ან იმ 44

მეფის ქვემეგრდომს წარმოადგენდა, ჯიუტად არ სურდა თავისი კვალის დატოვება ისტორიაში, არც არაფერს წერდა და არც არაფერს ამუშებდა ისეთი, რაც საუკუნეებისა და ათასწლეულების გაუმღებია, რაც მის სახელს მოყოლის მოჰყენდა და შორეულ ეპოქებამდე მიგანდა. არც მიწის ქვეშ და არც მიწის ზევით არაფერია მიკვლეული, რაც ოღნავ მუსკ წარმოდგენას მაინც შეგვიქმნიდა აქ მოსახლე ხალხების კულტურაზე, წეს-ჩვეულებაზე, სამეუდრო ხელოვნებაზე, სამეურნეო ყოფაზე...

ჩვენ ჯერ კიდევ მუსკად არ ვიცით, უქველეს დროში რომელ გერეგორიამე ცხოვრობდნენ ქართველური მოღვმის გომები. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ისინი ძირითადად შავი ზღვისპირეთში იყვნენ განსახლებული; ქართველთა ქვეყნის მთელი კონფიგურაცია შავი ზღვისკენ მიისწრაფვის და შავ ზღვას შემოსაღვკვია. ივარაუდება, რომ ქართული სამყარო ხმელთაშუა ზღვის ცვილიმაციის ნაწილი იყო; ამით უნდა აიხსნას ეგრესული, სარდნიული, პირინეული და სხვა კულტურათა მსგავსება ქართულთან. ამ მხარეებთან ურთიერთობა ქართული გომებისთვის, როგორც ჩანს, ოდესღაც ძალიან ადვილი იყო, შემდეგ კი მონხა რაღაც ისეთი, რამაც ისინი ერთმანეთს დაამორო.

ცნობისწავილი ისევ შორეული ეპოქების თვალუწედნელი სიდრმეებისკენ გვიწვება.

მაინც რა უნდა მომხდარიყო?

მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ შვემა ზღვამ დღევანდელი მოხამულობა დაახლოებით 7000 წლის წინათ მიიღო. საერთოდ, წყლის ამ უმარმაზარმა აუშმა, როგორც სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახელი ერქვა, მრავალჯერ იცვალა სახე, დაუკავშირდა და გამოყოფი მხოლოდი ოკეანეს. ეს ცვლილებები მილიონობით წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. შავი ზღვა გეტისად წოდებული უმარმაზარი ოკეანის ნაშთს წარმოადგენს, რომელიც 35-40 მილიონი წლის წინათ გადაჭიმული იყო სამხრეთ ვეროპიდან შორეულ აღმოსავლეთამდე. დედაიწის ქერქის მოძრაობისა და გეტისის დანაწევრების შედეგად წარმოიშვა შავი, კასპისი, არალის ზღვები.

ახლაზან გამოქვეყნდა ამერიკელი მეცნიერების ჯილიან რაინისა და უოლტერ პიტმანის კვლევის შედეგებზე დამყარებული მოსამრება, რომ ოდესღაც შავი ზღვა მომოდინე ტბას წარმოადგენდა, მასში შემავალ მდინარეთა წყალი კი, ალაბთ, ბოსფორისა და დარდანელის ვიწრო ყელით გაედინებოდა ხმელთაშუა ზღვაში, თუ გაედინებოდა საერთოდ და კასპისი

მსგავსად ჩაკეტილი არ იყო, მაგრამ დაახლოებით 7500 წლის წინათ დღემამწამდე რაღაც მიმდევრობით მოხდა კატასტროფა, მსოფლიო ოკეანის ღონემ უეცრად აიწია, ამდღევარებული ოკეანის მვირთები საშინელი ღრიალით შეიჭრნენ დღევანდელი შავი ზღვის აუზში და წყალმა შთანთქა ტბის სახანაოთს ვერცელი, მჭიდროდ დასახლებული გერიგორია. ამერიკელ მეცნიერთა მტკიცებით, ტბის აუზის ავსებას დღევანდელი შავი ზღვის ღონემდე საბოლოოდ დასრულებულია; ასეთ შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ ხალხის რაღაც ნაწილმა გახიზნა მოასწრო და სხვადასხვა მხარეში გაფიანგა, დიდი ნაწილი და მასთან ერთად მთელი მატერიკული კულტურა, რაღა თქმა უნდა, დაიღუპა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სწორედ ის კატასტროფაა, რომელიც კაცობრიობის სსოვნამ მსოფლიო წარღვის სახელით შემოინახა, მაგრამ წარღვის მიწერი მიმეში დავიწყებან არ იცოდა და იგი ღვთის რისხვად შერაცხა. რასაკვირველია, მსოფლიო ოკეანის ღონის აწევა ასევე კატასტროფად დაბგველებოდა ოკეანეებისა და მღვების პირას მოსახლე სხვა ხალხებსაც.

უეჭველია, გლობალურ კატასტროფას, რომელზე გამომწეია შავი ზღვის კონფიგურაციის შექცვა და მღვისპირეთის ხალხებს რისხვად დაბგვდა თავს, მიწერი მიმეში კქონდა, თუქმა არ გამორიცხავენ, რომ ეს კატასტროფა კოსმიურ მოვლენას, მეტეორიტის ჩამოვარდნას ან ციურ სხეულთა შეჯახებას მოქყვა. კაცობრიობის სსოვნაში უქველესი დროდან არსებობს ლეგენდა აგლანტიდის დაღუპვის შესახებ. ეს კონტინენტი თუ ვეებერთელა კუნძული ამერიკასა და აფრიკას შორის, ანუ, ძველი ბერძნების მტკიცებით, - პერაკლეს სვეტების, იგივე გიბრალტარის სრუტის ვადაღმა ივარაუდება. თვლიან, რომ კუნძულზე ერთობ წინ იყო წახული ცივილიზაცია და ყველა დანარჩენი ხალხთა კულტურა როგორც აზია-აფრიკაში, ასევე კოლუმბამდელ ამერიკაში, აქედან გავრცელდა.

აგლანტილოგია მთელი მეცნიერებაა და ამ თემაზე ათეულობით გომია შექმნილი, მაგრამ აგლანტიდის დაღუპვა იმდენად შორეულ დროში ივარაუდება, რომ რაიმე ხელშეხახები მატერიკული მასალის მოპოვება ძალიან ძნელია.

იმ მეცნიერთა ვარაუდით, რომელნიც აგლანტიდის არსებობას და დაღუპვას რეალობად თვლიან, კონტინენტს კატასტროფა 6000-8000 წლების შორის დაბგვდა თავს (ესოდენ შორეულ

ეპოქებში მომხდარი მოვლენების კვლევისას ცნობილება, რასაკვირველია, ასეულ, შეიძლება ათასეულ წელსაც კი შეადგენდეს).

და ბოლოს, გავისხნით ქართული კალენდარი, რომელიც ქვეყნიერების დასაბამს ქრისტიანულ ერამდე 5603 წელს ვარაუდობს. ამავე რწმენაზე აგებულ ბიზანტიური კალენდრის მიხედვით, ქვეყნიერების დასაბამი ქრისტეს ერამდე 5508 წელს დაიწყო, თუ ამას დავამატებთ ქრისტეს შემდგომ პერიოდს, მეგად სინტიერული ციურს მივიღებთ. უეჭველია, ქართული და ბიზანტიური (შავი ზღვისპირეთის ქვეყნის) ათვლის წლებად მიხნეული დროის განმავლობაში დღემამწამდე რაღაც ძალიან მნიშველოვანი მოხდა.

ამრიგად, არ შეიძლება ჩვენი ყურადღება არ მიიქციოს რამდენიმე მოვლენის თარიღის მიახლოებითა და მთხვევაზე.

პირველი: - შავი ზღვის დღევანდელი მოხაზულობა ჩამოყალიბდა 7000 წლის წინ (გრადიციული, დასაბუთებული თვალსაზრისი).

მეორე: მსოფლიო ოკეანის ღონის აწევა და შავი ზღვის აუზის კატასტროფული ავსება მოხდა 7500 წლის წინ (რანისა და აბგმანის ახალი დებულება).

მესამე: აგლანტიდის დაღუპვა მოხდა 6000-8000 წლების შორის.

მეოთხე: ქართული და ბიზანტიური ქრონიკონი, ანუ წელთა ათვლა ქვეყნიერების დასაბამიდან. ამ ათვლის მიხედვით, ახლა, 1999 წელს, ქართული კალენდრით დგას 7603-ე წელი, ბიზანტიური - 7517-ე.

მეხუთე: ქართველ პროფესიონალ და მოყვარულ მკვლევართა ვარაუდი - მსოფლიო წარღვნა მოხდა 6150 წელს (უმეგვსად ეზოთიერულ რწმენასა და საკრალურ ციფრებზე დაბგვარებული).

მკითხველი დამეთანხმება, დიდა ცდუნებაა, რომ მსოფლიო წარღვის ლეგენდა უეჭველად მივიჩნიოთ მიახლოებით განსამდგურელ დროში მომხდარ ბუნებრივ მოვლენად და აგლანტიდის ჩადირვას დაუკავშიროთ, ამ უზარმაზარი კუნძულისა თუ კონტინენტის ზღვაში გაუჩინარება ხომ უხათესდ გამომწვევად მსოფლიო ოკეანის ღონის კატასტროფულ აწევას, რაც მსოფლიო წარღვის სახელით გახდა ცნობილი.

ასეთ შემთხვევაში, ჩვენი ფანტაზია ისევე ჩვენს უშორეს წინაპრებთან გადანიაცვლებს, რომელთაც თავს დაბგვდათ „წელით რდენა“ და მთლიანად შეცვალა იმ ქართველური გომების ბედ-იბაბლი, ვინც მამის შავი ზღვისპირეთში ცხოვრობდა.

დავაკვირდეთ შავი ზღვის რელიეფურ რუკ-



ას მისი შუაგულის სიღრმე 2000 მეტრს აღწევს და მუქი ცისფერი სივრცე თითქოს ამკრად მიგვანინებს გზის თავდაპირველ მოხაზულობას, რომელიც დღევანდელი მოხაზულობის საწინააღმდეგოდ, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ არის წაგრძელებული; ასევე თვალნათლად ჩანს ის ფართობი, რომელიც ზღვამ კატასტროფის შედეგად მიიტაცა - ეს უმეტესად ქედებითა და ხევებით დასერილი ხმელეთის ლანდშაფტია, რომელიც რაღაც მიზეზით ზღვის ქვეშ მოქცეულა. ამ დღეებში ზღვის სიღრმე ას მეტრს არ აღემატება. შავი ზღვის დღევანდელი ფართობი 420,0 კვ. კილომეტრია; ვარაუდობენ, რომ მსოფლიო ოკეანის ღონის კატასტროფულ აწვევისას გზის ფართობი 30-ჯერ გაიზარდა, მაშასადამე; გზის ფართობი მაშინ სულ რაღაც 14,0 კვ. კილომეტრს შეადგენდა. კატასტროფის შედეგად ზღვამ მიიტაცა დღევანდელი უკრაინისა და რუმინეთის უზარმაზარი ტერიტორიები ოლქის ყურესა და დღევანდელი დნეპრის შესართავამდე, მანვე შთანთქმა საქართველოს სანაპიროს უზარმაზარი ტერიტორია, რომელიც, ალბათ, მჭიდროდ იყო დასახლებული, როგორც ყოველი ზღვისპირეთი. ვინ იცის, იქნებ ეს იყო ქართველთა განსახლების ძირითადი ტერიტორიაც და ხმელთაშუა ზღვის აუზთან დაკავშირებული ცივილიზაციაც იქ ყვებოდა.

თუ ფანტაზიას გასაქანს მივცემთ, უნდა წარმოვიდგინოთ მრისხანე სტიქიონის შემოტევით დაზარეული, ზღვის მიერ შთანთქმული სოფლები და ქალაქები, ისაღაც ქართველთა ძველი წინაპრები - კოლხური, ლაზური, სვანური მოღმის ხალხი ცხოვრობდა. ეს ხალხი და მათი ცივილიზაცია ადრინდელი გზის ნაპირის გასწვრივ იყო განწყობილი და შორს ჩრდილოეთით ვრცელდებოდა, გარს უკლავდა კაკეკსიონის მთებს და იმიერკაკეკსიის დიდი ნაწილი, მთელი ყუბანის აუზი ეყრდნობა.

ესლა კი ზღვის შემოტევამ თითქმის კაკეკსიონის მთისწინეთამდე შთანთქმა ხმელეთი, დარჩა მხოლოდ ზღვისპირეთის ვიწრო ზოლი - დღევანდელი აფხაზეთის ყველ და ქართული სამყარო ორ ნაწილად გაიშინა, ერთმანეთს მოწყდა ჩრდილოეთი-იმიერკაკეკსია, ყუბანის აუზი და იმიერკაკეკსია, ზღვის ნაპირები დაჭაობდა და საცხოვრებლად უვარგისი შეიქმნა. უნდა ვივარაუდოთ, რომ კატასტროფამ მიღწიანად შეეცვალა იმ ხალხის ცხოვრების წესი, ეთნიკური სახე და ეროვნული მიმსრავლები, რომელნიც 7000 თუ 7500 წლის წინათ უწყინარი გზის ნაპირს ცხოვრობდა; დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, განადგურდა, ნაწილიც კადა-

სიხეწა დასავლეთსა და აღმოსავლეთში, წყალმა დაფარა ის ნაყოფიერი სივრცეები, რომელიც შავი ზღვისპირეთის ჩრდილოეთსა და სამხრეთს აკავშირებდა.

თუ დღეს მცირე წყალდიდობაც კი საშინელ გრავაციებს იწვევს, ადვილი წარმოსადგენია, რა მასშტაბის კატასტროფაზე საუბარი, თუ შავი ზღვის აუზის ავსებასა და მსოფლიო წარღვნას უცილობელ ჭეშმარიტებად მივიღებთ, რისი საფუძველზე უღებოდ არსებობს. ამ კატასტროფის შედეგები, უეჭველია, მრავალი საუკუნის მანძილზე იქნება თავს და აბსოლუტურად შეუცვალა ჩვენი სამშობლოს ისტორია, ეთნიკური და გეოგრაფიული სახე.

სამწუხაროდ, წერილობითი ძეგლები ისევე არა გვაქვს, გარდა ბიბლიური ლეგენდისა მსოფლიო წარღვნის შესახებ, ბიბლია კი ახალი წიგნია და მასში არ შეიძლება ასახულიყო დეტალები იმ კატასტროფისა, რომელიც რამდენიმე ათასწლეული წლით ადრე დაატყდა კაცობრიობას.

ყველა დროსა და ეპოქაში, თუკი ხალხს ეთნიკური ნათესაობა და საერთო ტერიტორია აკავშირებს, გარკვეული ეროვნული იდეაც გააჩნია, რომელიც მის სულიერ, ფიზიკურ და სახელმწიფოებრივ მისწრაფებებს განსაზღვრავს. უღებოდ, ასეთი იდეა გააჩნდა იმ ხალხსაც, ვინც წარღვნამდე ცხოვრობდა. იგი ზღვისპირეთში, მაგრამ თავს დამცემსა კატასტროფამ დიდი ხნით გაფარება სახელმწიფოებრიობის პარიერაზე მყოფი ხალხი.

არ შეიძლება აქვე არ გავისხენოთ აწ განსვენებული ენთუზიასტი მკვლევარი შ. ხვედელიც და მის მიერ ე. წ. ბასკური ფირფიცის წაკითხვა. ამ გრუმოვრავ ფირფიცაზე მან ამოითხა ცნობა რომელიღაც წყლისმიერ კატასტროფაზე, რამაც ბასკთა წინაპრები აიძულა აღმოსავლეთიდან აფრიდიყენენ და დაეწყით დასახლეთიში თავშესაფრის ძიება. ვინ იცის, ეს იქნებ მართლაც სწორი წაკითხვა მაშინ მეცნიერთაგან არავინ გაიზიარა, რადგან სხვა რამ არ გუშეგნებთ ვერ დადასტურდა, თუქმას არც საწინააღმდეგოდ არ გუშეგნებთ არსებობს.

დაახლოებით 7000-7500 წლის წინათ შავი ზღვისპირეთში მომხდარი ეს მოვლენა დღეს მეცნიერულ ბრუნვაში არ არის და, საერთოდ, არავინ ასხივებს, რადგან თვით მსოფლიო წარღვნა ლეგენდების სერვის განეკუთვნება. არადა, უეჭველად მტკიცდება, რომ შეიძლება ათასწლეული წლის წინათ ნამდვილად მოხდა მსოფლიო ოკეანის ღონის აწვევა და შავი ზღვის ადგილას მდებარე მოცროს ტბაც მაშინ იქცა უზარმაზარ ზღვად.

ეროვნული იდეის ძიებაში

და კიდევ ერთი არგუმენტი: ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში დიდი ხანია დადასტურებულია ე. წ. კოლხურ-ყუბანური კულტურის არსებობა; კოლხეთსა და იმიერკავკასიის დაბლობზე, მდინარე ყუბანის აუზში მოპოვებულია მონათესავე არქეოლოგიური მასალა, რაც ოდესღაც ამ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხთა ერთიანობასა და მჭიდრო კულტურულ კავშირს ადასტურებს. ამოუხსნელია მხოლოდ ამ ხალხთა ეგოლოგი მჭიდრო ურთიერთობის გზები; კვლევის ამიერ და იმიერ კავკასიას შორის კავკასიონის უზარმაზარი მთაგორებისა გადაჭიმული და წარმოუდგენელია მის სხვადასხვა მხარეს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოდგმის ხალხები ეცხოვრათ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს კულტურა წარდგინდეს, ანუ შავი ზღვისპირეთის კატასტროფამდე ჩაისახა, ხოლო ჩრდილოეთ და ამიერკავკასიაში მოსახლე ქართველური გომები ერთმანეთთან ზღვისპირეთის ვრცელი დაბლობით იყვნენ დაკავშირებული, რომელიც აგლანგიდის კატასტროფის შედეგად შემოჭრილმა ოკეანის ზღვრებმა სამუდამოდ შთანთქმეს. კატასტროფამ ზღვისპირეთის ეს ზოლი წაშალა, მაგრამ მონათესავე კულტურათა განვითარება მრავალი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა, ხანამ ჩრდილოეთ კავკასიაში არ გამოჩნდნენ ახალი დამპყრობლები, მაშინ ქართველები, ანუ კოლხურ-სვანური მოდგმის გომები იძულებული გახდნენ გადმოეხადათ კავკასიონის ქედი და შედარებით მშვიდ საშხრეთში ეძებნათ თავშესაფარი, იმ ეპოქაში ხალხთა გლობალური გადასახლება ჩვეულებრივი მოვლენა იყო და კოლხურ გომთა მოძრაობაც, ალბათ, რამდენიმე საუკუნე გრძელდებოდა. კოლხური მოდგმის გომები რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთთან ჰქონდათ შესება, ამას აქ შემორჩენილი გომონიმებიც ადასტურებს.

საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უძველესი დროიდან ცხოვრობდა წანარების გომი. ამ გომის მოსახლეობას მეცნიერი ისტორიკოსები დღევანდელ ყაზბეგის რაიონის, ე. ი. ხვეის ტერიტორიაზე ვარაუდობენ, ჩემი აზრით, ისინი დღევანდელი ფშავის არაგვის ხეობაში ცხოვრობდნენ. კოლხურთან მიმართებაში საინტერესოა ამ გომის სახელწოდების ფუძე „წან“, წანი მეგრულად აღსავლეთის ქარს, მავჯურს ჰქვია. ვინც იცის, იქნებ ამ გომის სახელი მათ დასავლეთ, ზღვისპირულ წარმომავლობას მიუთითებს და ისინი იმ ხალხის შთამომავალი იყვნენ, რომელნიც ზღვის მოვა-

რდნით გამოწვეულმა კატასტროფამ მოსწყვიტა სხვა თანატომელებს და მოვკანებთ დარჩალის გზით გამოაღწიეს სამხრეთისაკენ. დადასტურებულია, რომ ჩ.წ. ა. მეფილდე-მეცხურე საუკუნეებში ამ გომმა კახეთის ბარისკენ დაიწყო გადასახლება და კახეთის სამთავროს ჩაუყარა საფუძველი.

არც ის არის უგულვებლსაყოფი, რომ უძველესი დროის უცხოურ წყაროებში იბერადა იწოდება საქართველოს შავი ზღვისპირეთი. ამ ცნობას ქართველი მეცნიერები კრიტიკულად უდგებიან იმ მოსაზრებით, რომ უფრო ახალი დროის ბერძენ-რომაელი ისტორიკოსები იბერადა აღმოსავლეთ საქართველოს მოიხსენიებენ. ვინც იცის, იქნებ შავი ზღვისპირეთის მართლაც ერთჯერ იბერადა კატასტროფის იმ უძველეს ეპოქაში, შემდეგ კი იქიდან ლტოლვილმა ან ყუბანის ველებიდან გადმოსახლებულმა გომებმა ეს სახელი აღმოსავლეთ საქართველოში - თავისი ახალი დასახლების ადგილას დაიმკვიდრეს.

დღეს არავინ იცის, კონკრეტულად სად მდებარეობდა სკვითთა, მას ავგომბაგურად ვიავიყვებთ რუსთა წინაპრებთან, მაგრამ ძველი ავგორების ცნობით, სკვითთა ეწოდებოდა შავი ზღვისპირა ქვეყნას. პლუტარქე თვლის, რომ „ფაშის სკვითეთის მდინარეა, იგი ქალაქს (ე. ი. ფასისს, ამჟამინდელ ფოთს) ჩამოუდის“. დიონისოს პერიგეტის წყარად: სკვითეთის რჩეული გომებია ბიბერები, მაკრონები, მოსინიკები, ტიბერანები, ხალიბები. სკეფანე ბიზანტიელს სკვითებად მიაჩნდა აფსილბები, სანიგები, ლაგები, ქართული ტრადიციით კი ყველა ისინი ქართველთა წინაპარი გომები იყვნენ.

შესაძლოა, ოდესმე შავი ზღვისპირეთში იმ ტერიტორიაზე მოსახლე გომები, რომელიც კატასტროფის შემდეგ ზღვამ შთანთქმა, საერთო სახელი სკვითთა ეწოდებოდა, ხოლო მოვიანებით ეს სახელწოდება ზღვისპირეთის ჩრდილოეთ მხარეს, ყუბანის აუზისა და უფრო ჩრდილოეთით, ამოვისპირეთის ტერიტორიებზე მერწა. ყოველ შემთხვევაში, ბერძენი ავგორები, მით უმეტეს პლუტარქე, ისეთი უვიცეები როდი იყვნენ, რომ სკვითთა და პონტისპირა კოლხეთი ერთმანეთისგან ვერ გაეჩრდათ, ისინი უსათუოდ რღავ ტრადიციას ეყვარებოდნენ.

რაღა თქმა უნდა, ეს ყოველივე მწერლური ფანტაზიისა და ვარაუდების ნარკვიია, მაგრამ ვინმდროს რაიმე ჰქონდეს საერთო სინამდვილესთან. არ არის გამორიცხული, რომ სსოვნა შავი ზღვისპირეთის ციფილიზაციის დაღუპვის შესახებ შემონახული იყვნენ წელთაღრიცხ-

ვის შემდგომ საუკუნეებშიც და ითანე ზონიშეს სახეებით ცნობილ თხზულებაში „ქება და დიდება ქართულისა ენისაი“ დაქარაგმებული ციურები ამ სსოვნის გამოხახილი იყოს, თუმცა თხზულება ეუკველად საქართველოს კონკრეტული მდგომარეობით არის ნაკონსახვი. ყოველ შემთხვევაში, დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ შეიდა ათასეული წლის წინათ ნამდვილად მოხდა მსოფლიო ოკეანის ღრის კატასტროფული აწვევა, ეს მოვლენა დროში ემთხვევა ატლანტიდის დაღუპვის სავარაუდო პერიოდს. ოკეანის ღრის აწვევის შედეგად მანდელი მცირე გზის ადგილას წარმოიშვა დღევანდელი შავი ზღვა, ხოლო ზღვისაგან შთანქმულ სივრცეებზე მოსახლე ჩვენი შორეული წინაპრების ბედ-აღბლის წარმოსადგენად კვლავ ფანტაზიას უნდა მივიეთ გასაქანი, რადგან არ გაგვაჩნია რაიმე წერილობითი საბუთი და არც ზღვისქვეშეთის გამოკვლევა შეგვიძლია.

გამოხდება ხანი და ბერძნული მითები კვლავ გააცოცხლებენ ლეგენდარული კოლხეთის სსოვნას, ხალხებში არ ჩაკედება მრავალი ათასი წლის წინათ დაღუპული ცივილიზაციის სსოვნა. ქვეყნის მოველენებზე ახალი, ბერძნული სამყაროს ცივილიზაცია, ახალი დამყრობლები და ახალი განმანათლებლები, რომელშიც აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის კოლონიზაციას წინ წაუშეღვარებენ მომხიბლავ მითს არგონავტების შესახებ, რათა თანამემამულეებს პონტოს შვის გადამა მებრარე ქვეყნისაში ინტერესი აღუძრან.

ახლა ისევ ჩვენი ქვეყნის ისტორიის თვალმისაწვდენ ზღვარს დაეუბრუნდეთ. ასეთ შემთხვევაში რამდენიმე ათასწლეულის გამოგვითბა მოგვეწვევს და ავერ, ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებში აღმოეჩნდებით, როცა ბერძნებმა აქტიურად მიიყვეს ხელი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის კოლონიზაციას და აქ მოსახლე ხალხებზეც გარკვეული ცნობები შემოგვინახეს. ამ ცნობების ამოკითხვა სიმ-ხელეს სულაც არ წარმოადგენს.

ამავე პერიოდს განეკუთვნება ცნობები ღრის ქელს გადმოღმა მოსახლე გომების შესახებაც, რომლებიც გაცილებით ვრცლად რომაელ ავტორებთან მოიპოვება და ყველაფრიდან ჩანს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე გომები მხოლოდ სახელმწიფოებრიობის გარეშე რაიმე იმყოფებოდნენ, მაგრამ პატრიოტიზმი არ აკლდათ.

ჩვენი წინაპრები სსხტე წინააღმდეგობას უწევდნენ რომაელთა მოძრობას თაყიანთ მიწა-წყალზე და ეს გააფთრება დიდად ათე-

ვბათ მრავალნაყად რომაელ სარდლებს. ქართული მოდგმის გომებმა არ ისურვეს, ჩაწერილიყენენ რომის უზარმაზარი იმპერიის არეალში და ამით ზიარებოდნენ მარაღული ქალაქის ცივილიზაციის, უფრო გარკვევით ქვეშევრდომებდა გ დაქვევას სიციხლის განწირვა ერჩიათ. ახლა ძელია იმის განსაზღვრა - რა უპრობესი იყო, მაგრამ ცხალია, ძელი ქართველთა თვისუფლებისმოყვარეობა ღრისეული პატივის მივებას იმსახურებს. და, აი, ეპოქის იმ თვალსაწიერსაც მივალწით, როცა ისტორიის დოკუმენტური დადასტურება ხერხდება, თუმცა ქართველები კვლავ ერიდებოდნენ წერას და მცირე პალეოგრაფიული მასალა, რომელიც ქრისტიანობამდელ ეპოქას განეკუთვნება, ბერძნულ-არამეულ და ებრაულ ენებზეა შესრულებული.

ამ ეპოქაში უკვე თამადა შეიძლება ლაპარაკი ეროვნულ, ზოგაქართულ იდეაზე თუნდაც ფარნავაზის ეპოქის მაგალითზე. საწუხაროდ, ამ დღე მუფერფორმატორის მოღვაწეობა თუ ის სინამდვილეში არსებობდა, ისევ დღევანდების სფეროში რჩება, რადგან ამ ეპოქის ქართული წერილობითი დოკუმენტები არ არსებობს; არც იმ ანბანის ვიეთ რაიმე, რომელიც ვითომ ფარნავაზს შემოვლიდა. ქართული დამწერლობის ნიმუშები ფარნავაზიდან მხოლოდ 6-7 საუკუნის შემდეგ დასტურდება, თვით ფარნავაზის შესახებ ცნობები კი X-XI საუკუნეში შექმნილ ლონგი პროველის თხზულებაში შესახულია. მიუხედავად დოკუმენტების სიმწირისა, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე ნამდვილად არსებობდა ქართული სახელმწიფოთა და შესაძლოა, საქართველო მართლაც ერთიანი ქვეყნა იყო. ეს უკვე ქართველი იდეის მიემია. არც ის არის გამორიცხული, რომ ფარნავაზმა მართლაც შემოიღო ქართული დამწერლობა; მაგრამ შემოხველ სახელმწიფოთა ასევე ბერძნულ-რომაულ კულტურების გავლენამ იგი დღე ხნით მოაქცია ჩრდილში; არ დარჩა თუნდაც ერთი ეპიგრაფია, მცირედი წარწერა რაიმე მყარ მასალაზე, რომელიც საუკუნეებს გაუძლიდა, ისეთი, როგორც ბერძნულ-არამეული, ეთქვით, ე. წ. „არამაის ბილინგვა“. თვით ფარნავაზის აღმეება არარეალურ ისტორიას ემყარება, ვითომდაც საქართველოში აღექვსანდრე მაკედონელს ელაშქროს, ფარნავაზის მამა მასთან ბრძოლაში დაღუპულიყოს, ხოლო ფარნავაზს

აღუქსანდრეგან ქართლის საგრაპად დაყენებული აზო განედენის.

რასაკვირველია, ამ ეპოქაზე ქართველ მეცნიერთა ასეულობით გამოკვლევა არსებობს, ყოველი ცნობა, ფაქტი, მოვლენა შეჯერებულია უცხოურ ისტორიულ წყაროებთან და განხილულია მაშინდელ მსოფლიო ისტორიულ მოვლენებთან კონტექსტში, გამოთქმულია მრავალი საინტერესო დასკვნა და პიპოთეზა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, - მხეთუე საუკუნის მეორე ნახევრამდე არც რაიმე წერილობითი ძეგლი გაგვანძია, არც დამწერლობის ნიმუში ჩანს, არც სამეფო დინასტიები ჩანს, არც მეფეებს ვიცნობთ და არც მათი მოღვაწეობის შესახებ გვაქვს სარწმუნო და უცყუარი ცნობები.

ჩვენ კი იმას ვამტკიცებთ, რაც არაფრით დასტურდება და იქნეუ საერთოდ არც ყოფილა. ეს გენდენია დამონებული ერის ფსიქიკიდან იდეებს სათავეს. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი დამოკიდებულება ისტორიული ფაქტებისა და მოვლენებისადმი ერთობ კრიტიკული და ობიექტური ვახდება ერთეული თავისუფლების განმტკიცების კვალობაზე. ის, რაც დღეს მკრეხელობად, ისტორიული გრადიციის ხელყოფად გვეჩვენება, ხანდაზღვეულში ობიექტურობის აღდენისაკენ სწრაფებს წარმადიანებს, ისტორიის ობიექტური თვალთახედვით განხილვა კი ერთეული სიფხიმლის ერთი უმთავრესი წყაროა.

ვის იცის, იქნებ საქართველოს დაუკლებელი სწრაფვა დასავლეთისა და დასავლური კულტურისაკენ, სწორედ იმ გენეტიკური კოდის გამოთახილია, რომელიც მას აკავშირებს ხმელთაშუა ზღვის აუზში კატასტროფის შედეგად გაფანტულ თავის ძველ თანამოძმეებსა და ახლი მემობლებთან. გერიტორიულად და გეოპოლიტიკურად ჩვენი ქვეყანა აღმოსავლეთის ნაწილია და საწინააღმდეგოს მტკიცება სასურველის რეალურად მიხნევაზე შორს ვერ მიდის. ამიტომ არის საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორის მერყევი, „გახლენილი“ ქვეყანა. ასეთ ვითარებაში ჩვენ მეტად გვიჭირს ჩვენი თავის პოვნა, არც მტკიცედ ჩამოყალიბებული გრადიციები გვაქვს, არც ჩვენი ერთეული ბუნება უცვლელი და მდგრადი, არც საქვეყნო პასუხისმგებლობით გამოვიჩნევით, თითქოს იმ თავზარდამცემი კატასტროფის შემდეგ, 7500 წლის წინათ რომ მოხდა და სამ დღედა დანარკათ ქართული სამყარო, ხელი ჩაგვქნევიდა და ზღას მივდობივართ, ბუღი კი ხან აღმოსავლეთის, ხან დასავლეთის კონტინენტებს შეგვანარცხებს. ეს არის ჩვენი სულიერი

სამყაროს, ჩვენი შინაგანი წყობის მარადიული ზიგზაგის მიშეში, რაც ძნელად ჩანს ფიზიკური არსებობის გადარჩენისთვის ბრძოლების მიშეში.

უხსოვარი დროიდან გამოვლილ ათასწლეულებში ჩვენ ვერაფერი დაეწერეთ, ვერაფერი ავაგეთ, ვერაფრით დავაზმასოვრეთ თავი მსოფლიოს. ჩვენი ცივილიზაციის თვალსაწიერი, უკეთეს შემთხვევაში, 2000 წელზე შორს ვერ მიდის და, თუ რამ ვიცით იმ ეპოქაზე, ისიც სხვათა მატანიეებით, სხვათა ისტორიით, რომელიც არც უცყუარია, არც ხანლო და ხშირად არც კეთილგანწყობილი. „ნათესავი ქართველთა მარგვი და ლიგონი“ (VII საუკუნის გამოთქმა) უდრდელად მიხნევათა ისტორიის ქართა ქროლვას და არც უცდა შობამომაგლეობისთვის შემოქნასა თავისი დროის ნაკვეთი, პირველ რიგში კი წერილობითი ისტორია.

ეს ის დროა, როცა ცოცხლები აღარ არიან კლასიკური ეპოქის დიდე ბერძნები: პლატონი, არისტოტელე, სოკრადე, პითაგორა, ესქილე და, რა თქმა უნდა, პომპროსი...

